

გივი ალხაიშვილი

ამოდის თუ ჩადის მზე?!

რომანი

მერანი  
1998

რედაქტორი ლია შერვაშიძე  
მხატვარი ჯემალ ზენაიშვილი

გამომცემლობა „მერანი“ რუსთაველის 42

იგი მოულოდნელად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში. ერთფეროვანი ყოფა უეცრად გამომიცოცხლა, საფიქრალიც ბევრი გამიჩინა. არც კი უკითხავს მსურდა თუ არა ჩემი სიმშვიდის ჩარჩოდან გადმომეზიჯებინა და გადაუჭრელ პრობლემათა მორევში ამომეყო თავი. პირველად სამსახურში გამომეცხადა, ჩვენი ძველი ნაცნობობა გამახსენა და მაგიდაზე მომცრო საქალაქე დამიდო, თან დამპირდა, წავიკითხავდი თუ არა, ვინმეს ხელით ისევ გამომიგზავნიდა ახალ ხელნაწერებს. მისი სახელი სიმონი — თითქოს ღიმილისმომგვრელად ჟღერდა ჩემთვის, მაგრამ ცნობილი მუსიკოსი იყო და სახელიც გაღივების საბაზს ჰკარგავდა. სიმონს რომ ვუყურებდი, ასე მეგონა, სარკეში საკუთარ ორეულს ვათვალიერებდი. მაგრამ იგი მაინც განსხვავდებოდა ჩემგან — ზედმეტად ეგზალტირებული და ენერგიული მიხრამხრით, ნერვიულად ანთებული თვალებით, ეს განსხვავებაც დროებითი თუ პირობითი იყო, რადგანაც ხანგამომშვებით, მეც ზუსტად ასეთი ენერგიული და ეგზალტირებული ვჩანდი სხვათა თვალში, მზერაც ზედმეტი აგზნებულობისგან მილაპლაპებდა. მე არ შემძლია დაბეჯითებით განვაცხადო, რომ საკუთარ ორეულს შევხვდი, მაგრამ რაღაც ამის მაგვარი რამ ხდებოდა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ჩვენ, დროდადრო, ვხვდებოდით ერთმანეთს ხან ჩემს სამსახურში, ხანაც მასთან, სახლში და, როცა მის სახლში გრძელ მაგიდასთან ვიჯექი ოდნავ ნაღვლიანი და ყავას შევექცეოდი, თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ამსახლში ვცხოვრობდი უხსოვარი დროიდან და ის საგნები და ნივთები, ჩვენთან ერთად რომ დუმდნენ, იმ ნაცნობ დუმილს აგრძელებდნენ, რომელსაც შევეზარდე დიდი ხანია და რომლის გარეშე ჩემი სიმყუდროვე საერთოდ კარგავდა აზრს. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ იქ, მაინც სიმონი იყო მასპინძელი და ჩემი გაშინაურება არაფერს ნიშნავდა. თქმა იმისა, რომ სიმონი მუსიკით იყო გატაცებული, არ იქნებოდა მართალი, რადგან იგი, როგორც მოგახსენეთ, ცნობილი მევიოლინე იყო, მაგრამ ბოლო წლებში, თვითონ ასე გამიმხილა: რაღაც ოპუსების წერას მიჰყო ხელი და სურდა, მე, როგორც ლიტერატორს, თვალი შემეველო ამ ტექსტისათვის და ჩემი მოსაზრება გამემხილა, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, სიმონს ნაკლებად აინტერესებდა ჩემი პროფესიული აზრი, იგი ცდილობდა ჩემთან დისკუსია გაეზოგებინა და განსხვავებაზე და, როგორც თვითონ მიმანიშნა, სურდა ჩემში გაეღვიძებინა მთვლემარე ვნება, რათა დამეწუნებინა ჩემი რაციონალური ყოფა და შემეცვალა მდორე ცხოვრების წესი. მოკლედ, როგორც აღმოვაჩინე, მევიოლინე სიმონი ცდილობდა ის პირობითი სხვაობაც წაეშალა, ჩვენს შორის რომ არსებობდა და მე მთლიანად მის ჰკუაზე გადავწყობილიყავი. ჩემთვის, თავიდან, იმდენად არასერიოზულად ჟღერდა სიმონის შეგონებანი, რომ სიამოვნებით ავყევი ამ თამაშს.

ერთი თვის შემდეგ, როცა სიმონის შეგონებებით ერთი საქალაქე შეივსო, რატომღაც გამიჩნდა სურვილი მათი გამოქვეყნებისა, ამავდროულად, არც კი მიფიქრია საავტორო უფლებებს თუ ვარღვევდი და ავტორის დაუკითხავად, მისი ნებართვის გარეშე თუ შეიძლებოდა ამ ტექსტების დაბეჭდვა. ეს ეჭვი რომ არ გამიჩნდა, ესეც ბუნებრივია, რადგან სიმონის ნაწერი, ზოგჯერ ჩემი მეგონა, ისე ჰგავდა ჩემი აზროვნების სტილს, მანერას, მაგრამ მაინც ჩემი არ იყო. ამიტომ, ალბათ, ჯობდა ამ ტექსტის გამოქვეყნებაზე მისი წერილობითი თანხმობა მიმეღო, მაგრამ მე ქურდულად მოვიქეცი, სიმონის ხელნაწერები მემანქანეს გადავეცი გადასაბეჭდად და როცა ხელნაწერი ჩემს მაგიდაზე იდო გაწკრივებულ-გალამაზებული, კიდევ ერთხელ გადავიკითხე და წერტილ-მძიმე, ზოგიერთი სტილისტური შეცდომა ჩავასწორე, აღარ ვყოყმანობდი, რომ აუცილებლად გამოვაქვეყნებდი. მაგრამ,

როგორც კი კომპიუტერზე ავაწყობდი სიმონის ოპუსებს, ამასობაში ახალ-ახალი ჩანაწერები ჩნდებოდა და მე ერთ მშვენიერ დღეს მომეჩვენა, რომ ეს წიგნი არასოდეს დასრულდებოდა. ამიტომ შევთავაზე ერთ-ერთ ჟურნალს ნომრიდან ნომერში გაგრძელებებით გამოექვეყნებინა, ხოლო მოგვიანებით ცალკე წიგნად გამოვეცემდი.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ პირველი ჩანაწერი ნამდვილად მე მეკუთვნის, ხოლო შემდეგ იწყება სიმონის ოპუსები, რომელთაც ზოგჯერ ერთვის ჩემი კომენტარები. ასე რომ, ეს წიგნი ჩემი და სიმონის თანაავტორობით შეიქმნა — იგი არაა მხოლოდ სიმონის ან მხოლოდ ჩემი, იგი საერთო საკუთრებაა. გთხოვთ, ამ ნიუანსს მიაპყროთ ყურადღება, რადგან მომავალში ამ საკითხს რაღაც მნიშვნელობა მიენიჭება.

ახლა მივყვით ტექსტის თანმიმდევრობას.

\*\*\*

შეუძლებელია ფიქრიც კი... აქ იმდენი ხალხი შემოდის, თან თავისი პრობლემებით, რომ რაიმე საქმის წამოწყება მართლაც, შეუძლებელია.

გარეთ კი მშვენიერი შემოდგომის ამინდია ან შემოდგომის მშვენიერი ამინდია. აქ, შიგნით, ოთახში (კაბინეტში) ჩინოვნიკური ატმოსფეროა. უმრავლესობა, ვინც აქ შემოდის, უკმაყოფილოა ან შეწუხებული. ჰგონიათ, რომ თავის პრობლემებს აქ გადაწყვეტენ. თითქმის ყველა ცდილობს ამკიდოს თავისი სატკივარი. ისინი ვერც კი ხვდებიან ისე მიცარიელებენ სულს, მართმევენ იმ ენერგიას, რომლის წყალობითაც სულდგმულობს ადამიანი. ეს გაუცნობიერებელი „ვამპირიზმი“ გავრცელებული დაავადებაა. ახლა ვფიქრობ თავდაცვის საშუალებები გამოვნახო თავის გადასარჩენად. პრობლემა რომ აღმოვაჩინე — ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. ისევ საკუთარ თავში უნდა ჩავბრუნდე — საკუთარი თავი სულაც არ ნიშნავს ჩემთვის სხეულით შემოგარსულ ორგანიზმს, საკუთარი თავი ის შინასამყაროა, სადაც ფიქრის და აზროვნების, უფრო კი სულიერი გრადაციის, გარკვეული მეტამორფოზის საშუალება მეძლევა. გამუდმებით „შიგნით“ ყოფნა, საკუთარ თავში გარინდვა, განცალკევება, ჩაყვინთვა, ალბათ, შეუძლებელია, ამიტომ რეალურ, ყოველდღიურ ზედაპირზე ამოყურყუმალება თუნდაც იმიტომაც აუცილებელი, რომ საერთოდ არ მოვწყდე სიცოცხლის გარეგნულ — ვიზუალურ მდგომარეობას და საკუთარი არსებობა აღვბეჭდო სხვათა თვალში, სხვათა სინამდვილეში, რომელიც მხოლოდ თავიანთ მიწიერ განზომილებაში არსებული სინამდვილის შესაფერისი გააჩნიათ.

\*\*\*

ამ ფუსფუსს რომ მოვწყდები, გამუდმებით ვგრძნობ, რომ ფუსფუსის სივრცე პირობითია და ჩვენივე სურვილებითაა შემოზღუდული, ერთმანეთში ალუფხული ბგერებით, ცალკეული სიტყვებით და ფრაზებით, ყველაფრით, რასაც ხმა გააჩნია, მოძრაობა შეუძლია და ამავე დროს, იმ უძრავი საგნების მდუმარებითაცაა გაჟღენთილი, ჩვენთან ერთად რომ თანაცხოვრობენ; მაგრამ ამ ყველაფრის მიღმა, ამ ყველაფრის იქით, მარად არსებობს რაღაც, ჩვენს ყოფას რომ ვერ ამჩნევს, ის თითქოს ნიადაგ განზემდგომი უსასრულო განფენილებაა, საიდანაც დროდადრო ჩვენს თვალეში ან სიტყვებში — ზოგადად სულში, ჩამოაღწევს ხოლმე იდუმალი ნათება, გარეთ, სადაც მყოფი უსასრულობიდან, — ნიშნად იმისა, რომ საიდუმლო კავშირი არ დაირღვეს, რათა დროდადრო გაგვიჩინოს ეჭვი ჩვენი, მხოლოდ მიწიერი არსებობის მიმართ, დაბადოს ორჭოფული განცდა იმ ყოველდღიური სინამდვილის გამო, რომელშიც ვცხოვრობთ და თანდათან რომ იწყებს გაორებას, მერე კი

გაუცხოებას. ეს ჩვენი ხვედრია, უკიდურესობათა კედლებს უნდა ვენარცხებოდეთ, რათა შევძლოთ შევიქმნათ წინსვლის ილუზია, სიცოცხლის გაგრძელებისკენ რომ გვიბიძგებს და შევიგრძნოთ ჩვენი განცდების თუ ფიქრების, თუნდაც უბრალო მოვლენათა წვდომის აუცილებლობა. წვდომა აუცილებელი მოთხოვნაა; წვდომა არ არის მეექვსე გრძნობა, წვდომა არ არის მხოლოდ გონის მახასიათებელი — წვდომა ხუთივე გრძნობის და გონის მთლიანობაა და ამ მთლიანობას ქმნის სული, რადგან მხოლოდ სული უკავშირდება მიღმიერს, ამოუხსნელს, ზენაარსს.

მე ისე შევდივარ საგანში, მცენარისა თუ ადამიანის ბნელით მოცულ სიღრმეში, რომ თვითონ ვერ გამიგია. ეს უნარი ხელს მიშლის ადვილად ვიცხოვრო და ეს ჩემთვის ერთდროულად — ტრაგედიაცაა და ბედნიერებაც. ასე რომ, უკიდურესობათა კედლებს უნებლიეთ კი არ ვენარცხები, ეს ჩემი ხვედრია და ამგვარი ხვედრი — ჩემში ამოქმედებს სიტყვებს, საცეცხბივით რომ მიძვრებიან ქვეცნობიერში და ისე ამოსწოვენ იქიდან „ბნელ ინფორმაციებს“, როგორც მცენარე თავის ფესვებით შეისრუტავს წიაღის სინოტივს. წვდომა ჭვრეტა არაა, მაგრამ წვდომა თავისთავში ჭვრეტის ელემენტსაც მოიცავს. ის მუდამ მზადყოფნაშია და ჩემი აზროვნების, არსებობის მხოლოდ სტილს კი არა, სასიცოცხლო წყაროს წარმოადგენს.

\*\*\*

გამიჩნდა სურვილი გავაგრძელო ეს დაკვირვება. წვდომის აქტი არასოდეს რაიმეს ამოწურვას არ ნიშნავს. იგი დაუსრულებელი და პერიოდულად განახლებადი აქტია, განახლებადი იმიტომ, რომ ყოველი წარმატებული წვდომის შემდეგ მუდამ ჩნდება რაღაც შეუცნობელი, კვლავჩასაწვდომი. ეს წრებრუნვა მუდამ გრძელდება. “შეიცან თავი შენი“ — ბრძანა უფალმა. მე დიდ სამყაროში არსებული, რაღაც დამოუკიდებელი სამყარო ვარ. მინდა შევიცნო თავი ჩემი. ამ თვითშეცნობის პროცესში სამყარო სწავლობს თავის თავს და ცდილობს წვდომის შემწეობით სხვაგან გაღწევას; სხვაგან გაღწევის ცდა კი საკუთარი თავის გამოცდაა, სულიერად გამდიდრების მორიგი სურვილია და მისი დაოკება სიკვდილს მოასწავებს, სულიერ სიკვდილს და არა სხეულებრივს.

\*\*\*

გაილია სექტემბერი, ალაგ-ალაგ აჭრელდნენ ხეები, აგრილდა კიდეც, დილა-საღამოს ცივა. ვარსკვლავები უფრო გამოკვეთილად ჩანან ცაზე — სიმკვეთრე — ერთდროულად აახლოებს და ამორებს კიდეც ეგრეთ წოდებულ ღამეულ ციურ სხეულებს. სიახლოვე და სიშორე აუხსნელად თანაარსებობენ არამხოლოდ ხილულ სამყაროში. ისიც კი, ვინც აქვეა — ხელის გაწვდენაზე ან უფრო ახლოს, ამავე დროს შორსაა, იმდენად შორს, რომ მისი ფიზიკური სიახლოვე კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას. სიშორისა და სიახლოვის ურთიერთშემცველობა დროდადრო ვლინდება ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობებში. შორს, ახლოს, შორს, ახლოს, შორს, ახლოს — მუდმივად თანამონაცვლე მდგომარეობებია სულისათვის — და მხოლოდ სულისმიერი აღქმის შემდეგ ან მასთან ერთად, მყისიერად თვალისთვისაც. მსგავსი პირობითობა ჩემი აქ, ამ ოთახში ყოფნისა და ამავე ოთახში სხვათა თანამეზობლობისა, ფიზიკურად მოახლოებისა დროდადრო მერყეობს სივრცეში — იმისდა მიხედვით, შენ სად ხარ ნამდვილად, სად არის შენი მეორე მე, ანუ „ალტერ

ეგო“ — გამოუვლენელი და უფრო უჩინარი, სადაც სიღრმეში მყოფი, განვითარებისათვის რომ მარადიულ მზაობას იჩენს. განვითარებისათვის მზაობა კი ნიშნავს მუდმივ ცვალებადობას და პირობითი დისტანციების რღვევას, ახალ-ახალი წახნაგისა და პრიზმის აღმოჩენას, სულის თვალის ამოუწურაობას. რაც ირგვლივ ხდება, შენ არ გეხება ან თუ გეხება, მხოლოდ ირიბად. რაც უფრო ღრმავდება შენი სულიერი ცხოვრება, მით უფრო მძაფრდება შენი გაუცხოება — ყოველივესა და ყველაფერთან, რაც ირგვლივაა, რაც ყოველდღიურობაში იბადება, იქვე კვდება, რადგან მხოლოდ მატერიალურ ცვლილებებზეა დამოკიდებული.

არ მინდა ბანალური მაგალითების გახსენება. მოკლედ, ჩემი თხრობა იმით დავიწყე, რომ ღამდამობით, შემოდგომის სიგრილეში, ვარსკვლავები უფრო კაშკაშებენ და იქმნება იმის ილუზია, თითქოს, ისინი უფრო მოგვიახლოვდნენ, რადგან უკეთ ჩანან, მაგრამ ამავე მიზეზით თუ კარგად დავაკვირდებით — მათი სიშორეც უფრო საგრძნობია. ამგვარი ორჭოფული დამოკიდებულება, იქნებ, ინდივიდის შინაგანი ბუნების ბრალია, ვიდრე იმ დისტანციისა, რაც ცასა და ვარსკვლავებს შორის არსებობს ან იქნებ იმ მუდმივი მოძრაობისა და უწყვეტი ცვალებადობისა, რასაც კოსმოსი თავის თავში მოიცავს, როგორც სტაბილურად ჰარმონიული, მაგრამ მუდამ განვითარების პროცესში მყოფი უსასრულოება, რომლის შეცნობაც ჰიპოთეტურად თუ შეიძლება — მხოლოდ მიკროსამყაროზე დაკვირვებით, საკუთარ სულში ჩახედვის მეშვეობით, მაგრამ ეს დაკვირვებაც დაუსაბამობისკენ მიდის და იქიდან ამოსვლა ყოველდღიურ ცხოვრებაში, არსებულ რეალობაში გათქვეფა აუცილებელია, თუნდაც იმისათვის, რომ საბოლოოდ არ მოწყდეს კაცი დაკანონებულ ორბიტას.

\*\*\*

ასე რომ, ჩვენ ერთმანეთს ვაძლებინებთ. თვითონ ვაშენებთ იმ სინამდვილეს, რომელშიც ვცხოვრობთ და რომლის არსებობაც უტყუარ ჭეშმარიტებად გვეჩვენება. ილუზიების სამყაროში ჩაძირულნი, თვითონვე ვემორჩილებით საკუთარ წარმოსახვებს და ამ დროს რითაც ვხელმძღვანელობთ, ალბათ, თვითგადარჩენის ინსტინქტია, რადგან გამუდმებულ ყვინთვას ამოუხსნელ დაუსაბამობაში ვერავინ შეძლებს. არის ერთი ტრადიციული გზა, მრავალ გზათა შორის, ნაცადი და ალბათ, უტყუარი — სიცოცხლე — ღვთითბომბებული ისე გალიოს კაცმა, რომ არ დაავიწყდეს მბომბებელი ამ სიცოცხლისა და ღვთის ნებას დაჰყვეს. ყოველი ძიება, სადაც ღვთის მეგზურობა გამორიცხულია ან უარყოფილი, მძიმე შედეგებით მთავრდება. ამგვარი ძიება საკუთარ უმწეობათა გამჟღავნებას აჩქარებს და უღვთოდ დარჩენილი ადამიანი — უფრო ხშირად ბოროტებას ემორჩილება და ბოროტების მსხვერპლი ხდება.

ჩვენი ლიტერატურული ძიებანი შესასწავლია ამ თვალსაზრისითაც.

\*\*\*

უჩვეულო არაფერი მომხდარა. გზა სახლიდან სამსახურამდე კვლავ სასიამოვნო იყო. ვიჯექი ჩემთვის, ცხადია, ფანჯარასთან და ვათვალიერებდი ბუნებას, რომელსაც მოვწყდი, სამწუხაროდ. ალაგ-ალაგ იფნები შეყვითლებულა, ჩალაც მზეს იკრებს, ბოსტნებიდან გამომზირალი ზაფრანის ყვავილებიც მზისფერია, ოღონდ უფრო მუქი და ავადმყოფური, თითქოს თვალებსაც მტკენს დიდხანს თუ ვუცქირე, ისიც ახლოდან — მიკროავტობუსიდან კი ისინი მზის დიდრონი წვეთებივით ჩანან — ბოსტნის მწვანე ფონზე.

ასე რომ, ვიჯექი ჩემთვის და ვფიქრობდი ყველაფერზე — ე. ი. არაფერზე. არაფერი რომ თავისთავად ყველაფერს ნიშნავს, ეს უკვე აღარ მიკვირს. რა არის ყველაფერი — თუ არა ის, რასაც არათუ მთლიანად, ნაწილობრივაც კი ვერ ვწვდები და იგი ისევე უცნობია და მოუხელთებელი, როგორც არაფერი. ყველაფერი და არაფერი — ეს ორი სიტყვა ქონების საზომად თუ გამოდგება, რაღაც კონკრეტულის მიახლოებითი ოდენობის თუ მოცულობის აღსანიშნად, თან ეს მოცულობა თუ ოდენობა ვიზუალურად უნდა გავითვალისწინოთ. ყველაფერში — ისე იგულისხმება არაფერი, როგორც არაფერში ყველაფერი. სიბნელეში ყველაფერია ჩაფლული, მაგრამ სიბნელეში არაფერი მოჩანს, ისევე როგორც სინათლეში — ყველაფერი მოჩანს, მაგრამ რაც არ მოჩანს, იმაზე მეტია, რაც მოჩანს და ეს პირობითი ყველაფერი — ყოველთვის შეიცავს თავის თავში არაფერს, მეტადრე მაშინ, როცა ჩვენთვის ყველაფერი იმდენად ნათელია, რომ აშკარად ვხედავთ ყველაფრის დაუსაბამობას ე. ი. ყველაფრის თანდათანობით გადასვლას „არარაში“ თუ არაფერში. ეს თემები პოეზიისთვის მეტად საინტერესოა და ისინი სულაც არ არიან მხოლოდ ფილოსოფიისთვის საინტერესონი. უფრო სწორად, რაც პოეზიასა და ფილოსოფიას გააჩნია საერთო, სწორედ ეს მარადიული თემებია. ხოლო პრობლემათა ამოხსნა, თუ ამოხსნის მცდელობა, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარად ხდება — ამ ორ, ერთმანეთისგან გამიჯნულ დარგებში. პოეზია თავის ამოცანას ურთულესი სიმარტივით, ანუ უზენაესი მხატვრული სიზუსტით ახერხებს. ფილოსოფოსები კი, როგორც წესი, განსჯის, ლოგიკის მეთოდს იყენებენ და ორივე შემთხვევაში — მათი მცდელობანი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც საინტერესონი არიან თვითონ, პიროვნულად, ამ ცდათა ავტორები. პოეზიას ხელთ აქვს უამრავი მხატვრული საშუალება: ფერები, ინტონაციები, ბგერწერა, სემანტიკა, ევფონიზმი, თვითირონია, ნიუანსთა ამოუწურავი შესაძლებლობანი. ის, ვინც მხატვრულ მთლიანობას ქმნის, ვერ გამოირიცხავს იდუმალი თანამონაწილის თანაარსებობას საკუთარ სულში და ეს იდუმალი თანამონაწილე რაღაც მისტიკა კი არა, სრულიად რეალური „რამეა“, რომელსაც პირობითად სულის განსაკუთრებულ მდგომარეობას ვუწოდებთ. ასეთ ვითარებაში, შემოქმედებით პროცესში, ყველაფრის პატრონი სული, შემოქმედებითი აქტის დასრულების შემდეგ, წარმატებული შედეგის მიუხედავად — ადვილად აღმოაჩენს, რომ მის მიერ ყველაფრის პატრონობის შეგრძნება არაა ილუზია, რომ იგი ნამდვილია, მაგრამ, ვიმეორებ, შემოქმედებითი აქტის დასრულების შემდეგ იქვეა არარაც — არაფერი, რომელიც ცალკე კი არ არსებობს, ყველაფერში განფენილა და ყველაფრის დასრულებას და დასაწყისს ნიშნავს ერთდროულად.

ყოველთვის ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მთელის — უმცირესი ნაწილაკის შეცნობას ვახერხებ, მაგრამ უმცირესი ნაწილაკის შეცნობაც კი (მიუხედავად იმისა, რომ ნაწილს მთელის თვისებები გააჩნია), არცთუ იშვიათად, ჯიუტად მიმეორებს, რომ ის რაღაც, საითაც მივიწევ გამუდმებით, არასოდეს, არასოდეს გაიხსნება, მუდამ ჩაკეტილი იქნება, მაგრამ წინსვლის (ეს წინსვლა აშკარად პირობითია) ჟინი ისევ იქით მეძახის — იქით, სადაც ყველაფერი და არაფერი ჰკვეთს თუ მოიცავს ერთმანეთს. ასეთი დამღლელი ფიქრი და ძიება, როცა სული სიტყვებში მიძვრება და სადღაც გაღწევას ლამობს — თანდათან მიდის არარასაკენ, ჩაუწვდომლობის პესიმიზმისკენ, ოდესღაც აღმოჩენილ ამაოებისაკენ. როგორც ჩანს, ღრმა და ფანატიკური რწმენა გამოირიცხავს მსგავს სულიერ მეტამორფოზებს, ბიოლოგიურ ხურვებებს, ერთი სიტყვით — იმ თვითგვემას, ტანჯვას, რომელიც პოეტის უპირველეს, თანდაყოლილ თვისებებს წარმოადგენს. რელიგიური შეგრძნებები დიდი პოეზიისთვის ამოუწურავ სამყაროებს შლის და ბუნებრივი

რელიგიურობა პოეტური ტექსტის სუნთქვის სათავე უნდა იყოს, მაგრამ არცთუ იშვიათად პოეტი — „ყოველივესა“ და „არარას“ მუდმივი მონაცვლეობით იწყებს თამაშს, თამაშს, როგორც ერთადერთ გამოსავალს იმ ბნელი სივრციდან, რომელშიც თავი ნებით დაიტუსაღა — და ახლა ნებითვე გამოდის თამაშის უკიდვანო თავისუფლებაში — და თამაშით აგებს ახალ სამყაროს, როგორც ერთადერთ თავმისადრეკს, რეალურზე უფრო რეალურ სავანეს, სადაც ღიმილის სიღრმეში თუ ირეკლება დროდადრო ის „წარსული, მომავალშიც რომ გველოდება“, დასვენების ჟამს კი თამაში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი საქმეა და თვითონ დასვენებაც — ამ თამაშების გამო, სხვაგვარ აზრობრივ და ემოციურ დატვირთვას იძენს, — სინამდვილეში კი კარგავს დასვენებისთვის დამახასიათებელ უფუნქციო დროის, მოსაწყენი დროის, ამაო დროის თვისებას, შეგრძნებას და იგი თამაშის შემწეობით იძენს სისასვეს, ახალ სიმრთელეს — დროსთან შერწყმის ბედნიერებას.

### ავტორისაგან

სიმონი ჯიუტად აგრძელებდა ყოველივეს ჩაწერას, რაც მის ყურადღებას განსაკუთრებით მიიპყრობდა და რისი ფურცელზე გადატანაც რაღაც სიამოვნებას ჰგვრიდა. თვითონ ვერ ხვდებოდა მისი „წერიტი შრომა“ როგორ გადაიზრდებოდა იმგვარ თამაშში, თამაშს რომ არასოდეს უწოდებდა და საერთოდ — სიტყვა „თამაში“ მისთვის დამამცირებლად ჟღერდა იმ საქმიანობის რაობის აღსანიშნავად, რითაც თვითონ იყო გართული, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როცა შეუდგა ჩვეულ საქმეს — თამაშის ელემენტმა, გართობისათვის დამახასიათებელმა სიამის მომგვრელმა განცდამ, წინანდელზე მეტად მიიპყრო მისი ყურადღება და გაოგნდა. მისი ფსევდოფილოსოფიური ძიებანი, საერთოდ, საექვო ტექსტად მოეჩვენა, იმდაგვარ ტექსტად — რეალურ ცხოვრებას რომ არის მოწყვეტილი, და ზედმეტად აბსტრაქტიზირებულ სივრცეებს რომ მიესწრაფვის. იმის შიშმა, რომ ვერასდიდებით გააღწევდა იქით, ირიალურში, და რომ ვერასოდეს იხილავდა სხვა სიცოცხლეს, მიღმიერს, ყოველდღიური ფუსფუსის მაღლა რომ არსებობს და შიგ, თავისთან არავის უშვებს, სიმონი მწარედ დაანაღვლიანა და გულგატეხილი მოჰყვა ბოლთისცემას იმ პატარა ოთახში, სადაც ჩანაწერები წამოიწყო და სადაც, ჯერჯერობით, მისთვის სულ ერთი არ იყო, რომელი საგანი ან ნივთი რანაირად იდგა, როგორ გამოიყურებოდა, ქოთნის ყვავილებს მორწყვა სჭირდებოდა თუ არა, დაჭმუჭნილი ქაღალდებით სავსე იყო თუ არა ნაგვის კალათა. თვალი მოძველებულ დივანსაც შეავლო და დივანთან დაკავშირებით თვალწინ რა სცენებიც წამოუტივტივდა, იმის აღწერას მე არ შევუდგები, მაგრამ წარმოსახვის განსაკუთრებული უნარი არ აცლიდა სიმონს, თვალი სხვა რამეზე გადაეტანა, თუნდაც ახალაყვავილებულ ქოთნის ყვავილზე, რადგან ყურში დროდადრო ჩაესმოდა ის ბგერები, ძირითადად, ხმოვნები, უფრო სწორად რომ ვთქვათ, შორისდებულები — ამ ოთახის ჰაერში რომ იშლებოდნენ ყვავილებივით და ჰაერს ისე ერწყმოდნენ, რომ კვალსაც კი არ ტოვებდნენ. ახლა კი თავისთვის გულგრილად გამოტილმა დივანმა ისევ გააღვიძა ის ხმები, ჰაერში რომ თითქოს უჩუმრად არსებობდნენ და კვლავ განმეორდა ყოველივე — მკვნესავი შორისდებულების თანხლებით. სიმონი მიხვდა, რომ იგი მიჯაჭვულია ამ ოთახთან, ჰაერში ჩამარხულ ხმებთან, იმ სახეებთან თუ ცალკეულ სიტყვებთან — კედლებმა, მაგიდებმა და კარადებმა რომ შეიწოვეს, რომ მათ შეუძლიათ არსად გაუშვან სიმონი, ან თუ გაუშვებენ — იგივე ოთახი წაჰყვება მის მეხსიერებას და იმ ოთახიდან თავის

დაღწევას მთელ სიცოცხლეს მოანდომებს. პირველი, ვისი ხმაც დივანიდან ამოცურდა, ერთი მოლიტერატურო ქალი იყო — მოკლედთმაშეჭრილი, მორცხვადმომღიმარი და მუდამ დაკომპლექსებული. მას სძულდა საკუთარი სიმორცხვე, რადგან ზედმეტი სიმორცხვის გამო არ შეეძლო ყოფილიყო უფრო თავისუფალი, როგორც თვითონ ფიქრობდა, უფრო ბედნიერი. გამოუცდელი გოგოსავით იქცეოდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს რაღაც საძაგლობას ჩადიოდა, მაგრამ ზღვარს რომ გადასცდებოდა, ყველაფერი ავიწყდებოდა და თავბრუდამხვევ მორევს ემსგავსებოდა, რომელიც ყველაფერის თავის თავში ჩათრევას თუ ჩაბრუნებას ცდილობს და ამ მორევის ძაბრი ლამის გადასანსვლით ემუქრებოდა სიმონს. ერთხელ ამ ქალბატონის უკონტროლო და ხმამაღალი ამოღმუვლებიგან ბათქაშიც კი მოსწყდა დაბზარულ ჭერს და იატაკზე მტვრად იქცა.

სიმონმა ზიზღით აარიდა თვალი დივანს და ისევ ქოთნის ყვავილებს გახედა, თავისთვის რომ ჰყვაოდნენ და მის დაჟინებულ მზერას ვერ ემალებოდნენ, თუმცა სურდათ ამ მსუსხავ მზერას სადმე გაქცეოდნენ. სიმონმა ისიც აღმოაჩინა, რომ ადვილად შეეძლო შეეღწია საგანში ან სულაც ადამიანში და იქიდან სხვა თვალთ გამოეხედა. საამისოდ ოდნავი ძალისხმევა იყო საჭირო და სიმონი ხვდებოდა, რომ გარდასახვის თუ სხვა რამეში გადასვლის მცდელობაც თამაშის ნაირსახეობა იყო და სხვა არაფერი, და თანდათან სიტყვა თამაში, — მის ქმედებაში, უპირველესად, ცნობიერებაში, ლამის ყოვლისშემძლე მოვლენად იქცა და გულგატეხილობამაც თითქოს თანდათან გაუარა.

მისი იმდღევანდელი ჩანაწერი ასეთი შინაარსის იყო:

\*\*\*

ყოველი ქალი სხვა სამყაროა, სხვა სიღრმეა, ყოველ ქალშია ჩაბუდებული თავისებური შეუცნობლობა, შეცნობისთანავე რომ კარგავს მნიშვნელობას, ჰკარგავს, მაგრამ დროებით, რადგან შეცნობა მუდამ ნაწილობრივია ან იმდენად მოჩვენებითია, რომ შეუცნობელი უფრო მეტი რჩება, შეცნობილი კი მყისვე იქცევა არარად. ჩვენ შეგვიძლია შევიცნოთ დაუსრულებელი მთლიანობის ნაწილი, რომელიც მთელის თვისებებს კი ამჟღავნებს, მაგრამ უფრო შორს არ გვიშვებს ან იქნებ უფრო შორს არც არის არაფერი.

\*\*\*

თუ სიტყვები კარგავენ ძალას ანუ ზემოქმედების უნარს, ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვკარგავ იმ ძალას, რითაც სიტყვები განაგრძობენ არსებობას და მეც მაარსებებენ. ე. ი. სიტყვები რჩებიან უჩემოდ, მე ვრჩები იმ ძალის გარეშე, რისი მეშვეობითაც სიტყვებს შეუძლიათ ჩემი გახდნენ. რა არის ის ძალა, „ეგოს“ ნაირსახეობას და სიტყვებს რომ საერთო მაგნიტურ ველში ჩართავს და გამუდმებით „ამუშავებს“ — თუ არა სული — გამამთლიანებელი იმ ფარული ენერჯისა, უჩინარი ფესვებით რომაა დაკავშირებული უხილავ თუ ხილულ სამყაროსთან, ყოველივესთან, საიდანაც კი შეიძლება რამენაირი ინფორმაციის მიღება ან თუნდაც იმ ბიძგის წარმოქმნა, განსაკუთრებული მიზიდულობის ძალით რომ აასკუპებს ლითონის პატარა ნაწილაკს და მაგნიტზე მიაკრავს. ეს შედარება იმისთვის დამჭირდა, რომ უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო თვითონ ჩემთვის, რასაც ასე ბუნდოვნად განვიცდი და რისი ახსნაც დღემდე ვერ მოვახერხე.



მედიუმი ის სამყაროა, სადაც ყველაფერია ჩალექილი და ჩალაგებული, ის „მარაგია“, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა არც კი გააჩნია არა შემოქმედისთვის და ამ შთაბეჭდილებებით, გამოცდილებით, შეგრძნებებით, დაბადებამდელი თუ ამსიცოცხლისდროინდელი იმპულსებით შეკრული წრედი, მუდამ ამოუწურავია, თითქოს პასიურ მდგომარეობაშია და არც კი ამჟღავნებს იმ მაგიურ ურთიერთკავშირს, უმძლავრესი ენერგიით რომ ამუშავდება პირველი, მცირე ბიძგის შემდეგაც კი და მხატვრული ლოგიკის წყალობით ფურცელზე ლაგდება ამოუწურავ და ათასგვარ ფორმებად — და იგი უმეტესწილად, თავის შესაძლებლობებით, ზეგავლენის ძალით, გამომსახველობითი შესაძლებლობების მრავალფეროვნებით და ზოგჯერ განცდათა აალებადი თვისებებით — უფრო ზეპიროვნულია, ვიდრე მხოლოდ პიროვნული, რადგან მედიუმში ჩართული ძალები მართავს პიროვნებას და არა პიროვნება მედიუმს. შემოქმედი ცდილობს გამოიხმოს საკუთარ თავში, მოიწვიოს ეს ძალები, რომლის „ინსტრუმენტადაც“ უნდა იქცეს თვითონ.

„შენი თვალების შუქზედა  
დავკერავ ნაჭრელასაო“...

ეს ხალხური ორსტრიქონედი, თავისი პირველყოფილი სიმარტივით — სიბნელიდან შუქის გამომდნობელი სიტყვებითაა აგებული. ყველაზე უმარტივეს სირთულეში შემოდის მედიუმი, რადგან მედიუმს არ უყვარს ბნელი სირთულე, იგი სიბნელიდან ანუ ამოუხსნელი სირთულიდან გამოსჭვივის როგორც სხივი, ან როგორც ანარეკლი, რათა თავის შესაძლებლობა გამოავლინოს.

\*\*\*

გამოუვლენელი, იგივე უთქმელი, დაუწერელი, დაფარული — მუდამ თავისთავად არსებობს და პიროვნება — ანუ ეგოთა ნაკრები — ჯიუტად ეძებს იმ ჭუჭყრუტანებს, საიდანაც მედიუმის სხივები გამოსჭვივის დროდადრო.

როცა ამ თამაშს მივატოვებ — ან უფრო სწორად, როცა ზედაპირზე ამოვყვინთავ ყოფითი პრობლემების მეშვეობით, დრო უფრო იწელება და ზოგჯერ, თითქოს, სიცოცხლეც კარგავს აზრს, მერე უკვე დროის გაყვანას ვუნდები, მაგრამ როგორც მერე აღმოჩნდება — მე, მთელი ჩემი შეგრძნებების ურთულესი სისტემით, თურმე ამ უაზრო მოცალეობის ჟამს, იმ მრავალფეროვნების შემგროვებლად „ვმუშაობ“ გაუცნობიერებლად, მომავალში რომ მიმორჩილებს და თავის ნებაზე მათამაშებს, მაგრამ ამგვარი მორჩილება და მის ხელში სათამაშოდ ქცევა ნებაყოფლობითი და მეტად სასურველი აქტია, რადგან იწყება იმ სინამდვილესთან მიახლოება, ყოველდღიურ ფუსფუსზე მაღლა რომ დგას და ნამდვილ სიცოცხლეს რომ ვუწოდებ.

\*\*\*

აღბათ, ყოველთვის, ჩემს ცხოვრებაში უცხოთა შემოჭრისას, როცა მათ თავიანთი პრიმიტიული სატკივარი მოაქვთ, ან უბრალოდ ცდილობენ ჩემთან ერთად დროის მოკვლას, მიჩნდება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ისინი სრულიად უცხონი არიან და მათი სიახლოვე იმდენად პირობითია, რომ აქვემყოფნი, მაინც შორს რჩებიან ჩემგან და სული ვერ გრძნობს მათთან რაიმე თანამონაწილეობას. ჩვენ სამუდამოდ უცნობებად ვრჩებით, სამწუხაროდ, და ჩვენი ურთიერთობებიც იმ

წარმავალ ინტერესებს ეფუძნება, რომელთა რეალური არსებობა საერთოდ საეჭვოა ჩემთვის, მათთვის კი სწორედ ეს წარმავალი ინტერესები წარმოადგენს უმთავრეს საყრდენს, რომელზეც ნებაყოფლობით დააშენეს საკუთარი არსებობა და ასე და ამგვარად, აირჩიეს ცხოვრების წესი, ჩემთვის რომ უცხოა და გაუგებარი.

ასე დაიწყო ჩემი გაუცხოება მათ მიმართ, რომლებთანაც ყოველდღე მიწევს თანაარსებობა და არა თანასიცოცხლე.

\*\*\*

ეს კაცი ისე მოულოდნელად გარდაიცვალა, რომ სიკვდილზე არც უფიქრია. თუმცა, ვინ იცის, ვინ დაამტკიცებს ან დაბეჯითებით ვინ იტყვის, რომ სიკვდილზე არ უფიქრია. არავინ ელოდა ამ ჯანმრთელი კაცის გარდაცვალებას და ამ მოულოდნელობის მწარე ეფექტმა აფიქრებინა ყველას, რომ იგი სიკვდილს აინუშშიც არ აგდებდა, სარკასტულადაც ხუმრობდა სიკვდილზე — კომპოზიტორთა კავშირის წევრთა რიცხვს სიკვდილი შეამცირებსო, სრული სერიოზულობით განაცხადა. გამოხდა ხანი და ეს საღ-სალამათი კაცი პირველი გამოესალმა სიცოცხლეს.

ასეთი ხუმრობა „ვაშინერს“ . . . . . იგი თავის ხუმრობას შეეწირა. ყოველ ნათქვამ სიტყვას და ფიქრსაც თავისი უკუქმედება გააჩნია. უკუქმედება ყველაზე საშიში რამ, მაგრამ ამაზე ადამიანები ნაკლებს ფიქრობენ, ან საერთოდ არ ფიქრობენ, რადგანაც წარმოდგენა არ გააჩნიათ, რა უბედურება შეიძლება გამოიხმონ და დაატეხონ საკუთარ თავს. სიკვდილი ცუდი რეფორმატორია. ხშირად კი სიკვდილს თვითონ აჩქარებენ ადამიანები, თვითონ მიისწრაფვიან სიკვდილისაკენ გაუცნობიერებლად — უარყოფითი ენერგიებით თვითონვე აღივსებიან და თვითონვე ეწირებიან ამ უარყოფით ენერგიას, რომელიც გამუდმებით შლის უფაქიზეს ველს და სასიცოცხლო ძალების შესაკრებლად აღარ გამოდგება.

უცნაური რამ დამემართა — ეს საღ-სალამათი და ჯანმრთელი კაცი რომ გარდაიცვალა, უფრო სწორად მისი გარდაცვალების ამბავი რომ შევიტყვე — პირველი, რაც შევიგრძენი, ამ ამბის დაუჯერებლობა იყო, როცა ეს სამწუხარო ცნობა სხვებმაც დაადასტურეს — გამოაგნა უნაპირო თავისუფლების შეგრძნებამ — რაც თავისთავად უნებლიე სიხარულსაც ბადებდა. სხვისი მწუხარებით გამოწვეულმა სიხარულმა ძლიერ შემაშფოთა. შემაშფოთა იმიტომაც, რომ მივხვდი, თუ ლოცვით, მონანიებით არ მოვიცილებდი ამ მეტად უპასუხისმგებლო და თანაც არაადამიანურ, მაგრამ საოცრად უნებლიე სიხარულის ზეგავლენას, ჩემი საქმე ცუდად წავიდოდა და თავადაც ვიქნებოდი ისეთივე, როგორც ის ცხონებული პიროვნება იყო. სინამდვილეში საქმე არცთუ ისე მარტივად იყო. ჩემი უფროსი — აწგარდაცვლილი და ცხონებული არსება, მეტად დესპოტი და უარყოფითი ენერგიებით აღსავსე კაცი იყო. მისი დესპოტური საქციელის გამო არაერთხელ შევწუხებულვარ, არაერთხელ დავუმცირებვარ კიდევ. მე, ცხადია, მუდამ დამაბული ურთიერთობა მქონდა მასთან და ყოველთვის ვგრძნობდი რაღაც იძულებას, შებოჭვას, ანგარიშის გაწევის აუცილებლობას — რაც თავისთავად ჩემს ქვეცნობიერში ილექებოდა და გროვდებოდა ისე, რომ მე წარმოდგენაც არ მქონდა მისი სიკვდილით გამოწვეული ჩემი წუთიერი სილაღე თუ სიხარულის მაგვარი ამჩატება, სწორედ ქვეცნობიერიდან გათავისუფლებული უარყოფითი ენერგიის ბრალი რომ იყო, რომელსაც მე უკვე ვეღარ ვაკონტროლებდი და ფეხებს ლამის ჰაერში ვაბიჯებდი, თითქოს, მიწის მიზიდულობის ძალას ადრინდელი სიმძიმით აღარ ვემორჩილებოდი. ათი დღის მანძილზე ვებრძოდი საკუთარ თავს, რათა ადამიანის სიკვდილი ადამიანის

სიკვდილად აღმეჭვა, რომ ამით საკუთარი თავისთვის ზიანი არ მიმეყენებინა, არ დამრღვეოდა ის სულიერი წონასწორობა, რომლის გარეშეც სულიერი ენერჯია იშრიტება და ადამიანის არსებობა საშიშ ფაზაში შედის. ხშირად ვლოცულობდი მისი სულის საოხად, ისე ხშირად, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, გულწრფელად არ შემებრალა იგი ყველაფრის გამო, თუნდაც იმის გამო, რომ ძალიან ბევრი მისი კოლეგა ასეთივე სიხარულით იყო შეპყრობილი და ეს კიდევ მიმდაფრებდა სინანულს, ლოცვით რომ მოვიპოვე. თან იმასაც ვფიქრობდი, რომ თუ ამ კაცის უცაბედი სიკვდილის გამო გამოწვეულ სიხარულს, თუ გათავისუფლების შეგრძნებას ვერ დავძლევდი, საერთოდ აზრს კარგავდა ჩემი მომავალი ლიტერატურული მცდელობანი და საერთოდ დავკარგავდი იმ მთავარს — საიდანაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა მიმელო სასიცოცხლო იმპულსები — არ შემეწყვიტა ის გამუდმებული კავშირი პირველწყაროსთან, რისი მეშვეობითაც სული უწყვეტლივ ვითარდება — და რომ მისი ყურადღება აუცილებელია და რომ ერთადერთი მასწავლებელიც ის არის, ვინც ისეთ ცოდნას ასხივებს, რომელსაც ადამიანები იშვიათად წვდებიან, რომ ასეთი მასწავლებელი საუნივერსიტეტო აუდიტორიებსა და სასკოლო კაბინეტებში ლექციებს კი არ კითხულობს, არამედ გველოდება ჩვენ, რათა უფრო ღრმად ჩავწვდეთ იმას, რაც ყოველ ნაბიჯზეა და ჩვენს თვალწინაა და, რაც მთავარია, ჩვენშია და ელოდება თვითშეცნობას, რათა ყოველი აღმოჩენის მერე — უფრო და უფრო ღრმად მოგვეჩვენოს, ან სულაც ამოუწურავად ჩავთვალოთ ის, რისი შეცნობაც მოვიწადინეთ. ამისათვის კი ღირს სიცოცხლე, რომელიც, რა თქმა უნდა, თანდათან, ფიზიკური სიკვდილით მთავრდება, მაგრამ ამ უმკაცრეს აზრს ხომ უნდა მიეჩვიოს კაცი. სიცოცხლე ხომ იმისთვისაც ეძლევა ადამიანს, რომ სიკვდილის რაობაც შეიგრძნოს და დასძლიოს ის შიში, რომელიც სულს არ ემუქრება.

ჩემი საუბარი შეიძლება აბსურდად მოეჩვენოს ბევრ თქვენთაგანს, მაგრამ ამის შეცნობის გარეშე, შეცნობისკენ მარადი სწრაფვის გარეშე — სიცოცხლეს სიცოცხლე არაჰქვია. იგი, ვინც არ შეიცნობს, არ შეიმეცნებს, წლების მანძილზე თავის თავში აგროვებს უარყოფით ან დადებით, მაგრამ გამოუყენებელ მუხტებს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, თვითგანადგურების უხილავ ჭურვს ემსგავსება და საათის მექანიზმსაც თვითონ აჭერს ხელს მავანი, რომელიმე გაუცნობიერებელი ქმედების, საქციელის ან განწყობის მეშვეობით.

\*\*\*

ამ ჩანაწერებს მხოლოდ ერთი აზრი აქვს, მივყვე ფიქრის დინებას, ჩაუწერლადაც რომ მოდის და იკარგება. რადგან ვიწერ, იმის ილუზიასაც ვიქმნი, რომ მომავალში ვიღაც წაიკითხავს, იქნებ არც წაიკითხოს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ის გახლავთ, რომ მე შევეჩვიე ფიქრისა და წერის სინქრონიზაციას, აზროვნების წერილობით გამოხატვის აუცილებლობას — ანუ ერთგვარ თამაშს, რომელსაც ისევ შეუძლია შემითრიოს ღრმა წყვილიადაში ან თაკარა მზეზე გამომიყვანოს, სრულიად უკომპლექსოდ, გარეთ, სხვათა სახილველად და საჩხრეკად გამოფინოს ჩემი ნააზრევი, ხან შემავართოს ამა თუ იმ პასაჟის სიზუსტემ, ხანაც ხასიათი გამიფუჭოს საკუთარმა უმწეობამ. დიახ, ეს თამაშია და თამაშში ისე გადის დრო, რომ ვერც კი ვამჩნევ გადის თუ არა საერთოდ, და სწორედ მაშინ, ისე ვერწყმი დროს, რომ ვერც კი ვგრძნობ ჩემი თავის შექცევისა და დროის თანხვედრას, თუმცა თანხვედრა იმას არ გამოხატავს, რისი თქმაც მინდოდა, სწორი იქნებოდა მეთქვა: მე და დრო ერთად გავდივართ, ან იქნებ საერთოდ არც გავდივართ, რადგან ერთ მთლიანს წარმოვადგენთ და თუ დროდადრო, ისევ მე ამოვყვინთავ არსად მიმავალი

დროიდან, მხოლოდ იმიტომ, რომ გარეთ მიტყუებს — სადღაც მიმავალი სულ სხვა დრო-ჟამი — წარმავალი: სურვილებისა და ყოფითი პრობლემების სამყარო, ზედაპირული ფუსფუსი, გარედან მოსული ადამიანები, სულ ერთია ახლობელნი არიან ისინი თუ არა. მაგრამ სულ სხვაა, როცა ჩემსა და ჩემი დროის მთლიანობაში ამოყვინთავს ვინმე, ისიც იმავე მთლიანობის ნაწილი, ნაწილი კი არა, დაუსაბამო მთელში შერწყმული სული.

ჩემთვის, მერამდენედ აღმოვაჩინე, რომ დაუსაბამო სამყარო — დაუსაბამო მთელია და ყოველი ცვლილება, რაც ამ უსასრულო მთლიანობაში ხდება მარადიულ ურთიერთკავშირშია და რომ სულით ნათესავის პოვნაა მთავარი, სხვა ყველაფერი უაზრო თანაცხოვრებაა, თუ ამ თანაცხოვრებისას, ათასში ერთხელ თვალი თვალს რომ შეხვდება, იმ სხივის ნამცეცს მაინც არ წააწყდება, რომლის სათავეც — სადღაც უცხო ასტრალია — ან ის ასტრალური სივრცეა, ჩვენი ურთიერთკავშირი რომ განაპირობა.

არა, მისტიკაში გადაჭრას სრულებით არ ვცდილობ, ეს ასეა და კაცი ვერ დამაჯერებს, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთა ცხოვრების წესი უფრო ბიოლოგიურია ან უფრო ფიზიოლოგიურია და არსებობენ ადამიანები, რომელთა არსებობაც, უმეტესწილად, განპირობებულია სულიერებით და სულიერების პრიმატით.

ჟამი მივია, მოვია —

მუცოს — თორღვას კარზედა.

აი, ჟამი, რომელიც მუცოს თორღვას კართან მიმოდის — თავის ჭირ-ვარამით და ომებით, სიყვარულით და სიძულვილით, საერთოდ, ყველაფრით, რაც ცხოვრებას სჩვევია თავისი ზედაპირულობით და წარმავლობით. ეს მუცო კი დგას, თორღვას კარიც მკვიდრი და უცვლელია. ამ „კარის“ იქით ჟამი მიდის და მოდის, ყოველგვარი წყვეტილობის გარეშე, მუდამ მიდის და მოდის — ხოლო მუცო და „თორღვას კარი“, თვითონ თორღვაიც სხვა დროსთან არიან შერწყმულნი, არსად მიმავალ დროსთან, რადგან ისინი ჯერ კიდევ არ დაშლილან და დაქუცმაცებულან, არ დანაწევრებულან, არ აჰყოლიან ამაოებათა ამაოებას და იქით იყურებიან, იმგვარი ფოკუსით უმზერენ სამყაროს, რომელიც მართალია მთლიანად არასოდეს მოიხილვება, მაგრამ იგი მუდამ დაუქუცმაცებელია და ერთიანი დაუსაბამო მთლიანობაა, უთვალავწახნაგოვანი და უთვალავსივრცოვანი უსასრულო კრისტალია, „უთვალავი ფერით“ რომ სჭვივის და ყოველი სხივი, წახნაგის მარადიული ცვალებადობა და ურთიერთკავშირი — განსჯისათვის, წვდომისთვის, ჰვრეტისთვის აქეზებს ადამიანს და ისიც ნებით იძირება მასში და მხოლოდ ამ ჩაყვინთვის მეშვეობით აღწევს თავს დროს, მუდამ რომ მიდი-მოდის ყოველდღიურობისთვის დამახასიათებელი სიზანტით და ერთფეროვნებით.

ერთფეროვნება მაშინ წამოჰყოფს თავს, როცა კოსმიური მთლიანობისთვის დახურულია შენი სული და ერთი წვეთი ენერგიაც კი ვერ აღწევს შენამდე. ხოლო თუ შეერწყმი უსასრულო მთლიანობას, შენ, ამ დროს, თითქოს, ცალკე რჩები, ეგრეთ წოდებული სახელმწიფოსა და ცხოვრების გარეშე, იმ პრიმიტიული მიზნების გარეშე, ბეჯითად რომ გაქუცმაცებენ დღითიდღე, როგორც წერაქვებმომარჯვებული ქვისმთლელები აქუცმაცებენ ვეება კლდეს.

მე არ მინდა ამ ქვისმთლელებს ხელში ჩავუვარდე და ყოველდღიურად რაღაც ნაწილაკები ჩამოამტვირონ ჩემს მთლიანობას, რომელიც აღიარებს მხოლოდ

დაუსაბამო მთლიანობის მორჩილებას, რადგან ამგვარი მორჩილება ბადებს ჰარმონიული არსებობის შესაძლებლობას. გაუცხოებული და ნერვებადაწყვეტილი კაცობრიობა, ბოლოს და ბოლოს, აქეთკენ წავა, თუ არ წავა დაიღუპება საკუთარი ავციობისა და ეგოცენტრიზმის, ღმერთმებრძოლობითა და განდიდების მანიით, ან სიმდიდრის მოხვეჭის ავადმყოფობით.

რას ვქადაგებ?! სწორი იქნებოდა მეკითხა: ვინ მაქადაგებს?!

აი, მთები — თრიალეთის ქედი. ალაგ-ალაგ ტყით დაფარული ფერდობები. გეოლოგებმა დაახლოებით იციან ამ ქედის წარმოშობის ხანა — ათასწლეული, მაგრამ მე ვიცი, რომ დროდადრო, დაჟინებით შევყურებ ამ მთებს, რომლის ასაკი არ ვიცი. იმ ტყეებიდან დროდადრო კენტი სინათლე გამოკრთის. ვინ ცხოვრობს იქ? ვინ არის ის კაცი, ვინც იქ განმარტოებულა ან დაყუდებულა?!

იქნებ, არც არავინ ცხოვრობს, არც არავინ დაყუდებულა და საერთოდ, იქნებ, მეჩვენება კიდეც, რომ იქ სინათლე ჭიატებს, მაგრამ ვიცი, რომ იმ ქედს ჩემი მეგობარი პოეტიც უყურებს:

შორს ქედი მოჩანს თრიალეთისა,  
ისევ ქანაობს იქ ქრიზანთემა,  
სულ ცოტა ხანი და ამ სახლებში  
აციმციმდება შუქი სანთლებად.

ე. ი. ჩვენ, დროდადრო გავხედავთ ხოლმე ამ ქედს — აწმყოში. წარსულშიც უამრავ თაობას შეუხედავს ამ ქედისათვის, ალბათ, მომავალშიც — სხვებიც შეხედავენ ამ ქედს — თრიალეთისას. უამრავთა მზერა შეაცივდა ამ ქედს — ეს პეიზაჟი კი ლამის უცვლელი დარჩა. მე შემიძლია დავიწყო საუბარი იმაზე, თუ რამდენად გულგრილია ბუნება ჩვენს მიმართ, რომ იგი არ განიცდის ჩვენს ტკივილებს და არ იზიარებს ჩვენს სიხარულს, რადგან იგი არის თავისთვის, ჩვენს გარეშე, და მას შეუძლია მარად იყოს ჩვენს გარეშე. ჩვენ განა შეგვიძლია სიცოცხლე იმ ადამიანების გარეშე, რომლებიც დროდადრო, ათასწლეულების მანძილზე ხედავდნენ თრიალეთის ქედს?! იმ აზრს შეგუებულნი, რომ ამ ქედს მომავალში სხვები შეავლებენ თვალს და ეს მილიონობით მზერა — საუკუნეებგამოვლილი, ზოგჯერ, ღამდამობით მთლიანდება, შეკოწიწდება და ტყის სიღრმიდან გამოკრთის კენტად მოჭიატე შუქი.

ის შუქია ჩემი მგეზავი.

ავტორისაგან

სიმონის ჩანაწერების კითხვა ცოტა არ იყოს გამიჭირდა, მაგრამ მაინც ვერ შევეშვი, რადგან მაინტერესებდა ამ მარტოკაცის ბედი, რომელიც იქ, ორკესტრში, სადაც იგი მსახურობდა, სულაც არ ითვლებოდა გულჩათხრობილ და მარტოსულ კაცად, პირიქით, დროდადრო ზედმეტად ეგზალტირებულად ჩანდა და თავის პარტიას, რაც მას სხვებთან ერთად უნდა შეესრულებინა, და როცა არავითარი შანსიც არ რჩებოდა იმისა, რომ მისი ვიოლინოს ხმა — ორკესტრის სიმწყობრიდან გამორჩეული ყოფილიყო, სწორედ მაშინ, სიმონი, მთელი სხეულით ირწეოდა ვიოლინოსა თუ ვიოლინოს ბგერებთან ერთად და მისი ტანის რწევა მეტად აღიზიანებდა დირიჟორს და სიმშვიდისკენ მოუწოდებდა. სიმონის მცდელობა, მის სულსა და სხეულს ბგერებთან ერთად ემოდრავა თუ ეთამაშა, მუდამ კრახით

მთავრდებოდა და ერთადერთს, რასაც გულმშვიდად ასრულებდა, მხოლოდ პიჩიკატო იყო, რადგან პიჩიკატოსათვის დამახასიათებელი წყვეტილი ბგერები (სიმონი ამას დანაყულ ბგერებს უწოდებდა) ვერც კი ასწრებდნენ მისი სისხლის აჩქროლებას და იგი პიჩიკატოს, რატომღაც, მხოლოდ ტექნიკურ საშუალებად თვლიდა, მაგრამ როცა მელოდია მრავალხმიან ჰარმონიულ დინებას ერწყმოდა, სიმონი თავს ვერ იჭერდა და სხეულიდან ამოსვლას ლამობდა. მე ზოგჯერ ვესწრებოდი სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციებს, სიმონის ხათრით მიშვებდნენ დარბაზში და გასუსული თვალყურს ვადევნებდი მისი სხეულის რწევას, რითაც იგი ერთბაშად გამოირჩეოდა სხვათაგან. დარბაზის სიღრმიდან არ შემემძლო დამენახა მისი თვალები, მაგრამ წარმოდგენა კი შემემძლო იმ საშიში ბრწყინვალეებისა — მის მზერას რომ სინათლეს მატებდა და ძალაუნებურად შეჰყავდა თავის სამყაროში ყველა, ვინც მას ასეთ დროს თვალს მოჰკრავდა და უჩვეულო კაცის შთაბეჭდილებას კი ნამდვილად ტოვებდა. ვიდრე მისი ჩანაწერები ხელში ჩამივარდებოდა, მაშინ, როცა წარმოდგენაც კი არ მექონდა, რომ სიმონი ჩუმ-ჩუმად, თავისთვის წერდა, მორიგი შეხვედრისას, როცა მას შინ ვესტუმრე, ძალდაუტანებელი საუბრისას გამიმხილა, რომ აგერ უკვე ოცი წელია, რაც სიტყვებით თამაშობს, რომ მხოლოდ ვიოლინოზე დაკვრა მის სულს არ აკმაყოფილებს და დროდადრო ჩანაწერებს „აკეთებს“ — ამ ჩანაწერებს უწოდებდა იგი სიტყვებით თამაშს. სიმონი პირველ სართულზე ცხოვრობდა, პირველი სართული საკმაოდ მაღალი იყო და შიდა კიბით ნახევარსარდაფში რომ ჩადიოდა — იქაურობას თავის ბუნაგს, მიკროსამყაროს, ზოგჯერ მსოფლიოსაც უწოდებდა. სარდაფში, რომლის ერთადერთი ფანჯარა მიწის პირას იყო გამოჭრილი, ერთი მაგიდა და ერთი ტახტი იდგა, სამიოდე ძველი სკამი, ყუთში ჩასვენებული ვიოლინო და მაგიდაზე გაშლილი ნოტები და როგორც მერე აღმოჩნდა — საიდუმლო ჩანაწერებით სავსე საქალაქო, რომელსაც სიმონი, ჩემი ყოველი სტუმრობისას, ხელს სტაცებდა და სადღაც გააქრობდა თურმე იქ ინახებოდა.

\*\*\*

ყველაფერს დროითი დისტანცია სჭირდება. ეს ჩემმა ჩანაწერებმა მაფიქრებინეს. ვერც ერთი სიტყვის ჩაწერა ვეღარ მოვახერხე, თითქოს დავცარიელდი, ხოლო სიცარიელიდან ძალით ამოქაჩულ სიტყვებს არც არავითარი აზრი არა აქვთ და არც მეხალისება ძალით რაიმეს მოგონება. დღეს ისევ ჩავძვერი ჩემს ბუნაგში — (სარდაფში), სადაც ხელს არავინ მიშლის. ადრეული ჩანაწერების ერთი ნაწილის ჩანიშვნა საკონცერტო დარბაზის ნახევრად ბნელ კუთხეში, რომელიდაც სკამზე მიყუჟულმა ძლივს მოვახერხე. მერე მივხვდი, რომ წერით თამაშს გარკვეული სიმშვიდე და შესაბამისი გარემო ესაჭიროებოდა. საამისოდ კი ჩემი ბუნაგი მისწრება იყო. თავი პითაგორას მოწაფედ წარმოვიდგინე და მაგიდასთან გავისუსე. აქ, ბუნაგის კუთხეში, სადაც კედლები ერთმანეთს ხვდებიან, ჩემი ძველი მეგობარი ობობა ცხოვრობს. ისიც გასუსული ზის თავის ქსელში და რაღაცას ელოდება. ჩვენი მოლოდინი რაღაცით, თითქოს, ჰგავს კიდევ ერთმანეთს. მე ობობას ვუყურებ და ვეძებ სიტყვას, რითაც ჩემი ამბავი უნდა დავიწყო, ისიც უძრავად გაბარჯდულა და თითქოს ჩემგან მოელის რაღაც იმპულსს, ქსოვას რომ შეუდგეს. ასე ვზივართ გარინდულნი ორი მქსოველი, ვიდრე ერთმანეთი საერთოდ არ მიგვავიწყდება და ჩვენს-ჩვენს საქმეში არ ჩავიძირებით.

\*\*\*

სწორედ ის დროა, ზუსტად ის განწყობილებაა, ყოველ წელს რომ მეორდება, თითქმის ერთი და იგივე დროს — ოქტომბერში, ჩახჩახა მზეში, როცა სიგრილით აღსავსე კამკამა ჰაერში იშლება რაღაც უხილავი, ოქროშეპარული ლაჟვარდისფერი ქსოვილი, ცალკე რომ არ ჩანს, ჰაერს რომ შეზრდია და მხოლოდ ნიავის ოდნავ წამოქროლებაზე იგრძნობა მისი უხილავი ძაფები სახეს რომ ეხება, ქუთუთოებს რომ ელამუნება — ისე კი, მთელ სივრცეში განფენილა მზით და შემოდგომით ნაქსოვი, მოგვირისტებული, აჭრელებული ფოთლების სურნელით გაჯერებული ქსოვილი და იგი ამოუხსნელი, ტკბილ-მწარე განცდის სათავედ ქცეულა, იმ ტკბილ-მწარე განცდისა, სულში რომ აღწევს გამჭვირვალე სინათლედ, ამოუხსნელი ძალით რომ ამთლიანებს დაკარგული დროის მიერ ხსოვნაში აღბეჭდილ წარუშლელ ნაკვალევს, როცა აღარ იცის კაცმა, სად დაემალოს გარედან, უსასრულობიდან სულში ჩამოღწეულ თუ ჩაწვეთებულ განცდას, თვალებს რომ სინათლისფრად ანაღვლიანებს და აღრმავებს კიდევ, რადგან იქ, სიღრმეში ისევე ნათელი და ბუნდოვანია ყოველივე — როგორც სადღაც მზით განათებულ ცაში — ნათელი, მაგრამ ამავე დროს ბუნდოვანი, შეუცნობელი — ეს უფრო ზუსტი სიტყვაა, შეუცნობლობაა სწორედ ის სათავე, საიდანაც იშვა კაცობრიობა თავის ჭირ-ვარამით და მოჩვენებითი ბედნიერებით, სიცოცხლის გაგრძელების წყურვილით და ამავე სიცოცხლის უარყოფის მცდელობით.

სწორედ ის დროა, ზუსტად ის დრო — და ამიტომაც დიდებულად მოჩანს მყინვარი, ისე შთამბეჭდავად მოჩანს, რომ მისი თოვლიანი კალთებიდან არეკლილი მზის ბრწყინვა თითქოს ჩემამდე აღწევს — იმის დასტურად, რომ მშვენიერებაზე საუბარი ამაოა, სიტყვებით ვერ აღწერ, ვერ შესწვდები და რომ იგი არსებობს ჩვენს დასამცირებლად, ჩვენი უმწეობის აღმოსაჩენად და ამავე დროს ჩვენს ასამაღლებლად, გასაკეთილშობილებლად. სად არის ის სიმაღლე, საითკენაც მივიწევ, მე ხომ უარი ვუთხარი უმწეოთა გზას, მუდამ ჩიხით რომ მთავრდება?! შეიძლება სულაც არა ჰქვია იმ მიზანს სიმაღლე; და ის მიზანიც — თვითმიზანი კი არაა, უფრო სრულყოფისკენ სწრაფვაა. სრულყოფისკენ სწრაფვა კი თანდათანობით ცხოვრებაზე უარის თქმას გულისხმობს. მენანება ამ უმშვენიერესი დღეების იმ სატუსაღოში გატარება სამსახური რომ ჰქვია, იგი ხომ სრულყოფის ნაცვლად დღითიდღე ხელს უწყობს ჩემს დეფორმირებას, რადგან ცრუმოვალეობებს მორჩილებაში ვყავარ და ცრუმოვალეობათა მორჩილება — ლამის ღვთისგმობასავით ჟღერს ჩემთვის.

\*\*\*

ვერ დავეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ პეიზაჟი მხოლოდ პეიზაჟია, თუნდაც მომხიბლავი, მაგრამ ჩვენს მიმართ გულგრილი. თქვენ გჯერათ ასე, მე კი ვგრძნობ ამ მშვენიერ პეიზაჟებში დავანებულ უკვდავ სულს სიცოცხლისას, და ვაი, იმას, ვისაც ამის შეგრძნება არ შეუძლია, ვისაც მარადიული ენერჯის აღება არ შეუძლია ამ თითქოსდა სტატიკურ და ჩვენს მიმართ გულგრილი სამყაროდან. იქ, სადაც ადამიანის სული ერწყმის ბუნების სუნთქვას — იქ, მუდამ რაღაც ფეთქავს ვარსკვლავისმაგვარი ან იმ ასტრალის ნათების მსგავსი, დაუსაბამო სივრცეს რომ გამოაღწია შენს სულთან შესახვედრად. ეს არ არის უბრალო იმპულსური კავშირი და ის ინფორმაცია, რაც ამ უჩვეულო, სხვისთვის უცხო კავშირშია ჩამალული — თანდათან მჟღავნდება სიტყვებში — და ეს სიტყვები ჩვეულებრივ ყოფით ამბებზე გადჩვეულნი არიან საუბარს, ისინი სიღრმეს ბოლომდე გრძნობენ და მათთვის, ვისთვისაც უცხოა მსგავსი სულიერი მიბმა არა მხოლოდ პანთეისტურ სამყაროსთან,

არამედ ამ პანთეისტურ სამყაროს შემოქმედთან, ისინი ვერ გრძნობენ — ამგვარ სივრცეებგამოვლილი სიტყვების აალებად ხასიათს და მარად ცვალებად სიღრმეს...

სწორედ ის დროა, ოქტომბრის მზიანი დღეა და მოჩანს მყინვარი. ამ კრიალა, ოქროთი შეფერილ ლაჟვარდში იბადება რაღაც დიადი, ჯერ ჩემი ცნობიერებისათვის მიუწვდომელი, მაგრამ ერთი შეხედვით, ჯერჯერობით მაინც — იმ სასწაულთა შემკრები, რომლის ნამცეცები კვლავ ჩარჩენილან ჩვენს სიტყვებში.

\*\*\*

აღბათ, არ ღირდა იმის ფურცელზე გადატანა, რაც ახლა უნდა გიამბოთ, რომ არა ერთი გარემოება: კერძოდ, ყურის, გნებავთ, თვალის მიჩვევა ყოველგვარ გაუგებრობაზე და მერე დუმილი, ვითომც არაფერი მომხდარაო — დაუშვებლად მიმაჩნია. ყოველ ბეჭდურ აზრს თუ აზრისმაგვარ გამონათქვამს ნამდვილად ვერ გავუკეთებ კომენტარს, მაგრამ როცა ლიტერატურის პრეტენზიით იწერება და მერე იბეჭდება რაიმე და რასაც ცუდი მაგალითის მიცემა შეუძლია დამწყები მწერლებისათვის, დუმილი არ ღირს, და მეც მზად ვარ, ჩემო მეგობარო, გაგაცნო ერთი პოეტის პატარა ლექსი, რომლის სათაურია „ამაოება ამაოთა“... აღბათ, უნდა ეწეროს

„ამაოება ამაოებათა“... ახლა ეს ლექსი ჩავიკითხოთ:

ო, რა ცინიზმით და სიტლანქით ითელება  
კაცობრიობის უკვდავება,  
როცა საფლავზე ამოწვერილ სიმწვანეში  
დალოღავს მღილი,  
ხოლო მიწის ქვეშ განისვენებს თავად მოცარტი.

სიმართლე გითხრათ, ამ ეგრეთ წოდებულ ლექსს, ვერაფერი გავუგე, ყველაზე მეტად ის მღილი შემეცოდა, ავტორს რომ დაცინვის ობიექტად უქცევია. იმანაც შემაქვია, რომ მოცარტი სწორედ იმ მიწის ქვეშ განისვენებს, სადაც ეს საწყალი მღილი დალოღავს თავისთვის, უწყინრად და ღრმად მწამს, არაფერს უშავებს და ვერც დაუშავებს მოცარტის გენიალურ სახელს, თუნდაც მისი ნემტი სწორედ იქ განისვენებდეს. დავიწყით იქიდან, რომ მოცარტის ფენომენი, მოცარტის სიცოცხლე მის ნოტებში, საკონცერტო დარბაზებში, საოპერო თეატრებში გრძელდება და მოცარტი არის ყველგან, სადაც მისი მოსმენა შეიძლება და არა იქ, სადაც მისი ნემტი განისვენებს. მოცარტის ნემტი რომ საფლავში განისვენებს, ახალი ამბავი არ არის, არც ის არის უცხო, რომ საფლავის სიმწვანეში მღილები და მოაგურისფრო ხოჭოებიც დაქრიან. სად არის იქ „ამაოთა ამაოება?!“ ეკლეზიასტე ცხოვრებისეულ, ამქვეყნიურ ამაოებაში გვარწმუნებს და არსად წამოსცდება სიტყვა სულით უკვდავების ამაოებაზე. ასე რომ, მოცარტის ნემტს, ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სქელტანიან სანოტო რვეულს, რომელსაც გარკვევით აწერია, ვთქვათ: „ჯადოსნური ფლეიტა“ ან სხვა რამ, გნებავთ, ცნობილი „რექვიემი“. სხეულებრივი ბედნიერების, ამქვეყნიური ტკბობის, მოხვეჭისა და ვერცხლის დაგროვების, თანამდებობრივი დაწინაურების, მეფეთა მიწიერი ყოვლისშემძლეობის წარმავლობას გვასწავლის ეკლეზიასტე და არა სულის უკვდავების ამაოებას, არა შემოქმედებითი გენიის ამაოებას. მოცარტმა ცეცხლი პრომეთესავით მოჰპარა ღმერთებს იმის დამადასტურებლად, რომ ცინიზმით და სიტლანქით არ ითელება „კაცობრიობის უკვდავება“ — და თუ თავთავიანთ საფლავებში განისვენებენ



რუსთაველი და შექსპირი, ბეთჰოვენი და მოცარტი, მიქალენჯელო და დანტე — ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მათი სხეულებრივი სიკვდილის გამო, და მათ საფლავებზე აცოცებული მდილების თუ აგურისფერი, სწრაფმავალი ხოჭოების გამო — „კაცობრიობის უკვდავება“ „ითელება“ „ცინიზმითა და სიტლანქით“.

ისიც საგულისხმოა, რომ მოცარტისნაირი გენიოსები იქ, კონკრეტულ საფლავებში კი არ განისვენებენ, მათი სულებით აღსავსე სივრცეები დაგვცქერიან და დროდადრო ჯადოსნური ფლეიტის კამკამა ხმას გაგვაგონებენ.

აი, მე ვიღებ ძველ გრამფირფიტას, ფრთხილად გადავწმენდ მტვერს, მოვათავსებ კრძალვით, იქ, სადაც უნდა მოვათავსო — კიდევ ერთხელ ამოვიკითხავ წარწერას: მოცარტი — (ანუ მარადი ბავშვი) „ჯადოსნური ფლეიტა“, ვაჭერ ღილაკს თითს და იწყება ის, მართლაც ჯადოსნური სამყარო, რომლის დასაფლავებაც, მიწაში ჩაწვენა ნამდვილად არ მოხერხდება, მითუმეტეს ხოჭოები და მდილები იქ ვერ შეცოცდებიან. იწყება ის, რაც ამქვეყნიურ ამოებას გასცდა, რაც ამსოფლიურ ამოებას აღემატება.

\*\*\*

ფსევდო-ავანგარდი: ესენი ცდილობენ როგორმე გააკვირონ საზოგადოება, უკიდურეს შემთხვევაში, შოკში ჩააგდონ, გააოგნონ, როგორმე დაუმტკიცონ ადამიანის არსებობის არარაობა, ყველაზე ბინძური და ბნელი ინსტინქტები ამოატივტივონ. ეს მათ ხელს აძლევთ — ასე უფრო იოლდება — ყოველგვარი ამაღლებულის იგნორირება, აბუჩად აგდება, უარყოფა, დაკნინება. სულიერება ანაქრონიზმად ჩაითვალა. ადამიანი, თითქოს, მხოლოდ ორგანიზმია, რომელსაც გააჩნია ცხოველური ინსტინქტები, ბიოლოგიური მოთხოვნილებები, მაგრამ არ გააჩნია არც სამშობლო და არც ღმერთი. ეს ის ხალხია, რომელთაც მობეზრდათ დამტამპული, ფსევდოსულიერების, ფსევდოპატრიოტიზმის — საერთოდ, ფსევდოლიტერატურის დახავსებული ესთეტიკა. ვიცი, რომ სწორედ ამ გულისამრევ, გაფუყულ და არაფრისმთქმელ, მონოტონურ აზროვნებას დაუპირისპირდნენ, მაგრამ სანაცვლოდ რა შემოგვთავაზეს — უხამსობის დაკანონება, მსოფლიო ლიტერატურული გამოცდილების იგნორირება. ერთმანეთს დაეჯახა ორი — ურთიერთგამომრიცხავი პოზიცია — შეხედულება, ფსევდოესთეტიკა. ეს ბუნებრივი პროცესია — შვეული, რომელიც ჯერ კიდევ ქანაობს ამ ორ უკიდურესობას შორის, და საერთოდ, უკიდურესობათა შორის მოძებნის იმ მდგომარეობას, გამორჩეულ წუთს, როცა სრულიად გასწორდება და მაშინ ბევრისთვის გახდება ნათელი, რატომ იყო საჭირო უკიდურესობანი ლიტერატურულ თუ ფილოსოფიურ აზროვნებაში. უკიდურესობათა შორის არსებული დისტანცია — ის სივრცეა, სადაც მოძრაობას იწყებს შვეული და იგი მანამ ირწევა, ვიდრე არ მოძებნის ოქროს კვეთის მდგომარეობას.

და მაინც ყოველგვარი აკრძალვები და ძალადობა — თუნდაც ყველაზე უფრო რადიკალურ და უნიჭო ლიტერატურულ ექსპერიმენტებზე — დაუმშვებელია. წარმატებული ლიტერატურული ექსპერიმენტი კლასიკად იქცევა, წარუმატებელი კი იმ მაკულატურას მიემატება, რომლის შეგროვებას და გადამუშავებას მეორადი ნედლეულის მწარმოებლები განახორციელებენ.

მაგრამ არსებობს ერთი საშიშროება: ყოველგვარი ზნეობრივის, ეთიკურის ხელაღებით უარყოფა და მის ნაცვლად, ნებისმიერი სიშიშვლის, საჩვენებელი დაწყვილების თუ საჯარო ონანიზმის დამკვიდრების მცდელობა, ორგანიზმის თუ ერექციის რაობაზე გაუთავებელი და უსაგნო ბჟუტური ამ ავტორთა ავადმყოფურ

ცნობიერებაზე მიუთითებს, მაგრამ არის საშიში ტენდენციაც — როცა მათი „ნააზრევი“ გარკვეული პროპაგანდის, მიზანმიმართული საშუალებად იქცევა — იმ გამოუცდელი მკითხველისათვის, რომელმაც არაფერი იცის კულტურის სულიერების შესახებ და ეს ყოველგვარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული არსებები, თითქოს თავისუფლებას რომ ქადაგებენ, გვევლინებიან იმ ანარქისტებად, რომელნიც იმას აკეთებენ და იქ აკეთებენ, რაც და როდის მოეპრიანებათ. ამ შავ-თეთრი რეალობის ბოლო ერთია — ჩიხი, საიდანაც გამოსვლა, მხოლოდ უკუსვლით შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ჩიხსა თუ შეგნებულად დაარსებულ ჩიხებში, თანდათან მომრავლდება საროსკიპოები და ცისფერთა კლუბები, „ლესბოსელების“ თავშესაფრები და ა. შ. ასეთი „ჩიხები“ კარგა ხანია არსებობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მსგავსი საზოგადოებები წარმატებით აშენებენ ახალ სოდომსა და გომორს. ვისაც ძალიან სურს ასეთი ქალაქების აშენება, დაე, აშენოს, მხოლოდ თავისთვის, ჩვენს გარეშე და თავიანთი ნააზრევის მომხმარებელიც იქვე იპოვნოს.

მხოლოდ კომუნისტები არ იყვნენ ათეისტები და ღვთისმგმობელნი, კომუნისტები, რომელნიც ორშაბათობით, შეგნებულად და მხოლოდ ორშაბათობით კრძალავდნენ პარტიულ ბოსებს. ამით ისინი მუდამ ხაზს უსვამდნენ თავიანთ ანტიქრისტიანულ ზრახვებს, და მათი ქმედებები ანტირელიგიური პროპაგანდის ნაწილი იყო.

ღვთისმგმობელთა რიცხვი ჩვენშიც იზრდება მასობრივი კულტურის ნარჩენებით გამოკვებილ ადამიანებში. ისინი არ კმაყოფილდებიან მხოლოდ იმით, რომ რაღაც გაიგეს იქ, სხვაგან, ახლა გადაუწყვეტიათ თავი მოიწონონ რაღაცის ცოდნით და პროპაგანდა გაუწიონ ფსევდონოვაციას (უხამსობას და ძალადობას) და თავიანთ რიგებში შეიტყუონ ის ახალგაზრდობა, რომელსაც ყოველგვარი დასავლური ეტალონი ჰგონია, სინამდვილეში კი ჩვენ ვხედავთ, როგორ მრავლდებიან ბრმა მიმბაძველები. ეს პროცესი მანამ გაგრძელდება, სანამ უმრავლესობისათვის საჩინო არ გახდება ამ მიზანმიმართული მხოლოდ და მხოლოდ კარიკატურული არსი.

ამ კარიკატურული ნიღბის იქით იმალება ტრაგედია იმ ადამიანებისა, რომლებმაც ღმერთი, ე. ი. ყველაფერი დაკარგეს. ამის შემდეგ — მორალისაგან გათავისუფლებულ ადამიანს შეუძლია, რაც უნდა ის გაუკეთოს საკუთარ სხეულს და მერე საკუთარი სხეულებრივი განცდები „ლექსებად“ აქციოს, როგორც დასტური საკუთარი უმწიფობისა.

\*\*\*

უცნაური სევდა მეუფლება, როცა შემოდგომის ფოთლებს წვავენ. ამ დროს ყოველთვის მახსენდება ჰერმან ჰესეს ერთი პაწაწინა ჩანახატი — მახსენდება იმ ჩანახატის თუ ესეს ხანშიშესული პერსონაჟი — შემოდგომის ნაღვლიან, მაგრამ ულამაზეს სამყაროს რომ ერთვის, გულწრფელად ცდილობს დაამტკიცოს, რომ სიბერესაც გააჩნია თავისი ხიბლი და მშვენიერება, როგორც ამ შემოდგომის ბაღს, სადაც მოხუც ცოლ-ქმარს გულდასმით შეუგროვებიათ ჩამოცვენილი ფოთლები და მხრჩოლავი კოცონი დაუნთხიათ. ზუსტად ასეთივე ჰესესეულ სურათს წავაწყდი ამ დილით და ის თბილი სევდა ისევ განმეორდა სულში, რაც ჰერმან ჰესეს ჩანახატის კითხვისას განვიცადე. ჰესე თავის ჩანაწერში ჩვეულებრივ ამბავს მოგვითხრობს — ისეთ ამბავს, წაკითხვამდეც რომ ბევრჯერ მინახავს საკუთარი თვალით, მაგრამ მას მერე, რაც მისმა ოპუსმა მიიპყრო ჩემი ყურადღება — შემოდგომის ფოთლების

შემგროვებლებს და ხმელი ფოთლებისგან კოცონის გამჩაღებლებს, მხოლოდ ჰესეს პერსონაჟებად აღვიქვამ. ფოთლების ხვეტის, კოცონის გაჩაღების, ბაღის მშვენიერების აღწერა მხოლოდ იმიტომ დასჭირდა მწერალს, რომ თავი ენუგეშებინა, ჩვენც გავემხნევებინეთ (თუნდაც ნაწილობრივ), რომ ყოველ ასაკს — სიბერესაც კი, თავის ხიბლი აქვს და რომ ეს ხიბლი, უპირველეს ყოვლისა, ბუნებასთან შერწყმით, თუნდაც ხმელი ფოთლების შეგროვებითა და დაწვითაც მქლავნდება. რაღა ბევრი გავაგრძელო და, ამ დილით მიკროავტობუსის ფანჯრიდან მოვკარი თვალი — დიღმის პარკებში მხრჩოლავ კოცონებს და ხელცოცხიან მოხუცებს — რატომღაც ფოთლებს დასაწვავად მუდამ მოხუცები აგროვებენ, ისინი, ფაქტიურად, ხვეტენ ჩამოცვენილ ფოთლებს, — სინამდვილეში კი საკუთარ ტკბილ-მწარე განცდას აგროვებენ ერთ ან რამდენიმე ადგილას, მერე კი ცეცხლს უკიდებენ, ნახევრადხმელი ფოთლები კი მთელი დღის მანძილზე ხრჩოლავენ — ცისკენ მიიწევენ ჯერ მუქ ბოლქვებად — მერე უფრო ფერმკთალდებიან და ხის კენწეროებს აცდენილნი უკვე აღარ გამოირჩევიან მოწმენდილი ცისგან, მხოლოდ ალაგ-ალაგ, ტოტებს შორის, სადაც მზის სხივები აღწევენ — კვამლიც ლურჯ სვეტებად მოჩანს და ხეზე შერჩენილ ფოთლებს მათ ხვალინდელ ბედზე მიანიშნებს.

მეხსიერების თვალი რომ გადავავლო ჩემს წარსულს, უცნაურია, მაგრამ თითქმის არც ერთი ყოფითი ამბავი არ მახსოვს წვრილად — ან საერთოდ არ მახსოვს — არ ვიცი, რისი ბრალია, სუსტი მეხსიერების თუ იმ ყოფითი ამბების უმნიშვნელობისა და, რაც უფრო გასაკვირია, ჩემში ღრმად არის ჩაბეჭდილი უმძაფრესი შეგრძნებები შორეული ბავშვობიდან დღემდე და, არა კონკრეტული ამბები.

მახსოვს ფერადი ყინულები, დილით, საბავშვო ბაღის ფანჯრის რაფაზე რომ გვაჩვენა მასწავლებელმა. ეს ქალი მეტად უცნაური ვინმე გამოდგა, ჩვეულებრივი ფერადი საღებავები წყალში გახსნა და სხვადასხვა ფორმის ჭურჭელში ჩაასხა — მერე ეს ჭიქები, ჯამები, პაწაწინა ქოთნები — ფერად-ფერადი სითხით სავსე, — ფანჯრის რაფაზე დატოვა. მეორე დილით — ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ფერადი ყინულები გვაჩვენა. რა სასწაულს გვიმზადებდა ზამთრის ის ღამე, არავინ იცოდა იმ მასწავლებელის გარდა, რომელმაც შეძლო და სამუდამოდ დამამახსოვრა თავი. სიმართლე გითხრათ, მისი არც სახე მახსოვს და არც ვინაობა, მახსოვს მხოლოდ ფერადი ყინულები და ზამთრის ის მშვენიერი დილა, როცა გაყინული ფერების ბრწყინვა თვალებს გასცდა და სადღაც უფრო ღრმად ჩაილექა ჩემში. მოგვიანებით მივხვდი: ჩემი გონება ისე იყო მოწყობილი, რომ ყოველდღიურ ერთფეროვან, უმნიშვნელო ამბებს გვერდს უვლიდა და მხოლოდ იმას ისაკუთრებდა, რაც სულში აღიბეჭდებოდა. სულის მეხსიერება უფრო სანდოა და ყოველდღიურობაზე ამადლებული, ის ყოველდღიურობიდან გამორჩეულ, მკვეთრად განსხვავებულ მოვლენებს იმახსოვრებს. ეს მაშინ, და მერეც, — ათეულმა წელმა რომ ჭირი მოგვჭამა, და დღესაც, როცა შეგრძნებათა და შთაბეჭდილებათა მთელი კალეიდოსკოპია ჩემში დაგროვილი — ისევ გულწრფელად ვნატრობ — ვინმე ბრძენ ტიბეტელ, ჩინელ ან ინდუს მასწავლებელს, ზოგჯერ დერვიშსაც კი, ვისაც შეუძლია მაზიაროს იმ საიდუმლოებებს, რომელიც მატერიალისტური ჩხირკედელაობით არასოდეს მიიღწევა და რომელსაც მარტოდმარტო დავეძებ, თუმცა მგონია, რომ არცთუ ისე მარტო, რადგან ჩაბრუნებული მზერა და თვითდაკვირვების უნარი მუდამ ახალ-ახალ სიღრმეებს მაჩვენებენ. ადვილად ვიმახსოვრებ ურთულეს მუსიკალურ ნაწარმოებებს, შემოიძლია წავიდილინო ან სტვენით შევასრულო — ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი, მენდელსონი. შემოიძლია თვალის ერთი შევლებით დავიმახსოვრო,

თითქმის შევისრუტო გენიალურ მხატვართა ქმნილებანი და ჩემში სამუდამოდ ცოცხლობენ მათი ხილვით გამოწვეული შეგრძნებები — ვიდრე გრძელი და მოსაწყენი ამბები, სადაც ადამიანი ზუსტად იგივე საქმეებს აკეთებს, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში. ის, რაც ყოველდღიურ რუტინას არ აღემატება და სულის კუთვნილება არაა, ჩვეულებრივი მოსაბეზრებელი ცხოვრებაა, სულს რომ ახშობს, ნამდვილ სიცოცხლეს რომ გვწყვეტს და ამოების გამოუვალ ლაბირინთში გვკარგავს უნუგემოდ. ჩემთვის, საბავშვო ბაღში, თიხის ქოთანში აღმოცენებული ხორბლის სიმწვანის ხილვა უფრო შთამბეჭდავი იყო, ვიდრე — მთელი სამოქალაქო ომი თავის სისასტიკით და საშინელებებით. ამიტომაც მახსოვს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ის სიშლეგეები, დაღვრილი სისხლის გუბეები, ჩაქოლილი ადამიანები, დახვრეტილი მომიტინგეები — ანუ ის ხალხი — თავსმოხვეულ იდეებს რომ შესწირეს სიცოცხლე, რადგანაც ისინი იმ იდეების მორჩილნი გახდნენ, რომელთაც ღვთაებრივთან არავითარი კავშირი არ გააჩნდათ და ყველა საკუთარი კანონების ძალმომრეობით დამკვიდრებას ცდილობდა. ამ დროს, ჩემს ბუნაგში — გაშლილი ნოტები — და ნიკაპთან მობჯენილი ვიოლინო, ფრთხილად შემართული ხემი — სიმებს რომ უახლოვდება — იმ სამყაროში გაღწევის ერთადერთი საშუალება იყო, რომელიც ჩვენს ზევით, ან იქნებ ჩვენში არსებობდა და რომელიც ყველამ ერთად დაივიწყა. ჩემი სამუსიკო ვარჯიშის შემდეგ, ჩვეულებრივ, სიტყვებით თამაშს ვიწყებდი, — რაც შეიძლება ბევრს ვკითხულობდი, პოეზიას, საინტერესო პიროვნებათა ეპისტოლეებს, სახარებას, ამ ბოლო დროს აღმოსავლურ რელიგიებსაც ვეცნობდი და მიკვირდა იმ ხალხისა, ყოველივე ამის გარეშე რომ არსებობდნენ, დღეები რომ დომინოს თამაშში ან ლოთობაში გაჰყავდათ ან ტელევიზორებთან რომ იძინებდნენ, ზოლიან პიჟამოებში გამოწყობილნი.

ისეთ მასწავლებელს, მე რომ ვნატრობდი, ვგრძნობდი, ვერასოდეს მივაგნებდი და ამიტომაც მისი ძებნა საკუთარ სულში დავიწყე. ყოველდღიური სულიერი ვარჯიშები ახალ-ახალი წარმატებებით სრულდებოდა და მე იმედი მქონდა, ოდესმე საწადელს მივაღწევდი.

\*\*\*

მე ისევ ჩავძვერი ჩემს მიწისქვეშეთში, როგორც ძველი პითაგორელი ან როგორც თვითონ პითაგორა, იმ სხვაობით, რომ პითაგორამ უძველესი გადმოცემების თუ ლეგენდების მიხედვით უდიდესი განათლება მიიღო ეგვიპტეში, ბაბილონში, ინდოეთში და ქურუმებთან განსწავლული ფილოსოფოსი ოცდაათზე მეტი წლის შემდეგ დაუბრუნდა იმ ქალაქს, სადაც თავისი სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწისქვეშ გაატარა, მხოლოდ თავისი მსოფლმხედველობის განვითარებაზე ფიქრობდა და აღმერთებდა რიცხვებს; უარყოფდა, არ შეექცეოდა პარკოსანი მცენარეულობის მარცვლეულს და როგორც ლეგენდა გვიამბობს, ახლოსაც არ ჩაუვლიდა პარკოსანთა ნათესებს (ლობიოს, მუხუდოს, ცერცვის ნათესებს), რადგანაც მიაჩნდა, რომ პარკოსანთა მარცვლებში ქარისა თუ ქარიშხლის ავი ძალა იყო ჩაბუდებული და მათი, არათუ საკვებად გამოყენება, შეხებაც კი საშიში იყო. ჰერაკლიტე — იმ მდინარის აღმომჩენი, რომელშიც მეორედ ვერასოდეს შეხვალ — ან უფრო სწორად აღმომჩენი იმისა, რომ ერთი და იგივე წყალში ორჯერ ვერ შეხვალ, ქირქილებდა პითაგორას განსწავლაზე, თუმცა მის განსწავლას არ უარყოფდა, მაგრამ აღნიშნავდა, რომ დიდმა ცოდნამ მაინც ვერაფერი ასწავლაო. ვინ იცის, ვინ იყო მართალი — პითაგორა თუ ჰერაკლიტე?! ე, ყოველ შემთხვევაში, ამის გარკვევა არ მინდა, ის კი მომწონს, პითაგორელები რომ ისე ძილს არ მისცემდნენ თავს, თუ

სამჯერ მაინც ძილის წინ ღრმად არ გაანალიზებდნენ რა გააკეთეს და რა დარჩათ გასაკეთებელი დღის მანძილზე, რა მოასწრეს და რა უნდა მოესწროთ მომავალ დღეს, როცა ზღვის პირას მზის ამოსვლას შეეგებებოდნენ.

დღეს ბევრი ვერაფერი მოვასწარი. მივხვდი იმას, რომ ჩემი ჩანაწერები ორად უნდა გაიყოს, უმრავლესობა დღისით, მიწის ზევით, ჩვეულებრივ სამსახურის ოთახში იწერება, ხოლო უფრო მცირე ნაწილი ღამით, ჩემს ბუნაგში — ჩემი მეზობელი ობობას თანდასწრებით, როცა ისიც გამალებით შრომობს და ისიც ისეთივე რუდუნებით შოულობს ძაფს თავისთავში, როგორც მე სიტყვებს ჩემს გონებაში, გულში, სისხლში, სულში — მოკლედ, სიმართლე რომ გითხრათ, თვითონ არ ვიცი სად, რადგანაც სიტყვები ცდილობენ რაღაც იდუმალი, ინტუიტიური ინფორმაცია ამოსწოვონ არა მხოლოდ სხეულიდან, არამედ იმ სივრციდან, რომელსაც ჩემდა გასაკვირად მე ვფლობ და ჩემდა გასაკვირად გარკვეულ კავშირებსაც ვგრძნობ იმ სამყაროსთან, სიტყვის მეშვეობით რომ ვუკავშირდები და თუ წარმოვიდგენთ ვიზუალურად, შორიდან, ალბათ, იმ ობობას ვგავარ, თავის ქსელებს რომ აბამს კედელსა და კედელს შორის და გადასაადგილებელ მანძილს, სანადირო სივრცეს დღითიდღე იგრძელებს.

\*\*\*

შეიძლება იქ აღარავინ იყოს, ალბათ, ვერ მივუსწრებ, აქამდე ხომ ყველაფერი დასრულდებოდა, დაიშლებოდნენ, თითო-თითოდ, ჯგუფ-ჯგუფად, წყვილ-წყვილად შეუერთდებოდნენ ქალაქის ხმაურიან ქუჩას — და მოკლე ხანში განიწოვდა კიდევ ქალაქის სტომაქი — ვოლტორნებს, კლარნეტებს, ორკესტრის კამერტონს — ჰობოის, პიკოლოს და ინგლისურ საყვირს, არფას და, რაც მთავარია, დირიჟორს, რომლის თავშიც ყველა საკრავის დიაპაზონი და ტემბრია შეგროვილი, გამთლიანებული. ყველა თავის გზით წავიდოდა, აწმყოში ჩაიძირებოდნენ, ჩვეულებრივ ყოფაში გაითქვიფებოდნენ. რეპეტიციის შემდეგ, ღვთაებრივი მუსიკის, მეტაფიზიკური სიმწყობრის შემოქმედნი — ჩვეულებრივ ადამიანებად გადაიქცეოდნენ, ისეთ ანეგდოტებს მოუყვებოდნენ ერთმანეთს, ისე გაჭორავდნენ ვინმეს ან ფულზე წუწუნს ისე მოჰყვებოდნენ, რომ უცხო კაცს გაუკვირდებოდა — ერთად შეკრებილნი, მცირე პაუზის შემდეგ, დირიჟორის ხელის კარნახით, როგორ გარდაიქმნებოდნენ ეს ჩვეულებრივი ადამიანები იმ კოსმიური მუსიკის შემსრულებლებად, რომლის არსებობა ახლა თითქოს აღარც ახსოვდათ. დროებით, გარეგნულად მაინც ასე ჩანდა, უმუსიკოდ, უიმსამყაროდ დარჩენილნი, უფრო ჩვეულებრივნი და საცოდავებიც კი ჩანდნენ, ვიდრე სხვა მოქალაქეები: მეწვრილმანეები თუ მეწალეები, მეთუნეები თუ მასწავლებლები, კიბესთან ჩამომსხდარი მათხოვრები თუ მაწანწალა ბავშვები — ზედახორას რომ გადადიან ხალხით სავსე ქუჩებში. არა, იმ მუსიკას ან ესენი არ ქმნიან, ანდა, როცა ქმნიან, ისინი სხვები არიან. მათი ასეთი სწრაფი მეტამორფოზა სიმონს ყოველთვის აფიქრებდა და ვერ აღმოეჩინა ის მიზეზი, როგორ შეეძლოთ მის კოლეგებს ასე სწრაფად შეესრულებინათ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობა და მერე ბრბოში ისე გარეულიყვნენ, რომ კაციშვილს ვერ გამოერჩია ისინი იმ ქაოსიდან, სადაც ამქვეყნიური ცოდვა-მადლი, ავაზაკობა თუ კეთილშობილება ერთმანეთში იმდენად იყო ალუფხული, რომ მუსიკისათვის ერთი ბეწო სივრცე არ რჩებოდა; სერიოზულ მუსიკას გულისხმობდა სიმონი, თორემ ქალაქში ყოველ ნაბიჯზე გაჰყვიროდნენ ხმაჩახლეჩილი იდიოტები ნაირ-ნაირ კუპლეტებს, უგემოვნო დუეტებს, — „დამწვრის“ რეპერტუარიდან.

ასე რომ, სიმონმა რეპეტიცია გააცდინა — გული არ დაწყვეტია რომ გააცდინა, შემოდგომის ამინდმა შეიყოლია და ნელა მიაბიჯებდა ცენტრალურ ქუჩაზე, ყურს უგდებდა გამვლელთა წყვეტილ საუბარს — მანქანების ხმებს და იქით მიიწევდა, სადაც გადასასვლელთან ქუჩის მუსიკოსი საქსაფონზე გერშვინის ცნობილ მელოდიას ასრულებდა არცთუ ცუდად. სიმონს სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა, ერთიორად ამალდა და მცისვე მიხვდა, რომ ეს სიმაღლე მასში შემოდღეული გერშვინის სიმაღლე იყო და თუ ამ წუთში, ამ შავ ყოფას რაღაცით აღემატებოდა — ისევ და ისევ მუსიკის წყალობით. სიმონი ცოტა ხანს შედგა — ახლოდან გერშვინი მაინც სხვაგვარად მოესმა, მისი ყურისთვის უცებ გახდა ცნობილი ყველა საშემსრულებლო ხარვეზი, რაც ქუჩის ახალგაზრდა მუსიკოსის შესრულებას თან ახლდა. ერთი კი იფიქრა, საქსაფონზე დამკვრელისათვის მიეთითებინა, სად ჯობდა ლეგატო უფრო შეუმჩნეველი ყოფილიყო — სად გაემძაფრებინა მახვილი, რომ „დეტაშეებიც“ დასახვეწი ჰქონდა და რომ ზედმეტი „ტრელები“ აზიური მუსიკის საკუთრება იყო, მას, ახალგაზრდა მესაქსაფონეს — ამ სომხურ-თათრული მინარევებისაგან უნდა ეხსნა გერშვინი, მაგრამ სიმონმა გადაიფიქრა „სისრულეში მოეყვანა“ თავისი განზრახვა — ხურდა ფული მოკრძალებულად ჩაუგდო ქუდში და დაშორდა იმ წერტილს, საიდანაც გერშვინი ესმოდა, დაშორდა იმ მანძილზე, საიდანაც უკვე ხარვეზები აღარ აღიქმებოდა და ცდილობდა, დაებრუნებინა ის სიმაღლე ათიოდე წუთის წინ რომ იგრძნო, მაგრამ ამოდ. გაცდენილი რეპეტიცია აღარ აფიქრებდა და იმ უზნისკენ აიღო გეზი, სადაც მანქანები თითქმის არ დადიან და სადაც ერთ-ერთი სახლის მეორე სართულის ღია ფანჯარასთან ოდესღაც ბახის მუსიკამ მიიყვანა. მართალია, ფანჯრები დახურული დახვდა, მაგრამ მაინც სიამოვნებდა იმ პატარა ბაღის თვალის შევლება, გეორგინები თავის ყვავილობას უკვე ასრულებდნენ და სახლის კედლებზე აცოცებულ სუროში ჟამი-ჟამ შაშვის ყვითელი ნისკარტი გამოკრთებოდა, მაგრამ სიმონს ღრმად სწამდა, რომ ამ სახლის კედლებში ახლაც სუნთქავდა ბახი და ლურჯი, გამჭვირვალე ჰაერი თითქოს ელოდა პირველ აკორდს, რომელიც უნებლიეთ გამოაღებდა ფანჯარას და გარეთ — ამ მზიან ამინდში — იდუმალი ოთახიდან გამოაღწევდა — ის დაუსაბამო სამყარო, ქალაქს რომ თავის სუნთქვაში მოაქცევდა და მონუსხავდა.

\*\*\*

აღარც არავინ რეკავს, არც არავინ მოდის. ლოგიკურია. ყველა თვითონ, თანდათან ჩამოვიცილე. ზედმეტ სიახლოვეს ვერ ვიტან. მალე მწყინდება, რაღაცას ვიმიზეზებ და ვტოვებ მოსაუბრეს, მაგრამ გამუდმებული მარტოობაც აუტანელია ისევე, როგორც გამუდმებული სიახლოვე თუნდაც უსაყვარლეს ადამიანთან. რა არის ეს, თუ არა სიშლეგე, საკუთარ მოუსვენრობასთან ბრძოლა?! მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მე ამას უკვე შევეჩვიე. კარგა ხანია, ერთმანეთისაგან ვმიჯნავ საზოგადოებრივსა და სხვაგვარ, საკუთარ, თავის თავში ცხოვრებას. მე რომ არ გავმიჯნო, ისინი მაინც უარყოფენ, უფრო სწორად რომ ვთქვა — გამორიცხავენ ერთმანეთს. მათი შეხების წერტილი არაერთხელ მომისინჯია. ვთქვათ, ნალოლიავეები და სისხლის კარნახით აღმოცენებული რაიმე ნააზრევი საზოგადოებაში გამიხმოვანებია — სხვების გასაგონად ხმამაღლა მითქვამს და პასუხად ირონიული ღიმილი ან გაკვირვებული, გაუგებარი დუმილი მიმიღია. ეს იქნებ იმის მიზეზიცაა, რომ საზოგადოებრივ გარემოცვაში ჩემი ხმის ტემბრი კარგავს იმ სწორ ტონალობას, რომელიც სიტყვებს დამაჯერებლობას მატებს და თვითონ

სიტყვების შინაარსიც, სულის სიღრმეში რომ გაჩნდა თავის დროზე, უმწეოდ ჟღერს ზედაპირულად ბედნიერ საზოგადოებაში, სადაც მუდამ ყალბი პათოსია გაბატონებული და ყალბი პათოსის ფონზე სულისმიერი სიტყვები ისე უმწეოდ გაისმის, რომ მას ყურსაც არავინ უგდებს. სიყალბეზე დიდი მოთხოვნაა — ეს არ არის მხოლოდ ამ დროის ნიშანი. დასაბამიდან ასე იყო და მე არ მიკვირს, რომ სულისმიერი სიტყვები უნდა მალე, უკიდურეს შემთხვევაში, ჩაწერო, თუნდაც იმის საკოპენსაციოდ, რომ ამ ყრუ ქვეყანაში გულგახსნილად ვერავის ესაუბრები და წერისას, საკუთარ თავთან გაბაასება მაინც უხდება ადამიანს. სულის სიღრმიდან იმგვარი განცდები ამომყავს, რომელთა იქ ჩატოვება, ალბათ, უარეს შედეგს გამოიღებდა და საკუთარ თავსაც კი გაუუცხოვდებოდი თანდათან. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ჩემს ნაწერს, ვინმე, ოდესმე წაიკითხავს და ოდესმე მიაღწევს იმ ინდივიდუალს სულის ნათესავად რომ ვთვლი და, რომლის არსებობაშიც ეჭვი არ მეპარება.

ყოველი წვეულებიდან განადგურებული, გამოფიტული და დაცარიელებული ვბრუნდები. ამის მიზეზი ხალხმრავლობაა და ის ყალბი ურთიერთობები, ნორმად რომ იქცა ჩვენს საზოგადოებაში და დათრგუნვის მიზეზიც და თავიდათავი ესაა. ასეთი ხალხმრავალი შეხვედრებიდან შინდაბრუნებული, დაქანცული ვწვები გულადმა და გულში ვლოცულობ, რათა ლოცვის მეშვეობით მოვახერხო ჩემს ინდივიდუალურ ცხოვრებაში შეღწევა და ისევ გამეხსნას ის სივრცე, საიდანაც ზებუნებრივი ენერჯია შეუმჩნევლად ჩაედინება ჩემში და ამგვარი გარინდვა გრძელდება მანამ, ვიდრე ხელახლა არ ვიგრძნობ სისავსეს და სულში არ გაფაჩუნდება ის შეგრძნება, ახალი სიცოცხლისკენ რომ მიბიძგებს, რათა კვლავ არარად მომაჩვენოს ის ყოფა გარეთ რომაა, ჩემს გარეშე რომ იხარშება საკუთარ ცოდვა-მადლში და აუცილებელ სიყალბეში. ზეიმზე შეგროვილი ხალხის თვალები ნახევრად უაზროდ, მაგრამ შეფარული დაკვირვებით აღჭურვილნი დასეირნობენ სახეებზე, ჩაცმულობაზე, ავეჯზე, გაშლილ სუფრაზე და თვალები იწოვენ ყოველგვარ ინფორმაციას, სავარაუდოს თუ ნამდვილს, ზებუნებრივს თუ უზნეოს, უფრო, ცხადია, ერთმანეთს უძვრებიან სულში და ეს მოარული ვამპირები ურცხვად ართმევენ ერთმანეთს ენერჯიას და ხორხოცობენ, იპრანჭებიან, ანეკდოტებს ჰყვებიან, ვითომ ერთობიან კიდევ ამ თვალთმაქცური სპექტაკლის მონაწილენი.

დიდი დრო მჭირდება, რომ ამ სტრესულ მდგომარეობას თავი დავაღწიო. ასეთ დროს ბაღში გასეირნება მისწრებაა, თუ, რა თქმა უნდა, ვინმე არ გადამეყარა და პოლიტიკაზე საუბარი არ წამოიწყო. ჩემს პატარა ბაღში გეორგენის ბოლო ყვავილი ჰყვავის, მეტი კოკორი არც აქვს და რომც ჰქონდეს, ოქტომბერში, ალბათ, ყვავილობას ვეღარ მოასწრებს. ახლა გავალ გარეთ, თუმცა მეცოდება, მაინც მოვჭრი იმ ყვავილს, რადგან ქარისგან მოტეხილია ისედაც და ბალახებში აგდია, მაგრამ ისეთი თავდავიწყებით ჰყვავის, ისეთი თავდავიწყებით ჰყვავის, რომ, ალბათ, გრძნობს, რომ საბოლოოდ. ჰოდა, გეორგენის იმ ყვავილს მოვჭრი, ჩავდებ ლარნაკში, დავუწყებ ყურებას და ვიცი მერედამერე — იმ ფსევდობალაგანიდან გამოღწეულს გეორგენის ყვავილი მომანატრებს უბრალო სამხმოვანებას ან ფლაჟოლეტს — ყოველგვარი ხორხოცის და პირმოთნეობის უარყოფელს.

\*\*\*

სამოქალაქო ომმა ისე ჩიარა, სახლიდან თითქმის არ გამოვსულვარ — არა იმიტომ, რომ მეშინოდა, არა, საშინლად მძულდა ყოველივე, რაც გარეთ ხდებოდა — ეს გაბრიყვებული ადამიანები როგორ დასდევდნენ ერთმანეთს მოსაკლავად, როგორ

იცხრილებოდა თბილისის ღამე ავტომატების ჯერით, რა სახით გამოდიოდნენ ტელევიზიით სახეწაშლილი, თვალეზამღვრეული, დამნაშავეის ჰაბიტუსის მქონე ქალაქის კომენდანტები, როგორ ჩაჯდნენ თოფ-იარაღში და რა გაჯგიმული დაალაჯებდნენ ქუჩებში ჩემი მეზობლები — ადრე რომ დომინოს თამაშსა და ლოტობაში კლავდნენ დღეებს და კაიბიჭობით მოჰქონდათ თავი. ეს საცოდავი არსებები უეცრად ისეთ საშიშ და დაუნდობელ ძალად იქცნენ, პურის რიგებში გამოჩენისთანავე, პურს რომ ურიგოდ იღებდნენ, გახსოვთ, ალბათ, მაშინ პური ჭირდა, მათი წესრიგის დაცვა სხვისი რიგის და უფლების მისაკუთრებაში გამოიხატებოდა. ერთ იარაღიანს, არ ვიცი, რომელი პარტიის თუ სამხედრო დაჯგუფების წარმომადგენელი იყო, გულწრფელად მოვუწოდე წესრიგი დაეცვა და ურიგოდ პურის აღებას ნუ იკადრებდა. პროტესტის გრძნობა მოულოდნელად გამიჩნდა — და თავი ვეღარ შევიკავე ჩემი გულისწყრომა გამომეხატა. ფორმიანი კაცი მომიბრუნდა — ისე, რომ არც შემპასუხებია, ტანად ორი ჩემხელა იყო და ჩემი მაღაზიიდან გარეთ გათრევა არც გასჭირვებია, ხეზე მიმანარცხა, ცალი ხელით იარაღი შუბლზე მომადო და მეორეთი გამეტებით დამიწყო ცემა, არ ვიცი საიდან, მაგრამ ამასობაში სხვა შეიარაღებულებიც გამოჩნდნენ, ფეხქვეშ გამიგდეს და წიხლებით გადამიარეს. თვალი რომ გავახილე, მხოლოდ ვარსკვლავებს ვხედავდი, ცის ვარსკვლავებს კი არა, იმას, ტკივილი რომ აჩენს თვალეზამღვრეულში. ტუჩებზე შემხმარი სისხლის გემოს ვგრძნობდი. იმ სისხლის გემოს და ტკივილისგან თვალეზამღვრეულში ამოყრილ ვარსკვლავებს ერთი ავტორი ჰყავდა — ძალადობა, დაუსჯელი და ნებადართული ძალადობა, რომელიც მაშინ მართავდა მთელს ქალაქს და ამის შემხედვარე ხალხი ერთმანეთთან ჩურჩულს თუ ბედავდა მხოლოდ. ხალხი ბრბოდ იქცა — დაშინებულ და უაზრო ბრბოდ. ღამეებიც უმიზეზო სროლით იწყებოდა და დილამდეც კანტი-კუნტი სროლა, ავტომატების ან ტყვიამფრქვევის ჯერი მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა, რაც შეიძლება სწრაფად დაემინებინათ ხალხი, რაც შეიძლება სწრაფად გადაქცეულიყო ხალხი ბრბოდ. ხალხის ბრბოდ გადაქცევა არ გამოდგა რთული საქმე — ახალი უკანონო კანონების დაკანონება წარმატებით გრძელდებოდა და ყოველ თანამდებობაზე, სადაც ფულის შოვნა შეიძლებოდა, იარაღიან ხალხს თავისი კაცები მიჰყავდათ და ამ ქაოსში ყოველგვარი პოლიტიკისაგან შორს მდგომი ინტელიგენცია და რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანები ისრისებოდნენ უმოწყალოდ, სწორედ ის ადამიანები, ერის სინდისს რომ წარმოადგენდნენ და, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური პასიურობის გამო მკაცრად ისჯებოდნენ. სამართალს ვერსად იპოვიდი და გარეთ გამოსვლა ან სამსახურში წასვლა უაზრობა იყო. სასურსათო მაღაზიის გამგის მეშვეობით, რომელსაც კარგად ვიცნობდი და რატომღაც ჯერ კიდევ მცემდა პატივს — ერთი ტომარა ფქვილი, ათიოდე კილო შაქარი და რაღაც კონსერვები ვიშოვე და ჩემს ბუნაგში ჩავიკეტე ჭრილობებისა და ნაგვემი სხეულის მოსაშუშებლად. წინათ თუ ინდიფერენტულად ვიყავი განწყობილი ყოველგვარი პოლიტიკის მიმართ — ახლა, თანდათან იზრდებოდა ჩემში პროტესტის გრძნობა და მე მთელი შესაძლებლობებით ვცდილობდი ჩემშივე ჩამეკლა ეს გრძნობა, რადგან ვიცოდი, რომ აზრი არ ჰქონდა არავითარ გაბრძოლებას. ერთადერთი, რისი მოხერხებაც შევძელი, ისევ საკუთარ თავში შევიკეტე და შევეცადე ყურადღება არ მიმექცია იმისათვის, რაც გარეთ ხდებოდა, მაგრამ ამის გაკეთება ლამის სიცოცხლის ფასად დამიჯდა, თანდათან ავითვალწუნე საკუთარი თავი და ლამის ლაჩრად შევრაცხე. უმწეობის გრძნობა უფრო და უფრო მტანჯავდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, თუ არ გავერიდებოდი ამ



გაბოროტებულ კაციჭამიებს, ვერ მოვესწრებოდი იმ დღეს, როცა ამათი სისხლიანი თარეში უცილობლად დასრულდებოდა — ამ დღის მოლოდინი კი ღირდა.

ყოველ იდეოლოგიას თავისი პროპაგანდისტები ჰყავს, თუ ამ პროპაგანდაში სარფის შოვნა შეიძლება, მითუმეტეს. მეტად ადვილი იყო მეც მიმემართა სამხედრო საბჭოსთვის, მეშოვნა იარაღი და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩავმდგარიყავი. მაგრამ ვისთვის უნდა მესროლა, ვინ უნდა მომეკლა — ბარიკადის ორივე მხარეს ქართველები იყვნენ, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანდა გონიერი კაცისთვის, რომ ორივე მხარე სხვა ქვეყნიდან იმართებოდა და გამარჯვებაც იმას დარჩებოდა, ვისაც გაამარჯვებინებდა სხვა ქვეყანა ანუ რუსეთი, ავტორი ამ ბაკხანალიისა. ადვილად მოტყუვდნენ მამულიშვილები და ათიათასობით დაბრმავებული ადამიანი აიყოლიეს. მიუღებელი იყო ორივე გზა, ორივე მხარე და ასე ვიქეცი თავად ორივე მხარისაგან უარყოფილ და დაწუნებულ ადამიანად. ჩემი საქმე კლასიკური მუსიკის უკეთ შესრულება იყო, ასე მეგონა ყოველთვის და ასე ვთვლი ახლაც. მე შემეძლო ბეთჰოვენის „ზაზუნა“ დამეკრა ადამიანთა ჯგუფისათვის და არ გამერჩია ერთმანეთისაგან ცნობილი მელოდია ვის ყურებამდე აღწევს ან იმ ყურების პატრონი რომელი პარტიის წევრია, რა იდეოლოგია მიაჩნია სწორად და რა არა.

ორივე მხარის დედაც.... ისე გულიანად შევიგინე, რომ დირიჟორმა გაკვირვებისაგან პირი დაალო. ჩემგან გინება არავის გაუგია და იმიტომაც გაუკვირდა. დირიჟორმა კულისებში გამიხმო და, როგორც ორკესტრის წამყვან მუსიკოსს, ორგანიზაციული სიახლეები ყურში ჩამჩურჩულა: დღეიდან მთავარი დირიჟორი მე აღარ ვიქნები — აი, ის იქნება მთავარი დირიჟორი — უბანში რომ „ოღრაშას“ ეძახიან, მისი ნამდვილი სახელი იქნებ შენ მაინც გახსოვდეს — ახლა მოიყვანენ 2 საათზე — ჯაბას ბიჭები, მათი დანიშნულია და არ ვიცი, როგორ მივმართო — „ოღრაშას“ ხომ არ დავუძახებ!

— მაგან ხომ პარტიტურის კითხვაც არ იცის, მაგ მართლაც ოღრაშმა, თან მოთავებული ნარკომანია, როგორ შეიძლება მაგის მთავარი დირიჟორობა. ამ ხალხის ვერაფერი გამიგია. ისინი მედოლეს ლამის მთავარ პროპაგანდისტად „ნიშნავენ“, ესენი მერყევი სმენის მქონე, ლამის უსმენო და უტვინო ნარკომანს მთავარ დირიჟორად. ორივე მხარის დედაც... მე მაგის დირიჟორობით არ დავუკრავ, ან რა უნდა იდირიჟოროს, კაცმა ნოტების კითხვა ძლივს ისწავლა, არც ერთ ინსტრუმენტს ხეირიანად არ იცნობს. ერთი მაგის დედაც... თქვენ რა, თქვენ სად მიდიხართ, თანახმა ხართ მთავარ დირიჟორობაზე უარი თქვათ?! მთავარმა დირიჟორმა მწარედ გაიღიმა და ისიც მაუწყა, რომ იგი დღეიდან რიგითი დირიჟორი იქნებოდა, ხოლო მე პირველი ვიოლინოს ადგილი კიტოვანის კაცისთვის უნდა დამეთმო. მას, თურმე, ქალაქის დაცვისას თავი გამოუჩენია და მისი დაწინაურება ზევით გადაუწყვეტიათ. გაოგნებისაგან გავშემდი. ხმა არ ამომიღია, ჩავბრუნდი ორკესტრის „იამაში“ — ჩემი ნოტები ავალაგე, ვიოლინო ფრთხილად ჩავდე თავის ყუთში და შინისაკენ გავუყევი. გზაში რამდენიმე ადგილას გამჩხრიკეს, რა გიდევეს ყუთშიო, გამახსნევინეს, ვიოლინოს დანახვაზე სიცილი დამაყარეს, ეი, შე ჩემის კომპოზიტორო, არ გაცივდე ან თითი არ გაგეჩხაპნოს, თორემ დავიღუპებითო.

\*\*\*

ვრწმუნდები, რომ მართლა არსებობენ შველივით გოგოები. გოგოები შვლები — ასე უფრო სწორი იქნება. ისეთი ლამაზები, ისეთი მშვენიერები არიან, რომ ჩვეულებრივი მდედრობითი სქესის მოდგმას ვერ მიაკუთვნებ. მათში ისეა

გამოკვეთილი რაღაც არაამქვეყნიური წარმოშობის ნიშანი, რომ მათი აქ, ჩვენს გარემოცვაში ყოფნა თუ უეცარი გამოჩენა, ჩემზე გამოგნებლად მოქმედებს. ესენი, მე მგონი, დედის მუცლიდან არ იზადებიან და თუ იზადებიან, აშკარაა იმ კეთილი და ყოვლისშემძლე თვალის თანამონაწილეობა „ამ შემოქმედებაში“, რომლის გარეშეც ჩვეულებრივ ადამიანებად დარჩებოდნენ.

მინდორთა მამშვენებელო,  
ვარდო გაშლილო ველადა,  
სად მოიცალა იმ ღმერთმა,  
შენი თვალ-წარბის წერადა?  
ვინ მისცა საწერ-კალამი,  
დაგხატა ათას ფერადა?

ასეთ გოგოზე — არამიწიერი ნიშნით რომ არის აღბეჭდილი, ვერც კი გაიფიქრებ: „შენთანამც ყოფნით გამაძლო, შენთანამც წოლა-ძილითა“. „გოგოები — შვლები“ — ამ ჩვენს რეალურ ყოფაში ზღაპრის პერსონაჟებივით გამოჩნდებიან ზოგჯერ, რათა უნებლიეთ შეგვახსენონ ჩვენი დამიწებული ცხოვრების, ყოველდღიურ საზრუნავში ჩაფლული ყოფის არარაობა. მშვენიერებას ნაზიარები კაცი იწყებს ფიქრს იმ ძალაზე, ყველაფერს და ყოველივეს რომ აღემატება, ღმერთზე, რომელმაც მოიცალა „შენი თვალ-წარბის წერადა“. და კიდევ ასეთი მოულოდნელი და პარადოქსული კითხვაც უჩნდება ამ ლექსის მთქმელს:

ვინ მისცა საწერ-კალამი,  
დაგხატა ათას ფერადა?

ჰიპერბოლა თავისთავში — მკრეხელურ პარადოქსს შეიცავს — (ღმერთს ვინ უნდა „მისცეს საწერ-კალამი“?) — ყოველივე ეს ლექსის მთქმელს იმისთვის სჭირდება, რომ — „მინდორთა მამშვენებელი ვარდის“ არაამქვეყნიური, ღვთაებრივი თუ ზეღვთაებრივი წარმოშობა ირწმუნოს და სხვაც დააჯეროს. სხვაგვარად, ღვთის ჩარევის გარეშე, მსგავსი მშვენიერების შექმნა წარმოუდგენლად მიაჩნია.

ამ ლექსის მთქმელის გულუბრყვილობა გასაგებია ჩემთვის, რადგან მეც, ამ ლექსის წაკითხვამდეც, ბავშვობაში, და მერეც, როცა ჩემმა პრაქტიკამ „ქალის საკითხში“ აპოგეას მიაღწია, დამოუკიდებლად ასევე ვფიქრობდი და კარგა ხანს მშვენიერ სქესს ორ ნაწილად ვყოფდი. მჯეროდა, რომ ერთნი, მხოლოდ მიწიერი სიყვარულისთვის, პოპულაციისთვის იზადებოდნენ, ხოლო მეორენი, უფრო მცირენი და იშვიათნი, ღვთის ხელდასხმულნი იყვნენ. პოეზიის განსაკუთრებული სიყვარულიც ასეთი ქალის ბუნებაში უფროა განფენილი, ვიდრე ცხოვრებისეულ ჭუჭყში თავჩარგული არსებისათვის. არავის ვამცირებ, მაგრამ სხვაობა მუდამ საგრძნობია, ეს სხვაობა ყოველთვის არსებობდა და მუდამ იარსებებს.

ისინი აღვიძებენ პოეტურ თუ მუსიკალურ იმპულსებს ჩემში და ამ ლამაზი ბიძგების გარეშე მათი თვალებიდან გამომზირალი პოეზია სიტყვებად ვერ გარდაიქმნება. სკეპტიკოსი ოპონენტი შეეცდება მიმითითოს ქვეცნობიერზე, ლიბიდოსა და სუბლიმაციაზე, მაგრამ მე მაინც ვამჯობინებ ღვთაებრივ სილამაზეს მეცნიერული ახსნა არ მოვუძებნო, რადგან არცთუ იშვიათად ფსევდომეცნიერული კვლევა — ყოვლისმცოდნეობის პრეტენზიით რომ მოქმედებს — ნავის გორად აქცევს ნებისმიერ მშვენიერს და ამას ახალი ესთეტიკის მოთხოვნით გაამართლებს.

ვგრძნობ, რომ ჩემი დამოკიდებულება მშვენიერების მიმართ კი არ წაირომანტიკულებს, უბრალოდ, რომანტიკულია, ამიტომაც მთვლიან ძველმოდურ და ჩამორჩენილ ადამიანად ის ქალები, რომელთა გაღმერთება მოვახერხე და რომელთაც მერე თვითონვე დავემორჩილე. ახლა აშკარად ვხვდები ჩემს დაშვებულ შეცდომებს და ამ დარგში ჩემი „საქმიანობა“ უფრო პრაქტიკული და გამოყენებითი ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ნიშნებით შეივსო. თუმცა გულისგულში მაინც ორ ნაწილად ვყოფ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს და უფრო ხშირად ვრწმუნდები, რომ ის მეორე — „ზეციური ნაწილი“, მანამ არის მშვენიერი, ვიდრე მას ხელით არ შეეხები და ვიდრე არ... ამიტომაც, ჩემი დამოკიდებულება ქალებთან მუდამ ცვალებადია. მე თავს გადამხდა ხუთწლიანი სიყვარულის ამბავი, რომლის დასრულებაც ტრაგიკულად განვიცადე და მას შემდეგ, რაც X-ს დავშორდი, ხშირად ვიხსენებ ჩვენს ერთად გატარებულ ეპიზოდებს — შესაბამისი განწყობილების თანხლებით და თან ვცდილობ, ცივი გონებით გავაანალიზო ყოველივე რაც მოხდა, მაგრამ მშრალ ანალიზს მაინც ვერ ვახერხებ. ცალკე მაქვს ჩაწერილი იმ მწარე დღეების ამსახველი დღიურები. დროდადრო გადმოვიღებ ხოლმე სქელტანიან რვეულს, თვალს გადავკრავ ცალკეულ აზრებს, სირცხვილის, უხერხულობის გრძნობა იმ დღიურების კითხვისას რომ მეუფლება, მაიმულებს დავხურო რვეული, რათა არ გაცოცხლდეს ყოველივე ის, რაც ღრმადაა ჩემში ჩამარხული და საითკენაც ხანდახან თუ გავაპარებ თვალს, ისიც მაშინ, როცა რომელიმე მელოდია, ლექსის რომელიღაც სტრიქონი, ან მისგან ნაჩუქარი ჰერბარიუმი უნებლიეთ ეხება სულს და მაშინდელ მდგომარეობაში მაბრუნებს. ის კი ვერ გამიგია, რად უნდა მეუხერხულებოდეს საკუთარი, ლამის აღსარებითი ხასიათის ოპუსების კითხვა მაშინ, როცა ჩემს გარდა არავინ იჭყიტება იმ რვეულში, არც არავის ესმის თვალის გადარბენილი სიტყვების აზრი. ვინ არის იგი, უხილავი თანამონაწილე ჩემი არსებობისა — ვისი კრძალვა და რიდიც მაიმულებს გადავდო რვეული და როგორმე თავი დავაღწიო უხერხულობის, სირცხვილის გრძნობას. ახლა რომ ვუკვირდები, მაშინდელ „დღიურებს“, ალბათ, იმიტომ მრცხვენია, რომ მე იქ სრულიად ვაშიშვლებ საკუთარ განცდებს და ისე უმწეოდ გამოვიყურები, ისე უმწეოდ, რომ საკუთარი სიშიშვლისა მრცხვენია ან კიდევ იმიტომ მერიდება იმ სტრიქონების ხელახლა წაკითხვა, რომ საკუთარი სენტიმენტალიზმი მაღიზიანებს და თან მეშინია იმის ამოტივტივება, რაც უკვე იყო. საკვირველია, მაგრამ ის X-ი ხომ ხუთი წლის მანძილზე ჩემი ცოლი იყო, მართალია, ხელმოუწერელი და ჯვარდაუწერელი, მაგრამ მაინც ცოლი და ის ხუთი წელი ისე გავიდა, რომ არც კი შემიმჩნევია დროის გასვლა. მე, როგორც ახლა, მაშინაც უცოლო ვიყავი და ვერა და ვერ გადამეწყვიტა დაქორწინება. გაზაფხულობით ჩემი სახლის წინ ეზოში ერთად ვრგავდით ყვავილებს, მას საიდანღაც მოჰქონდა ტიტების, ნარცისების, გეორგინების, სხვა მცენარეების ბოლქვები, ნაირ-ნაირი მრავალწლიანი ყვავილების თესვები და ჩვენ ერთად ვზარავდით, ერთად ვთოხნიდით, ერთად ვრგავდით, ერთად ვთესავდით, ერთად ვრწყავდით, მოკლედ, ერთად ვაშენებდით იმ ბაღს, რომელიც მერე, როცა X-ს გავშორდი, ჯოჯოხეთად გადამექცა. ის კი წავიდა, მაგრამ ჩემს პატარა ბაღში ჩარგული ბოლქვები მომრავლდნენ, თავისით ჩათესილი ყვავილებიც მოედო მთელ ეზოს და ადრე გაზაფხულზე ამოწვერილ ტიტებს, ნარცისებს და გეორგინებს თითქმის შემოდგომის ბოლომდე რიგ-რიგობით მოსდევდნენ ის მცენარეები, რომლებიც მორიგეობით ამოიწვერებოდნენ მიწიდან, შლიდნენ ნაირფერ ყვავილებს, სწორედ ისეთი ფერის ყვავილებს — რომელთა ფოთოლთაჰერბარიუმებს აკეთებდა X-ი და სხვადასხვა წიგნში მიტოვებდა სახსოვრად. ახლა რომ ვფიქრობ, ვხვდები,

წასასვლელად ემზადებოდა და ამ სახით რჩებოდა ჩემთან, სამუდამოდ მამახსოვრებდა თავს. წლიდან წლამდე, ძალაუნებურად ამ ყვავილებს გადავყურებდი და წარსულში ვბრუნდებოდი, საითკენაც უკვე გახედვაც არ მინდოდა, რადგან ყვავილებმა, X-მა რომ დამირგო ეზოში, ლამის აწმყო წამართვეს და მე თანდათან დავემსგავსე წარსულის პერსონაჟს, რომლის მომავალიც და აწმყოც — მხოლოდ წარსულის დაუსრულებელი გახსენებაა და სხვა არაფერი. გეორგინის ან ტიტის ბოლქვებს ბაზარში მეყვავილეებთან თვალს რომ მოვკრავდი, ასე მეგონა, იმ ბოლქვებში თვლემდა ის ხუთი წელი თავის გრძელი ღამეებით და მზიანი დღეებით, და რომ მათ, მიწაში ჩარგვის შემდეგ — გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს შეეძლოთ გამოემზებურებინათ ყველა ის სათუთი საიდუმლო, ჩემში რომ სადღაც არსებობდა და ისე ვმალავდი, თითქოს არც მახსოვდა იყო თუ არა.

ახლა, ჯერჯერობით, ვერ ვბედავ იმ ძველი დღიურების გამოქვეყნებას, მაგრამ თუ ერთხელაც გადავწყვიტე მათი გამჟღავნება, ჩემო მეგობარო, ძალიან გთხოვ, არ დამცინო ზედმეტი სენტიმენტალიზმის გამო. მაგრამ, ვიდრე ამ გადაწყვეტილებას მივიღებდე, ისიც უნდა გაცნობო, რომ X-მა ზამთარიც არ დამიტოვა თავისუფალი. არ ვიცი, რა ნიშნით აირჩია, მაგრამ თომას მანის მეცხრე ტომში, სეზანის ალბომში, გალაკტიონის რჩეულსა და იმ რვეულში, სადაც ბოლოს ჩემი სიყვარულის რექვიემული განწყობილებები ჩავიწერე, ბოლო გვერდზე წავაწყდი ჩამხმარ ველის ზამბახებს და გაბრტყელებულ ყვითელ ყვავილებს, მზის ლაქებივით რომ აჩნდა ფურცელს.

დიღემის წინაშე ვიდექი, ან უნდა ამომეძირკვა ყვავილები ბალიდან, ყველა წიგნიდან და რვეულიდან ამომეყარა გამხმარი ყვავილები ან უნდა შევგუებოდი მათ არსებობას და შევჩვეოდი გულგრილობას, სადღაც მეხსიერებაში ჩამემარხა ყოველივე და ახალი ცხოვრება დამეწყო.

X-ი იყო პირველი გოგო, რომელშიც დროდადრო ღვთაებრივ ნიშანს ვხედავდი, დროდადრო კი ვნებით აღსავსე ქალს, რომლის ყოველი მოახლოებაც გარდაუვლად საწოლით მთავრდებოდა. ასე ვცდილობდი საკუთარი გაორებული ბუნების წყალობით, ისიც ორ არსებად წარმომედგინა და ამას, როგორც მაშინ მეჩვენებოდა, წარმატებით ვართმევდი თავს. მას შეეძლო დაუსრულებლივ მჯდარიყო ჭილოფის სკამზე, ლაღი, მწვანე თვალები გაეშტერებინა ერთი წერტილისათვის და დიდხანს ესმინა ჩემი ვიოლინოსთვის, რომელიც ისეთ მთრთოლვარე ბგერებს გამოსცემდა, რომ მე თვითონვე ვგრძნობდი: ეს ბგერებიც და თრთოლვა, ჰაერის რხევა, ფანჯრიდან შემოდღეული ყვავილების სურნელი და შორეული გუგულის გუ-გუ ერწყმოდა ჩემს სულს და სულში განფენილი სხვაგვარი ძალით აღსავსე, უშორესი სიღრმიდან ახლადგადვიძებული, უცნობი და ძველისძველი განცდების ამომზიდველი წუთი უკან უბრუნდებოდა იმ სამყაროს, რომლის წიაღშიც იშვა ყოველივე და რომლის გაგონებაც შეეძლო ჭილოფზე წამოსკუპებულ მწვანეთვალეება გოგონა-შველს, მოსმენილი მელოდიის წყალობით თანდათან რომ კარგავდა ხორციელ სილამაზეს და მხოლოდ სინანული უღრმავდებოდა თვალებში. ალბათ, ჯობდა, ვაჟკაცობა მყოფნოდა და ხელი არასოდეს მეხლო მისთვის, არაერთხელ ვინანე ჩემთვის გულში, მაგრამ უკვე გვიანი იყო და ჩვენი თანაცხოვრება, დროთა განმავლობაში რომ კარგავდა აზრს, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მე დაქორწინება ვერ გადამეწყვიტა, შემოქმედებითი თავისუფლების დაკარგვის შიშით, X-ი კი, მწვანეთვალეება შველივით გოგო, ჩემი რომანტიკული შეფერილობის მიუხედავად, ქალი იყო და დედობა სურდა. ეს ბანალური სურვილი,

მაშინ მეტად უაზროდ მეჩვენებოდა, მაღიზიანებდა კიდეც და დროდადრო მბეზრდებოდა მასთან ყოფნა, იმ მიზეზით, რომ იგი არ გამოდგა ჩემი ოცნების ქალიშვილი — ანუ ის გოგონა-შველი, რომელშიც ზეციური ნიშანი ჭარბობს, რომ იგი უფრო პრაქტიკული და ყოფითი საკითხებით აღსავსე ჩანდა ვიდრე მეგონა და გულში განშორების თემაზეც გავიფიქრებდი ხოლმე დროდადრო. მე არ ვიცი, რას ფიქრობდა იგი, როცა ნალვლიან მწვანე თვალებს შემომანათებდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ შინაგანად არც მას აკმაყოფილებდა ბუნდოვანებაში გადაზრდილი წლები და სიყვარულზე მეტად მგონი ოჯახზე ოცნებობდა. ერთხელ მითხრა კიდეც: მე წავალ, ალბათ, მალე წავალო! შენ არსადაც არ წახვალ, შენ სულ ჩემთან იქნები, ვუპასუხებდი, მოვეხვეოდი და მანამდე საიმისოდ განწყობილიც რომ არ ვყოფილიყავი — ოდნავ ზედმეტი მოფერებაც კი ხმოვნების ჭუჭრუტანებისკენ მიძვრებოდა თანდათან, ხმოვნები ჩვენი უხილავი ფრთებივით შრიალებდნენ ნახევრად დაბინდულ ჰაერში და ბუხარში ჩარჩენილი ნალვერდლების ნათება — თავისთვის, ჩვენს გარეშე ეთამაშებოდა ოთახის კედლებს.

ბოლო დროს ორივე ვგრძნობდით ჩვენი თანაცხოვრების უპერსპექტივობას, მაგრამ ერთმანეთს არ ვუმხელდით. უთქმელადაც ნათელი იყო ყველაფერი. სადღაც გულში სასიამოვნოდაც კი მიღიტივებდა მოსალოდნელი მარტოობის თავისუფლება. ამიტომაც, როცა მეტყოდა — „მე, ალბათ, სამუდამოდ წავალო“, სიტყვას ბანზე ავუგდებდი და გულში კი თითქოს მეც მივლოდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ წასულიყო. ხმამაღლა კი ამის თქმას ვერ ვბედავდი. როგორც ჩანს, გაუცნობიერებლად ვანადგურებდი სიყვარულს, ყველა დისტანციას და პაუზას ვარღვევდი, მოქოქილ მანქანას დავემგვანე, სულ საწოლისკენ ვექაჩებოდი, ისიც წინააღმდეგობას არ მიწევდა და ყოველივე ეს გაგრძელდა მანამ, ვიდრე ერთმანეთი საბოლოოდ არ მოვიბეზრეთ, ვიდრე ბოლომდე არ ამოვხაპეთ თუ რამ სიყვარული გაგვაჩნდა, ჩვენი თვალებიც ამომშრალ ჭებებს დაემსგავსნენ, საიდანაც მხოლოდ განურჩევლობა და ნაძალადევი, ნასწავლი ღიმილი თუ იხედებოდა დროდადრო. ფინიში ახლოვდებოდა, როცა ერთხელ X-მა ჩვეულებრივი ხმით, ჩვეულებრივი სახით, თითქოსდა სხვათაშორის, შემომჩივლა, სადმე ხომ არ წავსულიყავით — კინოში, თეატრში, ქალაქგარეთ — სადმე, ოღონდ სხვაგან — ან ცოტა ხნით ერთმანეთს აღარ შევხვდეთ, იქნებ მერე...

ერთხელაც ფილარმონიის ბილეთები მომიტანა, ერთი ბალტიისპირელი მომღერლის კონცერტზე წავედით. ადრე წამომცდა, რომ ეს მომღერალი მომწონს, ისე ტყუილად ვთქვი, რომ მომწონს, ამან კიდეც ბილეთები მომიცუნცულა და ერთად წავედით კონცერტზე. ჩემთვის, კლასიკური მუსიკის ოსტატისათვის, მეტად ძნელი აღმოჩნდა კონცერტის ბოლომდე მოსმენა, რატომ აღმოჩნდა ძნელი, ამას ბევრი მიზეზი აქვს, იქ, რაც სცენაზე ხდებოდა — ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი, იყო სხეულებრივი და მხოლოდ სხეულისმიერი, ოღონდ არამც და არამც სულიერი. გაურკვეველი ხმაური, შიშველი ქალების ხუნტრუცი — ეშმაკების თავშეყრას ჰგავდა და მე გაოგნებული და თვალდაჭყეტილი შევყურებდი მაყურებელს და არა სცენას.

მეორე მოქმედებიდან წამოვედით, ჩემთან აღარ წამომყვა, შინ გავაცილე და სახლში მარტო დავბრუნდი. ძნელი მისახვედრი არაა, რამ გამახსენა ეს ისტორია ან რატომ გაიმბობ ახლა, როცა მას მერე იმდენივე წელი გავიდა — რამდენი წელიც მე და X-ი ერთად ვიყავით. ეს, ალბათ, ისევ იმჰერბარიუმის ფოთლების ბრალია, მოცარტის ფირფიტაში რომ აღმოვაჩინე წედან, რის გამოც შვლისმაგვარ თუ ნუკრისთვალემა გოგოებზე დავიწყე საუბარი და იმის გარკვევას ვცდილობდი, რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ჰაეროვანი, ცისიერი, შველივით ლამაზი და

ჩვეულებრივი ქალები?! ხომ არ გგონიათ რაიმე გავარკვევი?! ვერაფერი, გარდა საკუთარი გზააბნეულობისა და შეცდომებისა, რის გამოც სამართლიანად ვისჯები, რადგანაც ცას გუბებში ვეძებ და არა სულში.

\*\*\*

ორკესტრში კარგა ხანს არ მივლია ან რა აზრიჰქონდა ჩემს სიარულს, როცა აღარც რეპეტიციები იმართებოდა გაყინულ დარბაზში და ქალაქში სიარულიც საშიში იყო, განსაკუთრებით, დამდამობით. ვცხოვრობდი ჩემს ბუნაგში და დროდადრო ვუსმენდი ქალაქის კომენდანტების გამოსვლებს, რომლებსაც ორ კვირაში ერთხელ მაინც ცვლიდნენ და ამ კომენდანტთა ინტელექტიც თანდათან „უმჯობესდებოდა“.

ვფიქრობდი: მე მინდა მუსიკა, ლიტერატურა, საერთოდ, ხელოვნება, ამათ რაღა უნდათ?! — ძალაუფლება — ჰოდა, მე მქონდეს ჩემი მუსიკა, ამათ კიდევ თავისი ძალაუფლება, თავისი გავლენის სფეროები, თავისი მაყუთი, თავისი იარაღი, მე კი დამანებონ ჩემთვის ყოფნა, მე არაფერში ჩავერევი. რომ არ ჩავერიე, იმიტომ მომხვდა ორივე მხრიდან — სახელმწიფო ხელისუფლების გადამტრიალებელნიც და გადატრიალებულნიც ხან ერთ, ხან მეორე ყბაში მცემდნენ, რომელი პოლიტიკოსი მე ვიყავი, მე მინდოდა ვიოლინო და მუსიკა. მაგრამ ჩემი ახირებული ვიოლინო და მუსიკა ვიღას დასჭირდებოდა, თუ ეს ქვეყანა დაინგრეოდა და ძმათა მკვლელი ომი არ დასრულდებოდა?!

ვჭამეთ, მაგრად ვჭამეთ, თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა მოსკოვიდან იმართებოდა, ვისზეც ისინი გააკეთებდნენ „სტავკას“, ის გაიმარჯვებდა. ასეც მოხდა, ზუსტად ასე მოხდა. დაშინებულმა ხალხმა წელი ვეღარ წამოითრია და თანდათან დაიწყო ეგრეთ წოდებული სტაბილიზაცია. ბანდები დაიჭირეს, ხალხი გააღატაკეს, ქვეყანა დაარბიეს და მერე დაიწყო სტაბილიზაცია, დემოკრატიის შენება, ლარის გამაგრება და ტერიტორიებდაკარგულ ქვეყანაში რაღაცამ დაიწყო ფეთქვა.

რეპეტიციებიც განახლდა, ყოფილი მთავარი დირიჟორიც დააბრუნეს, ისევ პირველი ვიოლინოს პარტია შემომთავაზეს და მთელი ეს კომმარო, რამდენიმე წელს რომ გრძელდებოდა, და როცა X-თან ერთად ლამის ყველაფერი დავეკარგე, არ დამიკარგავს მხოლოდ მუსიკის რწმენა, ვიოლინოს სიყვარული, რომელსაც ისე შევეზარდე, რომ თითის ოდნავ შეხებაზეც — სუნთქვითაც ვგრძნობდით ერთმანეთს — ვიოლინოს სიმები ჩემს ვენებს ერთვოდა და ხემის შეხებისას სიმები გამოსცემდნენ ისეთ ბგერებს, ერთდროულად რომ ეკუთვნოდა ჩემს ვენებსაც და ვიოლინოს სიმებსაც და მათი მთლიანობა სულით შეკავშირებული ისე თრთოდა, მერე აღარც კი მახსოვდა, როგორ ვუკრავდი. ვემგვანებოდი მცენარეს, თვალწინ რომ იზრდება, იკვირტება, იფოთლება, ყვავილობს და მერე დუმდება, რადგან ნაყოფი, ეს მცენარე რომ გამოისხამდა — დასამწიფებლად, დასრულებული სახით მისაღებად, უსასრულო დუმდის თხოულობდა და სწორედ მაშინ, როცა დარბაზის დუმილი უზომოდ საჭირო იყო, როცა ბგერათა სიმწყობრეს მეტაფიზიკური სივრციდან ამოჰყავდაჰარმონია — დროდადრო გაისმოდა ფიჭური ტელეფონების წკრიალი და თვითკმაყოფილ და ძალაუფლებით აღჭურვილ სახეებზე მიმაგრებული ტუჩები იწყებდნენ ცმაცუნს, ზუზუნს, ბზუილს, ჩურჩულს ჩამალულ ყურმილებთან.

მე მინდოდა მუსიკა და ვიოლინო — ამათ ძალაუფლება და მაყუთით ნეტარება — ყველამ თავისი მიიღო, მაგრამ ამათ კონცერტებიც თუ უნდოდათ, არ ვიცოდი. მსგავს კარიკატურულ ვითარებაში — მე და ვიოლინო ვმორდებოდით ერთმანეთს და ეს სულერთი იყო დარბაზისთვის, თუმცა, დირიჟორის თვალეში

ჩაბუდებული სიბრაზე — ნაპერწკლებს ყრიდა ნახევრადსიბნელებში, მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა. ბილეთები ნაყიდი იყო და ჩვენ ბოლომდე უნდა შეგვესრულებინა ყველაფერი, რისი შესრულებაც გვევალებოდა. მერე და მერე აღმოვაჩინე, რომ ფიჭური ტელეფონების წკრიალი — მგონი პარტიტურაშიც ეწერა და მისი შესრულება მხოლოდ ახლავდა მოხერხდა, როცა ჩვენში ცნობილმა საქმოსნებმა და მოხელებმა ღრმად შეისწავლეს ძველი პარტიტურები და შესაბამისი „საკრავიც“ მოიპოვეს საამისოდ. არტურო ტოსკანინის, ფონ კარაიანის მიერ დაშვებულ შეცდომებს, თითქოს ჩვენი დირიჟორი ასწორებდა ამჟამად — დარბაზის ზოგიერთი აქტიური წევრის დახმარებით, რათა აღდგენილიყო შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების პირველსახე, სადაც დაფდაფებსა და სამკუთხედებს ფიჭური ტელეფონების წკრიალი ცვლიდა, იმის დასტურად, რომ ჩვენ უკვე ცივილიზებული და დემოკრატიული ქვეყანა ვიყავით და ამ ქვეყნის საუკეთესო ნაწილი სწორედ სახელოვან დარბაზში იმყოფებოდა.

\*\*\*

შესვენებაზე მუსიკოსებიც კი პოლიტიკაზე საუბრობდნენ დროდადრო, მოკლედ, მაგრამ მაინც იტყოდნენ ძვირს ხან ვისას და ხან ვისას, მაგრამ ზოგიერთს, მაგალითად, ფლეიტაზე დამკვრელს, მევიოლონჩელეს და მეტრომბონეს, ისევე როგორც მე — უკვე გვჯეროდა, რომ ამ ტანჯვის გზის გავლის გარეშე ვერაფერს მივაღწევდით და, რომ ჩვენი საქმე ისევ მუსიკა იყო და მანამ უნდა დაგვეკრა, ვიდრე თითებიდან სისხლი არ გამოგვივიდოდა, ამ მინიმალურ ხელფასზე ვმჯდარიყავით და იმედი გვქონდა უკეთესი ხვალინდელი დღის, ანუ იმ დროის, როცა რუსეთი, ნებსით თუ უნებლიეთ, თავს დაგვანებებდა და მიხვდებოდა, რომ თავის ტყავში ჩატეული ბევრად უკეთესი და მდიდარი ქვეყანა გახდებოდა, ვიდრე ამჟამად იყო — ჩვეული აგრესიით აღჭურვილი, ტრადიციული მსოფლიო მეურვეობის სურვილით ტვინგახურებული, ყოფილი კოლონიების ჩაძირვაზე რომ ზრუნავდა გამუდმებით და ყველა ეთნოკონფლიქტის ავტორი თავისივე იარაღით ახერხებდა ამ ქვეყნებში სათავისო ბალანსის შექმნას. მთელი ხალხის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენში უკვე ბევრი ხვდებოდა ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის ტრაგიზმს და იმასაც, რომ ამ ტრაგედიის თანაავტორები და ხელშემწყობნი თვითონვე ვიყავით რუსეთთან ერთად. ისე, რა გამოცანა ქვეყანაა ეს რუსეთი, ჩამჩურჩულა ვიოლონჩელომ.

მთელ რუსულ კლასიკას — მსოფლიოში ბადალი არჰყავს, და თუკი ვინმე რაიმეს წერას განიზრახავს მხატვრულ პროზასა თუ პოეზიაში, მათი წაკითხვისა და შესწავლის გარეშე გაუჭირდება. მართალია, ბერდიაევი, სწორედ ამ რუსულ კლასიკას, — პუშკინის გამოკლებით, დეკადენტურს და არარენესანსულს უწოდებს, თუმცა მასაც, რა თქმა უნდა, არ ავიწყდება მშობლიური ლიტერატურის სიდიადე, მაგრამ გულწრფელად აწუხებს ის სულიერი კრიზისი, რაც ერთდროულად ღვთის მორჩილებასა და დაუოკებელ აგრესიაში გამოიხატება. ყველაზე დიდებული, განსწავლული, გენიალური რუსიც კი შოვინიზმის იდეით და თვითმპყრობელური კომპლექსებითაა დაავადებული და ამის საარგუმენტოდ არაერთი მაგალითის გახსენება შეიძლება — მხოლოდ ორ მაგალითს გავიხსენებ: ფიოდორ დოსტოევსკის ცნობილი ოპუსები და რუსი მღვდელმთავრის — ეგზარხოსის ლამის სატანური საქციელი საქართველოში, რომელმაც დიმიტრი ყიფიანი შეიწირა. მესიანიზმის იდეა თანდათან დაღუპავს ამ ქვეყანას და ერთა საპყრობილე, რომლის ერთ-ერთ საკანშიც — ჩეჩნეთში, სისხლისღვრისა და ჩეჩენთა სამაგალითო ერთიანობის მიზეზით, დე

ფაქტო დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ნამდვილად დაინგრევა. ამ პრეცედენტის შავი ჭირით ემინია რუსეთს, მზად არის ერთიანად მოსრას ეს დაუმორჩილებელი, ერთი მუჭა ხალხი, მაგრამ ამას ხომ ჩუმად ვერ გააკეთებს და დემოკრატიობანას თამაშობს მსოფლიოს თვალში. ჩვენშიც, ეს უბედურები, ვითომ რომ შუამავლობენ ჩვენსა და აფხაზებს შორის, სინამდვილეში შავი ზღვისპირეთის შეტყაპუნებაზე ოცნებობენ, თუკი საქართველო დასავლეთის გზას დაადგება, — ხოლო თუ საქართველო რუსეთის ვასალობას აღიარებს, ყველაფერს უკან დაგიბრუნებენ — ოსეთსაც, აფხაზეთსაც, ოღონდ გაძლიერებული სახელმწიფო სტატუსებით, რათა საკუთარი ქოფაკებიჰყავდეთ შენს ტერიტორიაზე და როცა დასჭირდებათ მაშინ ააყეფონ ეს ბრიყვები. ჩვენც ბევრი რამე ვჭამეთ, ვჭამეთ კი არა, მივირთვით. ახლაც ვერ ვხვდებით, რომ ერთმანეთის ჯიჯგნას უნდა მოვეშვათ. უნდა ვუკრათ ვიდრე შეგვიძლია, თუნდაც თითების დასისხლიანებამდე და ვითმინოთ სიმბოლური ხელფასები.

ვიოლონჩელოს პოლიტინფორმაცია უმრავლესობამ ყურიდან ყურში გაატარა — ეს პოლიტიზებული მუსიკოსი ჭკვიანი და განსწავლული კაცი იყო, იგი საკუთარ ჯამზე შორს იყურებოდა ყოველთვის, თუმცა ეკონომიურად მასაც ჩვენსავით უჭირდა და დროდარო თავისუფალ პრესაში რომ კორუფციაზე წერილებს კითხულობდა და მამხილებელ, ჟურნალისტების მიერ შეფერადებულ თუ ნამდვილ ციფრებს ამოიკითხავდა, გაგულისებას ვერ მალავდა და მთელი ხმით ამოიძახებდა: რატომ არ იჭერენ, რატომ არ იჭერენ ამ ჩათლახებს?! ფლეიტა ირონიულად გადახედავდა ვიოლონჩელოს და დამცინავი ხმით ეკითხებოდა: — ეგ ხალხი რომ დაიჭირონ — ვინლა მოვა ჩვენს კოცერტებზე, ვინლა შეიძენს ბილეთებს: აქეთ ჩვენ ვზივართ ნამდვილი ორკესტრი, იქით დარბაზში ფიჭური ტელეფონების ორკესტრია. ისინი იხდიან და ჩვენ ვუკრავთ, ზოგჯერ, როგორც შენიშნეთ ერთად ვუკრავთ, ოღონდ იმათ ნოტების კითხვა არ სჭირდებათ, მთავარია, ტელეფონზე და კალკულატორზე დაკვრა იცოდე და კიდევ ხალხის თვალში ნაცრის შეყრა გეხერხებოდეს. ყველა ნაცარქექიას ახლა საქმიან კაცად მოაქვს თავი. საქმიანი კაცის შთაბეჭდილება რომ დატოვო, ესეც საქმეა, ესეც პროფესიაა, ყველას არ ემარჯვება.

ანტრაქტი დასრულდა, დარბაზი თანდათან ჩაწყნარდა, ჭალი თანდათან ჩაიბჟუტა, დირიჟორიც გამოჩნდა, ხელი აღმართა და ჩვენ-ჩვენს სანოტო ფურცლებს ანუ ჩვენს პარტიებს დავუბრუნდით, ორკესტრის სიღრმეში გაისმაჰობოის ლა, ორკესტრის სიმწყობრე მოისინჯა და დაიწყო, დაიწყო ის, რამაც ისევ სხვაგან წაგვიყვანა, სხვაგან, ჩვენზე მაღლა რომ იდგა, პოლიტიკას, ამაო ფუსფუსს, ჩვენს ბჟუტურს ბევრად აღემატებოდა და მერამდენედ გავიზარდეთ, მერამდენედ ვიგრძენით, ფრთები თანდათან რომ ამოგვდიოდა და დავიწყეთ მორიგი ფრენა, რათა კონცერტის დამთავრების შემდეგ კვლავ ძირს დავშვებულებიყავით, ძირს და ძალიან დაბლა — საორკესტრო ორმოში, სადაც ვოლტორნა დიდი ჩანთიდან ძველისძველ თერმოსს დააძრობდა, ფინჯანში ცხელ ჩაის ჩაასხამდა და თხელ ქალაღში გახვეულ ბუტერბროდს ამოაცოცებდა, აქეთ-იქით მიმოიხედავდა და თავისთვის იწყებდა ლოდნას. ენაკვიმატი ფლეიტა ვოლტორნას იგივე შეკითხვას გაუმეორებდა — ჩაი ისევ უშაქროა?!

ვოლტორნა ყოველთვის ბრაზდებოდა — რა შენი საქმეა, იქნებ მე უშაქრო მიყვარს?! გამიწყალა გული!

თანდათან ვუბრუნდებოდით ქალაქს, ვტოვებდით საორკესტრო ორმოს და გავდიოდით ნახევრადჩაწყვდიადებულ ქუჩებში და ყველაზე მთავარი მიზანი ის



იყო, რომ რომელიმე ჩვენი მსმენელის მანქანა არ დაგვეჯახებოდა და მშვიდობიანად მიგვეღწია მეტროს სადგურამდე.

\*\*\*

იმ ღამით საშინელმა კოშმარმა გამაღვიძა. თითქოს ისევ მომაკითხეს კონსერვატორიაში, ჩამიყვანეს დეკანატში, სადაც საბჭოთა მაიორი დამხვდა და კატეგორიულად განმიცხადა, რომ მე თავიდან უნდა მოვიხადო სამწლიანი სამხედრო ვალდებულება, რომ სამშობლოს ასე სჭირდება. ბევრი ვიყვირე, ვიჭყვილე, ვევედრე კიდევ: მე ხომ უკვე დიდი ხნის წინ მოვიხადე ჩემი ვალი, სამი წელი ხომ ვიმსახურე რუსის ჯარში, მეორედ ნუ წამიყვანთ, მე აღარ მეკუთვნის გაწვევა-მეთქი. საკუთარმა ღმუილმა და წივილ-კივილმა გამაღვიძა, ძლივს მოვძებნე ასანთი, ავანთე ლამპა, ერთიანად სიმწრის ოფლში ვცურავდი, გული ამოვარდნაზე მქონდა და სიგარეტის მოწვევა გადავიფიქრე, მივხვდი, რომ ვერ შევძლებდი. თანდათან გამოვერკვიე, შედარებით დავმშვიდდი და პირველი რაც იყო, ეს იყო უსაზღვრო სიხარულის შეგრძნება, რომ არავითარ რუსის ჯარში აღარ წამიყვანდნენ, თან მეორედ. რუსის ჯარი, კარგა ხანია, სხვა ქვეყნის ჯარი იყო და ჩემთან არაფერი ესაქმებოდა — ამ აღმოჩენამ ისე გამახარა, ისე გამახარა, რომ გული ამიჩუყდა და ავტირდი. კარგა ხანს ვიმშრალე ცრემლებს ცხვირსახოციტ, მერე თანდათან ჩავწყნარდი და აღარ დამეძინა. ის ყაზარმა დამიდგა თვალწინ, სადაც სამი წელი გავატარე და რამაც ყველაზე მეტად გამაკვირვა — თითქოს მონატრებაც კი ვიგრძენი იქაურობისა, სადაც ყველაზე მეტად კოშმარული წლები გავლიე, სადაც პაპიროსის ქალაქში გახვეულ ჩაის ვეწეოდი ჩუმ-ჩუმად, ფილტვები რომ დამზიანებოდა, პურის ცომში ჩაზელილ კარბიტის ნამცეცს ვყლაპავდი — კუჭი რომ გამხვრეტოდა, იანვარ-თებერვალში კასპიის ზღვაში შევდიოდი საცურაოდ ფილტვების ანთება ან საერთოდ რაიმე ავადმყოფობა რომ მეშოვნა, მაგრამ ამოდ — კაჟივით ჯანმრთელი ვიყავი და ვერ დავსწუდი, რუსის ჯარიდან თავი ვერ დავიხსენი.

ბოლოს თავის მოკვლა განვიზრახე და პოსტზე, სადაც ავტომატმომარჯვებული ბოლთას ცვემდი — შუბლზე ავტომატის ცივი ლულა მივიბჯინე და თითით სასხლეტს ვეპარებოდი, მაშინ იმან გადამარჩინა, რომ ავტომატი „პრედახრანტელზე“ დამრჩა, მერე კი, მოგვიანებით, ისეთმა შემზარავმა შიშმა შემიპყრო, რომ თვითმკვლელობაზე აღარც მიფიქრია. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედული და იმ დაუსაბამო მშვენიერებიდან ვიგრძენი, თითქოს, ვიღაც მიმზერდა, ვიღაც, რომელიც არსად და ყველგან იყო, ჩემშიც და ჩემს გარეთაც ფეთქავდა. შემეშინდა, შემრცხვა კიდევ ჩემი განზრახვის, იმ წუთიერი უმწეობის, რომელმაც კინაღამ საბედისწერო ნაბიჯი გადამადგმევინა. ამ შემთხვევის მერე უფრო შევეცადე თავის გადარჩენას და იმ უაზრო კანონების დამორჩილებას, რომლის გარეშე ნამდვილად ვერ გავძლებდი. მერე ჭკუა ვისწავლე და გარნიზონის ბიბლიოთეკიდან გამომქონდა წიგნები და დღეგამოშვებით — სადარაჯოზე — პროჟექტორის სიახლოვეს, ღამის სიწყნარეში, ფარაჯაში გახვეული, ვკითხულობდი მსოფლიო კლასიკას. ყველა მთავარი წიგნი, თითქმის იქ წავიკითხე, მაგრამ, როცა ქარი ამოვარდებოდა დაჰაერში უდაბნოს ქვიშას დაატრიალებდა — კითხვა კი არა, თვალის გახელა იყო შეუძლებელი, მაშინ აირწინაღს წამოვიცვამდი სახეზე და ასე ვკითხულობდი, თან მძიმედ ვსუნთქავდი.

ერთ ღამეს, იანვარში, ეს ჩემი უკანასკნელი მცდელობა იყო, ქარიშხლიან ღამეს, ყაზარმიდან გავიპარე, კასპიის ზღვამდე ნახევარი კილომეტრი იყო და სწრაფად

გავირბინე. საცვლებისამარა ვიყავი და ეგრევე შევევარდი ზღვაში, კარგა ხანს ვიარე, მაგრამ წყალი თავთხელი იყო, მუხლამდე ძლივს მწვდებოდა, მერე სიცივისაგან ამაგმაგებული (ჰაერი უფრო ცივი იყო), წყალში ჩავწექი და კარგა ხანს ვიყავი ასე, ფილტვების ანთება, როგორც მინიმუმი, გარანტირებული მქონდა და შინაგანად მიხაროდა კიდეც წინასწარ იმ თავისუფლების გამო, რომელსაც ჩემი გარდაუვალი ავადმყოფობა მახლოვებდა. როცა მთლად ავმაგმაგდი და გავლურჯდი, როცა მეტი მართლაც აღარ შემეძლო, ძლივს ამოვიტანე გაბლიკებული სხეული წყლიდან და ყაზარმისკენ გავლასლასდი, სიცივემ ისე შემაწუხა, რომ ფეხს ავუჩქარე, მერე რაც ძალი და ღონე მქონდა მოვკურცხლე და ყაზარმაში შევიპარე. მორიგე ჯარისკაცმა ვერ შემნიშნა, იგი, თავისთვის, თვლემდა და არც გაუგია ჩემი მისვლა. ჩავწექი ჩემს საწოლში, ჩავთბი და ძილიც მალე მომერია. სიზმარი მშვენიერი ვნახე, თითქოს ავად გავხდი, ჩემი ჯარში სამსახური აღარ შეიძლებოდა „გამაკომისიავეს“ — ე. ი. ჩამომწერეს ჯანმრთელობის გამო და სახლის გზას გამიყენეს. ტკბილი სიზმარი ზემდეგის ღრიალმა დაარღვია: „ArIces“. ყველა წამოცვივდა, გამალებით იცვამენ, შარვლებს ისწორებენ, ჩექმებს ირგებენ, მე კი ვწევარ არხეინად, არ ვდგები. ცოტა ხანში ზემდეგი მომადგა და მეკითხება: „IZ Cegr ne arIzTeStyW?!“ — „ჩ qroen`, — ვპასუხობ: — „U senW iesaepTiupT“. ცოტა ხნის შემდეგ ზემდეგმა სანიტარული ნაწილიდან ექიმი მოიყვანა. ექიმმა თერმომეტრი დაბერტყა და გამომიწოდა, მეც თერმომეტრი ილღიაში ამოვიდე და თვალები მივლულე, ვგრძნობ, რომ ვიწვი, ავად ვარ, ვფიქრობ — ალბათ, მალეჰოსპიტალში გადამიყვანენ, მერე კი, მერე იქნებ სახლშიც გამიშვან. რამდენიმე წუთში ექიმმა თერმომეტრი გამომართვა — დახედა და ზემდეგს გასძახა: „U negr nei iesaepTiupZ`. — „KTK nei?!` — სასოწარკვეთილმა ვკითხე და ექიმს თერმომეტრი გამოვვლიჯე. თერმომეტრი 36,5-ს უჩვენებდა. ეს ამბავი კაპიტნის ყურამდე მივიდა, მწკრივის წინ გამომიძახეს და სამი დღითჰაუპტვახტში გამამწესეს. შემხსნეს ქამარი, ჯიბეში მხოლოდ კომკავშირის ბილეთი ჩამიტოვეს, ფურცლის და კალმის შეტანის უფლება არ მომცეს, სიგარეტის მოწევა სასტიკად ამიკრძალეს, ჯიბეში ნახევარი კოლოფი „პამირი“ მედო და ისიც დამატოვებინეს და თავი კარცერში მიკრეს. დღისით ვიწრო ფიცრის სკამზე ვიჯექი, კედლებს შორის რომ იყო გაჭედილი, ღამით ათ საათზე — სამი ფიცრისგან შეჭედილ ეგრეთ წოდებულ „ვერტუმპებს“ გვირიგებდნენ, რომელიც საწოლის მაგივრობას სწევდა და რომლისგანაც გვერდები დანგრეული მქონდა. თუ ვინმე ღვთისნიერი ყარაული გამოდგებოდა, ადრე თვითონაც ნაჯდომი — ერთი ღერი სიგარეტით მიმასპინძლებოდა — სათვალთვალო ჭუჭრუტანიდან შემოაცურებდა ანთებულ სიგარეტს და სწრაფად გასცილდებოდა ჩემს კარცერს, უფროსებს რომ არ შეენიშნათ. ეს იყო ერთადერთი ბედნიერება. ვაბოლებდი ჩემთვის და ვფიქრობდი, როგორმე აქედან მაინც დამეღწია თავი.

ჰაუპტვახტის უფროსი გვარად რახმანინოვი იყო, ცივისსხლიანი კაპიტანი არაფრითჰგავდა თავის მოგვარეს. ვზივარ ჩემთვის, ვაბოლებ, კვამლი, ცხადია, დერეფანში გადის. ამ დროს რახმანინოვმა ჩამოიარა, რას ხედავს, პატიმარი ეწევა, სწაფად მოდის ჩემს კარცერთან, ადებს კარს და მეკითხება: „Kir ITo kupevr?`“ ვპასუხობ: „V yvres kTpsTne nTSeo“. ისევ მეკითხება: „Kir apmkupmo?“ ვპასუხობ: „YamCkm irde v kTpsTne nTSomyt`. — „Tx v kTpsTne?`“ რა უნდა მეთქვა? ბადრაგს ხომ არ ჩავუშვებდი. მერე სულელივით მეღიმება და მინდა რაღაც ვუთხრა კაპიტან რახმანინოვს ისეთი, რომ გული მოვუღობო: „IrvTpmw kTamiTn PTxsTnmnrV! VZ velt v yTsrs leoe PTxsTnmnrV?` — „Nu, m Cir?!` — კბილები დამიდრჭიალა kapitanma. „VZ znTeie, W ykpmATC ar aprfeyymm, nerkrnCennre vZySee rqpTzrvTnme. Y ipeitegr kupyT

zTqpTom v Tpsmb. მ nT gpTdlTnke CTyir mgpTo PTxsTnmnrvt". — „KrgR mgpTo?“ — „PTxsTnmnrvt“. — „მ rCent obqob PTxsTnmnrvt“. — „Nu, m Cir?“ — ისევ დამიღრინა რახმანინოვმა და სახე უფრო გაუქვავდა. დავიღუპე და ეგ არის, ამ კაცს ერთი ნერვიც ვერ შევუტოკე. „Kir lTo kupevr mnieoomgenimk? Eyom ykTdeSt, nmCegr ne apmqTvob. Ne ykTdeSt, lvrRnrR arouCmSt!“ — „Nmkir ne lTvTo. Kupevr u senW qZo v kTpsTne“. რახმანინოვმა სარკასტულად გაიცინა, ათივე თითი ცხვირთან მომიტანა და მშვიდი ზიზღნარევი ხმით მამცნო: „LeyWit yuirk apmqTvob, mnieoomgenimk. ZT nTpuSenme vnuipennrgr arpWlkT, zT nevZaronenme uyiTvT, zT neapTvlm m zT ir, Cir ykpmATC neyCTyinZR!“

კარი მომიხურა და მძიმე ნაბიჯის ხმა ვიდრე ჩაიღია დერეფნის ბოლოს, ძლივს გავაცნობიერე, რომ დამატებით ათი დღე უნდა ვმჯდარიყავი ამ ჯურღმულში. დიდი ფიქრი და მოხერხებულობა არ დამჭირვებია. სამოქმედო გზა სწრაფად ავირჩიე. ამ იდიოტ სალდაფონს როგორ ვერ უნდა ვაჯობო. ხედავ, როგორ ეჯავრება ინტელიგენცია?! ეს იდიოტები ინტელიგენციას მუქთამჭამელებად თვლიან, არაფრის მანქისი და ზედმეტი ხალხიჰგონიათ. ოხ, შენი! კარცერში ბოლთის ცემა არ გამოდიოდა სივიწროვის გამო და ძელსკამზე ჩამოვჯექი. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, რას დავუნგრევდი თავ-ყბას ამ ჩათლახს?! თანდათან ჩავწყნარდი და ისევ გამოსავლის ძებნა დავიწყე. დიდი ფიქრი არ დამჭირვებია — საღამოს ტუალეტში რომ გაგვიყვანეს ბადრაგის თანხლებით — ტუალეტში საპნის მოზრდილი ნაჭერი მოვიპარე და შვლიპინით გადავუშვი მუცელში. ძლივს შევიკავე თავი, რომ გული არ ამრეოდა. ახლა კი მოვუხაზავ იმ იდიოტ რახმანინოვს, ვფიქრობდი ჩემთვის და კარცერში დაბრუნებული ვწრიალებდი.

შუალამით კარზე ბრახუნნი ავტეხე — თითქმის ყოველ ხუთ წუთში ტუალეტში გასვლას ვთხოულობდი, მუცლის აუტანელ ტკივილს ვუჩიოდი და მთელიჰაუპტვახტის ეგრეთ წოდებული ოფიცრები ხელში შევიკალი თავის ბადრაგთან ერთად. დილითჰოსპიტალში გადამიყვანეს იმის შესამოწმებლად, მართლა მქონდა თუ არა დიზინტერია.ჰოსპიტალი სამოთხესჰგავდაჰაუპტვახტთან შედარებით, გაკრიალებული კედლები, მოპრიალებული იატაკი, თეთრხალათიანი ემმაკურად მომღიმარი რუსის დაფითქინებული ქალები და რაღაცნაირი სიმშვიდე — ჰოსპიტალური სიმშვიდე, წამლების და საჭმელის სუნით გაჯერებული. ექიმს პოდპოლკოვნიკის ჩინიჰქონდა და სახეზეც რაიმე სისასტიკე არ ეხატა, მისმა კავკასიურმაჰაბიტუსმა იმედიანად განმაწყო. მივხვდი, რომ გამოცდილ ექიმს ვერ გავაცურებდი და ქართულად გამოლაპარაკება ვცადე. თბილისელი სომეხი გამოდგა, ქართულს ამტკრევდა, გავბედე და გულწრფელად მოვუყევი ყველაფერი, თან კაცურად შევებხეე, გადავერჩინე რახმანინოვის კლანჭებისაგან. პოდპოლკოვნიკმა მძიმედ გადააქნია თავი და უხმოდ დაიწყო რაღაც დოკუმენტის შევსება. ცოტა ხანში ბადრაგის ოფიცერმა შემოალაჯა და პოდპოლკოვნიკს რაღაცჰკითხა. სამხედრო ექიმმა აუცილებლად ჩათვალა ჩემიჰოსპიტალში დატოვება შემდეგი გამოკვლევისთვის — თან ისიც დაამატა — დიზინტერიაზე მეპარება ეჭვი და თქვენთან ამის ნამყოფ კარცერს და ტუალეტსაც სასწრაფო დეზინფექცია ესაჭიროებაო. ბადრაგი რომ უკან, უჩემოდ, კუდამომუხებული გაბრუნდა, პოდპოლკოვნიკმა თვალი ჩამიკრა და მითხრა: ახლა ათი დღე დაისვენეჰოსპიტალში — მერე ნაწილში დაბრუნდი და ჰკვიანად იყავი. ჩემს სიხარულს საზღვარი არჰქონდა, რომელიღაც პალატაში მომათავსეს, მანამდე აბანოში მიკრეს თავი, ქათქათა საცვლები მიბოძეს და ჩემს საწოლზე მიმითითეს. ასე დავიხსენი თავი მევიოლინემ რახმანინოვის ტყვეობისაგან. ემმაკობით მაინც ვაჯობე იმ იდიოტს. ისე,

კაცმა რომ თქვას, ამხელა მოგვარე რომ გყავს — კომპოზიტორ რახმანინოვს ვგულისხმობ, და შენთვის არაფერს ნიშნავს — მართლა რობოტი უნდა იყო. ეს თბილისელი სომეხი კი — სამხედრო ექიმი, ჯიგარი კაცი გამოდგა — გამსინჯა თუ არა, ეგრევე ქართულად მკითხა: საპონი ჭამოს, ბიჭო?! მეც არ დამიძალია, როგორც უკვე გითხარით ან რას დავმაღავდი — მთელი ლაბორატორია ამოწმებდა ე. წ. კალას.

ცოტა რომ მოვისვენე და აზრზე მოვედი — თეთრი პურით და კარაქით რომ გავთამამდი, ჟურნალ-გაზეთების კითხვითაც რომ თავს ვიქცევდი — დროდადრო ბუნებრივი სურვილებიც თავს უნებლიეთ მახსენებდა და ახალგაზრდა ექთნებსა და სანიტრებს არცთუ უშედეგოდ ვეკურკურებოდი. ჩემი აქტიური არშეყოფა პოდპოლკოვნიკმაც შენიშნა დაპოსპიტალიდან დროზე ადრე გამწერა ნაწილში.

ამ მოგონებებით დამთავრდა იმდამინდელი კომმარი, როცა მეგონა, რომ იმ ჯოჯოხეთში ისევ თავიდან მივყავდით. ძილი ვეღარ შევიბრუნე და დილამდე რომელიღაც ფირფიტას ვუსმენდი.

### ავტორისაგან

როგორც სიმონის მეზობლისგან შევიტყვე, ვისი ხელითაც მიგზავნიდა თავის ჩანაწერებს თითქმის კვირაში სამჯერ, იგი თურმე მხოლოდ რეპეტიციებსა და კონცერტებზე დადიოდა ქალაქში, დანარჩენ დროს კი სახლის ზემო სართულზე კი არა, სარდაფში ატარებდა, სადაც თითქმის მუდმივად ენთო ლამპა და ქალაღებში ჩაფლული გამუდმებით რაღაცას წერდა. მეზობლის გოგომ ბოლო ჩანაწერები რომ მომიტანა, დავინტერესდი და ვკითხე სიმონის ჯანმრთელობის ამბავი:

— კარგად არის, არა უშავს, — მიპასუხა ახალგაზრდა, მომხიბვლელმა გოგონამ, — ცოტა უცნაური კაცია, ისე კარგად არის — ხან ვიოლინოს უკრავს, ხან რაღაცას წერს, ცოლის შერთვაზე არც კი ფიქრობს. ამხელა სახლი გამოკეტილი აქვს და სარდაფშია ჩასახლებული. ასე ამბობს აქ თავს უკეთ ვგრძნობო.

— არაფერს გეუბნებათ?

— რა უნდა მითხრას? — შეიშმუნა გოგონა, — მანდ რამე წერია ჩემზე?!

— არა, არაფერი, ისე თუ გესაუბრება, მარტო ამ ქალაღებს გადმოგცემს და მეტი არაფერი?!

— კი, ზოგჯერ ორ სიტყვას ამოღერღავს. დღეს რატომღაც მითხრა: შენ შველივით გოგო კი არა, გოგონა-შველი ხარო, კიდევ ის მითხრა, რომ — იგი პითაგორელთა სკოლის ტრადიციებს აგრძელებს და რაღაც-რაღაცეები ეკრძალება, მაგრამ მე ვერაფერი გავიგე. ზედა სართულზე მხოლოდ მაშინ ამოდის, როცა მოსწავლეები მოაკითხავენ. სულ სამი მოსწავლეჰყავს, კონსერვატორიის სტუდენტები. ასე ამბობს: ეს სტუდენტები რომ არ მყავდეს და ორ გროშს არ მიხდიდნენ, შიმშილით სული ამომძვრებოდაო.

— სხვა არაფერი იცი სიმონზე ახალი?!

— კი, მაგრამ სალაპარაკოდ არ ღირს, თუ საჭირო იქნება თვითონ შეგატყობინებთ. გუშინ მშვენიერიჰკერბარიუმი მაჩუქა და რაღაც-რაღაცეებიც მაგრძნობინა. არ ვიცი, შეიძლება არც უნდა ვამბობდე თქვენთან, მაგრამ ისეთ პატივს გცემთ, ისე უყვარხართ, ძმად მიაჩნხართ და მეც მიტომ გავთამამდი. ისე, სერიოზული არაფერი მომხდარა, ისევ განმარტოებით ცხოვრობს და დროდადრო მესაუბრება. მე მომწონს სიმონის საუბარი, ძალიან საყვარელი და საინტერესო კაცია, მაგრამ მეტად უცნაური.

— ჯარის ამბებს შენთანაც იხსენებს?

— ზოგჯერ, ათასში ერთხელ, მაგრამ მე არ მაინტერესებს. ისიც ხვდება, რომ არ მაინტერესებს და თითქმის არ მიყვება.

— X-ის არსებობაზე გითხრა რამე?

— X-ის? — ეგ თქვენ საიდან იცით? X-ი ხომ მე მქვია, ასე დამარქვა, ისიც მითხრა, რომ ყოველ სახელს თავის კარმა აქვს, კარმა ხომ იცით რას ნიშნავს?

— დიახ, ცხადია!

— და X-ი იმიტომ შემარქვა, რომ კარმა შემეცვალოს, გადავსხვაფერდე.

— ჩემთან ისევ ჩანაწერები გამოგატანა?!

— არ ვიცი, ამ საქალაქდემია ყველაფერი, რაც გამომატანა. — ახალმა X-მა საქალაქდემი გამომიწოდა, ღიმილით დამემშვიდობა და წავიდა.

აქამდე სიმონის ცხოვრებაში ერთადერთი X-ი არსებობდა, ახლა, როგორც ჩანს, გამოჩნდა მეორე, მაგრამ ეგ ცოლის მომყვანი მაინც არაა. ახლა ამან დაიწყო ჰერმეტიკობის გასაჩუქრება? ახლა სიმონს უნდა ამ ახალი X-ის ცხოვრებაში შეჭრა თუ უკვე არ შეიჭრა. და თავის სიცოცხლის X-ში გაგრძელებას ცდილობს?! რა ამბავია ამდენი იქსები? იგრეკი მაინც დაერქმია. X-ი მეორე რომ გავიდა, ოთახში ფრანგული სუნამოს მძაფრი სუნი დატოვა. მართლა შველივით გოგოა. რა ბედი აქვს ამ კაცს, როგორ გოგოებს უყვარდება. მაგრამ ჩემთვის ცხადზე ცხადია, რომ სიმონი ვერც ამ გოგონა-შველში — როგორც თვითონ უწოდებს, იპოვის იმას, რასაც დაეძებს, რადგან იგი დაეძებს იმას, რაც ადამიანს, თუნდაც მშვენიერ ადამიანს, აღემატება და რაც მხოლოდ თეორიულად არსებობს ან თუ არსებობს, მხოლოდ მოკლე დროით და სამუდამოდ გახსომებს თავს. მუდმივი თანაცხოვრება ამის საშუალებას არ იძლევა. რეალური ხახუნი ცეცხლს კი აჩენს — ოღონდ არა ზეციურს. ამხელა კაცი ვერ მიმხვდარა, რომ შეუთავსებელს ვერ შეათავსებს, პლატონურისა და ბაკხური სიყვარულის თანაარსებობა, ალბათ, შეუძლებელია, ალბათ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მეც ბევრჯერ ვიღრმე ტვინი ამ პრობლემაზე ფიქრით.

სიმონის ახალი საქალაქდემი დევს ჩემს მაგიდაზე და ვგრძნობ, რომ ერთი სული მაქვს გავხსნა იგი და შევუდგე მისი ახალი აღმოჩენების კითხვას. იმასაც მივხვდი, რომ ამ კაცის არაორდინალურობაში, მწარე ცხოვრებაში, თუმცა არცთუ ისე მწარე ცხოვრებაში, რადგან ბევრსაც ეშმაკობდა, თანდათან ჩამითრია და მისი ლიტერატურული მონაცემებიც თანდათან ვირწმუნე. მუსიკოსის თვალით დახატული სამყარო და ამ სამყაროს მთლიანობის იდეა უძველესია და მომხიბლავი. სიმონის გამუდმებული განზე დგომა ყოფითი პრობლემებისაგან, ცოტა მაღიზიანებს კიდევ, რადგან თვითონ არ ვთაკილობ ათასი შავი საქმე გავაკეთო, თუმცა უხალისოდ, მაგრამ მაინც ვაკეთებ, და ეს არცაა გასაკვირი: მე იძულებული ვარ შვილებისთვის ვიზრუნო — სიმონი კი უცოლო კაცია, ყველა ოჯახური მოვალეობისგან თავისუფალი და ვერც გაამტყუნებ.

\*\*\*

ჩემი კომმარული სიზმრით, ალბათ, გადაგვალეთ, მაგრამ ვინმესთვის რომ არ მომეთხრო, ალბათ, შევიშლებოდი. ჩემი ცნობიერება, როგორც ვხვდები, საბჭოური საშინელების მსხვერპლია და მე დღესაც ვარსებობ, როგორც მსხვერპლი, რადგან მაშინდელმა მუდმივმა დაპირისპირებამ ისე გადამღალა, რომ ნერვები მთლად მწყობრში არა მაქვს. თუმცა თქვენ ეს არ გესწავლება, უარესი დღეები გაქვთ გავლილი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის ფარული თუ გამოჩენილი დისიდენტები, კომუნისტებს რომ ებრძოდნენ, იშვიათი გამონაკლისის გარდა

(ჰაველი), პოლიტიკაში ვერ გამოდგებიან, რომ ვერ გამოდგებიან ამის მაგალითებიც არსებობს. დარღვეული ფსიქიკის მქონე ადამიანი სახელმწიფოს ვერ მართავს, მით უმეტეს იმ სახელმწიფოს, რომელიც მომავალში უნდა გახდეს სახელმწიფო და მთელ ამ ურთულეს პროცესებს — რკინის ნერვები, თვალთმაქცობის ნიჭი, ადამიანთა ადვილად გაწირვისა და პიროვნებათა დროზე გამოგონების უნარი ესაჭიროება. გარდა ამისა, მარადიული ცვალებადობა ვითარების შესაბამისად, პოლიტიკოსის უპირველესი ნიჭი უნდა იყოს და მას უნდა შეეძლოს ნებისმიერი ჭუჭყრუტანიდან გამომდინარე. სიმართლის თქმა მწერლის საქმეა და არა პოლიტიკოსის. სიმართლე ხალხს სჭირდება და არა პოლიტიკოსს, რადგანაც სახალხო სიმართლე, საყოველთაო სიმართლე, სახელმწიფოს მართვაში არ გამოდგება. სახელმწიფოს მართავს ის სიმართლე, რომელიც დიპლომატიურად წარმოთქმული წინადადების ქვეტექსტში სულ ცოტა სამნაირად მაინც იკითხება, ნაჯახივით სიმართლე ბრბოს უნდა და ამ ნაჯახივით სიმართლის მქადაგებლებმაც იციან, ამას იმიტომ სჩადიან, რომ ოდესმე არჩევნებში გაიმარჯვონ და ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ.

მწერლის სიმართლე სხვა სიმართლეა — იგი მუდამ პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე მაღლა უნდა იდგეს. ნამდვილი მწერლობა ყოველთვის ინარჩუნებს ასეთ ზეგავლენას. მისი რიდი მიტომ შემორჩათ დღემდე ჰკვიან პოლიტიკოსებს.

რალა ბევრი გავაგრძელო და მე უარი ვთქვი ყოველგვარ პოლიტიკაზე და საქმეს ვაკეთებ, ვიდრე მაშინ, როცა პოლიტიკაზე ვცბედობ, მაგრამ რადგან ეს ქვეყანა ისე არაა მოწყობილი და საერთოდ, არც ერთი ქვეყანა ისე არაა მოწყობილი, რომ სრულად გამოეთიშო საზოგადოებას და ტოროსავით იცხოვრო ქოხში, უოლდენის ტყეში, განდევილივით განმარტოვდე ან პითაგორელივით (ნაწილობრივ ჩემს თავს ვგულისხმობ) ჩამკრე მიწურში და დღის სინათლეზე არ გამოხვიდე, ცხადია, ამიტომ, პოლიტიკა მეც მეხება თავის საცეცებით, სხვებზე ნაკლებად, მაგრამ მაინც მეხება.

თქვენ მოგეხსენებათ ჩემი კარჩაკეტილი ცხოვრების ამბავი. შენობით არ მოგმართავთ და მეცხრამეტე საუკუნის სტილს განგებ ვინარჩუნებ, სიმართლე გითხრათ, ყველაზე მეტად საკუთარი სიმყუდროვის დარღვევის მეშინია. როგორც ადრე გაიმბობდით, რამდენიმე წელი მოვუნდი X-ის გამოგლოვებას. არ ვიქნები მართალი, თუკი არ გაგიმხელთ, რომ მთლიანად არც ახლა ამომიგდია გულიდან, მაგრამ ეს პრობლემა ისე ძლიერ აღარ მაწუხებს, სადღაც გულის კუნჭულშია ჩამარხული და არის თავისთვის. მაგრამ ერთ მძიმე პრობლემას მაინც წავაწყდი. ჩემს მარტოობაში თანდათან შემოაღწია ერთმა გოგონამ, რომელიც მეხუთეკურსელია უნივერსიტეტში და ისე ჩუმად დაიკავა თავისი ადგილი, როგორც გარდაუვალმა აუცილებელმა პაუზამ და მე ვგრძნობ, რომ თანდათან მიჩნდება სურვილი ამ პაუზის გახანგრძლივებისა — წარმოიდგინეთ პაუზა, რომელსაც ფერმატოს ნიშანი ამშვენებს. ამ პაუზის სარკმლიდან სიცოცხლის ისეთი ნაკადი შემოდის ჩემში, რომ მიჭირს თავის შეკავება, არც ტოლსტოის ერთი მოთხრობის პერსონაჟივით არ მინდა თითი მოვიჭრა და ტკივილით დავიოკო თავი. თვითონ მოდის, თავის ფეხით მოდის, მთხოვს მისმინოს, მესაუბროს, ოთახი დამილაგოს, თან ამასაც დიდი მწვანე თვალეები აქვს, მაცდურად სულ არ იყურება, უფრო გოგონა-შველია, შესახედავად უფრო ცისაა, ვიდრე მიწის, მაგრამ მისი ენერგეტიკული ველი — ისე მძლავრია, რომ შემომხედავს თუ არა — სისხლს მიჩქროლებს და ასე მეჩვენება, რომ ჩემი უარყოფილი ცხოვრება — საკუთარი თავის უარყოფა უფრო იყო, ვიდრე ახალი სიცოცხლის დაწყება, რადგან აქ, ჩემს ახლოს, სიცოცხლეში, თითქმის ყველაფერია, თითქმის, რაც კი მე მიყვარს და მომესურვება, გარდა ერთისა, რომლის ჩაკვლასაც შევალეი წლები. ეს გოგონა არის X №2, ალბათ, გიკვირთ, სახელი რომ არ გამოვუძებნე ან თავის ნამდვილი სახელით

რომ არ მოვიხსენიე. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ქალი, რაც არ უნდა პრიმიტიული იყოს, იგი ბოლომდე ამოუცნობი რჩება, ჩვენ მხოლოდ ვიქმნით ილუზიას, რომ მთლიანად შევიცანით, მაგრამ არა, ტყუილია. გაგიკვირდებათ, მაგრამ X-1-ის წინაშე დამნაშავედაც კი ვიგრძენი თავი, რომ ხუთწლიანი ერთგულების მერე ვილაც მომეწონა და ფიქრში რაღაც დავაპირე. დანაშაულის გრძნობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ X №2-ს ორი დღე კარს არ ვუღებდი და თან ვცდილობდი ქალბატონ X №1-ს ტელეფონით დავკავშირებოდი. ისე მომენატრა მისი ხმის გაგონება, ისე, რომ არც მის ქმარს მოვერიდე — (ქმარმა ჩემს შესახებ ყველაფერი იცოდა), სინდისზეც ხელი ავიღე და შინ დავურეკე. კიდევ კარგი არავინ მიპასუხა. ერთი მაგის მონატრებაც... ვიგინებოდი გულში და რატომღაც მეორე სართულზე დავალაჯებდი — სასტუმრო ოთახში, სადაც ტელეფონი მიდგას და სადაც კარგა ხანია არ ავსულვარ.

X №2-ს სახლში დავურეკე. მალე მოვალო, ხმაზე ეტყობოდა, გაუხარდა. ვიდრე იგი მოვიდოდა — ისევ სასტუმრო ოთახში დავაბიჯებდი, ვღელავდი და მოუსვენრად ვწრიალებდი.

ჩემი მტერი საკუთარ ქმედებათა, ფიქრთა გამუდმებული თვითანალიზია. ასე ხომ შეიძლება შეიშალოს ადამიანი. ხომ არ შეიძლება სულ ჩართული იყოს მაკონტროლებელი თვალი, ჩუმად რომ გიჭვრიტინოს და თავისუფლად განძრევის საშუალებას არ გაძლევდეს, ან საერთოდ, გრძნობის ჩაკვლა რატომღაც აუცილებელი? პითაგორელთა ლეგენდებიდანაც კი ცნობილია, რომ ხშირად არ უნდა მიმართო ამ საქმეს, თორემ სამუდამოდ ჩაიკალიო, არავის უსწავლებია. ცოლის შერთვაც არც ერთ რელიგიას არ აუკრძალავს არავისთვის, მეტადრე ჩვეულებრივი მოქალაქისთვის. ან რომელი პითაგორელი მე ვარ ან ტიბეტელი ლამა, ქრისტიანი ბერი ან დერვიში?!

ყველაფერი ტვინში ამელუფხა — რელიგიები, ფილოსოფიები — ათასი სისულელეები. ბოლო სიტყვებმა დამაფრთხო, რადგან ღრმად მწამს, რომ სიტყვებს უკუქმედების მისტიკური ძალა გააჩნია და დავდუმდი. „მამაო ჩვენო“ ისე წავიჩურჩულე, ყოველი სიტყვა, სწორედ რომ სულისმიერი იყო და დავმშვიდდი. აღარაფერზე ვფიქრობდი, ვიჯექი სავარძელში გაუნძრევლად და საკუთარ სიღრმეში ვიძირებოდი. არა, X №2-ს სახელი უნდა შევუცვალო; პაუზა — გენიალური სახელია, პაუზაც ხომ ამოუცნობი დუმილია, მაგრამ მისი ხანდახან გამეორება თუ შესრულება აუცილებელია, მისი ჩაკვლა არ შეიძლება, მისი ჩაკვლა თანდათანობითი თვითმკვლელობაა, მეტი არაფერი.

ცოტა ხანში პაუზაც მოვიდა, პაუზა ანუ X №2, მისი ნამდვილი სახელი არ მინდა გავიმეორო, რადგან მწამს, რომ ეს მხოლოდ ხელს შეუშლის ჩვენს ბუნებრივ თანაარსებობას. რაც არ უნდა დავუახლოვდეთ ერთიმეორეს, ბოლომდე მაინც უცხოები დავრჩებით და ერთმანეთსაც სწორედ იმიტომ დავეძებთ და ვპოულობთ კიდევ, რომ ეს მტანჯველი უცხოობა, უფრო სწორად რომ ვთქვა: ერთმანეთის ამოუცნობლობა ან ნაწილობრივი შეცნობა, რომელიც უფრო მეტ კითხვებს ბადებს — ისევ უცვლელად დარჩეს, როგორც იგი რჩება ნებისმიერი სიახლოვის შემდეგ. დაფარულთან მიახლოების ცდა ყოველთვის შეიცავს თავის თავში თამაშის ელემენტს, თამაში კი აღსავსეა მოულოდნელობით, იმ ველის მიმზიდველობით თუ მიზიდულობით, თანდათანობით სიახლოვეს რომ ახასიათებს.

პაუზა რატომღაც ჩურჩულით მომესალმა, მეც ფეხზე წამოვუდექი და სკამი შევთავაზე. ჩვენს შორის დარღვეული იყო რაღაც ზღვარი, რომლის გადალახვა თავიდან ყოველთვის ჭირს, მაგრამ დღეს, ამ წუთში, იგი ისე მიმზიდველი დაჰაეროვანი მომეჩვენა, რომ ჩვეული გამბედაობა, მე რომ გამაჩნდა ასეთ საქმეებში,

გამიქრა და ზოგადსაკაცობრიო თემებზე სასაუბროდ განვეწყვე. თითქმის ნახევარი საათი ვილაპარაკე იმაზე, რომ ზედაპირულ ცხოვრებაში (არ ვიცი, პაუზას ესმოდა თუ არა რას ვგულისხმობდი ზედაპირულ ცხოვრებაში), მთავარია მიზნის არჩევა, გადაწყვეტილების მიღება და ქმედება. იგი დიდხანს მისმენდა გულდასმით, თუმცა მისი გაკვირვებული თვალები მაგრძნობინებდნენ იმას, რომ მე ჩემივე ლაპარაკით, ზედმეტი ყბედობით უარყოფდი „ქმედების“ თეორიას და განვაგრძობდი იმის თეორიულ მტკიცებას, რისი პრაქტიკული განხორციელებაც იყო საჭირო. მერე ერთხანს დუმილი ჩამოვარდა — სამარისებული დუმილი, მე წიგნის თაროებს შევყურებდი უაზროდ, მერე თანდათან ვიგრძენი — როგორ შევადწინე ჩემთვისვე უცნობი რაღაც ძალით თუ შინაგანი თვალის საშუალებით რომელიღაც წიგნის, რომელიღაც გვერდზე — სადაც ეწერა, რომ მოხუც მხატვარს, ბავშვები ქვებით დასდევდნენ ქუჩაში, როგორც მაწანწალას და უპატრონოს და მხატვარზე მეტად შემეცოდნენ ის ბავშვები, რომლებიც ცხადია, დღეს ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ მათი შთამომავლობა უეჭველად იტანჯება, ალბათ, — ბავშვი-წინაპრების ამგვარი საქციელის გამო. ის გენიალური მხატვარი, ფერების შემგროვებელი, მშვენიერების მაძიებელი — შემთხვევით არ იქცა დაცინვის, დამცირების და შეურაცხყოფის ობიექტად. უცნაურია, მაგრამ ბავშვებშიც კი გაუცნობიერებლად ჩაბუდებულია ზიზღი და აგრესია — ამაღლებულისა და გამორჩეულის მიმართ, შეუცნობლის და რაღაცით სხვებზე აღმატებული მშვენიერების მიმართ. ტყუილად კი არ ესხმიან თავს მანიაკებად ჩამოყალიბებული ტიპები რემბრანდტის „დანაეს“ ან ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“, — ტყუილად კი არ ამტვრევენ ტოტებს ახალდარგულ ხეებს, ნახევრად დაბურულ გარეუბნებში და თავგამოდებით ჩხაპნიან უძველეს ფრესკებს საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად.

დიახ, არსებობს უამრავი ფსიქოლოგიური თუ სოციალ-პოლიტიკური მიზეზი — აგრესიისა და ზიზღის გამომწვევი პოეზიის, მუსიკის, ფერწერის, საერთოდ, ბუნების მიმართ, რაც ადამიანების უღმერთობაში გამოიხატება და თვითონვე ხდებიან თავიანთი აგრესიის მსხვერპლნი თანდათან, წლების განმავლობაში, ნაბიჯ-ნაბიჯ — მაგრამ მათი ცვლა არ იგვიანებს და ისინი თავიდან მოდიან, ევლინებიან ამ ქვეყანას იმ ოჯახებიდან, რომელთა უმრავლესობაც განწირულია მემკვიდრეობითი აგრესიისა და თვითგანადგურებისათვის, პოპულაციისა და ნგრევისთვის, გაუნათლებლობისა და დროის კვლისთვის. დაუკვირდით ამ საბრალო ადამიანებს, უღვთოდ დარჩენილ არსებებს — მთელი სიცოცხლე რომ გაჰყავთ ლოთობასა და დომინოს თამაშში, ამ დაკარგულ ტიპებს რომელთა წინაპრებიც, სხვას არას აკეთებდნენ იმის მეტს, რომ აბუჩად აეგდოთ დონ-კიხოტი, მოეკლათ ილია და გარსია ლორკა, დაენგრიათ საკუთარი ეკლესია-მონასტრები, ახლა ფრესკებს მისდგომიან და ჩხაპნიან, ახლა ტყეებს მისდგომიან და კაფავენ, საკუთარ ქვეყანას მისდგომიან და პირწმინდად თურქეთში გააქვთ. ამ პუბლიცისტურმა ნაკადმა, ჩემმა მონოლოგმა, თაროზე გამორჩეულად შემოდებულ წიგნებს რომ გამოემა და გაგრძელდა რეზინივით — პაუზა მეტად გააკვირვა და მკითხა:

— რაზე ფიქრობდით, ბატონო სიმონ?! — მე ვიგრძენი, რომ „ბატონო“, ამ წინადადებაში პირობითად ჟღერდა და ისე მომინდა, ისე მომენატრა გულში ჩამეკრა ეს X-ის მაგვარი გოგო, რომ აღარ მოვერიდე არაფერს, უპირველეს ყოვლისა — საკუთარ მეორე მეს, მუდამ კრიტიკული თვალთ რომ მიყურებდა, მივუახლოვდი პაუზას — ჯერ თავზე ხელი გადავუსვი, მერე შუბლზე ვაკოცე და პაუზასთან ყოფნა ისე გამიხანგრძლივდა, რომ ვერც კი შევნიშნე, როგორ გადამავიწყდა ყველაფერი, რაც ხელს მიშლიდა, რაც ჩემს გონებაში არსებობდა და მამუხრუჭებდა. ის საღამო



ზღაპარს უფრო ჰგავდა, ვიდრე რეალობას, მე დროდადრო მერეოდა ერთმანეთში ვიოლინო და პაუზა — თეთრი — მწვანეთვალეებიანი გოგო, რომელიც ვიოლინოს მაგვარ ბგერებს გამოსცემდა დროდადრო და გაწვდილი გრძელი თითებით, თითქოს რაღაცას ეძებდაჰაერში, ალბათ იმ თრთოლვის სათავეს, რომლის მოხელთებაც დღემდე ვერავინ შეძლო და რის გამოც მეორდებოდა ყოველი ცდუნება ბუნებრივად და უსიტყვო თანხმობით.

ნუ გაგიკვირდებათ ჩემი ქარაფშუტული საქციელი, მაგრამ რაც მოხდა უკვე იმის დასაწყისი იყო, რისიც ყოველთვის მეშინოდა. X-თან განშორების მერე თავს ვარიდებდი რაიმე სერიოზული ურთიერთობა წამომეწყო რომელიმე ქალთან და ისევ იმედი არ გამცრუებოდა საკუთარი ახირებული შეგრძნებების თუ ხასიათის გამო.

ის მაინც მოხდა, რისიც მეშინოდა. სიყვარული ჩემთვის უსაზღვრო თავისუფლებას და ბედნიერებას ნიშნავს, მაგრამ წინასწარვე დავიწყე ფიქრი იმ ყოფით ერთფეროვნებასა და მოსაბეზრებელ წვრილმანზე, რითაც სასიყვარულო თავისუფლება თანდათან ხაფანგს ემსგავსება და მე, სიმონი, თანახმა ვარ ყველაფერი დავკარგო, ოღონდ ამ ხაფანგში არ გავება. მაგრამ ერთი რამ კი ცხადი იყო ჩემთვის — ვერ შეველეოდი პაუზას — ვიდრე ბოლომდე არ მოვიბეზრებდი. ამ სიყვარულის დასასრული თითქოს წინასწარვე იყო ცნობილი ჩემთვის, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ჩემივე ფეხით მივდიოდი იქითკენ, საიდანაც ძნელი იქნებოდა თავის დაღწევა.

მარტო რომ დავრჩი, ჩუმი სიხარული ვიგრძენი. მარტოობა ჩემი ბუნებრივი მდგომარეობაა. ვიოლინოზე წავიმეცადინე და ისევ ჩემს ჩანაწერებს დავუბრუნდი. თანდათან ვგრძნობდი, რომ თუმცა უმუსიკოდ არ შემეძლო არსებობა, მაგრამ მხოლოდ მუსიკა საკმარისი არ იყო ჩემთვის და ახლა უკვე სიტყვებში შეღწევას, სიტყვებად გადაქცევას ვცდილობდი — არა, ისეთ ჩვეულებრივ სიტყვებად კი არა, ყოველდღე რომ გაისმის რადიოსა და ტელევიზორში, ქუჩაში, მეტროში, კრებებზე, მიტინგებზე — არა და არა. ეს სხვა სიტყვებია, სულ სხვა სიტყვები, სულიდან რომ ამოჰყავთ რაღაც ნივთიერი, ამოჰყავთ და რეალობად აქცევენ, ახალ სინამდვილეს ქმნიან, რომელიც სუნთქავს, ფეთქავს, ახალშობილი ბავშვივით ლოლიავს და მოვლას საჭიროებს, და მე სიგიჟემდე მიყვარს მათი ფუსფუსი, მათი ურთიერთკავშირით შექმნილი ბიოველის უხილავი და მთრთოლვარე ქსოვილი და ცხოვრება, ყოველდღიური ყოფა ჩემთვის თანდათან კარგავს აზრს.

მე არ ვიცი წინა ცხოვრებაში ვინ ვიყავი, ან ვინ ვიქნები მომავალ ცხოვრებაში. გამოგიტყდებით, რომ სულთა გადასახლებისა მწამს და ამაზე ხმამაღლა საუბარს ვერიდები. ტოლსტოის ხომ სწამდა, რომ წინარე ცხოვრებაში იგი სოკრატე იყო, ხოლო შემდგომში იგი ჯარისკაცად მოევლინებოდა რუსეთს XX საუკუნის მიწურულს და ჩინელების შემოტევისაგან დაიცავდა რუსეთს. აღმოსავლეთის ტომთა, კერძოდ, მონგოლოიდების ექსპანსიასა და მსოფლიოზე შურისძიების საშიშროებას გრძნობდა ვლადიმერ სოლოვიოვი თავის „პანმონგოლიზმში“, — რომელიც შენ თარგმნე, როგორც მახსოვს და ბლოკიც მიტომ იყენებს ეპიგრაფად სოლოვიოვის „პანმონგოლიზმიდან“ ორსტრიქონედს თავის „სკვითებში“. ბორხესი არ ამტკიცებს, მაგრამ ლამის ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ომარ ხაიამის ინგლისურ ენაზე მთარგმნელი ედვარდ ფიცჯერალდი, წინარე ცხოვრებაში, ალბათ, ომარ ხაიამი იყო თორემ, ასე ნამდვილად ვერ ჩაწვდებოდა და ვერ თარგმნიდა დიდი სპარსელის რობაიებს... რაც უფრო ღრმად შედის ადამიანი დიდი წიგნების სამყაროში, იქიდან დროდადრო ამოყვინთავს და უბრუნდება ცხოვრებისეულ ზედაპირს, უფრო მგრძნობიარე ხდება მისი სული და ეს იმით გამოიხატება, რომ ასეთი ადამიანი თითქოს გამჭოლად ხედავს ყველას, ცხოვრებისეული ფუსფუსით დაკავებული

ადამიანები მისთვის იმდენად გამჭვირვალეა, იმდენად გამჭვირვალე, რომ მას არ უჭირს ამოიკნოს მათი პრიმიტიული სწრაფვანი — ორიოდ წინადადებაში გამომჟღავნებული სურვილები და მსოფლადქმა — თუ კი გააჩნია საერთოდ. ალბათ, ამიტომ ამბობდა პოლ ვალერი: ხმის ტემბრით შემოდის ადამიანი ვიცნო. ისინი ვერც კი გრძნობენ, როგორ ამხელენ საკუთარ თავს გამომეტყველებით, ჟესტიკულაციით, ორიოდ სიტყვით, უბრალო მოძრაობითაც კი. მე ზოგჯერ ნათლად ვხედავ რა ხდება ამ ყრუ კედლის იქით. საგნებსაც კი ვამჩნევ და მათი სიჩუმეც თითქოს მოჟონავს კარგად შებათქაშებული ბეტონის ფილიდან, უპატრონოდ მიტოვებულ ბგერებს, ჰაერში რომ განბნეულან და ჩემში გროვდებიან უნებლიეთ, რათა სიტყვა შეჰკრან, სიტყვა, მერე რომ სხვას გამოიხმობს და ამ გზით შემოდის ჩემში მთელი კოსმოსი თავის უხილავი თუ ხილული თრთოლვით, ამოუხსნელი თუ ალღოთი მიკვლეული შეგრძნებებით — და ეს ყველაფერი ჩემში გროვდება, გროვდება, გროვდება და მე ვივსები იმ უდიდესი და დაუსაბამო ენერგიით, რომლისგანაც უეჭველად უნდა გავთავისუფლდე. — მე მიყვარს თავისუფლება, მეტადრე მაშინ, როცა უმართავი და ამოუწურავი ენერგისგან ვთავისუფლდები, როცა ვიწერ ჩემს განცდებს, როცა ვიოლინოს ვუკრავ და მაშინაც, როცა ვიოლინო და პაუზა ერთმანეთში მერევა. მაგრამ განა უკვალოდ იკარგება რომელიმე განთავისუფლება, იგი თავს მახსენებს დროდადრო, გადამეზრდება ჩვევაში და ყალიბდება ჩემში ცხოვრების წესი, თავის ნებაზე რომ დამატარებს. თანდათან მავსებს და მცლის, აღმავსებს და მაცარიელებს, როგორც ჭურჭელს და ამასჰქვია სიცოცხლე, ცხოვრებისაგან რომ მკაფიოდ განსხვავდება. მაგრამ განა შეიძლება გამუდმებით ასე გაგრძელდეს ან როდემდე გაგრძელდება?! ან შეიძლება იმაზე ფიქრი, რაც სამუდამოდ დაფარულია და არასოდეს გამომჟღავნდება?!

ახლა ვზივარ ჩემს სარდაფში, კარგად ვამჩნევ, რომ უფრო ვრცელი ქსელი მოვქსოვე, ვიდრე იმ ობობამ — ჩემთან ერთად რომ თანაცხოვრობს და ისიც ჩემსავით განაგრძობს თავის საქმეს.

ფლაჟოლეტი ყოველთვის X-ს მახსენებს, არ ვიცი რატომ, მაგრამ ბგერათა ამ შეხამებას X-ის სურნელი მოაქვს ჩემამდე. დავივიწყე, მაგრამ მაინც ვერ დავივიწყე. უარვყავი, მაგრამ მაინც ვერ უარვყავი. მოგონებების რაღაც ძაფებით მაინც მიბმული ვარ წარსულზე, მარადიულ მდევარზე, რომელსაც მინდა მოვწყდე და ვერ ვახერხებ. ახლაც ჩუმად ამოვაცურე ძველი დღიურები. გადავიკითხე, ისევ შემრცხვა საკუთარი თავის, მაგრამ მაინც გადავწყვიტე ამომეწერა ზოგიერთი ნაწყვეტი და თქვენთვის გამეცნო. იქნებ თქვენ მაინც მირჩიოთ რამე. მე ხომ კარგად მესმის, რომ პაუზაში ვეძებ X-ს, ე. ი. ვცდილობ ერთი და იგივე წყალში ორჯერ შევიდე, ვცდილობ, ვაჯობო კანონზომიერებას, ვცდილობ, არ დავუჯერო ამ კანონზომიერებას ან უბრალოდ X-ი დავტოვო იქ, სადაც გულის კუნჭულში, შევეგუო იმას, რომ ხანდახან თავს შემახსენებს ფლაჟოლეტის გაგონებისას — ან პიჩიკატოს მოკვეცილი თანახმიერებისას, შევეგუო, რომ მერე ისევ მიმავიწყდება, ამასობაში პაუზა გაახანგრძლივებს უიქსობას, მერე ისევ უნდა გავიდე აივანზე, გადავხედო ბაღს, სადაც ყოველ ნაბიჯზეჰყვავის X-ის დარგული ყვავილები, როგორც იმ ბრწყინვალე წუთების ხილული გამოვლენა, ადრე რომ იყო, იყო — და აღარ დაბრუნდება. ისინი ახლა უკვე თავისით ითესებიან მიწაში, თვითონვე მრავლდებიან, ამოდიან და გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე თავს მახსენებენ.

მახსოვს თქვენი ბარათი — X №2-ს, ანუ პაუზას რომ გამოატანეთ, თქვენ ასე მწერდით: „მრავალ სურვილს შორის, ჩემო სიმონ, ერთი უმთავრესი უნდა აირჩიო, წარსული შენში იცხოვრებს მუდამ და არსად არ წავა, საბოლოოდ და უკვალოდ არ

გაქრება. თუ ცხოვრების გაგრძელებას აპირებთ, და მე გირჩევთ, რომ ასე გადაწყვიტოთ, წარსულში აღარ უნდა იცხოვროთ საკუთარი წარმოსახვებით, რითაც მეტად დაჯილდოებული ხართ, არ უნდა გამოიხმოთ და არ უნდა განაახლოთ ძველი ტკივილი, წარსულს თუ დაემორჩილეთ, დაილუპებით, თქვენს საშემსრულებლო ხელოვნებაშიც ხელი შეგეშლება და ნამდვილ სიყვარულსაც ვერასოდეს მიაგნებთ, მით უმეტეს თუ თქვენ მოინდომებთ ადამიანური სიყვარულის ორ, მიწიერ და ზეციურ კატეგორიებად დაყოფას. თქვენ ხომ აღიარებთ სამყაროს მთლიანობას და განუყოფლობას, ხომ გწამთ, რომ უმიზეზოდ არც ერთი ბგერა არ იბადება და უკვალოდ წვეთიც არ ქრება ამ სამყაროში, რომ ყველაფერი და ყოველივე, მათ შორის ჩვენც, ამ მარადიული წრებრუნვის ნამცეცები ვართ და ჩვენი მეტამორფოზა დაუსრულებელი პროცესია. სულიერ და სხეულებრივ დაყოფას ერთხანს უნდა შეეშვათ, რათა თავი იგრძნოთ სავსე, მთლიან არსებად, რომელიც მართალია, უფრო სულიერი წვდომისაკენაა მიდრეკილი, ვიდრე ფიზიკური ქმედებისკენ, მაგრამ ისიც უნდა აღიაროთ, რომ არ შეგიძლიათ საკუთარ თავში ჩაკლათ, როგორც თქვენ უწოდებთ — ბაკხური გრძნობები, რინდული განცდების სურვილი და რადგან არ შეგიძლიათ, თავს ნუ იტანჯავთ, ნუ გგონიათ, რომ თვითგვემით, პითაგორელთა სკოლაზე აქამდე ძლივს მოღწეული ლეგენდის ერთგულებით, რაიმეს მიაღწევთ, გარდა თვითგანადგურებისა.

ასე რომ, არჩევანი უნდა გააკეთოთ. X-ი უკვე გათხოვილი ქალია, ჰყავს შვილი და ქმარი. X-ი თავიდან ფეხებამდე ყვითელ ჟურნალისტიკაშია გადაშვებული. შენგანვე ვიცი, რომ იგი გათხოვდა იმიტომ, რომ გათხოვილიყო და პირველივე ვარიანტი ხელიდან არ გაუშვა. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ X-ს დღესაც უყვარდე, ამის საბაბს ისიც მაძლევს, რომ ხანდახან ჩემთან რეკავს და შენს ამბებს მეკითხება. იქნებ ამას არც უნდა გიმხელდე, მაგრამ გიმხელ იმიტომ, რომ ვიცი, მიტოვებულად თვლი თავს. სინამდვილეში შენ არავის მიუტოვებია. შენ დატოვე იგი ბუნდოვანებაში, უპერსპექტივო მომავალს უაზროდ მიუგდე, გოგო, რომელიც შენზე უმცროსი იყო ოცდასამი წლით და რომელსაც გათხოვების ბუნებრივი სურვილი გააჩნდა. ისიც ადგა და იმას გაჰყვა, ვინც წაიყვანა. შენ კი გასურდა მთელი ცხოვრება შენთვის ელოლიავებინა, შენი მუსიკის და ოპუსების ერთგული ყოფილიყო, რომელიც თავისთავად, ჩემთვის, და არა მხოლოდ ჩემთვის, მნიშვნელოვან სულიერ ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ ვერავის დაავალდებულებ თავი შესწიროს შენს ხელოვნებას, მაშინაც კი პაგანინიზე მეტიც რომ იყო. შენ X-ი მხოლოდ მაშინ გინდოდა, როცა გაგახსენდებოდა, თუ არ გჭირდებოდა, მისი არსებობაც აღარ გახსოვდა და შენი თვითშეწირვა მხოლოდ მუსიკის სფეროში იჩენდა თავს, X-ი კი გარეგნული ბიძგი იყო, აუცილებელი სივრცე, მუდამ რომ შენს სიახლოვეს უნდა ყოფილიყო მორჩილად, მდუმარედ და შენი ახირებები ეთმინა. ასე რომ, იგი შენგან კი არ წავიდა, შენ იგი აიძულე წასულიყო, რათა თავისი თავი ეპოვნა. შენ არც კი იცი პირველი შვილი X-ს მკვდარი გაუჩნდა. ამ უბედურებას საკუთარ ცოდვებს აბრალებდა, იტანჯებოდა. მე რამდენჯერმე დამირეკა და მითხრა: სიყვარული რომ უარყვავი, იმიტომ დავისაჯეო!

შენც ისჯები ახლა, ისჯები იმით, რომ საკუთარ თავს იტანჯავ და გამოსავალი ვერ გიპოვნია. გამოსავალი კი ერთადერთი არსებობს, უამრავ სურვილს შორის — აირჩიო მთავარი და ერთადერთი — და გააგრძელო ცხოვრება. შენ იმას ვერ აღმოაჩენ, რაც მარადის დაფარულია. თუმცა შენი ცდები საერთოდ წვდომის, დაფარულში ჩაღწევის თვალსაზრისით, ჩემთვის მეტად გამაოგნებელია და ვთვლი, რომ ეს თამაში თუ ცხოვრების ამგვარი წესი, მეტად სახიფათოა და მეშინია მთელი სამუსიკო

ენერგია შენმა მედიტაციურმა ცდებმა არ შეიწირონ ან იქით არ განავითარონ, როცა ყოფაზე, საერთოდ ცხოვრებაზე ამბობენ უარს და საკუთარ სულში გარინდებას ამჯობინებენ. ეს მეტად რთული გზაა და თუ ასე გადაწყვიტე, ყველაფერი უნდა დათმო — ვიოლინოც, სამსახურიც, ჩანაფიქრებიც, პაუზაც, X-ის ხსოვნაც და ყველაფერ ამაზე მაღლა უნდა დადგე, მანამ კი ვიდრე წარსული გტანჯავს, ხოლო აწმყოს — ამ მშვენიერ პაუზას — (გამოგიტყდები და ამ სახელზე მეცინება), ორჭოფულად, როგორც დამხმარე საშუალებას, ისე უყურებ, არაფერი გამოგივა. ასე რომ, არჩევანი შენ უნდა გააკეთო, არა ყველაფერსა და არაფერს შორის, არამედ მრავალი სურვილიდან ერთი უნდა ამოირჩიო, ერთი და უმთავრესი — მუსიკა უპირველეს ყოვლისა და ამავე დროს ცოლიც შეირთო, მოემზა გამოგონილ პრობლემას, რომ ოჯახი ხელს შეგიშლის თავისუფალ შემოქმედებაში. მე მგონი თვითონაც კარგად გახსოვს რამდენი შვილიჰყავდა ბახს, გენიალური ნაწარმოებების შექმნაში მისთვის შვილებს ხელი არ შეუშლია. შენ, უბრალოდ თავის შეწუხების გეშინია. საკუთარი ეგოს მორჩილი ხარ და გინდა, რომ შენ ეგოს მორჩილებდეს X-იც და პაუზაც. აი, სად იმალება შენი შეცდომა. სიტყვიერად კი აღიარებ სამყაროს მთლიანობას, განუყოფელს, დაუსაბამო კრისტალს, მარადცვალებადს დაჰარმონიულს, მაგრამ სინამდვილეში საკუთარ თავს აქუცმაცებ. როცა ეგოს ემორჩილები და, პრაქტიკულად, მთლიანად წყდები იმ უსასრულო მთელს, რომლის ნაწილიც შენ ხარ და თვითგვემაში ჩაფლულს, დროდადრო თუ გახსენდება ის ბედნიერება, რომელსაც განიჭებს ბუნებრივი აღრევა ვიოლინოსა და პაუზას შორის, როცა ვიოლინოს ბგერებს არა მხოლოდ სიმები, შენი ვნებები, უფრო სწორად შენი სული გამოსცემს. მე მიკვირს, რატომ ამბობ უარს ოჯახის შექმნაზე, რატომ არ ამზადებ დამოუკიდებელ პროგრამას სოლოკონცერტისათვის ან რატომ არ გადადიხარ კვარტეტში, სადაც დიდი ხანია გიხმობენ. ასე რომ, გააკეთე არჩევანი, მრავალი სურვილიდან აირჩიე ერთი, უმთავრესი, ასე უფრო დაუბრუნდები იმ მთლიანობას, სამართლიანად რომ აღიარებ სიტყვიერად, მაგრამ საქმით კი უარყოფ.

რამდენი წლით უმცროსია პაუზა შენზე?! თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს. ამასაც თუ დაკარგავ, მერე ვერაფერს იპოვნი, გარდა მარტოსული სიბერისა. ჩვენ ხომ ტოლები ვართ“.

\*\*\*

მიუხედავად იმისა, რომ მე თქვენს გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება, მაინც მგონია, რომ ფიქრობთ ჩემს გადარჩენას, გინდათ გამიიოლოთ ტანჯვა და მიხსნათ იმ ვითარებდან, რომელშიც ბედისწერამ ჩამაგდო და ჩემი ნებით არ შემიტოპავს. მე ასეთი ვარ, ეს ჩემი ნება არ გახლავთ, ჩემში გაიღვიძა რომელიღაც არქეტეპმა, დაუკვირდით ამ ძველ ჩანაწერს: „ყოველი ჩვენთაგანი, ცხოვრობს ამ ქვეყნად, რათა ასახიერებდეს თვითონ მისთვისაც შეუცნობელ სიმბოლოს, რათა განხორციელდეს ქვად ან ქვიშის მარცვლად იმ უხილავ ნედლეულში, რომელიც ღმერთის საუფლოს ასაშენებლად არის განკუთვნილი...“

...არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი კაცი, ვინც დარწმუნებით იტყვის თუ ვინ არის იგი. არავინ იცის, რისთვის მოვიდა ამ ქვეყნად, არავინ იცის, რას შეუფარდოს თავისი საქციელი, თავისი განცდა, თავისი აზრები. კაცმა თავისი საკუთარი ჭეშმარიტი სახელიც არ იცის... ისტორია დაუსრულებელი ლიტურგიული ტექსტია, რომელშიც იოტები და წერტილები არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ვიდრე

სტრიქონები ან თუნდაც მთელი თავები, მაგრამ აზრი ერთისა და მეორისა და ყველასათვის ღრმად დაფარული და შეუცნობელია“.

როცა ეს სახელი — სიმონი — დამანათლეს — ამ სახელთან ერთად გაჩნდა რაღაც, რასაც მხოლოდ ჩემი სახელი შეიცავს, მაგრამ ჩემი ჭეშმარიტი სახელი სულ სხვაა, იგი იმ არქეტის ეკუთვნის, რომელიც დროდადრო ჩემში იღვიძებს. მე არ შემიძლია მისი დაძლევა, მინდა, მაგრამ არ შემიძლია.

X-ს რომ მკვდარი შვილი შეეძინა, ამ ამბავმა შემაშფოთა, ალბათ, მეც რაიმე სასჯელი მომელის უფრო სხვა, ვიდრე შენ ფიქრობ. უფრო მწარედ დავისჯები, მაგრამ რა ვქნა, ბედისწერას ვერ აღვუდგები, ვერაფერს შევცვლი, ვიცი, რომ X-ი ყვითელ პრესაში მოღვაწეობს, მეტი რა ქნას, ზოგიერთი მისი ოპუსიც წავიკითხე, ძველი სიყვარულის ხატით, თან გულით მინდოდა მომწონებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც ყველა ჟურნალისტი, ზედაპირზე ტივტივებს. ჩემთან ხუთწლიანი ურთიერთობებით კი ისწავლა რაღაც, რასაც იყენებს კიდევ და სხვებსაც სჯობნის, ისევ იმით, რაც საგზლად წაიღო და დღემდეჰყოფნის. საშინელებაა დედისათვის მკვდარი ბავშვი, საშინელებაა. შემებრაღა, მეუხერხულება, თორემ დავურეკავდი, რაღაცას ვეტყვოდი, მაგრამ შევეცდები, ისე მივაწვდინო ჩემი ინფორმაცია, ყოველგვარი ფოსტა-ტელეგრაფის გარეშე. არ შეიძლება ჩემმა გამუდმებულმა ფიქრმა მასთან არ მიაღწიოს, არ იგრძნოს ის, რასაც მე განვიცდი ახლა. მედიტაციის უნარი არ მათამამებს და ამით სულაც არ ვკეკლუცობ, ეს ის უნარია, რომელიც X-ის დაკარგვის შემდეგ — მწარე დღეებში განმივითარდა თანდათან. შიგნით, გულში ყურება — იგივე კოსმოსში ყურებაა, ყველა ვარსკვლავი და ზოდიაქოს ნიშანი იქაა განლაგებული, იქ უნდა ჩავწვდე, იქ უნდა მივაგნო, იქ უნდა მივება იმ ტალღას, რომელიც ჭეშმარიტ გზას მიმანიშნებს, მხოლოდ მისი შემწეობით დავძლევ იმ საშინელ ეგოიზმს, რომელსაც შენ შემახსენებ და რომელსაც მშვენივრად ვიცნობ. ვგრძნობ, თანდათან ვუახლოვდები იმ ზღვარს, როცა ყველა ცდუნებას იოლად ავუვლი გვერდს და იმ დაფარულ მე-ს ვაჯობებ, დროდადრო თავის ჭკუაზე რომ მატარებს. მართალია, მიჭირს წარსულთან კავშირის გაწყვეტა, მაგრამ სულაც არაა საჭირო მისი სრული უარყოფა, ალბათ, იგი დარჩება ჩემში, როგორც მზის ნაკვალევი ან როგორც ბაბუაწვერას ყვავილი, რომელიც დროდადრო აღმოცენდება ჩემშივე და იგი არ იქნება იმ ვნების შემცველი, რითაც პირველ ხანებში იყო აღსავსე, ის, ჟამიჟამ, სინანულს გამოასხივებს და ეს ვნებადაცლილი სინანული აღმოჩნდება უფრო მშვენიერი და ამაღლებელი, ვიდრე ის წლები, როცა მე და X-ი ერთმანეთში ვეძებდით იმ „რაღაცას“, რომელიც ჩვენში არ ყოფილა, მაგრამ ჩვენი სხეულებრივი გამთლიანება აუცილებელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ აღმომეჩინა ის, რაც ახლა ასე მკაფიოდ ვიგრძენი. პაუზა ჩემთვის თითქმის იგივე X-ია, ჯერ X-ის ილუზიაა და რატომღაც მომწონს ის შენადნობი — ამ ორი გოგონას გამთლიანებით რომ წარმოიშვა. პაუზა X-ის სიმბოლო-ნიშანია, მისი მეორე სახეა, იქნებ უფრო ნამდვილი, ვიდრე თვითონ X-ი, რომელიც ისე შეიცვალა, რომ თავის თავს თითქმის არაჰგავს, იგი მხოლოდ ჩემს მეხსიერებაში დარჩა ისეთად, როგორიც ოდესღაც იყო და ახლა არ არის, როგორიც თვითონაც ენატრება რომ იყოს, მაგრამ ვეღარ იქნება. მისი უცვლელი ხატი და არა მხოლოდ ხატი, არამედ იმ ხატის სულისმიერი მთრთოლვარება კვლავ აგრძელებს ჩემში არსებობას და მის ფიზიკურ სხეულს, დრომ რომ შეცვალა სულაც არ ენატრობ, არც მის რესტავრაციას ვაპირებ. განა შეიძლება პეპელა დაიჭირო, თითებზე დაგრჩეს მისი ფრთების ფერადი ანაბეჭდი, მერე შეგებრალოს და ფუნჯით, საღებავებით დაიწყო მისი რესტავრაცია. ასეთ პეპელას ნემსით ამაგრებენ კოლექციონერები და ქვეშ მის სახელწოდებას მიაწერენ, მგონი, ფრთების ზომასაც

აღნიშნავენ და შეფერილობაზეც მიუთითებენ — ალბათ, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობაც და დაწყვილების თავისებურებებიც იციან, მაგრამ არ იციან მთავარი — ვინ არის ეს პეპელა, (დიახ, ვინ არის და არა რა არის), ვისი სახე-სიმბოლოა, სიჩუმის მოძრაობაზე რომ გვამახვილებინებს მზერას. პეპლის ფრენა სიჩუმის ფრენაა, სიჩუმისა, რომელიც გარეთაც და შიგნითაც ერთი მთლიანობაა და მათი მაკავშირებელი არა მხოლოდ ყურთასმენა და მზერაა — არამედ ის უკვდავი სულია, რომელიც ყველა სულიერსა თუ არასულიერს, ხილულსა თუ უხილავს, ერთ, მთლიან უწყვეტელჰარმონიაში აქცევს, ურთიერკავშირის კანონზომიერებაში ამწყდევს, საიდანაც გახედვა მხოლოდ ჩაბრუნებული მზერით შეიძლება და ამ ჩაბრუნებულ მზერას — მხედველობის ჩვეული ორგანო — თვალი კი არ ასრულებს... თუმცა თქვენ რას გასწავლით, თქვენ ხომ იცით ისედაც.

ერთ დღეს უცნაური ამბავი შემემთხვა. რეპეტიციიდან ვბრუნდებოდი ოდნავ დაღლილი, მაგრამ სიარული მსიამოვნებდა, ჩამოვიარე გამზირი ნელი ნაბიჯით, სვენებ-სვენებით, ყოველ შენობას, ყოველ ხეს, თითქმის ყოველ მოსიარულეს, ქალს თუ კაცს, ბავშვსა და მოზარდს ისე ვაკვირდებოდი, როგორც სრულიად უცხოებს, სხვა ქვეყნის, სხვა ცხოვრების სულიერ თუ უსულო წარმომადგენლებს, ვაკვირდებოდი და თითქოს სამუდამოდ ვიმახსოვრებდი ყოველ მათგანს, ყოველ დეტალს, ყოველ ნიუანსს და მივხვდი, რომ მე და ისინი ფიზიკურად, თითქოს ერთ ქალაქში, ერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენ კატეგორიულად განვსხვავდებით ერთმანეთისაგან, უბრალოდ, სრულიად სხვადასხვაგვარად ვცხოვრობთ. ისინი სადღაც ზედაპირზე არიან, ხელშესახებ სივრცეში ტივტივებენ, ყოველდღიურ ყოფაზე ნაირ-ნაირი პრობლემებით მიბმულნი, მიჯაჭვულნი და თავისუფლების ილუზია, მათი სახეებიდან რომ გამოსჭვივის, მხოლოდ ყოფითი ბედნიერებითაა გამოწვეული და რომ ეს ბედნიერება იმდენად მატერიალურია და ხელშესახები, იმდენად სხეულებრივია და მკვეთრად ბიოლოგიური, რომ გამიკვირდა, ამას ადრე რომ ვერ ვამჩნევდი. იქნებ ეს სხვაობა ჩემსა და მათ შორის მოჩვენებითივ კი იყო და არ გამოვრიცხავ, აგრეთვე, იმასაც, რომ ჩემი კარჩაკეტილი სიცოცხლე და არა ცხოვრება, მართლაც რაღაცით განსხვავდებოდა ამათი ყოფისაგან, საერთოდ ამათგან — მეტროს სადგურებთან, ბაზრობებთან, მაღაზიებთან რომ ფუსფუსებენ, გამალებით დაეძებენ რაღაცას ან ვიღაცას, და კიდევ ერთხელ ვიგრძენი — რაღაც ძალა, ყოველისმომცველი და ყოველისშემძლე, ზევიდან რომ გადმოჰყურებდა ამ მიწიერ ფუსფუსს, რომელიც თავის თავში ისე იყო ჩახვეული და ჩაბრუნებული, როგორც მორევი და ამ მორევის ძირში ტრიალებდა მთელი სასიცოცხლო ენერგია და ამო ბრუნვისაგან თავის დაღწევა არ შეეძლო. მივხვდი, რომ ყოველთვის ასე იყო და ასე იქნებოდა მუდამ და გამოგიტყდებით, თითქოს მომინდა კიდევ ამათთან, ყველასთან ერთად ყოფნა. ისევ ფიქრებში გართული დავეშვი მიწისქვეშა გადასასვლელში, სადაც, როგორც წესი, სხვადასხვა ასაკის მათხოვრები სხედან, ქუჩის მუსიკოსებიც აყვირებენ თავიანთ გიტარებს, აქვე ქუჩის მხატვრებსაც გამოუტანიათ მთელი თავიანთი შემოქმედება — მოკლედ, ამ ზუზუნში, ზრიალში, გახურებულ ვაჭრობაში, სადაც ყველა გაფაციცებულია ლუკმა-პური იშოვოს ან წაღლიტოს ვინმეს — ქუჩის ამ გალერეაში შევნიშნე ორი მინისტრი თავის ხელისბიჭებით და მთელი ამალით, როგორ ათვალიერებდნენ მხატვრების მიერ გამოფენილ დიდ და პატარა ტილოებს, ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს, კერამიკას, ხის ნაკეთობებს, გობელენებს. იმდენად საინტერესო სანახავი იყო, რას მოიწონებდნენ და შეიძენდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, რომელთაც როგორც მოგეხსენებათ, ისეთივე სიმბოლური ხელფასები აქვთ, როგორც ჩვენ მუსიკოსებს, იქნებ ასჯერ მეტიც, მაგრამ მაინც სიმბოლური, რომ

შევჩერდი და გაკვირვებული დაველოდე, რითი დასრულდებოდა ორი მინისტრის და მათი თანმხლები ხელისუფლების ენერგიული ვოიაჟი. ვიფიქრე, რომ მინისტრები სტუმრებისთვის, ალბათ, უცხოელი სტუმრებისთვის ეძებდნენ საჩუქრებს. ისინი დროდადრო ჩერდებოდნენ ზოგიერთ სურათთან, რაღაცას ბჭობდნენ მეტად სერიოზულად, ისეთი სახეებიჰქონდათ თითქოს სახელმწიფოს ბედ-იღბალს წყვეტდნენ. მათ გვერდი აუარეს შედარებით უკეთეს ნამუშევრებს, ზოგჯერ თითო-ოროლა კარგი ნამუშევარი აქაც გამოჩნდებოდა, მერე უცებ რაღაც გადაწყვიტეს და რამდენიმე „დიშოვკა“ შეიძინეს სწრაფად, ამ „დიშოვკებზე“ ძველი თბილისის სტანდარტული პეიზაჟები იყო აღბეჭდილი და ჭყეტელა ფერებზე ეტყობოდა მათი ავტორის ხელოსნური გემოვნება. ფული გადაიხადეს, ხელისუფლებმა აკრიფეს ნავაჭრი და ასევე ენერგიულად გაუყვნენ გზას. ამ იდიოტებმა სინამდვილეში ლამაზი ჩარჩოები იყიდეს, რადგან ჩარჩოებს მეტი ყურადღება მიაქციეს, ვიდრე იმას, რაც ჩარჩოებიდან იმზირებოდა.

ირონიული ღიმილით დავეშვი კიბეზე, ავუარე გვერდი ერთ სოფლელ დედაკაცს, რომელიღაც კუპლეტებს რომ მღეროდა, უფრო სწორად გაჰკიოდა და მისი ხმიდან სასოწარკვეთა უფრო გამოსჭვიოდა, ვიდრე სიმღერა. თავი დავაღწიე მოძალადე მათხოვრებსაც, ლამის ჯიბეებში ჩაძრომას რომ უპირებენ გამვლელს და იქით, მეორე მხარეს, ამოსაძრომის კუთხესთან ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა მოხუცმა ქალმა, თავისთვის, თავჩარგული რომ იჯდა და ისეჰგავდა დიდდაჩემს, რომ მეგონა ნამდვილად გამომეცხადა, მომევილინა ან საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი იყო ან სინამდვილე, ადგილზე რომ გამაქვავა და ნაბიჯი ვერ მოვიცვალე. მოხუცს ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია, ერთი კი ამომხედა, მაგრამ სწორედ მისმა თვალებმა, სინანულით, დიახ, სინანულით და უნაპირო კრძალვით აღსავსე მზერამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ არაფერი მელანდებოდა და ნამდვილად დიდდაჩემს ვხედავდი. მისი გაზრდილი ვიყავი და აბა, მის სახეს რა დამავიწყებდა — დანაოჭებულს და სათნოს, ერთიანად გათეთრებულ თმას და ღრმა სინანულის სინათლეს, არაფრით რომჰგავდა მწუხარებას, ტანჯვას და სხვა მისთანა მიწიერ გრძნობებს. ეს ღვთაებრივი ქალი დღემდე არსებობს ჩემში და რაც მაკავშირებს მასთან ისევ და ისევ სინანულია.

— დიდდა! — ჩურჩულით მივმართე, თან, რა თქმა უნდა, ბოლომდე არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ნამდვილად ის იყო, ის, ვინც თითქმის მეოთხედი საუკუნის წინ დავკრძალეთ, მაგრამ ჩემში მაინც განაგრძობდა სიცოცხლეს.

— რა იყო, შვილო?! აი, რა დღეში ჩავვარდი, მათხოვრობაც არ შემიძლია. — მოხუცს არ უტირია, მაგრამ მე შევნიშნე ის უხილავი ცრემლები, რომლთა ანარეკლი მისმა ხმის ტემბრმა ამოაყოლა გულის სიღრმიდან.

— დიდდა! სახლში წავიდეთ, სახლში არ გირჩევნია?! — ეს „წავიდეთ“ ისე ვთქვი, რომ უნებლიეთ გადავწყვიტე მისი შინ წაყვანა. მაგრამ ის კი ვერ გავიხსენე, რომ ჩვენი დიდი სახლი უკვე აღარ არსებობდა, რომ ის სახლი ჩემმა თავქარიანმა მამიდაშვილმა კარგა ხნის წინ გაყიდა, რომ იქიდან პირწმინდად გაზიდეს ყველაფერი, ძველი ნივთები, რომლებიც დიდდას და ბაბუას იქ ცხოვრების კვალს თუ სათუთ ანაბეჭდებს ისევ ატარებდნენ, ერთიანად გადაყარეს სანაგვეში. კედლებიდან ჩამოხსნეს წინაპართა სურათები, ბავშვობაში რომ დამდამობით შევეყურებდი და რომლებიც ლამპის შუქზე, იქ, სადაც შუქი სიბნელეში გადაიზრდება, თანდათან, უფრო დამაფიქრებლად და რეალურად მოჩანდნენ, თითქოს ის შუქ-ჩრდილები და ძლივს გაფერმკრთალებული სივრცე ის ადგილი იყო, სადაც ისინი ჩვენთან ერთად განაგრძობდნენ სიცოცხლეს და ჩემთვის დაფარული სამყაროც

იქიდან იწყებოდა. ჩამოხსნილი სურათების ადგილას ფერგადასულ, გახუნებულ კედლებზე დარჩნენ მხოლოდ ცარიელი ოთხკუთხედები და მართკუთხედები, რომელთა შეფერილობის სიხასხასე უფრო მკვეთრი იყო, რადგან სურათებმა დაიფარეს მზისგან, მაგრამ ჩამოხსნილი სურათების ადგილები პატარა სარკმლებს წააგავდნენ, საიდანაც ჩავლილი ბავშვობა იყურებოდა ჩემკენ და იქითაც, კედლის მეორე მხარეს, იმ სამყაროსკენ, იმ ცხოვრებისკენ, რომელიც იყო და არსად გამქრალა, რადგან დროდადრო თავს მახსენებდა: ბგერებით, ფერებით, ლექსებით, ათასგვარი განწყობილებით, მეხსიერების უხილავ სკივრში რომ არის ჩაკეტილი, ან უბრალოდ სისხლთან ერთად რომ დადის ჩემს ძარღვებში.

— ეჰ, სახლში რა მინდა, იმ სახლში მხოლოდ სულები ცხოვრობენ, მგონი მეც აღარა ვარ ცოცხალი და მხოლოდ სული ვარ. აბა, სულს რად უნდა ან მათხოვრობა ან ლუკმა-პური?! წავალ, ისევ იქ დავბრუნდები!..

მე ვერ მივხვდი, სად უნდა დაბრუნებულიყო ანჰქონდა თუ არა დასაბრუნებელი, ან ვინ იყო იგი. დიდედაჩემის ზუსტი ასლი, ნახევრადცოცხალი, თითქმის უსხეულო, და ისეთ პოზაში მჯდომარე თავის თავში ჩამალვას რომ ცდილობდა.

წელი ძლივს ავითრიე და გავლასლასდი, არ მტოვებდა იმის შეგრძნება, რომ სადღაც, შუაქალაქში, კიბისძირას დიდედაჩემი იჯდა, მე კი მივდიოდი იმ სახლისკენ, რომელშიც მუდამ სტუმრად ვგრძნობდი თავს და იგი იმდენად იყო ჩემი სახლი, რამდენადაც წააგავდა იმ ძველ, საგვარეულო სახლს, რომელიც ჯერ კიდევ იდგა, მაგრამ გადასხვაფერებული, სახემეცვლილი და უცხო, იმდენად უცხო, რომ სურვილიც არ გამჩენია სახლის ახალ მეპატრონეებს ვსტუმრებოდი, იმის იმედით, რომ რაიმე გამეხსენებინა, რაიმე აღმედგინა, ისე, კაცმა რომ თქვას, უარსაც არავინ მეტყოდა ასეთ სტუმრობაზე, მაგრამ ვგრძნობდი, რომ არჰქონდა ასეთ სტუმრობას არავითარი აზრი, რადგან იქიდან განადგურებული უნდა დავბრუნებულიყავი, რადგან ის ძველი სახლი ჩემთვის უკვე მხოლოდ წარსულში არსებობდა და თუკი რაიმე იწყებოდა ჩემში საშიში ან ბუნდოვანი, როცა შველა მჭირდებოდა და ხსნა სულისა, ჩუმად ვიწყებდი ლოცვას და რამდენჯერ აღმომიჩენია, რომ ლოცვისას სწორედ იმ სახლში ვიმყოფებოდი, რომელშიც ახლა სხვები ცხოვრობდნენ და მე მამჩნევდნენ ისევე, როგორც მე ვერ ვამჩნევდი მათ. ჩემი ახალი ბინაც თბილისში თითქმის ისე მოვაწყვე, როგორც იქ, იმ სახლში. არცთუ იშვიათად, სარკეში რომ თვალს შევავლებდი საკუთარ თავს, სარკე, ჩემი სახის ნაცვლად, ხან დედის, ხან მამის სახეს მაჩვენებდა, იმის დასტურად, რომ ისინიც ჩემში იყვნენ და ჩვენ ყველანი ისე ვემსგავსებოდით ერთმანეთს, რომ უკვე ძნელი გასარჩევი იყო — მე ერთი არსება ვიყავი თუ ჩემი წინაპრებისა და მშობლების კრებითი სახე, რაღაც სახე-სიმბოლო, რომლის უწყვეტი მეხსიერების ნივთიერი თუ უხილავი ნამცეცები, მტკიცებანიც კი, იურიდიულ ენაზე რომ ვთქვათ, გაფანტულიყო მთელ სამყაროში და ჩემში ერთდროულად. ორჭოფულმა გრძნობამ, იმის მიუხევედრელობამ თუ ვინ დავტოვე კიბეზე ჩამომჯდარი, დიდედაჩემი თუ მისი მისტიკური ორეული, ლამის შემშალა. უცებ დავასკვენი, განგებამ იმის ნიშანი მომცა, რომ ბოლომდე არ ამომეძირკვა ჩემი ოჯახი. გვარში ერთადერთ კაცს გამეგრძელებინა ის ტრადიცია, რომელზეც უარს ვამბობდი და დამეწყო რაღაც ახალი, სრულიად ახალი და უცხო, რაც მე მიზიდავდა კიდევ და მაშინებდა ერთდროულად...

წარსული, ჩემში რომ განაგრძობდა არსებობას, თავს არ მანებებდა და დროდადრო ახალ-ახალ სიურპრიზებსაც მთავაზობდა, ზოგჯერ ვერც კი ვარჩევდი, რამდენად იყო იგი წარსული, ჩემს აწმყოში რომ ისე შემოჭრილიყო, როგორც



სინამდვილე, ზოგჯერ ისე ძალუმად რომ იჩენდა თავს ჩემს მეხსიერებაში, მოქმედებაში და, რაც მთავარია, ჩვევებში, რომ აღარც კი შემძლო მისგან თავის დაღწევა და არც მიცდია, თუმცა იმასაც ვხვდებოდი, რომ ასე არ შეიძლებოდა მეცხოვრა, უსასრულო მოლოდინში, ბოლო რომ არ უჩანდა და ჩემს სიცოცხლეს რომ იწოვდა დღითიდღე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამგვარი მოლოდინის, რაღაც სასწაულის წინათგრძნობა დიდი ხანია დამჩემდა — მერე და მერე შევეგუე და რაღაცის მოლოდინის გარეშე ცხოვრება არც კი შემძლო. ველოდი, რომ რაღაცას გავიგებდი ახალს, არაჩვეულებრივს, ამაფორიაქებელს, მაგრამ რას, თვითონაც არ ვიცოდი, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს არ აღმოვაჩინე, რომ სიკვდილის შიშისაგან თავის დაღწევა იყო მთელი ჩემის სიცოცხლის ბოლო პერიოდი. მას შემდეგ, რაც X-ი წავიდა ჩემგან მთელი ცხოვრება ამოყრავდა, ყველაფერი შეიცვალა, გადასხვაფერდა. შინაგანად ვგრძნობდი, რომ ეს სისუსტე იყო, რომელსაც არ უნდა დავმორჩილებოდი და ერთადერთი რამ, რითაც შევძელი შევბრძოლებოდი საკუთარ უნიათობას, სულიერი ძალების მოკრება იყო და, ამიტომაც გადავწყვიტე ჩამეწერა თითქმის ყველაფერი, რასაც განვიცდიდი და თქვენთვის გამომეგზავნა იმ გოგონას ხელით, მე რომ პაუზა დავარქვი. იმის შეგრძნება, რომ თქვენ ჩემს ჩანაწერებს კითხულობთ, ალბათ, შეძლებისდაგვარად ანალიზებთ კიდევ, შვებას მგვრიდა და თითქოს ჩემს არსებობასაც აზრი ეძლეოდა. ცხადია, შემძლო თქვენთან მოვსულიყავი და ყველაფერი წერილობით მომეთხოვო, მაგრამ ვერ გავბედე, უნდა გამოგიტყდეთ, რომ წერილობით უფრო თავს ვუყერი ჩემს ნააზრევს და ესეც რომ არ იყოს, ყველა განცდის გახმოვანება გამიჭირდებოდა და ვერც მოვახერხებდი სული ისე გადმომეშალა თქვენთვის, როგორც ამას წერისას ვახერხებ. მე მგონი, ცოტა უფრო სერიოზულად აღვიქვამ ცხოვრებას, ვიდრე იგი ამას იმსახურებს, ის სიხალისე რომ დამაბრუნებინა, ადრე რომ გამაჩნდა, ალბათ, უფრო იოლად შევძლებდი ყველაფრის გადატანას. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რაიმე კონკრეტული გადასატანი არცა მაქვს. ხელფასი და სამი კერძო მოსწავლის ფული მარტოხელა კაცს ასე თუ ისე მყოფნის და ხელისგაწვდაზე არც მიფიქრია. X-იც თითქმის კი არა, უკვე გამოვიგლოვე, ზოგჯერ თუ გამახსენდება, ეგ არის და ეგ, ამ გახსენებასაც იოლად ვუსხლტები, როგორც მევიოლინე საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ და მაფასებენ კიდევ, ეს გოგონაც გამოჩნდა, რომლის მიმართ ნამდვილად არა ვარ გულგრილი, ალბათ, ცოლადაც შევირთავ, თუმცა ჩემზე ბევრად უმცროსია, მაგრამ ყოველივე ეს თითქოს საკმარისად არ მეჩვენება, რადგან ვგრძნობ, რომ რაღაც ჩაკვდა, რაღაც ჩამწყდა სულში. ზოგჯერ, თითქოს, აღმოვაჩინე, რომ გული გამიქვავდა, გავუცხოვდი ყველასა და ყველაფრის მიმართ და ყოველდღიური ცხოვრება თავის სიხარულით და მწუხარებით, თავის პრობლემებით და ამო ფუსფუსით — ზედაპირული და ფუჭი მგონია, ვცდილობ უფრო ღრმად ჩავიხედო საკუთარ სულში, უკეთ ჩავწვდე იმ სამყაროს, სხეულებრივ ყოფას რომ აღემატება და ღმერთის ნაწილად რომ შემაგრძნობინებს თავს. ნამდვილი ბედნიერება თითქოს იქ არის და იმ ბედნიერებასთან შერწყმა, მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ ამქვეყნიურ ცხოვრებას მოვწყდები თანდათან. ჩემი ცხოვრებაც, ალბათ, მიტომ დაემგვანა მეტამორფოზის მოლოდინს, გადასხვაფერების წყურვილს, დიდ სიახლეში გადასვლის ნატვრას. ამგვარი ფიქრები, ცხადია, ხელს მიშლიან ვიცხოვრო, როგორც ნორმალურმა ადამიანმა, შევეგუო კიდევ მეზობლების დამცინავ გამოხედვას — თვალებში რომ აწერიათ იორნიული მომართვა „ეი, სიმონ!“ ჰო, მე სიმონი, უარს ვამბობ ამ ცხოვრებაზე, უარს ვამბობ ვიცხოვრო სხვებივით, მაგრამ ვერც სხეულისგან დამიხსნია თავი. ალბათ, ყველაფერს თავისი ჟამი აქვს და ჩემს წვალეხასაც ბოლო უნდა მოეღოს. უნდა გაუწყო, რომ ხვალ მე და მათა — ანუ პაუზა

ანუ — X №2 ხელს ვაწერთ 2 საათზე. მისი ნამდვილი სახელი მაია, მგონი მოჩვენებას, ილუზიას უნდა ნიშნავდეს ძველინდური — ფილოსოფიური მოძღვრების თანახმად. ასე რომ, ხვალიდან ოფიციალურად „ვაფიქსირებ“ ჩემს ილუზიასთან, პაუზასთან, მოჩვენებასთან და X-ისა და X №2-ის ჩემულ შენადნობთან თანაცხოვრების დაწყებას. როგორც ხედავთ, ავირჩიე მრავალი კი არა, ორი სურვილიდან ერთი. ხვალ, ძალიან გთხოვთ, მესტუმროთ, შინ ოთხ საათზე, რამდენიმე კაცი მყავს დაპატიჟებული — ყველა ერთად, ალბათ, 7 კაცს არ გადავაჭარბებთ. ნუ დამაღალატებთ. პატივისცემით, სიმონი!

### ავტორისაგან

სიმონის ბოლო წერილში ბევრი საგულისხმო რამ ამოვიკითხე, მაგრამ იმ ცნობამ, რომ ხვალ ცოლს ირთავდა, გამაკვირვა კიდევ და გამახარა. სიმართლე გითხრათ, სიმონის ჩანაწერებს, უკანასკნელ ხანებში რომ ინტენსიურად მიგზავნიდა იმ გოგონას ხელით, ახლა რომ ცოლად ირთავდა, გულგრილად ვერ ვკითხულობდი და მისი ფრაგმენტული მონათხრობები, ზოგჯერ ისეთ ზეგავლენას ახდენდა ჩემზე, რომ თვითონვე მიკვირდა, როგორ ახერხებდა ეს შესანიშნავი მევიოლინე, ჩემი ბავშვობის მეგობარი, ასე მძაფრად ჩაწვდომოდა იმ ბნელ სიღრმეებს, რომელთა არსებობის შესახებ ბევრმა არაფერი იცოდა და ამ ქვეყნიდან ბევრი ისე წავიდოდა, რომ ვერც ვერაფერს შეიტყობდა.

ამ ტრაგიკული კაცის ბედი უნებლიეთ გადამედო, მის ჩანაწერებს რომ ჩავიკითხავდი, მერე კარგა ხანს ვწრიალებდი და ვხვდებოდი, რომ გაგრძელებას, შემდეგი ჩანაწერების გამოჩენას ველოდი. თუმცა სამსახურით დაკავებული კაცი ვიყავით და ზოგჯერ ისე ჩამითრევდა ჩემი ყოველდღიური საქმე, რომ ყველაფერი მავიწყდებოდა, მაგრამ უცბად, შემამფოთებლად მახსენდებოდა ბავშვობის მეგობარი სიმონი და მის ხელნაწერებს ზოგიერთ ადგილას, განსაკუთრებით, ხელახლა გადავავლებდი ხოლმე თვალს. შემფოთება, სიმონის ტანჯვა რომ იწვევდა ჩემში, სრულიად ბუნებრივი იყო, მაგრამ ამ ბოლო ცნობამ — მისი ქორწინების შესახებ, სიმართლე გითხრა, დამამშვიდა და გამახარა კიდევ. გადაწყვეტილი მქონდა მეორე დღეს აუცილებლად მივსულიყავი სიმონთან და მისი მარტოხელა ცხოვრების დასასრული მიმელოცა. მეორე დღეს დილის ათ საათზე სამსახურში ჩემს კაბინეტში შესვლა ვერ მოვასწარი, რომ ფეხდაფეხ შემომყვა მაია, ანუ პაუზა, როგორც მას სიმონი უწოდებდა.

— ოჰ, მაია! — შევყვირე სიხარულისა და გაოცებისაგან, — აქ რა გინდა? თქვენ ხომ დღეს ხელს აწერთ?!

— დიახ! აი, ეს ბოლო ჩანაწერი გამომატანა სიმონმა, მთხოვა, რომ დღესვე წაიკითხოთ და ოთხ საათზე აუცილებლად მობრძანდეთ ჩვენთან. უეჭველად მოდით, რა?! თქვენ რომ არ მოხვიდეთ, სიმონი გაგიჟდება.

— ჩანაწერები?! მომეცი, რა თქმა უნდა წავიკითხავ, მოსვლითაც მოვალ, წინასწარაც გილოცავთ. როგორც იქნა, გაება მახეში ეს „ხალასტიაკი“. — მაიამ, პაუზამ, ილუზიამ, X №2-მა თუ X+პაუზა=X №2-ს, მომხიბლავად გაიღიმა, საქალაღდე გადმომცა, რომელიც შედარებით სქელი მომეჩვენა ვიდრე წინა საქალაღდეები და თავაზიანი მობოდიშების შემდეგ ისევე მსუბუქად დატოვა ჩემი ოთახი, როგორც შემოვიდა, თითქოს შემთხვევით შემოფრენილი ჩიტი უკანვე გაფრინდა და გაუჩინარდა.

რა ბედი აქვს ამ მამამაღლს, ვფიქრობდი ჩემთვის, ანგელოზივით გოგო მოჰყავს ცოლად, თან როგორჰგავს იმას, იმ პირველს ანუ X-ს. ჩვეულმა საქმემ შემიყოლია და სიმონის საქალაღდე გვერდზე გადავდე, კარგა ხანს არც გამხსენებია, რადგან ვთვლიდი, რომ საინტერესო აღარ იყო იმ კაცის ბედი, რომელმაც ბანალური არჩევანი გააკეთა ან ფრთებს ხომ არ გამოისხამდა და ამოფრინდებოდა საკუთარი სხეულიდან, სად გაექცეოდა ამ ცხოვრებას?! როგორც იქნა, გამოვიდა იმ არაჩვეულებრივი და სასტიკი სტრესიდან X-თან განშორების მერე რომ შეეყარა სახადივით. ალბათ, თანდათან მოვა აზრზე, შვილი გაუჩნდება, შეიცვლება, ეზოთერულ გატაცებაზეც ხელს აიღებს. ღმერთივით მუსიკოსია ეს შობელმადლი, ანგელოზივით გოგოსაც ირთავს, მეტი რა უნდა?! მე თვითონ არ მჯეროდა ჩემი სიტყვების, რადგან გულისგულში მეც ხომ ასე ვფიქრობდი, როგორც სიმონი, ოღონდ არავის ვუმხელდი. სიმონმა კი გაბედა და გამენდო, ჩემი მოსაწყენი ცხოვრებაც ლამის გადამაფასებინა. სიმართლე რომ ვთქვა, ასეთი ბანალური, ჩვეულებრივი დასასრულისთვის თუ ცხოვრების გაგრძელებისთვის თითქოს არც მემეტებოდა.

\*\*\*

გადავწყვიტე, ჩემი დღიურები გაგაცნოთ. ეს დღიურები მაშინ იწერებოდა, როცა X-ი თანდათან მიდიოდა ჩემგან, თანდათან, რადგანაც ვგრძნობდი, როგორ ვშორდებოდით ერთმანეთს, როგორ ღრმავდებოდა ის უხილავი ბზარი, მერე და მერე რომ საშიშ ბაგედ იქცა და ათას საიდუმლოს ჩურჩულებდა თავისთვის, ჩვენგან დამოუკიდებლად. სწორედ იმ ბზარის, ანუ ბაგის კარნახით ჩავიწერე მაშინ ეს დღიურები. მინდა დღეს, ჩემი ქორწინების დღეს, ჩემი სახლიდან გაქრეს ეს დღიურები, მე ასლებს არ ვიტოვებ და ყვავილების ისპერბარიუმები — ჩემს წიგნებში რომ იყო გაფანტული, ყველაფერი ეს, ერთად შევაგროვე და ისევ თქვენ გიგზავნით (ბოდიშს ვიხდი, ისევ თქვენობით მიჩვენია, გესაუბროთ). ნუ ჩათვლით, რომ მინდა ჩემი წარსული თქვენ გადმოგაბაროთ და სამუდამოდ გავთავისუფლდე. წაკითხვის შემდეგ შეგიძლიათ ყველაფერი გაანადგუროთ ან თუ რამეში გამოგადგებათ გამოიყენოთ. მე ავტორობის პრეტენზია არ გამაჩნია, მით უმეტეს დღეს, როცა ცოლს ვირთავ და სხეულებრივი სიხარული ამკარად მიმორჩილებს, მაინც ვგრძნობ, რომ ამ ქვეყანაზე მთავარია სულიერი ცხოვრება და თვითქვერეტა — დანარჩენი გარეგნული ატრიბუტიკა ან უბრალოდ მექანიკური მინიშნებაა იმ გაუმხელელი, გამოუვლინებელი, დაფარული სულიერი ცხოვრებისა და მეტი არაფერი. ის, რაც ზედაპირზეა, მხოლოდ ანარეკლია და არა არსი. ალბათ, გაგიხარდებათ — კომპოზიტორის ნიჭი აღმოვაჩინე ჩემში და მხოლოდ შემსრულებლობა არ მაკმაყოფილებს. სანოტო რვეულებიც ბლომად ვიყიდე, ფანქრებიც, საშლელებიც — ახლა საკუთარი სულიდან იმ ბგერებს ამოვიყვან, სიტყვები რომ ვერ გადმოსცემენ და მათი ურთიერთკავშირი გააღრმავებს სამყაროს ან დაუბრუნდება იმავე სამყაროს, საიდანაც ისინი მოვევლინენ ამ სანოტო ფურცლებს. ღვთის შეწევნით, ყველაფერი თუ კარგად წარიმართა, მე თვითონ შევასრულებ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. სათაური ჯერ არ მომიფიქრებია, პირობითად, ჯერჯერობით, ასე დავარქვი: „მუსიკალური მოზაიკა X-ისა და პაუზისათვის“... ცოტა უაზრო სათაურია, მაგრამ ამ სავიოლინო კონცერტში საბოლოოდ შეერწყმებიან ერთმანეთს X-ი და პაუზა — ანუ X-ი და X №2. ახლა ჩემს მაშინდელ დღიურებს გაგაცნობთ. ასლები ჩემთან არ დამიტოვებია და არც მინდა, ამ დღიურების ასლი მხოლოდ სანოტო ენაზე გადავიწერე, სიტყვიერი ორიგინალი თქვენთან იყოს, გაეცანით, დახიეთ და გადაყარეთ.

სიმონის დღიურები

15 მარტი 1992 წ.

აღტაცების უნარი დავკარგე — ვფიქრობ, სამუდამოდ... გაზაფხული ძველებურად აღარ მახარებს. ვბერდები?! არ მინდა თავს გამოვუტყდე. არსებობს სხვა მრავალი მიზეზიც — უმთავრესი კი სიმარტოვეში დაბრუნების რეალური შანსია — ერთადერთი იმედი ისევ მუსიკა და სიტყვებით თამაშია, მუდამ ჩემთან რომ არის უღალატოდ, ერთგულად. ჩემს ეგოისტურ ზრახვებს მხოლოდ ქაღალდი თუ აიტანს და სიჩუმე, ქალი ნამდვილად ვერ გაუძლებს.

ვხედავ დიდ მოსაცდელ დარბაზს, სადაც უსიცოცხლო ხალხი ირევა, ყველას სადღაც ეჩქარება, ყველას ვიღაცასთან ეჩქარება — გაიღვებენ მათი სახეები და გაქრებიან — თითქოს ჰაერში ამოიზრდებიან და იქვე ქრებიან — ისე სწრაფად მოძრაობენ. ვხედავ საკუთარ თავსაც იმ ვეებერთელა ხმაურიან დარბაზში — სადღაც რომ მიყუჟულა განმარტოებით, იგი არასოდეს არსად წასულა და არც წავა — იგი აქ ცხოვრობს, ამ დიდ მოსაცდელ დარბაზში მოლოდინით, მაგრამ რისი მოლოდინით — თვითონაც არ იცის, ერთადერთი საქმე, რითაც იგი თავს იქცევს — მგზავრების თვალთვრებაა და მომავალი დროის მოლოდინი.

არ მინდა ვაღიარო, რომ ის დრო, რომელსაც მოველი — სიცოცხლის მერე მოვა, ანდა უკვე იყო და შორეულ წარსულშია. მშვენიერია წარსული — რადგან ნაკლებბუნდოვანია, თანაც ჰერბარიუმივით ლამაზია, მაგრამ... ჰერბარიუმი — მონატრებული, გარდასული დროის სიმბოლოა. ზოგჯერ ძლიერ მწყურია ალვადგინო განცდა, მძაფრი კვალი რომ დატოვა ჩემზე, მაგრამ ამაოდ — რესტავრირებული სიყვარული და ჰერბარიუმი ძალიან გვანან ერთმანეთს — თუნდაც იმაზე წუხილით, რისი აღდგენაც აღარ შეიძლება.

აღარ მინდა რაიმე გამოვიგონო. მსურს ისე ვწერო, როგორც ვუკრავ, როგორც გული მკარნახობს. მაგრამ როცა გული არაფერს მკარნახობს?! მაშინ იწყება მკვდარი სეზონი, აღარ ხერხდება „მოწყენილობის დაძლევა შემოქმედებით“. ასეთ დროში შენში შემოდევას ვესწრაფვი შენს სიტბოში, შენს ამოუცნობლობაში, შენს უსასრულობაში იჩქმალება სული და მძლავრობს სხეული. ესეც შემოქმედების იმიტაციაა — ან იქნებ ნამდვილი შემოქმედებაა. რომელიღაც ფრანგული ფილმიდან მახსოვს: „შენი საშო სპერმების სასაფლაოა“...

ჰო, შენიც...

შემდეგ: ისევ სინანული სულის მიჩქმალვის გამო, ცოდვათა გამო და მერე ისევ მუსიკაში, ზოგჯერ კი სიტყვებში ძებნა ხსნისა — ანუ თავისუფლებისა.

გონება გამეხსნა. სამი თვე მკვდარი ვიყავი — უმოქმედო, უაზრო, უმიზნო — ლამის ცხოველად ვიქეცი — და ეს თურმე იმიტომ, რომ არაფერს ვწერდი. ღმერთო, რა საოცარ თავისუფლებას მანიჭებენ ფურცელზე გადატანილი სიტყვები?! ზოგჯერ წერისას მეჩვენება, ვუკავშირდები იმათაც, ვინც ამა ქვეყნად აღარ არიან და იმათაც, რომელნიც მომავალში დაიბადებიან. მომწუხრებელი მისტიკაა. ეს ის გრძნობაა, ყველაზე მეტად რომ მხიბლავს უფლისაგან ბოძებულ გრძნობათა შორის. ეს ის გრძნობაა უსაშველო პასუხისმგებლობით რომ აღმავსებს ყველა დროის შვილთა მიმართ.

27.IV 92 წ.

ერთ სიტყვას ვეძებდი, მხოლოდ ერთს. ის ერთი სიტყვა რომ მეპოვნა, მოვრჩებოდი, ჩავიწერდი და დასრულდებოდა ჩემი ტანჯვა. ის სიტყვა, მე რომ ვერ ვპოულობდი ხან ფანჯარაში გამახედებდა, ხან ბუხრისკენ მომალრეცინებდა კისერს, მაგრამ არა და არა, არ ჩანდა, მემალეობდა. ის სიტყვა ჩემში იყო და ვერ ამომეთქვა, აქეთ-იქით კი მატრიალებინებდა თვალებს, თითებსაც ნერვიულად მაკაკუნებინებდა მაგიდაზე. ბოლოს, როგორც იქნა მივაგენი... მივაგენი და ჩავწერე... ისე გამიხარდა, ისე გამიხარდა, კინაღამ შემოვძახე, ვიოლინოს ხელი დავავლე, მაგრამ მყისვე გავიტრუნე. მაშინღა გამახსენდა, რომ ოთახში მარტო არა ვარ, იმასაც სძინავს... გავიხედე ტახტისკენ, ჩემს ზურგსუკან, კედელთან რომ დგას, წევს იგი მთვარესავით — თეთრი მკლავები და გულისპირი უქათქათებს, ტუჩები წითლად უღვივის, თვალები დახუჭული აქვს, მაგრამ ღიმილი სახეზე რომ დასთამაშებს — აშკარად მაგრძნობინებს: კი არ ძძინავს, თავს ვიმძინარებო.

— დაწერე?! — თითქოს ნამძინარევი ხმით, ძილბურანიდან ძლივს გამორკვეული მეკითხება — რას ვეტყვოდი, სისხლი ამიმღერდა ძარღვებში, მაგრამ მაინც დინჯად მივუგე:

— არა, არ დამიწერია, ახლა ვაპირებ-მეთქი და საბნისქვეშ მოხერხებულად შევუცურდი. ყასიდად შემეწინაალმდეგა, ყასიდად, იმას ვენაცვალე.

#### 28. IV. 92 წ.

რაღაც ახალი გაჩნდა ჩვენს შორის — და ეს ახალი დაფარული ძველია. იგი არსებობდა ჩემშიც და შენშიც, უფრო ზუსტად ჩვენს ურთიერთობაში და ისე გულდასმით ვჩქმალავდით, რომ მისი ყოფნა ლამის გადაგვავიწყდა. შეგნებულად კი არ ვჩქმალავდით გაუცხოების ბზარს, ჩვენი აღტაცებული სულები, მეტადრე სხეულები ვერ იცლიდნენ იმ ბზარის აღმოსაჩენად.

აი, უკვე გამოიკვეთა გაუცხოების სუსხიანი შეგრძნება, დაცხრა აღტაცებული გული, შეიცვალა ღიმილი თვალებში. ხელმოკლეობამაც იჩინა თავი. ფულის შოვნის თემაც თამამად შემოვიდა ჩვენს საუბარში.

ყოფიერება თავის ხარკს თხოულობს, ხარკი ერთი შეხედვით უმნიშვნელოა, მატერიალურად არაფერს კარგავ, კარგავ მხოლოდ სულის განსაკუთრებულ მდგომარეობას — პოეზიას — სიყვარულს, სხვაგვარად პრაქტიკულ წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. აი, რა გაჩნდა ჩვენს შორის: მუსიკის დაკარგვის ფასად საქმიანი წარმატების სურვილი. მეტად კაბალური ხარკია ჩემთვის, ვერასოდეს გადავიხდი. შენ კი: — ეგ შენი საქმეა. არ გამოვრიცხავ, რომ შენ ასე მძაფრად არც კი დაფიქრებულხარ იმ პრობლემებზე, მალულად რომ მართავს შენს ცნობიერებას. შენგან განსხვავებით მე სწრაფად ვიცილებ ყველაფერს, რაც სულის დაჩაგვრით ან დაკნინებით მემუქრება, ამ თვისებას — სულის გადარჩენის ინსტინქტი შეიძლება ვუწოდოთ. როგორც ყველა ინსტინქტი — სულის გადარჩენის ინსტინქტიც ორგვარია: თანდაყოლილი და შეძენილი. ჩემი თანდაყოლილია და მისი განკურნების იმედი, საბედნიეროდ, არ გამაჩნია.

ის, რაც ჩვენს შორის გაჩნდა და მე ვუწოდებ გაუცხოების ბზარი, — შეიძლება სულ სხვა მიზეზითაც იყოს გამოწვეული. იქნებ ტყუილად იმიზეზებ რელიგიას, ეს კიდევ უფრო დიდი ცოდვაა. ასეა თუ ისე — მე ვხედავ ბზარს, ყოველდღიურად რომ ფართოვდება და სიტყვებს ჩვენი ბაგეები კი არა, თითქოს ბზარის ბაგეები

წარმოთქვამენ მაშინაც, როცა მე გეუბნები რაიმეს და მაშინაც, როცა შენ მპასუხობ ან მიაბობ რაღაცას.

მე უფრო მეტს ვხედავ — ვიდრე თვალი და უფრო შორს ვიხედები გულით — ვიდრე თვალებით.

ხმის ტემბრი, შემთხვევით წამოცდენილი სიტყვა, მოუზომელი ნაბიჯი — სინანულით თუ სიცრუით გაბუნდოვანებული თვალები — იმ სამყაროს ნამცეცებია, შენ რომ მიმალავ. საუბედუროდ, მე უფრო მეტს ვხედავ, ვიდრე შენ მიმხელ. ზოგჯერ, საკუთარ თავს შევისწრებ, რა ქურდულად ვიხედები შენს თვალებში, როგორც ნახევრად განათებულ უცხო ფანჯრებში, მინდა ყველაფერი დავინახო, მაგრამ მრცხვენია, თვალს გარიდებ, ე. ი. ვეგუები იმ „რაღაც“ უსიამოვნოს არსებობას. ჩვენ, ორივე ვეგუებით გაუცხოების ბზარს.

#### 29. IV. 92 წ.

თანამედროვე ესთეტიკა ფარისევლობის, კანონების, ჰარმონიის, მონობის უარყოფაში, საერთოდ — ამბოხებაში ეძებს განსხვავებულ მშვენიერებას — და კიდევ აკრძალვათა გაქილიკებაში, უსირცხვილობაში და კიდევ ვნებიან შორისდებულთა ხმოვანებაში, და კიდევ სიშიშვლეში, თუმცა არა მარტო სიშიშვლეში, შიშველთა საჯარო დაწყვილებაში.

სად არის სული?! სული დაავიწყდათ. წარმავლობის შიშმა გაათავისუფლა ინსტინქტი. თანამედროვე ესთეტიკა ინსტინქტებსა და იმპულსებს აღმერთებს. შენც ყოველგვარ ინსტინქტს ემორჩილები. შენ კარგავ სულს.

#### 30. IV. 92 წ.

წიგნები ცარიელია, საკუთარი სისხლი უნდა იკითხოს კაცმა (რილკე). მწერლისთვის, წერის პროცესში, როცა იგი სხვაგანაა, წიგნები, მართლაც ცარიელია — ანდა საერთოდ არ არსებობს. არსებობს მხოლოდ „საკუთარი სისხლი“, რომელიც „უნდა იკითხოს კაცმა“. „საკუთარი სისხლის კითხვა“ შეუცნობლის შეცნობის წყურვილია — არა იმის იმედით, რომ სასწაულის „მექანიზმს“ შეიცნობ, არამედ იმის სურვილით, რომ სასწაულის თანამონაწილე იქნები.

(მოდი ახლოს, არა, კიდევ უფრო ახლოს. საოცარია, ჩვენ ერთ სხეულად ვიქცევით, მაგრამ კვლავ განუსაზღვრელი სურვილი მაქვს შენთან უფრო მოახლოებისა). ეს არაა მხოლოდ ბიოლოგიური სწრაფვა — ეს არის თვითონ ბუნება, ეს არის დაკარგულ ჰარმონიასთან მოახლოების ცდა. სასწაულის შეგრძნება და სასწაულებრივ ქმედებაში თანამონაწილეობა, იმის ილუზიასაც კი არ მიქმნის, რომ მე სასწაულის არსი შევიცანი, არა, პირიქით, მე მხოლოდ უშუალო თანამონაწილე ვარ და მეტი არაფერი. ჩემი თანამონაწილეობა — სხვაგან ყოფნის არამექვეყნიურ განცდას ტოვებს ჩემში, ისე ფაქიზს, ისე მაღალს, ისე სულიერს, ყოველგვარ ფიზიკურ ძალას რომ გამოირიცხავს...

ეს განცდაა — საკუთარ სისხლს რომ მაკითხებს დროდადრო. „სისხლის კითხვით“ შეძენილი „ცოდნა“ აფართოებს თვალსაწიერს არა მხოლოდ ცის სიღრმეში — არამედ, საერთოდ სიღრმეში: იქითკენ, სადაც დამაბრმავებელი ნათელია, იქითკენ, სადაც აღარაფერი მოჩანს, იქითკენ, სადაც მხოლოდ თანამონაწილე ხდები

სასწაულისა — მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სისხლის კითხვის წყალობით. ასე მიიღწევა გონების დაკარგვის, გონების გამოთიშვის „სიბილური“ „მომენტი“ და გრძნობათა დამაბრმავებელ ნათელში გადასახლება. იქ, სიტყვები სხვა მნიშვნელობას იძენენ — ზედაპირზე არ ტივტივებენ და მხოლოდ ღრმად წვდომისთვის ჩნდებიან.

\*\*\*

ზოგჯერ არ მინდა ვაკეთო ის, რასაც ვაკეთებ და თუ ვაკეთებ მონური პასუხისმგებლობის და მოვალეობის ბრძანებით. როგორ ვერ დავიხსენი თავი იმისგან, რაც მაწუხებს?! ეს ხომ ჩემი მეორე მე მებრძვის, კრიჭაში მიდგას, მამცირებს, აბუჩად მიგდებს, დამცინავად მიმზერს და იგი სხვაგან, სადმე კი არ არის და შორიდან კი არ მიმზერს, ჩემშივე სახლობს და სულის მოთქმას არ მაცდის.

მაშინაც კი როცა... მეორე მე ცდილობს შენგან წამიყვანოს, გამიმდაფროს ცოდვის ჩადენის შეგრძნება და სინანულით აღმივისოს გული... ხან მე ვჯობნი, ხან ის და ორივენი კარგად ვხვდებით, რომ ერთმანეთთან გამუდმებული ბრძოლით — ერთ, მთლიან არსებას ვანადგურებთ თანდათანობით.

...ძილიც სანატრელი გახდა, აღარც ის მოდის, რომ სიზმრების ნისლში გამხვიოს და წამიყვანოს ამ სახლიდან, ამ ქალაქიდან, ამ ქვეყნიდან, დედამიწიდან — ჩემს სამშობლოში...

## 2. V. 92 წ.

რაც იყო წარსულში და რაც მძაფრად მახსოვს, იგი არსებობს ჩემში. მე ვარ გალერეა და ჩემში განაგრძობენ ცხოვრებას ისინი, ვინც აღარ არიან ამ ქვეყანაზე. ყოველთვის ვგრძნობ პასუხისმგებლობას მათ წინაშე და ჩემი საუბარი, რაღაცნაირად მათ მაგივრად საუბარსაც ნიშნავს, რადგან ისინი ჩემთან ერთად ცხოვრობენ და როგორღაც ჩემი ოპუსების თანავტორებიც არიან. მე ვარ მუზეუმი: ნივთები, საგნები, წიგნები, ხელნაწერები, ფოტოსურათები — ჩავლილი დროის სიცოცხლეს აგრძელებენ ჩემთვის და ისინი საოცრად მეხმარებიან განცდების რესტავრაციაში. ახლაც, შორიდან რომ ვუყურებ, ჩემთვის უმთავრესია განცდების და არა ცალკეული ამბების აღდგენა (ეს უკვე მუსიკოსობის ბრალია). წარსული, რაც არ უნდა შორიდან ვუყურო, ისე ახლოს მოდის, რომ სიშორე მხოლოდ წლების მანძილით შექმნილი ილუზიაა. ასე მთლიანდება ჩემში სიშორე და სიახლოვე — ანუ დრო წარმავალი და მარადიული.

\*\*\*

თუ ჩავთვლით, რომ სისხლი წყალია (რომელსაც ასე გვიწყალებენ პოლიტიკოსები), ხოლო ხორცი ჩვენი — მიწაა, ვნება კი ცეცხლია სხეულში მოხეტიალე, ხან რომ იღვიძებს და შთანთქავით გვემუქრება, ხან ნაცარწყარილი ნაღვერდალივითაა მიმალული, ჰაერი კი, რითაც ჩვენ ვსუნთქავთ, ჰაერია და სხვა არაფერი — შეგვიძლია დავასკვნათ: ადამიანი ოთხი სტიქიის მთლიანობაა და სტიქიათაჰარმონიული თანაარსებობა მხოლოდ სულს ძალუმს ღვთის შეწევნით!

## 7. V. 92 წ.

იყო დრო, როცა ჩემზე ფიქრით, ჩემი სიყვარულით (ჩემით) ცხოვრებდი. მეტად მძიმე აღმოჩნდა ამგვარი ცხოვრება შენთვის: დაიღალე, გაიტანჯე, მეტი ვეღარ შეძელი. შენ სიყვარულს შეებრძოლე და შეებრძოლება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ შეიცვალე. ალბათ თავი დაარწმუნე, რომ თითქმის უაზრობაა — მხოლოდ ვიღაცით ან ვიღაცისთვის ცხოვრება (იქნებ სიცოცხლე...).

დროთა განმავლობაში შენი ინტერესების სფერო გაფართოვდა და შეეცადე საზოგადოებისთვის (იმ საზოგადოებისთვის, რომელიც სწეულია) საჭირო (აუცილებელი) საქმეები გეკეთებინა. ეს უკვე შენს შინაგან მოთხოვნასაც აკმაყოფილებდა. ასე რომ, საქმემ საზოგადომ თანდათან გადაგავიწყა პირადი, ახლა რომ დროდადრო იხსენებ. თავიდანვე მივხვდი, რომ ჩემი გაღიზიანება შენი უყურადღებობით (ნაკლები ყურადღებით) თითქმის უსაფუძვლო იყო. ეგოისტურად ვთხოვლობდი ძველებურ ყურადღებას და სიყვარულს, მაგრამ ვერ ვხვდებოდი უმთავრესს: ამოუწურავი არაფერია ამქვეყნად, არც ორი ადამიანის სიყვარული, მით უმეტეს, რომ ამ სიყვარულს მომავალი არ გააჩნდა. ჩვენი თანაარსებობა არ აღმოჩნდა საკმარისი, რაღაც აკლდა სისრულეს („არ იყო სრული“) და ამ სინაკლულეს, არასრულყოფილებას იწვევდა დაფარული, არაკანონიერი, არატრადიციული კავშირი. დაფარული, არატრადიციული თანაარსებობა, თანაცხოვრება შენ ყოველთვის გიშლიდა ხელს, გღლიდა, გაეჭვიანებდა — მე კი ჩვენი მალული ერთობა მასაზრდოებდა და ყოველთვის ვთვლიდი, რომ ამის დაკანონება, საქვეყნოდ აღიარება — წამართმევდა იმ რომანტიკულ გარემოს, ჩემთვის რომ საარსებო წყაროდ იქცა. შენ ცდილობ გადამივიწყო (მგონი კიდეც გადამივიწყე), შენ ცდილობ გადამავიწყო შენი თავი (მგონი კიდეც გადაგივიწყე), ასეთი, გამუდმებული მცდელობით შემაჩვიე იმ აზრს, რომ ჩვენი ურთიერთობა სადაცაა დასრულდება. მაიძულე, რომ ამ თემაზე მეფიქრა დღედაღამ და აღმომეჩინა რა მძიმე იქნება კვლავ სიმარტოვეში დაბრუნება.

უცნაურია, როცა შენ ჩემით არსებობდი, მაშინ ასეთ დღიურებს არ ვწერდი. დღიურების წერა დავიწყე მას შემდეგ, როცა მივხვდი, რომ შენ მხოლოდ ჩემით არ არსებობ. რატომ მოხვედი ან რატომ მიდიხარ, დღემდე გამოცანაა ჩემთვის.

## 8. V. 92 წ.

ჩემთვის ვზივარ კუნელთან, დავიღალე და ვისვენებ. შევძლებ კი მარტოდ-მარტო ვიცხოვრო აქ, ზამთარ-ზაფხულ, — ამ უკაცურ და თითქმის მიტოვებულ აგარეკზე? რა ვიცი... როგორც კი გავიფიქრებ, რომ ჩემს გარდა კაციშვილი არ ჭაჭანებს ახლომახლო, — შიში მიპყრობს. სადაც მარტოობაა, იქ შიშია. შიში მარტოობაშია ჩაბუდებული. წელან ჩალაბულაში რაღაც აფხაკუნდა, ჯერ შევკრთი, მერე გავიფიქრე: ან მინდვრის თავგია ან კიდევ?! მივედი და რას ვხედავ კაიხელა კუ მობრძანდება დინჯად, როგორც სჩვევია. დამინახა და თავის თავში ჩაიმალა, იმასაც შეეშინდა. ესეც ახალი მეზობელი შემომემატა, ძველები: გვრიტები, გუგულები, ზღარბები, ხვლიკები და სინდიოფალები არიან. ისიც არის, მაგრამ იმის სახელს არ ვამბობ, იმასაც ეშინია, ჩემი ეშინია. მე მათი არ მეშინია, სხვა რაღაც კი მაშინებს დროდადრო, და ეს შიში ვინმეს შიში არაა, სამყაროს შიშია, რომლის დაუსაბამო შეუცნობლობა იმდენად



მძაფრდება აქ, ტყეებისა და მთების ფონზე, რომ შეუძლებელია ნორმალურმა ადამიანმა არ იგრძნოს უსაშველო მარტოობა უსასრულობის წინაშე, მაგრამ ეს მარტოობა უფრო ძვირფასია, ვიდრე ყოველდღიური ფარისევლური გარემო — იქ, იმ ქალაქში, იმ შენობებში, იმ მოსაწყენ ადამიანებში...

11. V. 92 წ.

ჩვენი ურთიერთობა ხან უფრო სულიერია, ვიდრე „სხვაგვარი“, ხანაც უფრო „სხვაგვარია“ — ვიდრე სულიერი. ჩვენც შეგვებო სნეული ცხოვრება, საცოდავი, დაბეჩავებული და თავგზააზნეული ხალხის ტრაგედია, განუკითხაობა და ტერორი. ნებისმიერი ცდილობს საკუთარი აზრი ძალით გააბატონოს. ვაი, საბრალონი, რადგან მათ დაივიწყეს სასუფეველი ცათა და ცდილობენ ამქვეყნიურ სიცოცხლეში არ მოიკლონ არაფერი, რაც მათ ამპარტავნებას და ქედმაღლურ ჟინს დააკმაყოფილებს. ფარისევლთა ყიყინი ისმის ამ ჭაობიდან...

დაეცა ქვეყანა, გაპარტახდა უვცი პატრიოტებისა და ქურდბაცაცა „დემოკრატების“ ხელში.

იმედი?! სადღაც ბჟუტავს, ჩაქრება და აინთება ციციანათელასავით, თვალს ვაყოლებ მის იდუმალ გადაადგილებას წყვილიაღში და როცა მგონია, რომ სამუდამოდ დამეკარგა, მაშინ გამოკრთება ხოლმე უკუნეთში.

14.V. 92 წ.

დღეს პირველად გაფაჩუნდა ჩემში სურვილი რაიმე დამეწერა ლექსად. დილა იყო, ხელს არავინ მიშლიდა და სანოტო ფურცელზე მივაჯღაბნე ორი სტროფი. არ ვიცი, გამომივიდა თუ არა, ერთი რამ კი უეჭველად ვიგრძენი: წყურვილი ლექსად თვითგამოხატვისა აღემატებოდა ნებისმიერ სხვა წყურვილს. ეს იყო სულის სიტყვებში განფენის მისტიკური მოთხოვნილება. ეს იყო თავის გადარჩენის მცდელობაც, რადგან თავს ვითავისუფლებდი უმძაფრესი განცდებისაგან, რომელთაც დიდხანს ვერასგზით გავუძლებდი. გული ვიოლინოსაკენ არ მიმიწევდა. წინათ, როცა მსგავსი განწყობილება მეუფლებოდა ვიოლინოსკენ გარბოდა ხელი, რაიმეს შევასრულებდი, ჩვეულებრივი მუზიციერებით, ფლაჟოლეტით ან პიჩიკატოთი ვერთობოდი. ახლა კი სიტყვისკენ უფრო ხშირად მიმიწევს გული ვიდრე მუსიკისკენ, თუმცა სიტყვასაც არ შეუძლია შემიცვალოს მუსიკის ენა...

20. V. 92 წ.

ჩნდება რაღაც ბუნდოვანი, მაგრამ ახალი; გადაიწმინდება ბინდი და მთელი სისრულით გამოჩნდება „რაღაც ახალი“, რომ არა გაურკვეველობა, წყვილიაღი, მოლოდინის სიჩუმე, ამჟამადაც ვიხილავდი იმ „რაღაც ახალს“ — სიბნელე რომ მიმაღავს, მაგრამ გულით აშკარად ვგრძნობ, რომ ჩნდება — რაღაც ახალი. დიდება უძველეს სიახლეს, მე რომ ჩემთვის აღმოვაჩინე და კიდევ ერთხელ ვეზიარე სიანკარეს თავისუფლების.

შენ მიდიხარ და ჩნდება „რაღაც ახალი“. რაც უნდა ნაღვლიანი იყოს უძველესი სიახლე — იგია ჭეშმარიტება და გზა ღვთისაკენ მიმავალი.  
ველარ ვიფიქრებ მხოლოდ შენთვის და მხოლოდ შენზე.  
მიყვარს უძველესი სიახლის თავიდან აღმოჩენა!

20. V. 92 წ.

საზოგადოებრივი აზრის მონები, ფარისევლები, ეტიკეტის სიყალბეში ჩამალულები, ისინი მხოლოდ სიკვდილის წინ გამოაჩენენ ნამდვილ სახეებს, იმის დასტურად, რომ სიცოცხლე იყო მათთვის თვალთმაქცობა და ასპარეზი გამოჩინების.

საზოგადოებრივი აზრის ჭაობი სავსეა შხამიანი ყვავილებით, გომბეშოებით და მცურავებივით ათასნაირით.

და ჭაობის მწვანე ღამეში თუ კი რაიმე ანათებს ზოგჯერ ამფიბიათა თვალეზია — სხვა არაფერი.

აი, ამ ჭაობის ამოშრობაა ქრისტიანული საქმე. ამათ ყოყინში აღარც კი ისმის, როგორ გალობს ღამის ფრინველი.

21. V. 92 წ.

ეს დღე იყო კიბის ერთი საფეხური, ერთი ძალდაუტანებელი ნაბიჯი მეორე დღემდე, ხვალ რომ მოვა (ნამდვილად მოვა?! ვინ იცის). ნებისმიერ ამინდს ვეგუები, მხოლოდ ქარი მაფორიაქებს. მეცოდებიან ქარით გალახული გაზაფხულის ხეები. მებრალებიან იდეურ ბრძოლაში ჩაბმული ადამიანები — იდეების მონებად რომ იქცნენ. ყველას ძალით უნდა საკუთარი სიმართლის დამკვიდრება. ძალადობა. ძალადობა. ძალადობა. ახლაც ისმის სამხედრო გზიდან კანტიკუნტი სროლის ხმა. ვის მხარეზე უნდა დადგე?! — იქითაც და აქეთაც ჩვენი ხალხია. დავდო ვიოლინო და ავტომატი ავიღოთ ხელში?! მერე ვის ვესროლო — ჩემი მუსიკის მსმენელებს?! მხოლოდ იმიტომ, რომ განსხვავებულად ფიქრობენ?! ვერ ვიქეცი მემამბოხედ, სწორედ ამიტომ ვდუმვარ. ხალხი კი ეძებს გმირს, მსხვერპლს, რომელიც გამოვა და დამარცხებულს, დაჩაგრულს გამოექომაგება. მსხვერპლშეწირვის მოთხოვნა მეტად მძლავრია. მაგრამ ისინი მსხვერპლს, რატომღაც, თავის თავში არ ეძებენ, სხვებისგან მოითხოვენ გმირობას. თითქოს ერთ, უზარმაზარ არენად იქცა ჩვენი ქვეყანა, სადაც ყოველდღე სრულდება მსხვერპლშეწირვის ველური რიტუალი. ვაი, ვაი, წარმართებო! თქვენ ჩემს სიტყვებს როგორ მოუსმენთ, როცა უფლის ხმას არ აყურადებთ. ერთმანეთის სიძულვილით დაავადებულხართ და სიძულვილში თხოულობთ მხარდაჭერას.

მე არ შემიძლია თქვენ მძულდეთ, მე არ შემიძლია ისინი მძულდეს. მე თქვენ არ გეხმარებით, იმიტომ, რომ არ მჯერა თქვენი. მე მათ არ ვემხრობი, იმიტომ, რომ არ მწამს მათი. არა, თქვენთან და არც მათთან ღმერთი არ არის, რადგან თქვენი და მათი საბოლოო იარაღი ძალადობა და სიძულვილია.

მთელი ქვეყანა ტერორიზმისა და მსხვერპლშეწირვის ასპარეზია. შეიძლება კი ასეთ დროს მუსიკოსსკვითხო: ვის უჭერ მხარს?!

მე მხარს ვუჭერ იმ საქართველოს, რომელიც მოშულლეთა შორის გაჩაღებულ ბრძოლაში ისრისება, სისხლისგან იცლება, ბეჩავდება.

არეული დრო. სულის გადარჩენაზე ზრუნვა. შეხვედრები, შეხვედრები. განშორებულთა ზიზღიანი დუმილი. შემწყნარებლობის, სინანულის, თანაგრძნობის დეფიციტი.

ღმერთია ჩვენი შემწე, მაშინაც, როცა სამართლებრივია სახელმწიფო და მაშინაც, როცა არასამართლებრივია იგი. ძალაუფლების მაძიებელთათვის — მიწიერი ცხოვრებაა ერთადერთი ცხოვრება. ეს ომიც და არეულობაც მათი ატეხილია. ეს უბედურები, ყველანი, ჩრდილოეთიდან იმართებიან. ისინი ყოველთვის მუცლით აზროვნებდნენ.

27. V. 92 წ.

შენ კამერტონი ხარ, შეგეხები და თრთი, მაგრამ კამერტონისგან განსხვავებით შენში ბგერათა მთელი სპექტრია ჩამალული და ყოველ ბგერას თავისი მუსიკალური ნიშანი გააჩნია, თავისი ტონალობა და ხანგრძლივობა, თავისი პაუზა უცნაური ფერმატოთი და მოულოდნელი კრემქენდოთი, ცვალებადი რიტმით: ანდანტე-მოდერატოდან — ალევროთი დამთავრებული. ერთი სიტყვით შენ მთელი ორკესტრი ხარ, შენში მთელი მუსიკაა გარინდული, შენი სხეულის ყოველი ნაწილი კლავიშია, სიმია. ჩვენ დიდი მუსიკის თანაავტორები ვართ. ბგერები ისე ბუნებრივად ამოდინან და იშლებიანჰაერში, როგორც ყვავილები, ჩვენი ძარღვებიც ისე თრთიან, როგორც სხივები. ყველგან და ყველაფერში იგრძნობა ზენაარის თანამონაწილეობა.

29.V. 92 წ.

შენ თავს ებრძვი. მეც თავს ვებრძვი. ეს ბრძოლა კარგა ხანია გრძელდება. დღეს ისევ გაეცი შენი საიდუმლო, გაეცი სიყვარული, რომლის ჩაკვლასაც ლამობ. ვგრძნობ, ჯერ ვერ მოერიე; იმ სიძლიერით აღარ, მაგრამ მაინც გიყვარვარ. ამ სიყვარულის დასაძლევად შენ ცდილობ დაადგე სხვა გზას, მაგრამ რაღას მოჰყავხარ ჩემთან სიბრაღულს თუ ჩვევას, რომელიც არ გეთმობა და გასურს პარალელურად შეინარჩუნო. შენი სიტყვები: „არა ვარ ღირსი შენი სიყვარულისა“ — მუხლებზე დაჩოქილმა რომ ამოიკივლე და ფერდზე მაკოცე, იმის მიმანიშნებელია, რომ უკვე დაადექი სხვა გზას. თუ ეს ასეა, ამ თამაშს, გაორებულ ყოფას, თვალთმაქცობას ბოლო უნდა მოეღოს. იქნებ, მეც ავირჩიო პარალელური გზა?!

...მახსოვს მკლავზე ამოსვირინებულნი: „არ ენდო ქალს“. სასაცილოა ქალის ნდობაც და უნდობლობაც. არიან ქალები, რომელთაც ვერასოდეს გააკონტროლებ; მათ უყვართ თავისუფლება და ცხოვრობენ მხოლოდ გულის კარნახით. მივხვდი, რომ შენც ასეთი ხარ. აღარ განვიცდი, რა ხანია მივეჩვიე, რომ უნდა დაგკარგო, მაგრამ შენ მაინც მოდიხარ. იმედი ნუ გაქვს, რომ ეჭვები გამიათკეცდება.

ჩემთვის უკვე სულ ერთია, მაგრამ შენ მაინც მოდიხარ და თუმცა სულ ერთია, მაინც მიხარია შენი მოსვლა. ერთი მიზეზი, რისთვისაც მოდიხარ სულიერი სიმშვიდეა, ის ატმოსფეროა, ჩემთან რომ სუფევს და დღემდე მოგწონს. არის მეორე მიზეზიც სხვაგვარი სიახლოვისა, მაგრამ როცა მიდიხარ, იქ, სადაც მიდიხარ, რისთვის მიდიხარ?! იქაც არის რაღაც მომხიბლავი — ბოლომდე რომ არ გაკმაყოფილებს და ისევ ჩემთან ბრუნდება. ეს დაუძლეველი ტრაგედიაა, საშინელი ტრაგედიაა და გითანაგრძნობ გულწრფელად.

30. V. 92 წ.

თითქოს აპოკალიფსი ახლოვდება, შიშმა შემიპყრო, გაივსო გვამებით ქვეყანა, შევეჩვიეთ ძმათაკვლას. საწყლები, თავისუფალი მონები დემოკრატიის შენებას შეუდგნენ. ხალხს აღარ სჯერა მართლმსაჯულების, ამიტომაც გაჩნდა ლინჩის მოთხოვნილება. მეშინია უარესი დღეებისა, მეტი სისხლის, მეტი შიმშილის, მეტი წყვიადის, მეტი დაუნდობლობის.

\* \* \*

არა, მე არაფერი მეჩვენება. იგი ღამით მოდის, თუმცა, კი არ მოდის, ჩნდებაჰაერში. მხოლოდ მისი ჩუმი სუნთქვა მესმის, ვგრძნობ, რომ სადღაც ახლოა, თუმცა ვერ ვხედავ. იგი არ ჩანს, მაგრამ არსებობს. დროდადრო აღმოვაჩენ, რომ არა ვარ მარტო, იგი მიმზერს, ჩემი ყოველი მოძრაობა, დამალული განცდები, თვალებში გამკრთალი ღიმილი თუ უცაბედი ნაღველი მისთვის ცნობილია, ხილულია, მან ყველაფერი იცის ჩემზე. სიტყვის გულში გავლებაც კი არ შემიძლია მისგან დამალულად. წელანაც, ვიგრძენი მისი მზერა, შემოვტრიალდი და შემკრთალმა მიმოვიხედე — იგი ყველგან და არსად არის ერთდროულად. იგი ყველაფერია და არარაა ერთდროულად. ღმერთო, შემეწიე!

31.V. 92 წ.

შენით არ იწყება და შენით არ მთავრდება ყველაფერი, მაგრამ მაინც გამიჭირდა იმის დაძლევა, რაც თვითონ გამოვიგონე, რაღაც დაგსახე, როგორც მეგონე. ჩვენი თანაცხოვრება დიდხანს გაგრძელდა. ადრევე მივხვდი, რომ ჩვენ, ორივეს ცალ-ცალკე სიმარტოვე გვტანჯავდა. ვიპოვეთ ერთმანეთი და გაგიჩნდა ილუზია დროებითი ბედნიერების. ერთად ყოფნის დროებითობა თავის დაღს ასვამდა ჩვენს სულებს. შენ არ გსურს მთელი ცხოვრება სიყვარულის მალვაში გალიო. დამალულ სიყვარულს დაკანონებული ოჯახის შექმნა გირჩევნია ვინმესთან, სხვასთან, რადგან მე მეშინია ოჯახური ერთფეროვნების — სიყვარულს რომ სავალდებულო ფიზკულტურად გადააქცევს. მე ვგრძნობდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს დავშორდებოდი. ამ ფიქრს ისე ვმალავდი, რომ მავიწყდებოდა კიდეც მისი არსებობა. ახლა, როცა დასამალი არაფერია, როცა ჩამწვარი დღეების ნაცარი მიმოიფანტაჰერბარიუმებად, დღიურებად, ერთად გატარებულ წუთებად, იმ ფიქრმა ავად გამოაჩინა ნაკვერჩხალივით თვალი. იმ ნაკვერჩხალს, შენ, ყოველდღიურად სულს უბერავდი და მე უკვე თავის მოსატყუებლადაც აღარ მეცალა. მხოლოდ ჩემზე ვბრაზობ: განა შეიძლება რომანტიკულ ბურუსში ცხოვრება, მხოლოდ იმპრესიონისტული ფერადების სიყვარული და მივიწყება უმკაცრესი ყოფისა, შენზე რომ საშინლად ზემოქმედებს, დიახ, უფრო მეტად შენზე, რადგან ჩემი შეცვლა უკვე შეუძლებელია. ბევრს ვთხოვლობ შენგან. ბევრია შენგან იგივეს მოთხოვნა, რაც მე შემიძლია შენთვის მოვიმოქმედო. სამწუხაროდ, არ შემიძლია ჩვეულებრივი სიყვარული, ჩვეულებრივი ერთგულება, ჩვეულებრივი თანაცხოვრება. მე ყველაფერში არაჩვეულებრივს ვეძებ. მჯერა, რომ ყოველდღიური ჩვეულებრიობა, სხვაგვარად ერთფეროვნებას რომ ვუწოდებთ, მოჩვენებითი სინამდვილეა, ჭაობია,

უმრავლესობა რომ ადვილად ეგუება, მიების იმედსაც კი კარგავს და იქ ატარებს მთელ სიცოცხლეს. ჭეშმარიტი სინამდვილე ყოველდღიური ერთფეროვნების სიღრმეშია, იგი ზოგჯერ თვალწინაა, მაგრამ სულით დაბრმავებულნი ვერ ხედავენ. ყოფითი სინამდვილე მექანიკური სათამაშოების სამყაროა, არავის არაფრის შეცვლა არ სურს; შეცვლა კი არა, რაიმე სიახლის შეცნობა, შეგრძნება, აღმოჩენა, გაცნობიერება სიცოცხლის არსისა არ ძალუძთ, არა და ამის გარეშე ძნელია თავი დააღწიოს ადამიანმა სულისშემხუთველ ერთფეროვნებას და მას ეჩვენება, რომ აღარაფერია ქვეყანაზე საინტერესო. ამის მიზეზი სულიერი სიბრმავე და ყულფად ქცეული ჰორიზონტია. საიდან დავიწყე და სად მივედი. შენი ჰორიზონტიც თანდათან ვიწროვდება, ისე ვიწროვდება, რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს, იქნებ, შენც ყულფად გექცეს. თავის დაღწევის, ჩემგან გაქცევის მიზეზით — შენ დაემბე სხვა თავისუფლებას, მოჩვენებით, პრიმიტიულს, რომელსაც თავისუფლებას მხოლოდ პრიმიტივისტები უწოდებენ. მჯერა, ეს შენი თავგანწირვაა, — რაღაც უნდა დაგიჯდეს დამივიწყო, სხვა ცხოვრება დაიწყო, მაგრამ შენ სიყვარულის დაძლევის საფასურად — იცვლები, ჭაობს უბრუნდები. არც ის გამიკვირდება, რომ იქ უკეთ გრძნობდე თავს, რადგან აქ, მაღლა, მუსიკის სამყაროში მოგბეზრდა ყოფნა. სამწუხაროდ, სიმართლეს ვერ მივაგენი: ხარ შენ ნამდვილად ის, ვინც მეგონე თუ შენ ისეთივე დედაკაცი ხარ — მილიონობით რომ ცხოვრობს დედამიწაზე. შენ დიდად განსხვავდები იმ პერსონაჟისგან, მე რომ შევქმენი. ალბათ, პერსონაჟით გექცევი, შენ კი ადამიანი ხარ, შენი სულიერი თუ ფიზიკური პრობლემებით, ყოველდღიური წვრილმანებით. მე შენ გაქციე ლიტერატურულ-მუსიკალურ პერსონაჟად და ამის შემდეგ შემიყვარდი. ახლა დაბნეული ვფიქრობ: ვინ უფრო მიყვარს — შენ თუ შენი ლიტერატურული ასლი? ის, რასაც შენგან ვთხოვლობ, მხოლოდ შენს ასლს, ლიტერატურულ პერსონაჟს შეუძლია შემისრულოს, შენ ვერ შეძლებ, მაგრამ მხოლოდ პერსონაჟის სიყვარულიც მეცოტავება. ეგოისტურად ვაზროვნებ. არც მიკვირს, მუსიკოსი არ შეიძლება ეგოისტი არ იყოს. არ მსურს შენზე რაიმე ცუდი გავივლო გულში.

## 2. VI. 92 წ.

რადგან ჩვენი გზა არსად მიდიოდა — სწორედ ამიტომ წახვედი. არ შეგეძლო გამუდმებით გევილო გაურკვევლობისკენ. მომავალზე უნდა გეფიქრა; ჩემთან მომავალი არ გაგაჩნდა. მე წარმავალი ვარ, თანაც მომავალი ჩემთვის წარსულია. ვცხოვრობ მხოლოდ აწმყოთი — წარსულით გაჟღენთილი აწმყოთი. ოდესმე შენც მიხვდები რას ნიშნავს მთლიანი დრო, წარსულის და აწმყოს მთლიანობა, მომავლის პირობითობა, მომავლისა — რომელიც მოვა თუ არა — არავინ იცის. ღამით რომ ვწვები, — ღმერთს ვევედრები გამითენოს მეორე დღე, დარწმუნებული კი არა ვარ, გამითენებს თუ არა. მიუხედავად ამისა — მიჩვეული ვარ ქვის კოდვას, დაქანცვამდე შრომას და ესაა ჩემი ნუგეში, ერთადერთი იმედი. ვინ იყავ შენ — შემთხვევითი სტუმარი, გზააბნეული მარტოსული... თუ?! დადგა დრო გულმშვიდად გავაანალიზო ყოველივე. დადგა დრო გადავიტანო ეს მძიმე დღეები. რას ვეძებ? რა მინდა? გამუდმებით რომ ვაშენებ რაღაცას ფიქრით, ბგერებით, სიტყვებით, წარმოსახვით, მთელი არსებით. უსაქმურობა, ანუ მექანიკური ყოფა, სხვები რომ დასვენებას ეძახიან, ჩემთვის სიკვდილია.

ჩემი ცხოვრების მთლიანობა დაირღვა შენი წასვლით. გაჩნდა სიცარიელე — ცივი, უნუგემო, ახლა მუსიკალური ეტიუდების წერით რომ ვავსებ. დიახ, ეტიუდებია სიცარიელის შევსების მცდელობა. შენს ადგილს იჭერს მუსიკა და კიდევ სიტყვებით თამაშის მოთხოვნილება.

რამდენიმე წლის წინ შენ დაიკავე მუსიკის ადგილი, თავიდან ძლიერ განვიცდიდი, რომ დროს მართმევდი, ახლა კი განვიცდი უშენობას და უშენობით აღძრულ განცდებს მუსიკად ან ზოგჯერ სიტყვებად გარდავქმნი.

იყო დრო, როცა შენ დღიურებს წერდი, რამდენჯერმე წამიკითხე კიდევ. იმ რვეულში პატარა გოგოს გულწრფელი განცდები სუნთქავდნენ და ის განცდები ისე გადამდები იყო, რომ აქამდე მახსოვს იმ შთაბეჭდილებათა სიმძაფრე. დღეს მითხარი, რომ ის დღიურები, ისინიც — მე რომ არ წამიკითხავს — ერთიანად გაგინადგურებია. დარჩა სამი წლის სიყვარულის ფერფლი და ისიც მყისიერად განიფანტა სამყაროში. მაგრამ რაც გულში დარჩა, იმას ვინღა ამოძირკვავს ან ვინღა წაშლის?!

დარჩა მხოლოდ ჩვენი სიყვარულის სპერბარიუმი. პირველად განვიცადე ეს მძიმე ტკივილი. პირველად მივხვდი, რას ნიშნავს დაკარგო ის, რისი დაკარგვაც ლამის სიცოცხლის გაუფასურებას ნიშნავს.

მე არ ვხევ ჩემს ნაწერებს, რადგან ჩემი ნაწერები, ნოტებით თუ სიტყვებით აღბეჭდილი დღიურები, ჩემი სიცოცხლის, ჩვენი ერთადყოფნის დასტურია. არ ვიცი, რა სახეს მიიღებს ეს წიგნი, დღიურების კრებული დაგვიანებული რომანტიკოსის გულისამაჩყებელ ნაამბობს დაემგვანება თუ ერთი სიყვარულის თავგადასავალი აირეკლება მის სივრცეში?! ალბათ, ჩემს მეგობარ მხატვარს ვთხოვ — წიგნის გარეკანს დაახატოს სპერბარიუმი, როგორც ჩავლილი სიყვარულის ნაკვალევი.

### 3. VI. 92 წ.

დავიწყე შენი ნაკლის ძებნა, რათა ნაკლი ხელზე დავიხვიო და ადვილად აგითვალწუნო, მაგრამ ამაოდ, ჯერ ვერ ვახერხებ.

სიყვარული სახადია. დიდი ხანია გრძელდება ეს დიდებული ავადმყოფობა, გრძელდება ჩვენი ბუნებრივი სწრაფვა ერთმანეთისკენ — იგი შეწყდება მაშინ, როცა ბუნებრივად შეწყდება. დასასრულიც ბუნებრივი უნდა იყოს.

\* \* \*

მომწყინდა დღიურების წერა. მუსიკა მეძახის, ცეცხლოვანი ბგერები გიზგიზებენ სულში — სიმწყობრეს თხოულობენ, სივრცეში გაღწევა სურთ, დიდხანს ვეღარ გავუძლებ მათ სიმხურვალეს, სინათლეს, თრთოლვას, შეუძლებელია გამუდმებულად გაუძლოს კაცმა სულის ასეთ მდგომარეობას.

### 9. VIII. 1992 წ.

დროდადრო მაინც მახსენდება. ფუი ეშმაკს!

განვედ ჩემგან!

სიმართლე უნდა ვაღიარო: ჩემთვის აუტანელი აღმოჩნდა, მან რომ მიმატოვა, ეს ვერ მოვიწევე. რა მძიმე სენია ამპარტავნება?! ამპარტავნებას დავთრგუნავ და

გავთავისუფლდები — კიდეც უფრო ჩავღრმავდები. ოჰ, ეს საოცარი სიღრმე, ყველაზე სანატრელი მეგობარი სულისა.

შედარებით მშვიდად ვარ. ვეგუები განახლებულ ძველ ყოფას. ძველსა და განახლებულ სიძველეს შორის იყო გაურკვეველი, ვარდისფერი ბურუსი. იმ ბურუსიანი წლების შეცნობას ვერასოდეს შევძლებ. თვითონ არ ვიცი რა დავარქვა დროის იმ მონაკვეთს, რომელმაც მოიცვა ჩემი წარსულიცა და მომავალიც...

## 20. X. 92 წ.

ტრაგედია არსებობს მაშინაც, როცა შენ ჩემთან არა ხარ, და მაშინაც, როცა შენ ჩემთან ხარ. ხსნა ქალში არ არის, ისე როგორც არ არის კაცში, ხსნა ამსოფლიურ ცხოვრებაში არ არის.

თანდათან განვმარტოვდი. ზოგჯერ საკუთარ თავსაც ვემალები, უფრო ხშირად კი სურვილებს ვებრძვი, როცა მარცხდება მეორე მე, მაშინ იწყება ჭეშმარიტი მარტოობა.

მხოლოდ მსუბუქი ნაღველი, სხვა არაფერი — ისიც ღრუბლის ჩრდილივით ჩაივლის და შენს გახსენებასთან ერთად გაქრება. ბედნიერი ვარ, რომ აღარ მენატრები. ახლა მიკვირს: რისთვის მენატრებოდი?! მე ხომ მაშინაც ვგრძნობდი, რომ უცხონი ვიყავით ერთმანეთისთვის... სამუდამოდ უცხონი დავრჩით.

სამწუხაროდ, ვეღარ აღვიდგინე წონასწორობა, შენამდე რომ მასაზრდოებდა. ალბათ, საამისოდ, დიდი დრო მჭირდება. რაღაც მოკვდა ჩემში, რის აღდგენასაც ვეღარ ვახერხებ. უკვალოდ არ ჩაუვლია ყოველივეს. ჯერ არ ამოსულა ბალახი შენს ნაკვალევზე.

## 22. X. 92 წ.

როდისაა იგი გულწრფელი, როცა შენ გეფერება თუ როცა სხვას ეფერება?!

შენთანაც და სხვასთანაც იგი თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებს. იგი ყოველთვის გულწრფელია. ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა ერთ შენს დაქალთან კოტრიალის შემდეგ, მეგონა გადაგივიწყებდი, მაგრამ პირიქით, ჩემი თავი შემზიზღდა.

## 12. XII. 92 წ.

მომენატრა თამაში, — თამაში მუსიკაში, თამაში პოეზიაში, თამაში ფერწერაში, თამაში სცენაზე, თამაში სიყვარულში, შენთან თამაში... რომელია უფრო მიმზიდველი — თამაშის სინამდვილე თუ მონოტონური ყოველდღიურობა?!

## 25. I. 93 წ.

დარდი — ბუნდოვანი, გაურკვეველი, სხეულის მომცელავი — ჩაბუდებულია ჩემში და არა მხოლოდ ჩემში — ჰაერშიც, საგნებშიც, ყველგან, ყველაფერში, რაც ირგვლივია...

პასიური დარდი, ჩამქრალი ფიქრი, შენელებული აზროვნება, არც უიმედობა, არც იმედი, არც სურვილი წიგნის კითხვისა, მუსიკის მოსმენისა, მეტადრე წერისა, მაგრამ მაინც კალამი ავიღე ხელში. კალამს შეუძლია გამიყვანოს მონუსხული წრიდან, გამიყვანოს ჯერ ფურცლის სივრცეში, მერე სხვაგან, როცა კალამი და ფურცელი მხოლოდ საშუალებაა უფრო შორეული სივრცის მოსახელთებლად. ბუნდოვანი დარდი მალე სინანულად იქცევა. მოდი, მოდი სინანულს, ერთადერთს სარკმელს, ღვთის შუქით რომ ავსებ ადამიანის ჩაბნელებულ სულს.

ყოველი ნაბიჯი წარსულიდან გაქცევაა და ამავე დროს წარსულის გაგრძელებაა. მეჩვენება, რომ ვშორდები წარსულს, მხოლოდ მეჩვენება, რადგან იგი ჩემთან ერთად განაგრძობს წინსვლას, ჩემთან ერთად იცვლება და ვითარდება, რადგან წარსული არაა გარდაცვლილი დრო, იგი სათავეა და სათავეს ვგრძნობ მდინარესავით.

„ან თავსა კლდესა ჩავიქცევ  
ანუ მოვიკლავ დანითა“...

რომ გათენდება, წავალ ჩემი ეკლესიისკენ. მიყვარს გზა სახლიდან ეკლესიამდე, უცნაური სიმსუბუქე ახლავს ამ გზას, თითქოს ქრება სხეულის სიმძიმე, ამჩატებელია ნაბიჯი — და ეს იმიტომ, რომ რაც უფრო მცირდება გზა ეკლესიამდე, მით უფრო მატულობს სინათლე ჩემში და სხეული კარგავს ბნელ სიმძიმეს, ცოდვათა ტვირთს. ყოველ დღე რომ ამ გზაზე ვიარო, ალბათ ფრენას ვისწავლი. მეშინია გამუდმებული სიმსუბუქის, მეშინია უცოდველობის — მერე აქ ვეღარ ვიცხოვრებ, მერე უნდა დავშორდე იმ ტანჯვანარევ სიყვარულს — ადამიანური ყოფა რომაა. ვერ ვახერხებ ერთმანეთს შევუნაცვლო ჩემში არსებული ორი სახე, მაგრამ როცა ისინი ერთმანეთს ებრძვიან — ჭირს გაძლება და გულში ვამბობ: რომ გათენდება, წავალ ჩემი ეკლესიისკენ. მიყვარს გზა სახლიდან ეკლესიამდე.

28. V. 93 წ.

შენი გამუდმებული ფიქრი მალვიძებს ღამით. ისევ შენ გამაღვიძე, შუალამისას გამიტყდა ძილი. ერთხანს საწოლში ვიწრიალე, ძილის შებრუნება მინდოდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ავანთე შუქი და წამოვჯექი. მერამდენედ, უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე, ვიღაც მალვიძებს და ეს ვიღაც, როგორც ახლა ვხვდები, შენ ხარ... შენ, რომელიც ქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობ, ჩემი სახლიდან ოცდაათი კილომეტრის მოშორებით. ვინმეს რომ მოვუყვე, სულელად ჩამთვლის: ქალაქის მეორე ბოლოდან როგორ გაღვიძებენო?! მე კი დარწმუნებული ვარ, რომ შენ მალვიძებ — გამუდმებული ფიქრით, გამძაფრებული მონატრებით, სინანულით — ტალღებად რომ ვრცელდება სივრცეში შენგან და როგორც გამადიდებელი შუშის ერთ წერტილში თავმოყრილი მზის ენერგია, ისე იჭრება ჩემში უცნაური ძალა — შუალამისას ძილს რომ მიფრთხობს და ისეთი განწყობით მავსებს, როცა ვიოლინოს ან კალამს და ფურცელს შეუძლია ჩემი განმუხტვა. ვიდრე მთლიანად არ დავიქანცები, ვიდრე არ ჩაქრება ჩემში ის იმპულსები — ღამის ოცდაათკილომეტრიანი სივრცე რომ დაუბრკოლებლად გადმოლახა და მომაქცია საკუთარ მაგნიტურ ველში, ვიდრე თავს არ დავიხსნი გარედან შემოღწეული სურვილებისგან, მანამდე ვერ ვიძინებ...

\* \* \*



ერთი წელი შეჩვევას მოვუნდი, ძლივს შეგეჩვიე. ბოლომდე მაინც არასოდეს გენდობოდი, რადგან ჩვენს სიყვარულში, (თუ ნამდვილად სიყვარული იყო) მარად ფხიზლობდა სიუცხოვის პაწაწინა ბზარი,— თავს რომ მახსენებდა მაშინვე, როგორც კი სახანს გადავწევდი და საწოლიდან წამოვდგებოდი. ვიცვამდი სწრაფად, ერთი სული მქონდა ეზოში გავსულიყავი, შემეთვალაიერებინა ჩემი დარგული ხეები, წელს რომ საგრძნობლად წამოიზარდნენ, მზეს მივფიცებოდი და ერთხანს გავრინდებულიყავ, რათა გადამევიწყებინე მცირე დროით მაინც. მერე ისევ უკან ვბრუნდებოდი, თვალთმაქცურად გეფერებოდი — სინამდვილეში კი გაჩქარებდი, რათა დროზე დაბრუნებულიყავი სახლში, რომ მე ისევ შევრჩენოდი სიმარტოვეს — ჩემს მუსიკას, ჩემს ვიოლინოს — ჩემს ახალ გატაცებას ლიტერატურულ ჩანაწერებს. როგორც უსაშველოდ მენატრებოდი, ასევე სასწრაფოდ მზეზრდებოდი სიახლოვის მერე. არ შემემლო გამუდმებით შენთან ყოფნა ან საერთოდ უშენობა, თუმცა უშენობა უფრო შესაძლებელი ყოფილა, როგორც მომავალში გამოჩნდა.

12.02. 93 წ.

როგორც იქნა, წიგნების დალაგებას შევუდექი. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ძველ, ერთგულ და მეტად საყვარელ გარემოში მოვხვდი. ხელში ვიღებ, ვათვალაიერებ, ვიხსენებ: მთელი ჩემი ცხოვრება ამ წიგნებთან მეგობრობაში გავიდა. ზოგი ისეთი წიგნიც მხვდება, რომ არ გამიშლია არასოდეს — მრცხვენია მათი, მერიდება. ვცდილობ, ახლა მაინც გადავხედო. არის ისეთი წიგნებიც, მრავალჯერ რომ გადამიკითხავს, ღამეები ერთად რომ გვითენებია, სულის საკუთრებად ქცეულან, რადგან მათი გაწვრთნილი და გამოზრდილი ვარ.

ეს ხუთი წელი — რაც ამ სიყვარულობანას გადავყევი, მე და წიგნები ერთმანეთს დავშორდით — და არა მარტო მე და წიგნები — მე და ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება, თითქოს ერთმანეთს გავემიჯნეთ, გავიხლიჩე, ის, რაც საუკეთესო იყო ჩემში — დადუმდა, გაირინდა, პასიურ ენერგიად იქცა, ხოლო ის თვისება, რომლის მოთოვვასაც ვახერხებდი, გაბატონდა ჩემზე და დღემდე მაიძულებდა ინერციით მეცხოვრა. თურმე ამგვარ არსებობასაც ჰქონდა თავისი დადებითი მხარე; როცა ძლიერ გამიჭირდა, ჩემში ისევ იფეთქა თითქოსდა მინავლულმა ენერგიამ და კვლავ დავუბრუნდი იმ სივრცეს, იმ საგნებს, იმ კატეგორიებს, რითაც ადრე ვცხოვრობდი. ვერც კი წარმოვიდგენდი ჩემში თუ ისევ არსებობდა ის ჟინი — მე რომ მთლიანად ჩაფერფლილი, ჩაბუგული მეგონა. იგი მანამდე თვლემდა სულში, ვიდრე არ გაჩნდა აუცილებლობა მექანიკური ყოფიდან თავის დაღწევისა, სულის გადარჩენისა.

28. 02. 93 წ.

ნეტავ მამყოფა სადმე მარტოდმარტო — ლუკმა-პური რომ არ მქონდეს საზრუნავი, იქ, დიდ ეზოში გავატარებდი მთელს სიცოცხლეს: ხან გავსხლავდი, ხან დავბარავდი, ხანაც გავთოხნიდი — ნელა, აუჩქარებლად, ფიქრის თანხლებით. რომ არ მწყინდება ხეების ცქერა, ნათესების თვალაიერება, ფრინველთა გალობის მიყურადება?! აქ, მუდამ რაღაც ხდება მნიშვნელოვანი, იდუმალი: სიჩუმეში, მზით ჩამთბარ ნეშოში თუ მუხის ჩრდილქვეშ, ახლად ამოიბინებულ ხავსზე და ბალახის

ღერზე აცოცებულ ჭიამაიის ნაკვალევზე. აი, ახლაც, ჭიამაიამ თავის გზა განვლო, აათავა ბალახის ღერო და მზის სხივისაკენ გაფრინდა. აქ მუდამ რაღაც ხდება სასწაულის მსგავსი; მსგავსი პირველყოფილი სიცოცხლისა. იქ კი არაფერი, არაფერი — სიცრუის, შურისა და მტრობის გარდა. თითქოს ადამიანები ერთმანეთის სამტროდ გაჩნდნენ ამ ქვეყნად.

## 12.VI. 93 წ.

საკუთარ თავს ვერ ვცნობ: გადავსხვაფერდი, შევიცვალე, მე უკვე სხვა ვარ, სხვა და თანაც იგივე. აღარ ვიცი, რა ჭარბობს ჩემში — ძველი თუ ახალი თვისებები.

რაღაცას ვშორდები, რაღაცას ვუახლოვდები. არ ვიცი, როდემდე გასტანს ეს გაურკვევლობა. ძველი ეტიუდები და პიესები, ახლაც რომ ვათვალიერებ, სხვისი დაწერილი მგონია. ამჟამად სული სხვა რამეს თხოულობს, რისი გამოხატვაც, ჯერჯერობით, არ შემიძლია. ვფიქრობ ბუნდოვანებასა და კიდევ ყოფიერებაზე გამუდმებული ფიქრის ბრალია ყოველივე. მე ვარ ის, ვინც ვიყავი დღემდე, მაგრამ ამავ დროს აღარ ვარ ის, ვინც დღემდე ვიყავი.

ცხოვრებაც შეიცვალა, დამძიმდა, გამკაცრდა, გათავხედდა, გაუზნეოვდა, დაიცალა რომანტიზმისგან, ოცნებისთვის ადგილი აღარ დარჩა. პრაგმატიზმმა და ვაჭრულმა ყოფამ დააჩაჩანაკა სული. სხვაგვარად უნდა ვიცხოვრო, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, სხვაგვარად...

## 22. VIII. 93 წ.

ბგერა, როგორც საპნის ბუშტი, სადღაც მიფრინავს, მიჰყვება მეორეც, უფრო დიდი, მოვარდისფრო გარსი წამით ირეკლავს ყოველივეს, რასაც თვალს მოჰკრავს, რისი აღბეჭდვაც შეუძლია მყისიერად და მერე ქრება, თუმცა მეხსიერებაში ილექება განუმეორებელი განცდა, რაც ხილულმა წამმა ჩატოვა სულში.

უცნაურია, მაგრამ მე ვხედავ ბგერებს და ყოველი ბგერა, რომელიც თითქოს ხილულია, ჰაერზე მსუბუქია და სფეროსავით მომგვრალეებული. ისინი წამდაუწუმ იბადებიან სივრცეში, ქრებიან, პაწაწინა სამყაროსავით ჩნდებიან და სწრაფადვე ილუპებიან, მაგრამ მათი ხმოვანება, განსხვავებული ჟღერადობა და ხანგრძლივობა, მოძრაობის რიტმი და ხილულ სფეროებად გარდაქმნილი ანარეკლები, ამ სფეროებში ჩატეული მფეთქავი სივრცეები, ერთიბეწო მხეებით განათებული, მოლაპლაპე გარსები — ამჩატებენ სულს — მუსიკის, პოეზიის, ფერწერის, — ერთიან საწყისს გამოჰკვეთენ და ბავშვის თვალს ამზადებენ, ძალდაუტანებლად აჩვევენ იმ სულიერი ცხოვრებისათვის, იმ თამაშისათვის, რაც ნიადაგ მიუღებელია ცხოვრებაში გაბატონებული ყოველდღიურობისათვის და რის ჩაკვლაზეც მუშაობს თითქმის ყველა, სკოლა, ოჯახი, გარემოცვა, ტელევიზია, ეზო და ა.შ.

ადამიანის ცნობიერებაში, რაც უნდა გადაგვარებული იყოს იგი, რაღაც დოზით მაინც არსებობს სინანული — დაკარგული მშვენიერების გამო, აუსრულებელი ოცნების გამო — თუმცა მშვენიერების, ოცნების წინააღმდეგ ბრძოლას კვლავ აგრძელებენ კულტურის მესაფლავეები.

მთელი ცხოვრება იმ განცდების მონატრებაში გადის, ჩვენ რომ ზურგი ვაქციეთ, თვითონვე გადავივიწყეთ და გამოვედევნეთ მხოლოდ მატერიალურ

სარგებელს, მხოლოდ ყოფით წარმატებას, რადგან ჩავთვალეთ, რომ ის, თითქოსდა მეორეხარისხოვანი, რასაც ჩვენი სტომაქის ამოყორვა არ შეუძლია, ისედაც იარსებებს თავისით.

ღმერთი იყოს შემწე იმ ერთეულებისა, რომელნიც ამ დუხჭირ ცხოვრებაში ისევ მშვენიერებას ეძებენ ფერებით, ბგერებით, სიტყვებით, საერთოდ — სულიერი ცხოვრების წესით.

ქვეყნად მომრავლდნენ ყბედები...

.....

ვინ შეაგროვა ამდენი ყბედი —  
„შეწუხებული სამშობლოს ბედით?!“

29. VIII. 93 წ.

სხვისგან პრივატიზებულო,  
დაკარგულო საყვარელო...  
ზამთრისაკენ მიმავალო,  
შემოდგომის აკვარელო.

როგორც ნაშთი ძველი ფრესკის —  
ისე შერჩი ხსოვნის გუმბათს,  
ახლაც, მონატრების წამმა  
თვალში ცრემლი ჩამიგუბა.

არ მეგონა შენზე ფიქრი  
თუ მაქცევდა პრიმიტივად,  
ისევ „პრიმას“ ვექაჩები,  
დარდიანი „პრიმიტა“ ვარ.

14. XI. 93 წ.

მაფიქრებს, რასაც ვხედავ და ვერ გაჩვენებ, რასაც განვიცდი და ვერ გაგრძნობინებ...

უძველესი დრო მენატრება, ათასწლეულთა სიღრმე, როცა მე ვცხოვრობდი რომელიღაც ქვისკედლებიან ოთახში, სადაც იდგა ტახტი და სადღაც, ბნელ კუთხეში ღვინით გაჟღენთილი დოქი ფხიზლობდა, სარკმლიდან იხედებოდა მზის სხივი — ოთახის ბინდის გამკვეთი. ის დრო მენატრება, ის ოთახი, იმ ოთახისჰაერი, იმ დოქის სურნელი, ათწლეულის სიღრმეში რომ ფეთქავს ახლაც.

თითქოს სულაც არ არის შორს, აქვეა, აქვე, ჩემთან თუ ჩემში, კი, უფრო ჩემში, ვიდრე სხვაგან, მაგრამ ის, რაც ჩემშია, რატომღაც, ერთდროულად სხვაგანაცაა, შორსაცაა. დღემდე ვერ გავიგე, რაჰქვია ამ განცდას, იმ საგნებისა და უძველესი კედლების მონატრებას, რომლებიც ჩემს სულიერ ცხოვრებაში არსებობენ, მაგრამ კერძოდ, კონკრეტულად დაბადებიდან დღემდე რომ არც კი მინახავს.

რაჰქვია ასეთ მონატრებას, იმათთვის, ვისაც მხოლოდ მატერიალური წარმატებანი ელოდება?! ალბათ, გიჟის მონატრება... შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ბინაში შემოჭრილი მზის სხივი, ძველი ტახტი, რატომღაც თბილი კედლები და ღვინით გაჟღენთილი დოქის სურნელი, ერთიანად მირჩევნია ყველაფერს, ყველა ბანკირისა და ბიზნესმენის ოცნებას. რატომ?! იმიტომ, რომ ყველაზე რეალური და საგრძნობი, რაც ჩემს მონატრებას ასაზრდოებს — უსაზღვრო სითბო და სიწმინდეა, მსგავსი სითბო და სიწმინდე მე არ მიგვრძნია არასოდეს, არსად და თუ კი მონათესავე განცდას აღმიძრავს რაიმე მოვლენა ან კერძოდ ვინმე — მე იგი უთუოდ შემიყვარდება.

იმ ოთახში უჩვეულო სიჩუმე სუფევს.

ისე ნუ მომკლავ, ღმერთო, იმ ტახტზე რომ არ გავიმოტო გულადმა, იმ ოთახისჰაერით რომ არ ვისუნთქო და ჭერზე თვალმიპყრობილმა არ გავიხსენო: რა იყო ჩემს თავს, სად ვიყავი გადასახლებული, გაძევებული, მიტოვებული და დევნილი — სხვების სახლებში, სხვების საუკუნეებში, უცხოთა გარემოცვაში.

ჩემი უძველესი სახლი მენატრება. მე იქ დავბრუნდები — თვალებს დავხუჭავ და დავბრუნდები.

## 16. XI. 93 წ.

დამღლედი დღე. ვაკეთე ის, რაც არ მინდოდა, მაგრამ საქმეს სჭირდებოდა. დამით კამერული მუსიკა შემომეშველა. იმედი არ დამიკარგავს, უფლის იმედით ვარსებობ დღესაც. უცნაური შეგრძნებები ჩნდებიან ჩემში, მალე, ალბათ, ახალ პიესებს დავწერ. წინასწარ არ მინდა გავამახვილო თემები, ცალკეული სახეები — ქაოტურად რომ არსებობენ ჩემში და თავის ადგილს ელიან. ნოემბერი გადის, მე მხოლოდ მუსიკას ვეკუთვნი. ყოველთვის მსურდა დამეწერა რაღაც ვრცელი, რომანის მსგავსი, მაგრამ ვგრძნობ, რომ მაინც მუსიკაა ჩემი სამყარო. არ მეტმობა მუსიკის ბაღი (გთხოვთ, სანტიმენტალობაში ნუ ჩამომართმევთ), თავის ყვავილნარით, ხეხილით და ხეივნებით, გათიბული ბაღით და ბუხრიდან ამოზოზინებული კვამლით, ცით, ულურჯესი ცით, ღრუბლის ჩრდილებით და მოფარფატე პეპლებით, გუგულების გადამახილით და გვრიტების ღულუნით, ჭიანჭველების გაბმული ძაფით და მზეზე ბრწყინავი ცვარით, ნემოს შრიალით და კიდევ უცნაური შეგრძნებით, რომ ამ ბაღში, შენს გარდა, კიდევ ვიღაც არის უხილავი, იდუმალი, შორეული და ახლობელი — ერთდროულად, რომ მისი რეალური თუ ირეალური ყოფაა ჩემი სიცოცხლის უმთავრესი აზრი. ასეთია ჩემი მუსიკის ბაღი — ცოცხალი, მოშრიალე და მოჩურჩულე, მარად მომლოდინე აღმოცენებისა, მზისკენ მაცქერალი, მთვარისკენ მხედველი. ერთი ფილოსოფოსის არ იყოს: ადამიანი რომ დაიბადება, მას მერე მისი უმთავრესი საქმე სიკვდილამდე — დაბერებააო. ჩემი უმთავრესი საქმე, დიდი ხანია, დაბერებაა ანუ გარდასახვის პროცესი, ნაირგვარი კუთხით და სიმძაფრით რომ წარმოაჩენს — აქამდე ათასჯერ ხილულს და განცდილს.

.....

რამდენი დღეა, იქნებ რამდენიმე წელი, იქნებ მთელი სიცოცხლე — კამერული ორკესტრის თანხლებით ვწერ: ამჯერად არქანჯელო გალელი ჟღერს.

5. XII. 93 წ.

დღეს X-მა დამირეკა... თუმცა ვნატრობ მისი ხმის გაგონებას, თუმცა აღვფრთოვანდი, როცა მისი ხმა შევიცანი — მოკლე და დამაბნეველი საუბრის შემდეგ, როცა ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ — მივხვდი, რასაც ნიშნავდა ეს სატელეფონო ზარი და რაღაც ჩამწყდა, რაღაც განელდა, რომ არ დაერეკა და გაუჩინარებულიყო, იგი დარჩებოდა უცნაურ და იდუმალ ძალად, ამოუწურავი ენერჯის წყაროდ. გასცა თავი და ყველაფერი შეიცვალა, იგი იქცა რეალობად, ჩვეულებრივ სინამდვილედ — მე რომ ნაკლებად მაინტერესებს. თუმცა არის ერთი გაუნათებელი წერტილი — ამაზე წერა შორს წამიყვანს. არის ამ ისტორიაში უცნაური იმპულსები, მზის ნამცეცები, შემოდგომის აკვარელის ნაირფერი შხეფები. მგონი ჯერ კიდევ არის. ეს უკვე სულთა თამაშია, თავგანწირული, უხილავი თამაში — აუხდენელი ოცნების ფონზე.

.....

იგი ვერ შეძლებს ცხოვრებისეული ერთფეროვნებით არსებობას ან გამოთავყვანდება და გაცხოველდება — ან ... ვინ იცის?!

ღმერთო, ჩემი პროგნოზი არ გაამართლო. იყოს თავისთვის, ვეღარ გადავარჩენ, ისე კი, საერთოდ, დაილუპება. ერთი შეხედვით სწორი არჩევანი იპოვნა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. უცნაურია, მაგრამ იგი დღესაც ჩემში ეძებს საყრდენს, ოღონდ რეალურ, პრაქტიკულ საყრდენს — მე კი სხვაგვარს — ირეალურს, სულიერს. მე ის მხოლოდ სულიერად მჭირდება. შემძლია აღარ ვნახო არასოდეს და სიკვდილამდე არსებობდეს ჩემთვის.

როგორც ახლა ვხვდები — ძლიერ მიტაცებს ეს განსხვავებული ურთიერთობა, სულით ნათესაობა, განცდა იმისა, რომ ჩვეულებრივ რეალობას ვაჯობეთ.

.....

არის ასეთ ყოფაში რაღაც ტრაგიკული, სულის გამაფაქიზებელი. ყოველ ნიუანსს, ყოველ წვრილმანს — უმძაფრესად განვიცდი; ისე განვიცდი, თითქოს ჩემში და ჩემს გამო ხდება ყველაფერი — რაც კი ხდება. ბალახი რომ ამოდის, იმასაც კი ვგრძნობ უცნაური სინანულის თანხლებით.

საერთოდ, ბოლო დროს, თანამდევნი სინანული მაიძულებს ძალიან შორს და ძალიან ღრმად ვიყურო. მე, იქ, სიღრმეში გადავსახლდი, და დავკარგე ზედაპირზე ცხოვრების უნარი. იქ, შენც სხვაგვარი ხარ, არა ისეთი კონკრეტული და სხეულებრივი, როგორც წინათ იყავ, მხოლოდ მყისიერ, მოუხელთებელ განცდაში არსებობ, გარეგნული ფორმის გარეშე, უსასრულობაში გაზავებული და სიღრმეში, ბგერათა მოძრაობაში შეღწეული, მაგრამ ეს შენი პირველსახეა, დაბადებამდელი, რომელსაც მართლა დაიბრუნებ, როცა დაბადებამდელ მდგომარეობას დაუბრუნდები სიკვდილის მერე. ამქვეყნიური ყოფა არაა საკმარისი სრულყოფისათვის — ან ვნებებს უნდა აჰყვე და დაილუპო — ან ვნებები უნდა დათრგუნო და უარი თქვა ყოველივე მიწიერზე. ამ ორ უკიდურესობას ვენარცხები დიდი ხანია და გადავიღალე...

26. VI. 94 წ.

რა კარგია, როცა აღარავის ახსოვხარ, ყველა საკუთარი პრობლემებით ცხოვრობს. დაშორდნენ ადამიანები ერთმანეთს, ისე მიუახლოვდნენ, რომ დაშორდნენ. ბუნებაც მკვდარ დეკორაციად ექცათ, აღარც გათენება უხარიათ, აღარც დაღამება სტანჯავთ. თითქოს მზე თავის ვალდებულებას იხდის კაცობრიობის წინაშე, ისე რომ, კაცობრიობას არც კი აინტერესებს ამოდის თუ ჩადის მზე. რა სილამაზე, რისი სილამაზე, არსებობს მხოლოდ პრაგმატული სურვილები, გაზომილი გრძნობები, შეფასებული ურთიერთობები, მომგებიანი და წამგებიანი შეხვედრები და ა.შ.

ისე მიუახლოვდნენ ადამიანები ერთმანეთს, რომ, ბოლოს და ბოლოს, დაშორდნენ.

რა კარგია, როცა აღარავის ახსოვხარ. შენთვის შემძვრალხარ ბუჩქებში და, როგორც ბავშვობაში, გულმშვიდად კრეფ ჟოლოს. ჟოლოთი დათხუპნული თითები და ტუჩები. აი, ერთადერთი, რაც შემოგრჩა შორეული ბავშვობიდან და კიდევ უცაბედად გაცოცხლებული განცდა, რომელიც ქრება ჟოლოს გემოსთან ერთად.

რა კარგია, აღარავის ახსოვხარ და მხოლოდ სულში დალექილ მოულოდნელობას შეუძლია ისეთი ხატი გააცოცხლოს შენს თვალებში, რომელთან ერთადაც იცი, რომ მთელი ცხოვრება მოგიწევს თანაარსებობა. იმ ხატს განცდები კი არ ბადებენ, შაშვის გალობა აცოცხლებს, გუგულების გადამახილი აღვიძებს, თივის სურნელი ამძაფრებს, რადგან იგი შენს არაცნობიერში ასვენია და ელის გამომწვევ იმპულსებს, რათა მთელი არსებით წამოიმართოს და ისევ შენს სიტყვებშიჰპოვოს გამოსავალი, შენი სიტყვებით შეძლოს სიარული ამ უსასრულო სამყაროში, შენ კი იქვე დაგტოვოს ჟოლოთი ტუჩებმოთხუპნული და ბედნიერი, რადგან აღარავის ახსოვხარ, შენში არსებული წარსულის გარდა და იმ ჩიტებისა, შენგან რომ მხოლოდ საკენკს ელიან და ამიტომაც თავს გახსენებენ დროდადრო.

### 13. XI. 94 წ.

ჩემმა კონცერტმა წარმატება მომიტანა.ჰმ, წარმატება... სევდისმომგვრელია ყოველგვარი მიღწევა თუ წარმატება თვითონ ამ სიტყვებში ნაგულისხმევი აზრის სრული პირობითობის გამო. რაც უფრო დიდია მიღწევა, გნებავთ, წარმატება, უფრო მძაფრია ამაოების შეგრძნება...

არ ვიცი, საით წავიდე. წინასწარი დასკვნები ხელს მიშლიან, არსად მიშვებენ.

არ მესმის რას ნიშნავს დასვენება.

.....

ამ გზას ხომ ისევ შენთან მოვყავარ, შენთან საამო უაზრობაში, რადგან სხვაგან მარტოოდენ აზრი ბატონობს და სიცივე ამაოების.

ამ ღამეს ისევ შენთან მოვყავარ, მაგრამ ეს ღამე განა გზა არის?

სავსეა ღამე შენი თვალებით და სინანულის უსასრულობით.

ამ თოვლსაც ისევ შენთან მოვყავარ და ფანტელების ჩუმი შრიალი, თითქოს და ჩვენი სუნთქვის ექოა, სუნთქვის, რომელიც ციდან ჩამოდის.

თოვლის ამბავი

მანქანამ სამწვადემდე მიგვიყვანა, სოფელ ლისთან შეჩერდა და ზევით წასვლაზე უარი გვტკიცა. რა აზრიჰქონდა, კიდევ რომ დაგვთანხმებოდა, თოვლიან აღმართზე გზას ვერ გააგრძელებდა, არც მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებიჰქონდა, საბურავებიც გვარიანად გასცვეთოდა. მოკლედ, მანქანიდან გადმოვედით. წინ კიდევ ოთხი კილომეტრი გვქონდა გასავლელი, თან სულ აღმართი, მაგრამ მანქანიდან მაინც გადმოვედით, განა უკან დავბრუნდით ქალაქში?! მძღოლმა მანქანა ძლივს შემოაბრუნა და სრიალ-სრიალით დაეშვა დაბლა. ვიდევით წელამდე თოვლში, ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო, იმ სახლამდე კი, სადაც უნდა აგვეღწია, არც მეტი, არც ნაკლები ოთხი კილომეტრი იყო გასავლელი, თანაც წელამდე თოვლში. გზას გავუდექით უსიტყვოდ, ნელი ნაბიჯით, უფრო სწრაფად კიდევ რომ მოგვენდომებინა, ვერ ვივლიდით. დილით, როგორც ჩანს, რომელიღაც დიდ მანქანას აევლო და ჩვენც ვეებერთელა საბურავების ნაკვალევს დავადექით. ჯაგრცხილები, მაყვლის და ასკილის ბუჩქები მთლიანად თოვლს დაეფარა. მზე ჩახჩახებდა და თოვლიდან არეკლილი შუქი თვალებს გვჭრიდა. მძიმე-მძიმედ მივდიოდით ხელიხელჩაკიდებულნი, დროდადრო ვისვენებდით და გზას მერე ვაგრძელებდით. ხან ქორი გადაგვიფრენდა თავზე, ხანაც ბუჩქებიდან ლობემძვრალა ამოფრთხილდებოდა, ყოველი გაფაჩუნებაც კი უცნაურ შიშს ბადებდა ჩემში, მაგრამ არ ვიმჩნევდი, ხელებით ვეფერებოდით ერთმანეთს და წინ მივიწევდით. აღმართი ისე ავათავეთ, დალლა არ გვიგრძენია, ერთმანეთი ისე გვენატრებოდა, რომ მგონი ათ ამხელა გზასაც კი ფეხით გავივლიდით, ოღონდ იმ სახლამდე მიგვეღწია, სადაც წინათ მრავალჯერ ვყოფილვართ უპრობლემოდ. ტაქსით ან ახლობლის მანქანით აგვიქროლებია ეს გზა და იმ სახლში ჩავკარგულიყავით რამდენიმე საათით. იგი ზოგჯერ წინ მისწრებდა. ახლა რომ ვიხსენებ, ვერაფრით ამიხსნია ჩვენი მაშინდელი თავგანწირვა, შეუჩერებელი წინსვლა, იმ წუთებისკენ ნახევრად მიტოვებულ სახლში რომ გველოდა. რა ძალას მიყვავდით ასე დაუფიქრებლად ყოველგვარი წუწუნის გარეშე, სად მიყვავდით, რატომ მიყვავდით?! ნუთუ ეს სვლა წელამდე თოვლში, ოთხ კილომეტრიანი მარათონი მხოლოდ სხეულებრივი სწრაფვა იყო და მეტი არაფერი?! არა; რა თქმა უნდა, არა. სხვა უფრო დიდი ძალა გვეწეოდა იქითკენ, ძალა, ჩვენ რომ არ ვიცოდით მისი სახელი, არც არსი ვიცოდით იმ ძალისა — თოვლებით რომ გვექაჩებოდა ზემოთ და ზემოთ. თითქოს რაღაც აუცილებელი მიზნისკენ ვისწრაფვოდით და ამ გზის გავლა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას წააგავდა. ჩვენი სვლა რაღაცით შეჯიბრსაც დაემსგავსა, მაგრამ შეჯიბრიც არ ეთქმოდა. სიმართლე გითხრათ, სახელი ვერ მომიძებნია იმ უგონო მსვლელობისათვის. ახლა, როცა ვიხსენებ, ვხვდები, რომ ჩვენთვის მაშინ არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობდა, ამ თემაზე არც ვფიქრობდით, ჩვენ საერთოდ არ ვფიქრობდით არაფერზე, გონდაკარგულნი ვიყავით ერთმანეთის მონატრებით და ასე მივიწევდით წინ.

თოვლიანი გზა არ გაჭიმულა, დროსთან ერთად გაილია, გასრულდა, გახურებულები, აქომინებულები, გულგაღებულები მივადექით გემივით სახლს. იმხელა თოვლი იდო, რომ პირდაპირ ლობეზე გადავედით. სახლის კარი გავხსენი და შევედით გაყინულ ოთახში. ბუხარი სწრაფად ავავუზგუზეთ, კარადიდან კონსერვები გამოვიღეთ, ქალაქიდან წამოღებული პური, ქერქი რომ გზადაგზა შემოვაჭამეთ, დავტეხეთ, პალტოები გავიხადეთ, ჩაი ავადუღეთ და უხმოდ შევუდექით ჭამას. არ დამავიწყდება X-ს სახე როგორ უღუოდა, რა გახარებული იყო იმ უბრალო სუფრით, და კიდევ იმით, რომ აღმართი საბოლოოდ ამოვლილი იყო.

რა ვქნა, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ის დღე არასოდეს დამავიწყდება. ორიოდ საათით დავრჩით, მეტი დრო არ გვქონდა, მერე შეიძლება გზად

დაგვლამებოდა. მერე უკვე ფიქრი დავიწყეთ, გონებაც დაგვიბრუნდა, შინდაბრუნების აუცილებლობაც გაგვახსენდა. ორი საათის მერე ჩვენ უკვე საღად ვაზროვნებდით. თბილი ლოგინიდან წამოხტომა გვეზარებოდა, მაგრამ გონება დაგვიბრუნდა და წამოვიზღაზნეთ, ბუხართან ჩავიცვით, გამოვეწყვეთ, იქაურობა მივალაგ-მოვალაგეთ, ნაკვერჩხლები ბუხრის სიღრმეში გავწიეთ, მერე კარი გამოვიხურეთ, ისევ ღობეზე გადავედით, რადგან კვლავ მაღალი იყო თოვლი და ქვევით დავეშვით ქალაქისკენ. ოთხი კილომეტრი თავქვე ვიარეთ სწრაფი ნაბიჯით, ხელიხელჩაკიდულებმა, უსიტყვოდ, ვიარეთ, ვიარეთ და სადღაც მანქანა წამოგვეწია, მგონი „ნივა“ იყო, გაგვიჩერა და ქალაქში ჩამოგვიყვანა. ყურებჩამოყრილები გამოვეშვიდობეთ ერთმანეთს, ორივეს შინ მიგვეჩქარებოდა, იმას იქით, მე აქეთ — სხვადასხვა მხარეს.

რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ის დღე არ დამავიწყდება. მეტრაბახება კიდევ, რომ გოგო ოთხკილომეტრიან, თოვლიან გზაზე ფეხით წამომყვა. მგონი, მართლა ვუყვარდი.

#### 14. I. 95 წ.

ვცხოვრობ ჩემი ფიქრით მოქსოვილ სივრცეში. ზოგჯერ უსწრაფესად ვმოდრაობ ფიქრის აბლაბუდაზე. მეც ჩემს მსხვერპლს ველი: ხატებს, განცდებს, ბგერებს, ფერებს, და კიდევ ათას რამეს.

ნუ მოკლავთ ობობას თუ იგი კარგად ქსოვს!

ფანჯრებზე ფარდები გადაწეულია და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მოსვენებას არ მამლევს...

რა იშვიათად მახსენდება, რომ შენ არსებობ

და ისიც მაშინ, ვარსკვლავები რომ

ამახედებენ ჩვენი ცისაკენ...

ავტორისაგან

არც ისე სანტიმენტალური მომეჩვენა სიმონის დღიურები. თითქოს ტრაგედიის კვალი არც კი ჩანდა, მაგრამ მთელი სიმძაფრე, მთელი მშფოთვარება, სიტყვებს შორის სუნთქავდა, როგორც ჩანს, ამ დღიურების წერისას სიმონი ბოლომდე არ უმხელდა საკუთარ თავს და მთავარ სათქმელს გულდასმით მალავდა ჩვეულებრივი განსჯის სიღრმეში, მაგრამ მიუხედავად სათქმელის მიმალვის თუ მიჩქმალვის მცდელობისა, როგორც აღვნიშნე, წაკითხული ტექსტი გაორებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა ჩემზე. ვიგრძენი, რომ ამ სტრიქონების ავტორი, ვიდრე დღიურების წერას შეუდგებოდა, თანდათან აჩვევდა თავს მოსალოდნელ უბედურებას, მაგრამ შეგუების პროცესს უმტკივნეულოდ რომ არ ჩაუვლია, აშკარა იყო. განშორებით გამოწვეული ტკივილი ათასგზის აღემატებოდა იმ მოსალოდნელ ტკივილს, რომლის შესახვედრადაც თითქოს ემზადებოდა სიმონი და მისი ანალიტიკური გონება, ცხადია, წინასწარ ვერ მისწვდა იმ ისტერიულ სიმძაფრეს, რაც მერე დაატყდა თავს, და რაც მის შემდგომ ჩანაწერებში უფრო იჩინა თავი, ვიდრე იმ დღიურებში, რომლის წაკითხვისაც კი ერიდებოდა სიმონს, თუმცა ამ ტექსტში არაფერი ეწერა მოსარიდებელი და მე დამაფიქრა სწორედ ამ გარემოებამ. ვივარაუდე, რომ მას სიყვარულის გამჟღავნებისა რცხვენოდა და თავს თითქოს დამცირებულად თვლიდა, რომ X-ის სიყვარულმა და მერე განშორებამ ასე იმოქმედა



მასზე და ასე შეურაცხყოფილი და სუსტი აღმოჩნდა რეალობის წინაშე რომ ამ სისუსტის დასაძლევად დასჭირდა სიმონს ხუთწლიანი ბრძოლა საკუთარ თავთან, მაგრამ იყო კი ეს სისუსტე, ერქვა კი ამ განცდას შეურაცხმყოფელი?! რიდის, კრძალვის გამჟღავნება, ამ დღიურების კითხვისას რომ უხერხულ დღეში აგდებდა სიმონს, ჩემთვის უფრო გასაგები იყო, რადგან მან საკუთარ თავს წერილობით ამცნო იმ სიმართლის მეასედი, რასაც შინაგანად განიცდიდა და ეს აღსარების მცირე ნაწილი სიმონისთვის იმ დაუწერელ ტექსტსაც შეიცავდა, მის გულში რომ დარჩა სამუდამოდ, რამაც აიძულა ერთი შეხედვით დალაგებული ცხოვრება თავდაყირა დაეყენებინა და სხვებისთვის თითქოსდა უმარტივესი სიტუაციიდან გამოსავლი ეძებნა. გამოსავლის პიებამ მიიყვანა სიმონი სიტყვებამდე, იმ ცდამდე, ერთი მკითხველისთვის, ჩემთვის მაინც გაენდო, ყოველივე ის, რისთვისაც მუსიკის მეტაფიზიკური სამყარო საკმარისი არ აღმოჩნდა და თავის აღმსარებლობითი ჩანაწერები, მედიტაციის ნიშან-წყალს რომ შეიცავდა, ასე ჯიუტად გაეგრძელებინა, მანამ, ვიდრე არ მოახერხა და არ ამაღლდა იმაზე, რასაც მარცხს, შეურაცხყოფას, სისუსტეს უწოდებდა. მე არ ვიცი, ადამიანურ სისუსტეზე, ე.ი. ქალის სიყვარულზე გამარჯვება, რამდენად ნიშნავს ამაღლებას, მაგრამ, როგორც სიმონის წერილებიდან ჩანდა, იგი ისე ღრმად მიიწევდა საკუთარი სულის სიღრმეში — რომ ჩვენს ცხოვრებას, საერთოდ, ყოფას, ამო ფუსფუსს უწოდებდა და ამ ფუსფუსის მიღმა, ამ ქაოსის მაღლა ეძებდა იმას, რასაც მორწმუნენი სრულყოფას ან სრულყოფისაკენ სწრაფვას უწოდებენ.

აშკარად ვხედავდი როგორ პროგრესირებოდა სიმონის სულში — უარყოფა ამქვეყნიური ბედნიერებისა, საერთოდ ცხოვრებისა და ჩემთვის, ამიტომაც, მოულოდნელი იყო მისი ქორწინების ამბავი. ეს იყო სიმონის ჩვეულ ცხოვრებაში დაბრუნების მცდელობა და კიდევ ერთი გამარჯვება საკუთარ თავზე, თუმცა, სიმართლე გითხრათ, დარწმუნებული არ ვიყავი, საით წავიდოდა ეს მარად მამიებელი კაცი, თავის ბუნებით რომ ღვთისმსახური უფრო იყო, ვიდრე მუსიკოსი ან მწერალი ერთი მკითხველისათვის, რადგან ორივე საქმე, თუკი საქმე შეიძლება უწოდოს კაცმა მუსიკოსობას და მწერლობას, — ღვთისმსახურებას დაამსგავსა და ღვთისძიებას შეაღია. ასე იქცა ჩემი ბავშვობის მეგობარი სიმონი იმ პიროვნებად, რომლის მიმართაც თანაგრძნობით და მოკრძალებითაც კი განვიმსჭვალე, მაგრამ დღემდე ჩემთვის გაუგებარი რჩება, წერილობით თქვენობით რად მომართავდა, იმის დასტურად ხომ არა, რომ ბავშვობის მეგობრობის მიუხედავად, ჩვენც უცხონი ვიყავით ერთმანეთისათვის, სულით ნათესავნი, მაგრამ მაინც უცხონი. ეს შეგრძნება სულით ნათესაობისა და მაინც გარკვეული სიუცხოვისა ბოლომდე გამყვა სიმონის მიმართ. თუმცა სიუცხოვე შეიძლება ის სიტყვა არ არის, ჩემს სათქმელს რომ ზუსტად გამოხატავს. იგი, ეთიკური ნორმების დაცვით, ჩემთვის რომ გაპრანჭულად ჟღერდა ერთხანს, ალბათ, ხაზს უსვამდა ჩვენი ურთიერთობის, ჩვენი ნაცნობობის, თანაცხოვრების წარმავლობას, იმ დროის პირობითობას, რომლის მორევშიც ვიყავით ჩათრეულნი ყველანი ერთად, არავინ რომ არ იცოდა, საიდან მოსულნი და საით მიმავალნი. ეს თქვენობითი ფორმა ხაზგასმით უარყოფდა ჩვენს ყოველდღიურ, ფორმალურ ურთიერთობებს, პირობითი დროიდან რომ იყო ამოზრდილი, ყოველდღიური შეჩვევისა და შეგუების შედეგს რომ წარმოადგენდა, ისე კი, სინამდვილეში, ჩვენ ერთმანეთს არა თუ ნაწილობრივ, ძლივს ვიცნობდით. მექანიკური, ყოველდღიური ურთიერთობები, ქმნიან ჩვენი ახლობლობის ილუზიას და არა ახლობლობას და ეს არის ცხოვრება, მუდამ ზედაპირული და წარმავალი, რომლის უარყოფასაც ცდილობდა სიმონი და რასაც იგი უწოდებდა „გზას ცხოვრებიდან სიცოცხლისკენ“. იგი განასხვავებდა ერთმანეთისგან სიცოცხლეს და

ცხოვრებას, თვლიდა: „ცხოვრების სრული უარყოფის მერე იწყება ნამდვილი სიცოცხლე“. ასე ეწერა ჩემთან გამოგზავნილი მისი ოპუსის ერთ-ერთ გვერდზე, რომელიც სამწუხაროდ, სადღაც გამებნა და უჯრების ჩხრეკა და ყოველგვარი ცდა იმ ფურცლის პოვნისა ამაო გამოდგა. სწორედ იმ დაკარგულ გვერდზე მიხსნიდა სიმონი, როგორ ანგრევს შემოქმედს ის რუტინა, ცხოვრება რომჭკვია, და რომ თანდათან აუცილებელია ჩამოსცილდე ამაო ფუსფუსს, რათა უფრო მიუახლოვდე ნამდვილ სიცოცხლეს.

სალამოს, როგორც იქნა, მივალწიე სიმონის სახლამდე. სამარშრუტო მიკროავტობუსიდან რომ გადმოვედი — ერთი გასაცოდავებული, წელში გაღუნული, თვალეზრებნილი და სახედაჭმუჭნული ლოთი ამეკიდა. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო, მაგრამ ამ საბრალო არსებისა, სიმართლე გითხრათ, არ შემშინებია, თუმცა გაგონილი მქონდა, რომ აქ, გარეუბნის მიყრუებულ ქუჩაზე, დამდამობით, არცთუ იშვიათად, ესხმოდნენ თავს მარტოხელა მგზავრებს ვიღაც ნაბიჭვრები და პირწმინდად მარცვავდნენ. ლოთი უკან მომდევდა უსიტყვოდ, სიარულისას რაღაც ბგერებს გამოსცემდა, ხან ისე ჩაახველებდა, მეგონა, ნახველს ფილტვები ამოაყოლაო. ნაბიჯს მოვუკელი და დაველოდე, როდის გამისწორდებოდა, რათა ყოველ შემთხვევისათვის წინ გამეშვა და ჩამოვრჩენოდი. იგი უფრო აჩქარდა, წამომეწია და გამიღიმა, ჩამპალი კბილები გამომიჩინა და მკითხა:

— ვერ მიცანი?!

ამ შეკითხვამ დამაბნია, მაგრამ მბჟუტავი თვალებიდან, მივხვდი, რომ რომელიღაც ნაცნობი მიმზერდა. ვერაფერით გავიხსენე ვინ იყო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამ დაშლილ სახეს როგორმე აღვადგენდი და მის ხმასაც მეტად მივაყურადებდი, ალბათ, მივხვდებოდი ვინ იყო. ნაცნობობის ილუზიას მისი ხმის ტემბრი, თუმცა შეცვლილი და ჩახლეჩილი, თვალებიდან გამომკრთალი მინავლული მზერა მიქმნიდა. ჩემი ოდესღაცინდელი ნაცნობი პრაქტიკულად აღარ არსებობდა ამ ქვეყანაზე ისეთი, როგორიც შეიძლება ოდესღაც იყო. მერე მოულოდნელად მარჯვენა ხელი გამომიწოდა — გამარჯობაო, მითხარა და როცა ჩემი ხელი შეეხო მის ხელის მტევანს, ვიგრძენი, რომ საჩვენებელი თითი აკლდა, რამაც უცებ გამახსენა ჩემი თანაკლასელი ნიკა, სკოლის დამთავრების მერე რომ არ მენახა და მასზე ყურმოკვრით თუ გავიგებდი ხოლმე რაიმეს, ისიც სხვებისგან, როცა შემთხვევით მხვდებოდნენ ქუჩაში და რადგან საერთო სასაუბრო, შესაბამისად ინტერესებიც აღარ გაგვაჩნდა, ერთმანეთს მექანიკურად ვუამბობდით ამხანაგებზე — ვინ სად მუშაობდა, ვინ როგორ ცხოვრობს, ვინ სად გადაიხვეწა, ვინ გარდაიცვალა და ა. შ. ნიკაზე ვიღაცისგან გავიგე, რომ მას მერე გალოთდა, რაც ცოლი გაუთხოვდა თურქეთში მორიგი მოგზაურობისას და ორი შვილი შეატოვა ქმარს. შვილებს — ბებია ზრდიდა, როგორც მაშინ მითხრეს, ნიკა ჯერ უნივერსიტეტის დოცენტი, თუ სადმე რამეს იშოვიდა, სვამდა განუწყვეტლივ — შავ მუშად მუშაობდა და რასაც შოულობდა თითქმის პირწმინდად სვამდა. უხელფასოდ და უცოლოდ დარჩენილი ნიკა დამხმარე მუშის ბედს არ თაკილობდა — ხან გარაჟის მშენებლობაში ეხმარებოდა მეზობლებს, ხანაც მაღაზიებში ნაირ-ნაირ ტვირთს ეზიდებოდა, რაშიც მეპატრონეები გრომებს უხდიდნენ, ან ზოგჯერ ნატურით ისტუმრებდნენ — ერთი ბოთლი არაყი და მისი ჯანი. ნიკას ესეც აკმაყოფილებდა და ამითაც ბედნიერი იყო. ეს გათელილი და წამხდარი კაცი — თავის დროზე იმედისმომცემი ახალგაზრდა მეცნიერი, უძლიერეს მათემატიკოსად რომ ითვლებოდა, ისე დაჩაჩანაკებულიყო, ძლივს შევიცანი.

— ნიკას გაუმარჯოს! — რატომღაც გული ამიჩუყდა და ძმურად ჩავეხვიე, ისიც უმწეოდ მომენდო, თვალი აუცრემლიანდა და ხმის ამოღება ვეღარ გაბედა, იმის შიშით, რომ ხმას ტირილი არ ამოჰყოლოდა, ამიტომ ამჯობინა უკანვე ჩაებრუნებინა ყელზე მოწოლილი ტირილის ტალღა. ხელის კანკალით ამოიღო „პრიმის“ კოლოფი ჯიბიდან, ერთი ღერი სიგარეტი ტუჩებით ამოაძრო კოლობიდან ისე, რომ მეორე ხელი ჩემთვის არ გაუშვია, მერე კოლოფი ისევ ჯიბეში ჩაიბრუნა, ახლა ასანთი დააძრო და ცალი ხელით რომ ვერ შეძლო სიგარეტისთვის მოეკიდებინა, მერ ხელიც მიაშველა და მე დავრჩი მარტო, ამ მოკანკალე ლანდის სიახლოვეს, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ თვალებში შერჩენოდა, სხვაფრივ ერთიანად განადგურებული და მიმქრალი ჩანდა.

— რას შვრები, ნიკა, როგორ ხარ?! — ვკითხე მექანიკურად, ისევ, როგორც ათასები ეკითხებიან ერთმანეთს ყოველდღე — გულისგარეთ, სხვათაშორის, რათა ამ შეკითხვას, ასევე მოჰყოლოდა მექანიკური პასუხი: რა ვიცი, ვარ რა, მივათრევე წუთისოფელს, რის შემდეგაც რომელიმე მხარე ცდილობს დროზე გაცილდეს მეორე მხარეს და თავის გზა განაგრძოს. ნიკამ პასუხად მხრები აიჩეჩა, თითქოს მეუბნებოდა — ვერ ხედავ, როგორა ვარო?!

— აქეთ, საით?! — ვკითხე ისევ სხვათაშორის, თუმცა ვგრძნობდი, მის მიმართ სიბრაღული როგორ მივსებდა ძარღვებს და გულს მიკუმშავდა. როცა ნიკამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიპასუხა: — აქ, სიმონთან მოვედი, მგონი ცოლს ირთავსო და თან ამ სიტყვებს ფილტვებში ამოვლებული „პრიმის“ სქელი კვამლიც ამოაყოლა, გოცებისგან კინაღამ პირი დავაღე, მაგრამ მყისვე მივხვდი, რომ ორივეს ერთი გზა გვექონდა, ერთი კაცის ბედნიერება უნდა გაგვეზიარებინა და სრულებითაც არ იყო ეს გასაკვირი. მოულოდნელი მხოლოდ ის იყო ჩემთვის, რომ სიმონს ნიკა გაახსენდა, თუმცა სიმონის საქციელი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მაინც ლოგიკური იყო. სიმონის სახლამდე ასი მეტრიღა რჩებოდა, როცა ნიკა მაღაზიასთან შეჩერდა და მიკნავეებული ხმით მითხრა, რომ ხელცარიელი სიმონთან ვერ მივიდოდა და თუ მანამდე ას გრამს არ გადაკრავდა, საერთოდ, ფიზიკურად ვერ შეძლებდა იქ მისვლას. ჩვენ ნელი ნაბიჯით მივადწიეთ მაღაზიამდე — რომელიც ნახევარსარდაფში იყო მოთავსებული — სიღრმეში, ქვევით ჩავიარეთ კიბის რამდენიმე საფეხური და აღმოვჩნდით ნახევრად ბნელ — ბოთლებით და სიგარეტებით გამოტენილ ოთახში, სადაც დახლის მეორე მხარეს იჯდა ტურასავით ქალი, რომელიც თვალებს ისე წკურავდა, რომ დავიწროებული თვალის ფოსოებიდან უნდობლობა და ეჭვი ბჟუტავდა. გამყიდველმა ამრეხით შეათვალიერა ჩემი თანამგზავრი, მერე მზერა ჩემზე გადმოიტანა. მის თვალებში ამოვიკითხე გაკვირვება — ჩემი და ნიკას ერთადყოფნით გამოწვეული და კიდევ ცნობისწადილი, რომლის დაკმაყოფილებასაც შეეცადა ეს ქალბატონი, როცა უდიერად მკითხა:

— სად იშოვეთ ეს მაწანწალა?! წინასწარ არ დააღვეინოთ, თორემ ვეღარაფერს გაგიკეთებთ.

ამ ქალთან გამოლაპარაკების არავითარი სურვილი არ მქონდა, მაგრამ სიტყვამ „მაწანწალა“ გამაღიზიანა და გამყიდველს მკაცრი ხმით მივმართე:

— შენ შენს საქმეს მიხედე, რასაც გეტყვიან, ის გააკეთე. მთავარია, ფული გადაგიხადონ, სხვა შენ არაფერი გეკითხება. ქალს ხმა არ ამოუღია — სუფთად ჩაცმული, ახლად გაპარსული, თანაც საფულემომარჯვებული, ალბათ, დამაჯერებლად გამოვიყურებოდი და მან მიიღო მორჩილი გამყიდველის პოზა, თუმცა, მაინც, ნახევრად ირონიულად მოგვახალა:

— გისმენთ, ბატონო!

ერთი ბოთლი არაყი გავხსენი, უნგრული ძეხვი დავაჭრევი, კიტრის მწნილიც მოვითხოვე. ამ ქალს პურიც აღმოაჩნდა და ჭიქებიც, მდოგვიც და ცხარე საწებელაც. მაღაზიის კუთხეში პატარა მაგიდა იდგა, — იმ მაგიდას მიუჯექით ორივე და წუთიერი დუმილი ჩამოვარდა. მე კარგა ხანია, არაყი არ დამელია, არც სურვილი მქონდა ამ ჩაბნელებულ სარდაფში არაყი მესვა, მაგრამ რაღაც ძალა, დღემდე რომ ვერ ვარკვევ რა იყო ის ძალა, მიბიძგებდა ამ ლოთური სუფრისკენ, იმ სითბოსკენ, რომელსაც აქ გადაკრული ჭიქები დაანთებდნენ ჩემს ძარღვებში, და კიდევ იქითკენ, რომელსაც, ალბათ, ნიკას თანადგომა ერქვა. მოკლედ, საქმეს შევუდექით, სწორედ ისე, როგორც დიდი ხნის წინ, სკოლის დამთავრების შემდეგ რომ ერთმანეთს ვხვდებოდით და უეჭველად ასეთი სუფრებით აღვნიშნავდით. სადღეგრძელოებს არ შევდგომივართ, თითქმის უსიტყვოდ ვსვამდით, სწრაფად, მოკლე შესვენების შემდეგ ვავსებდით ჭიქებს და ვსვამდით. მესამე ჭიქის მერე ნიკა შევაჩერე, არყიანი ჭიქა გვერდზე გავწიე და ვურჩიე — ახლა უკვე სიმონთან წავსულიყავით და საქმე იქ გაგვეგრძელებინა. ნიკამ იუარა, ბარემ ჩამოვათაოთ ეს ბოთლი და მერე წავიდეთო, მაგრამ მე გავჯიუტდი, შევთავაზე: მოდი, მაშინ მე წავალ და შენ დარჩი, მერე მოდი სიმონთან და იქ შევხვდებით. თავი გადააქნია, ვერ მივხვდი რას ნიშნავდა ეს მოძრაობა თვალეზპრიალებული, წამოწითლებული თავისა, მაგრამ მე წამოვდექი, ფული გადავუხადე გამყიდველ ქალს და სარდაფიდან ამოვძვერი ნელი ნაბიჯით. ნიკა დარჩა, დარჩა იქ, სადაც არაერთხელ უთრევია ტვირთი და ამის საფასურად არაყიც გადაუყლურწავს. სინანული, თავს რომ მახსენებდა სარდაფიდან ამოსულს, გამიმძაფრდა. მოგვიანებით კი ვინანე, რომ იგი მარტო დავტოვე. ამასობაში სიმონის სახლსაც მივადექი. სახლის წინ ფოთლებშეყვითლებულ ხეივანს მოვკარი თვალი — ეზო, სადაც სიმონის ყვავილნარი მეგულებოდა, მთლიანად დაბეტონებული დამხვდა. მოსარკულ ბეტონზე ხმელი ფოთლები ეფინა — ყვავილები, ალბათ, ბეტონის ქვეშ დარჩნენ სამუდამოდ, ნიშნად იმისა, რომ სიმონმა უარი თქვა წარსულზე და საერთოდ ყველაფერზე, რაც X-ს აგონებდა. ბეტონი ახალი დასხმული იყო და ვიფიქრე, რომ სიმონმა თადარიგი ადრიანად დაიჭირა, რათა გაზაფხულზე გაფუებული მიწის წიაღიდან კვლავაც არ ამოწვერილიყვნენ ნაირ-ნაირნაირი ყვავილები, როგორც მისი დაუვიწყარი წარსულის ხილული სიმბოლოები, ასე რომ აფორიაქებდა სიმონს და ისევ აბრუნებდა თავის წარსულში, როგორც იმ დროში, რომლის ტყვეობიდან თავი ვერ დაიხსნა. დაბეტონებულ მოედანზე მხოლოდ ვაზის ხმელი ფოთლები ეყარა და ნიავის ოდნავ წამოქროლებაზე ისმოდა შრიალი, ძლივსგასაგონი ფხაჭუნი და ეს ხმებიც იმ დროის ნაწილები იყო, რომ წავიდა და აღარ დაბრუნდება. თვითონვე დავრწმუნდი, როგორ აწუხებდა სიმონს X-ის დარგული და ჩათესილი ყვავილები, ის წრე-ბრუნვა ამ მშვენიერი მცენარეებისა — ოთხივე დროს, ნაირფერი მშვენიერების ცვალებადობით რომ გაივლიან და ყოველ გაზაფხულს იგივე გზას დაადგებიან განუწყვეტლივ. მაშინ პირველად გავიფიქრე, რომ X-ს ძალიან უყვარდა სიმონი, — მაგრამ მისი ეგოისტური სიყვარული თუ ყვავილებად დაიწყებდა სიმონის ეზოში აღმოცენებას — თვითონ არც კი უფიქრია. დაუტოვა სიმონს ეს მშვენიერი თავსატეხი და თვითონ კი გადაიკარგა. მე მაშინვე დამაეჭვა იმ გარემოებამ, რომ ეზოს დაბეტონებით და ყვავილების ფესვების მიწის სატუსალოში ჩამწყვდევეთ, ეს საქმე ასე იოლად არ დამთავრდებოდა, რომ გაცილებით ძნელი იყო მეხსიერებაში არსებული ყვავილნარის დავიწყება, მეტადრე მოასფალტება ან დაბეტონება. ეს, ალბათ, სიმონის სასოწარკვეთილი ცდა იყო, როგორმე თავი დაეღწია იმ დროის

ტყვეობიდან, რომელმაც სამუდამოდ ამოაგდო რეალობის რიტმიდან და საკუთარ თავში ჩაძირა.

კარი პაუზამ გამიღო, ეს მართლაც მშვენიერი გოგონა აღფრთოვანებული შემეგება, შინ შემიპატიჟა და სიმონს გასძახა — მოვიდა, მოვიდა, შენი მეგობარი მოვიდაო...

სიმონი დარცხვენილი ჩანდა, (ასე მომეჩვენა), ხელი მსუბუქად ჩამომართვა, გამიღიმა, თითქოს სევდიანიც იყო, თან მხიარულიც, მაგრამ მისი ხელის ჩამორთმევა სხვებისაგან მუდამ განსხვავდებოდა — ვიოლინოს შეგუებული თუ შეზრდილი ხელი ისე მსუბუქი იყო, ასე მეგონა ხელი ხელს კი არ შეხვდა, არამედჰაერის ნაკადს, გამჭვირვალეს და მთრთოლვარეს. მისაღებ ოთახში შემიძღვა — მეგობრები გამაცნო, არც ერთს სახელით არ მოიხსენიებდა. გაცნობის ცერემონიალიც ბუნებრივი იყო, მეტად შინაურული და მომეჩვენა, რომ ფამილარულიც კი.

— ფლეიტა, ალტი, ვიოლონჩელო, ჰობოი, ტრომბონი, — ხუთი საშუალო ასაკის კაცი — მხოლოდ ალტი ჩანდა უფრო ახალგაზრდა, პატივისცემით თუ ნაძალადევი, ნასწავლი ღიმილით აღსავსე თვალებით შემომცქეროდა.

მხოლოდ ერთი კაცია „სპილენძიანთა“ ჯგუფიდან, ტრომბონზე მიმითითა, ალტი და ვიოლონჩელო სიმებიანთა ჯგუფს განეკუთვნება, ფლეიტა და ჰობოი — ხის ჯგუფიდან არიან — მხოლოდ ტრომბონია მარტოსული — ჩაიცინა სიმონმა და განაგრძო: მეც სიმებიანთა წარმომადგენელი ვარ, ასე რომ, ჩვენი სიმფონიური ორკესტრის ბირთვი მთლიანად აქ არის, დირიჟორს შეგნებულად არ დავუძახე, დღეს ჩვენ დირიჟორი არ გვჭირდება, დირიჟორის მოვალეობას პაუზას დავაკისრებთ — თუ უარს არ გვეტყვის, ცხადია, თუ იუარა ჩვენ მაინც შევძლებთ რაიმე შევასრულოთ, — ოღონდ ტრომბონის გარეშე, ტრომბონი და შენ, ჩემო, ფერმატო, მსმენელები იქნებით. როგორც სიმონის საუბრიდან შევიტყვე, ჩემთვის ფერმატო დაურქმევია, ფერმატო, როგორც მუსიკის ტერმინთა ლექსიკონმა მაუწყა მოგვიანებით, მგონი ბგერის ან პაუზის — ან ორივეს გახანგრძლივებას ნიშნავს.

საქორწინო სუფრა ღარიბი იყო და ყველის, ძეხვისა და ლორის ბუტერბროდებს, ნამცხვრებსა და ხაჭაპურებს, შამპანურის ბოთლები, ჭიქები და თეფშები აღემატებოდა. მაგიდის ცენტრში ლიკიორის ერთადერთ ბოთლზე მიდგმული, ჩარჩოში ჩასმული, — ჰერბარიუმი შევნიშნე; მინის სიღრმიდან, შავ ფონზე, რამდენიმე ხმელი, ფერგადასული ყვავილი იმზირებოდა: ველის ზამბახები, ფურისულები, იები და კიდევ რომელიღაც ყვავილი, რომლის სახელსაც ვერ ვიხსენებ, მაგრამ იგი, არ ვიცი იმიტომ, რომ მისი სახელი არ მახსოვდა, ყველაზე ლამაზად გამოიყურებოდა. ჩარჩოს მეორე მხრიდან წარწერა ჩანდა, სათვალე გავიკეთე და ამოვიკითხე სევდიანი ოთხსტრიქონელი:

ამ შემოდგომის ყვავილებს თვალჭრელებს,  
სიტყვების ნაცვლად ხომ არ ინებებთ,  
მე რომ წავალ და ვეღარ შემაჩერებ,  
ჩემს ნაცვლად ისინი შემოგციცინებენ.

ეს ჰერბარიუმი სიმონის წარსულის ნაწილი იყო, ამჟამად ჩარჩოში ჩასმული, მაგრამ ვიგრძენი, რომ მისთვის უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე საერთოდ წარსული, ალბათ, ამიტომაც გამოეფინა საჩვენებელ ადგილზე. სიმონის ჩანაწერებს, როგორც ჩანს, მარტო მე ვიცნობდი და სხვებს ყურადღებაც არ მიუქცევიათ არც ჰერბარიუმისათვის და არც ჩარჩოსთვის, არც იმ წარწერისათვის, ქალის ხელით

რომ იყო შესრულებული და ყოველი ასო განსაკუთრებული სიყვარულით იყო გამოყვანილი. ნუთუ ეს X-ის ხელწერაა — გავიფიქრე ჩემთვის, მაგრამ სიმონისათვის არაფერი მიკითხავს, იგი შამპანურის ბოთლების გახსნით იყო დაკავებული და თითქოს ვერც მამჩნევდა. ტრომბონი და ალტი რაღაცაზე ანგლობდნენ, ფლეიტა ალბომს ათვალიერებდა, ვილონჩელო ეწეოდა და საფერფლესთან მიჯაჭვულივით იჯდა, ჰობოი პაუზას ეხმარებოდა და სამზარეულოდან სატყემლეები გამოჰქონდა, მე კი ისევ ჰერბარიუმს ვაკვირდებოდი ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან, რადგან წარწერა — ანუ ოთხსტრიქონედი, — თითქოს არ უკავშირდებოდა ჰერბარიუმიდან გამომზიარალ ყვავილებს, რადგან ყველა მათგანი გაზაფხულზე იყო შეგროვილი — ლექსში კი ეწერა — „ამ შემოდგომის ყვავილებს თვალჭრელებს“... ვერ მივხვდი, რა კავშირი უნდა ყოფილიყო — გაზაფხულის ყვავილებისაგან შექმნილ ჰერბარიუმსა და ლექსის პირველ სტრიქონს შორის.

მისაღები ოთახის კუთხეში ბნელი ხახასავით ჩანდა — ნახევრად სარდაფისაკენ ჩამავალი კიბე — საითაც თვალი გავაპარე და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, მაგრამ სიმონმა შემაჩერა, ძალით გამიღიმა და უცნაური ხმით, ნახევრად ჩურჩულით მითხრა: იქ არის ჩემი ბუნაგი, იქ არის ჩემი ქვეყანა, იქ ცხოვრობს ჩემი მეორე მე, იგი ახლაც ქსოვს, აბა, ყური დაუგდე, არ გესმის ძაფის შრიალი?! იგი ახლაც ქსოვს, რაღაცას ხლართავს. სიმონის ჩურჩულმა და მოულოდნელად წარმოთქმულმა წინადადებებმა შემაშფოთა, მაგრამ არ შევიძინე, ის კი ჩემს შემფოთებას მყისვე მიხვდა და ახლა უკვე ჩვეულებრივი ხმით განაგრძო: როცა მე აქ ვარ, ის იქ არის, როცა ის აქ არის, მე იქ ვარ, ჩვენ ვმორიგეობთ, ბგერებს ვდარაჯობთ — მუსიკალურ ბგერებს და სიტყვებს, რადგან სიტყვებიც ბგერებისაგან შედგება, მაგრამ აზრი მუსიკალურ ბგერებში რომაა განფენილი, არაა აზრი, იგი აზრს მუდამ რაღაცით აღემატება. ჩემი ნათქვამი სიტყვა მევე მიბრუნდება უკან — ჩემგან რაღაც მიაქვს, — მერე შენგან რაიმეს მიიმატებს და ისევ უკან მიბრუნდება. შენთვის არ უნდა იყოს ძნელი გასაგები, ის ფაქტი, რომ სასიცოცხლო ენერგია უკვალოდ არ ქრება, იგი მუდამ მოძრაობს და ახალ იმპულსებს ბადებს — ბგერების, უფრო ხშირად სიტყვების მეშვეობით, რადგან ყოველი სიტყვა, ყოველი ბგერა, მით უმეტეს მუსიკალური ჰარმონია — იმ ნაპრალს აჩენს, საიდანაც ჩვენ ვტოვებთ ყოველდღიურ, რეალურ დროსა და სხვაგან გაღწევას ვლამობთ და იქ, სხვაგან გაღწეულნი ვერწყმით იმ დროს, ყოველდღიურობაში რომ არ ჩანს, ეს თამაშია ჩვენი სიცოცხლე — თამაში, რომელიც მხოლოდ თამაშს აღემატება, ეს არის ნოსტალგია იმ ქვეყანაში დაბრუნებაზე, საიდანაც ოდესღაც გამოგვამევეს და ისევ იქ დაბრუნებაზე ვოცნებობთ. ეს ჰერბარიუმიც, ხელიჰერბარიუმისკენ გაიშვირა, იმ ქვეყნის ნაწილია, სადაც მხოლოდ სულს შეუძლია ჩაღწევა, ბგერადქცეულ სულს, მაგრამ როგორც ბოლო დროს ვრწმუნდები — ჰერბარიუმის გახუნებული ფერები, უფრო ობიექტურად წარმოაჩენენ რეალობას, ვიდრე ის ხასხასა შეფერილობანი, ამ ყვავილებს რომ გააჩნდათ ოდესღაც და რაც ილუზია იყო მარტოოდენ, მეტი არაფერი.

ხმა არ ამომიღია, ჩემი დამუნჯების მიზეზი ძნელი მისახვედრი არ იყო, იგი ჩემს წინ იდგა და სევდიანად შემომყურებდა. არ ვიცი, რატომ ამომირჩია სიმონმა, რატომ განმასხვავა უამრავი ნაცნობისგან და რატომ ცდილობდა გამუდმებით გადმოედო ჩემთვის საკუთარი შეხედულებანი, რომელთაც ხშირად არ ვეთანხმებოდი, მაგრამ დროდადრო — მისი ზეგავლენის ქვეშ ვხვდებოდი და ჩვეულებრივი ყოფა მიჭირდა თითქოს. თანდათან მეც ვერვყოფი ყოველივეს გაანალიზებას, წვრილად განჩხრეკას, ზოგჯერ კი შთამბეჭდავი განცდების იმგვარ ათვისებას, როცა სულში ილექება რაღაც გაურკვეველი მთლიანობა თავის

საიდუმლოთი და ამოუხსნელი განწყობილებით. დავრწმუნდი, რომ მე ვიყავი ის ობიექტი, ის სხეული, უფრო სწორად კი იმ ცნობიერების მატარებელი არსება, რომელშიაც ცდილობდა შემოეღწია სიმონს თავისი ჩანაწერებით, ჰიპნოზური გამომეტყველებით, თავის სასიყვარულო თავგადასავლებით, იმ საგნებითაც კი, რომლებიც დუმდნენ მისაღებ ოთახში, სარდაფში — კიბით რომ უკავშირდებოდა მისაღებ ოთახს, წიგნებში, რომლებიც ასევე პირობითად დუმდნენ — და მე მაშინ პირველად მართლა გავიგონე შრიალის მაგვარი ხმები, რომელიც სარდაფიდან ისე ამოდით, როგორც ყურთან მიტანილი ნიჟარიდან. შემეშინდა, ამავე დროს მომინდა იმ სარდაფში ჩასვლა, რომლის ბინადარიც იქვე იდგა ჩემს გვერდით და როგორც თვითონ მიმტკიცებდა, ერთდროულად იქაც იყო — სარდაფში, ბუნაგში, სხვა ქვეყანაში — სადაც ახლაც ქსოვდა ობობასავით აბლაბუდას — და მის აბლაბუდაში ებმებოდნენ ცალკეული ბგერები, ზოგჯერ მთელი აკორდები, რომელნიც საიდან მოდიოდნენ და ჩნდებოდნენ არავინ იცოდა გარდა სიმონისა. მე ვიგრძენი, რაღაც ძალადობის ელემენტი, საკუთარი განცდების თავსმოხვევის თუ ჩემს სულში დაუკითხავად შემოჭრის მცდელობა, ვიგრძენი, მაგრამ წინააღმდეგობას ვეღარ ვუწევდი, იმდენად დიდი იყო ცნობისწადილი ამ უცნაური პროცესის — ჩემი გასიმონების თუ სიმონის გაგრძელებად გარდაქმნის მიმართ.

ამასობაში ფლეიტა, ალტი, ვიოლონჩელო, ტრომბონი დაჰობოი, თვითონ სიმონი მაგიდას მიუსხდნენ — პაუზამ ხელკავით მიმიყვანა სუფრასთან და ჩვენ დავსხედით — პაუზა სიმონის მხარმარცხნივ, მე კი მარჯვნივ, სიმონი შუაში იჯდა და სახეზე ეხატა სევდიანი ბედნიერება. თუმცა კაცი ვერ გაარჩევდა, რა უფრო სჭარბობდა — სევდა თუ ბედნიერება. სიმონმა პაუზას ხელი გადახვია, გულში ჩაიკრა და აკოცა. მივხვდი, რომ სიმონი კოცნიდა X-ისა და პაუზას საკუთარ შენადნობს და ამ შენადნობში, სიმონმა რომ შექმნა, ვინ იცის რომელი უფრო მეტი იყო — X-ი თუ პაუზა.

ტრომბონმა ნეფე-დედოფალი ადღეგრძელა, ატყდა ჭიქების ჭახუნი, აზუზუნდნენ ბედნიერების მსურველი სიტყვები, მეც რაღაც ჩავილულულე და შამპანური მოვწრუპე. ნიკასთან ერთად დალეული არაყი თავის საქმეს აკეთებდა, მარღვებში დაქროდა და ცეცხლი სახსრებში რომ წამეკიდა, მაიძულებდა ფრთხილად, მოზომილად მესვა შამპანური, რათა ნაადევად არ გამოვბრუქულიყავი და თავი არ შემერცხვინა.

ყველაზე მეტად ფლეიტა აქტიურობდა — ოხუნჯობდა, ახალ-ახალ ანეკდოტებსჰყვებოდა, ცქმუტავდა. ტრომბონმა პიჯაკის შიდა ჯიბიდან ოთხად გაკეცილი გაზეთი დააძრო, ერთი წუთი მომისმინეთ, მხოლოდ ერთ აბზაცს წაგიკითხავთ და სუფრის წევრები გააჩუმა. სტატიის სათაურია: „საბუთიანი და ლოგიკური აზროვნება უმაღლესი ავტორიტეტია“. ავტორი, როგორც გაზეთი გვაუწყებს: „ესთეტიკოსი, გონითა და სულიერებით სავსე ფილოსოფოსია.“ აქ სხვა სახობო სიტყვებიც წერია, მაგრამ მოუსმინეთ რას წერს „გონითა და სულიერებით სავსე ფილოსოფოსი“. — მხოლოდ ერთი აბზაცი, ჯერ ერთი, მერე ვნახოთ სხვაც თუ საჭირო იქნა.

„ცოდნა და მეცნიერება... უანგარო აზროვნებით შენდება და მათზე დამყარებულ საქმიანობასაც თითქმის ყოველთვის სასურველი შედეგი მოაქვს.

მოკლედ, ადამიანის სულიერ საქმიანობათაგან არც ერთი არ არის ისეთი წინდახედული და გარეშე ვნებებისაგან თავისუფალი, როგორც მეცნიერული აზროვნება. ამიტომ მოაქვს მას უზარმაზარი სიკეთე კაცობრიობისათვის. ჩამოაშორეთ ჩვენს პლანეტას ის, რაც მასზე მეცნიერულმა აზრმა დააშენა და შეხედეთ

რა დაგრჩებათ! მაგრამ სწორედ ამგვარი საქმიანობაა ყველაზე ძნელი და სწორედ ამ სფეროში მოიკოჭლებს საქართველო ყველაზე მეტად“. მე, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანა, რომელიღაც ფილოსოფოსის — უსაბუთო და ულოგიკო აზროვნებამ, რომელსაც, რა თქმა უნდა, უმაღლეს ავტორიტეტად ვერ აღვიქვამდი. არც სტატიის ბოლომდე წაკითხვის სურვილი არ გამჩენია, რადგან მოსმენილი სტრიქონებიდან ამოიმართა ჩვეულებრივი მატერიალისტი, ამავე დროს, პრაგმატიკი, „გარეშე ვნებებისგან“ დაცლილი ფიტული, რომელსაც კვონია, რომ ამგვარ, გნებავთ, სხვაგვარ „მეცნიერულ აზროვნებას ყოველთვის მოაქვს კაცობრიობისათვის უზარმაზარი სიკეთე“... ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ამ უცნობი ავტორისათვის ან უცნობი იყო, ან ნაცნობი, მაგრამ „საბუთიანად და ლოგიკურად“ უარყოფილი — ყველა ის დიადი მიღწევა კაცობრიობისა, ათასწლეულების მანძილზე რომ მოჰქონდა სიკეთე კაცობრიობისათვის — ანუ ის უზღვავი საუნჯე, რომლითაც როგორც ლიფტით, თვითმფრინავით ან ატომური ბომბით, გნებავთ, პრეზერვატივით ან სხვა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებით ვერ ისარგებლებს კაცობრიობა და ამიტომაც მისი სიკეთე ან იგნორირებულია ან ხელაღებით უარყოფილი. — რაო, როგორ წერდა? — ჩამოაშორეთ ჩვენს პლანეტას ის, რაც მასზე მეცნიერულმა აზრმა დააშენა და შეხედეთ რა დაგრჩებათ! ბიჭოს! ვფიქრობდი ჩემთვის, რა დაგრჩება და... რომელი ერთი ჩამოვთვალო: ძველი და ახალი აღთქმა თუ „ბჰაგავატგიტა“, „უპანაშადები“ თუ „თამუხის სიზმარი“, ძველევგვიპტური პოეზია თუ „კაბალა“, „მკვდართა წიგნი“ თუ ჰომეროსი — აქეთ აღარ წამოვალ — მთელი კაცობრიული კულტურა ამაოდ დამშვრალა ამ „გონითა და სულიერებით სავსე“ ფილოსოფოსისათვის. მაინც როგორ გამოაცალკევა ერთმანეთისაგან მეცნიერული „გარეშე ვნებებისგან დაცლილი“ და ალბათ, გარეშე ვნებით აღსავსე კულტურული მიღწევები. როგორ გამოაცალკევა ერთმანეთისგან მეცნიერული და ეზოთერული. — განა უძველეს საუკუნეებში ზუსტი მეცნიერებები და ეზოთერული ცოდნა ერთმანეთს გამორიცხავდა? ურთიერთშევესებას არ ახდენდა?! ოჰო, ისროლა, მაგრამ რა ისროლა ამ „გონითა და სულიერებით სავსე ფილოსოფოსმა“, ნათელია, რომ სულიერებით სავსე ფილოსოფოსმა — სულიერება უარყო, ნებსით თუ უნებლიეთ, ასეთი „თამამი“ აზროვნების მქონე ადამიანები მხოლოდ იმას აღიარებენ, რისი გამოყენებაც პრაქტიკულად შეიძლება, რასაც შეიძლება ხელით შეეხო და რეალურად შეხედო. სად არის ღმერთი?! უფალი დაავიწყდა სულიერებით სავსე ფილოსოფოსს?! ალბათ, ათეისტია და სულაც არ არის გონითა და სულიერებით აღსავსე? ან პითაგორა დაავიწყდა — ვინ იყო პითაგორა — მხოლოდ ზუსტი მეცნიერების მსახური თუ „იდუმალთმცოდნე“?! თავისუფალია თუ არა რომელიმე არქიტექტურული ნაგებობა, რაც უძველესი დროიდან დღემდე შემოგვრჩა, გარეშე ვნებებისგან, არის თუ არა არქიტექტურა მეცნიერებისა და სულიერების სინთეზი?!

ეჰ, ძვირფასო გონითა და სულიერებით სავსე ფილოსოფოსო, სინჯე და მეორედ შედი იმ წყალში, რომელმაც უკვე ჩაიარა? იმავე წყალში მეორედ შესვლა შემოქმედს შეუძლია, თქვენ წარმოიდგინეთ, ნამდვილ ფილოსოფოსსაც, მაგრამ თქვენ გაგიჭირდებათ, რადგან თქვენი სწორხაზოვანი აზროვნება სიკეთის მოტანის პრაქტიკულობას გულისხმობს და არა იმ ბიძგებს, იმ ძვრებს, სულის სიღრმეში რომ ამწიფებს ლოგოსს და იმ დროს ერწყმის, იმ „წყალს“ ერწყმის, არსად რომ მიდის და გვრჩება იმისი ილუზორული შეგრძნება, თითქოს მიდის, რადგან სხეულებრივი სიცოცხლე ტოვებს ამგვარ შთაბეჭდილებას.

— არა, ამ კაცთან დავა არ ღირს! ეს ხომ ბჰუტურია და მეტი არაფერი. სიმონმა თაროდან ალბომი გამოაძვრინა — სათაური ხმამაღლა წაიკითხა „სიყვარულის



ტადარი“. დამიმტკიცებს ვინმე ამ ტადრის შემოქმედი მეცნიერი იყო თუ მხატვარი. გაავლებს ვინმე მიჯნას მეცნიერებასა და შემოქმედებას შორის. ზეგარდმო ძალა, ალბათ, თანაბრად მონაწილეობს ყოველი აღმოჩენისას, მეცნიერული იქნება იგი თუ არამეცნიერული. რითი აღმატებაჰომეროსს ნიუტონი, ანჰაიზენბერგს რილკე?! ამგვარ დაპირისპირებას სრულ აბსურდამდე მივყავართ. ტრომბონო, დახურე გაზეთი და ჯიბეში ჩაიდე, იმედია ამ გაზეთს სხვა დანიშნულებას მოუძებნი. ოფსეტური ბეჭდვაც ხომ მეცნიერების დამსახურებაა და მისი პრაქტიკული გამოყენება გარკვეულ სიკეთეს მოგიტანს. ფლეიტის ერთი სამხმოვანება მირჩევნია მთელ ამ ბჟუტურს, რადგან სამხმოვანების სიღრმეში ანთია ის ცეცხლი, რომელიც არ იწვის, არც ანათებს, არც მოჩანს — მხოლოდ ისმის, ისმის, ესე იგი გვესმის და სამწუხაროდ, რადგან მუსიკის მეტაფიზიკური სამყარო სწორედ ისაა, რასაც საღეჭი რეზინით ან გასაბერი ქალივით ვერ ამოიყენებ, უნდა უარვეყოთ?!

ტრომბონი ისევ გაზეთს ჩაჰკირკიტებდა, ერთი აბზაციც და მორჩა, კიდევ ერთი აბზაციც და მეტს აღარ წავიკითხავ.

— ჯანდაბას ამის თავი — ბარემ მორჩეს — ამოღერდაჰობოი.

„შესანიშნავად მღერიან და ცეკვავენ ქართველები, გვყავს მსოფლიოში სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, გვყავს რუსთაველი, სულხან-საბა, გალაკტიონი, მაგრამ არ გვყავს არისტოტელე, ნიუტონი საქართველოში.“

— მერე და ვინ მოახსენა ამ „გონით და სულიერებით სავსე ფილოსოფოსს, რომ მსოფლიო ცივილიზაციის ნებისმიერი მიღწევა ჩვენიც არ არის. რა, აინშტაინს პასპორტში ქართველი თუ არ ეწერა — ეს იმას ნიშნავს, რომ აინშტაინი სხვისია? თუ იმას ნიშნავს, რომ იგი საერთო კაცობრიული საკუთრებაა. საერთო კაცობრიულ საკუთრებას, მსოფლიო მიღწევებს არ განეკუთვნება ჩვენი ეგრეთ წოდებული სიმღერები და ცეკვები, რუსთაველი და გალაკტიონი და მრავალი სხვა, რაც „დაავიწყდა“ „გონითა და სულით სავსე ფილოსოფოსს“. ის, რაც გვაქვს და რაც გაგვაჩნია, ისიც მეტისმეტად მნიშვნელოვანია იმ ისტორიული ფონის გათვალისწინებით — საქართველოს რომჰქონდა საუკუნეების მანძილზე. ამ „გონითა და სულიერებით სავსე ფილოსოფოსს“ ჰგონია, რომ მოცარტი მარტო ავსტრიელების კომპოზიტორია?! მორჩი, ტრომბონო, მორჩი ამ აბდაუბდას, მგონი შენი დაწერილია ეგ სტატია და სხვისად ასაღებ და თუ მართლა „გონითა და სულიერებით სავსე ფილოსოფოსს“ ეკუთვნის — ეგ ყოფილა ერთადერთი დიდი მოაზროვნე საქართველოში, რადგან მან თუ რაიმე აღმოაჩინა, მხოლოდ ის აღმოაჩინა, რომ ჩვენ საქართველოში ყველანი უტვინოები ვართ გარდა მაგისა. ისე, კაცმა რომ თქვას, ესეც შესაძლებელია.

— გაშრა ყელი, ძმებო, თქვენი „საბუთიანი და ლოგიკური აზროვნებით“, დაასხით რა — ქორწილია თუ დისკუსია — შევძახე მე და ჭიქების შევსება დავიწყე. თანდათან ყველას დავიწყდა „გონითა და სულიერებით სავსე ფილოსოფოსი“ — და სასაუბრო თემამ ჰაუზასა და სიმონის საღღერძელოსკენ გადაინაცვლა.

კარგა ხანს ვიჯექი ჩემთვის და ვგრძნობდი ტრომბონის მიერ წაკითხული სტრიქონები, როგორ დაიშალნენ ასო-ნიშნებად. ასო-ნიშნები იქცნენ ხოჭოებად, ჭიანჭველებად და გასწიეს იმ ხვრელისკენ, საიდანაც ამოცოცდნენ ოდესღაც. თითქოს შამპანურის ჭიქებიდან „ქლოროფოსის“ მძაფრი და საზიზღარი სუნი ამოდიოდა, მიუხედავად ამისა, მე მაინც ვეძალეობდი სასმელს და დროდადრო ვამჩნევდი, სიმონისჰაერის ნაკადივით მსუბუქი ხელი, როგორ დაქროდა ჰაუზას მხრებზე, თმაზე, სახეზე, ზოგჯერ უფრო ქვევითაც და მე ფშავურად შევუმღერე:

ხელ თუ ქვევით არ წავიდა  
უბეში კი შაენდობა...

თითქოს ქორწილი იყო, მაგრამ ქორწილს მაინც არ ჰგავდა, ეს თავშეყრა უფრო ხელოვნურ განწყობილებას ბადებდა ჩემში. ვერ შევუერთდი საერთო მხიარულებას, ვერ გავითქვიფე იმ დროში, რომელიც უჩემოდ გადიოდა, მე კი მტოვებდა უდროობაში, ირეალურისკენ მიბიძგებდა და ყველაზე კონკრეტული განცდა, რასაც, რატომღაც მივები — ისევ ისპერბარიუმი იყო, საჩვენებელ ადგილას რომ გამოეფინა სიმონს და რომლის თვალის შევლებაც კი მეც უხსოვარ დროში მაბრუნებდა, სადაც ის ადამიანები ცხოვრობდნენ, რომელთაგან თითქმის აღარავინ იყო ცოცხალი და ისინი მაინც განაგრძობდნენ თავიანთ არსებობას ჩემს მეხსიერებაში, მაგრამ სხვაგან, რეალურ ყოფაში მათი ნატამალიც აღარ დარჩენილიყო, ცალკეული მინიშნებებისა და საგნების გარდა — მათ აქ ყოფნას რომ მაგონებდნენ დროდადრო, როგორც სიზმარ-ცხადს, როცა ბოლომდე არ ხარ დარწმუნებული კაცი — ის, რაც იხილე, სინამდვილე იყო თუ მოჩვენება, სინამდვილეს რომ რაღაცით აღემატება. განა შეიძლება ზუსტად განვსაზღვრო ახლა სად ვიმყოფები ან რას ვაკეთებ. ჩემი დღევანდელი აქ ყოფნა რაღაცით წაგავდა რომელიღაც სიზმარს, რომლის პერსონაჟიც და შემთხვევლიც მე თვითონ ვიყავი და თავადვე უნდა გამეგრძელებინა ან შემეწყვიტა ის დინება, ჩემში რომ იღებდა სათავეს, მაგრამ ამ სათავესჰქონდა სხვა უხილავი სათავე, რომელიც სიმონის ხელნაწერებიდან უჩინრად გადმოედინებოდა ჩემში და მე ვგრძნობდი ჰიპნოზურ ზეგავლენას, რომელიც კი არ მბოჭავდა, არამედ სხვა სივრცეში გადავყავდი, საკუთარ თავს სხვა თვალთ, სხვა კუთხით წარმომიჩენდა, თითქოს შორიანხლოს ვიდექი და ჩემს სხეულს შევყურებდი.

მუდამ მაწვალებს იმის სურვილი, შევინარჩუნო თავისუფლების სიამისმომგვრელი, თანაც ტკივილიანი შეგრძნება, მაგრამ დრო ყველაფერს აუფერულებს თანდათან, მხოლოდ ხანდახან, წამიერად აღგვიდგენს ხოლმე ზოგიერთ განცდას, ხილვას, ჩემში რომ ხელუხლებლად ყოფილა გადანახული და შესაბამის ბიძგს მოელოდა, რათა იმავდროულად, თავის დამანგრეველი თვისების გარდა, გამოევლინა გრძნობათა რესტავრატორის უზადო ნიჭი, წამიერად მაინც რომ თავიდან განგვეცადა ის, რაც დიდი ხნის წინ განვიცადეთ და რომელიც ჩვენში უკვალოდ არ გამქრალა. დროს უყვარს თამაში, რადგან ჩვენ დროში გათქვევნილები ვართ და დროის წარმავლობა მხოლოდ ჩვენი წარმავლობით წარმოჩინდება; ჩვენი სიცოცხლეც არარა იქნებოდა ათასგვარი თამაშის გარეშე, რადგან ეს ცხოვრება გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი თამაშის მთელი ქსელია, რომლისგანაც სრული თავდახსნა სიკვდილს მოასწავებს. „განა პასკალი არ გვიჩვენებს, რომ „ჩვეულება“ და „გართობა“ ადამიანს უნიღბავს საკუთარ არარაობას, უსასოობას, უკმარისობას, უძლურებას და სიცარიელეს“?!

მუსიკოსები რაღაცას უკრავდნენ, სმა შეეწყვიტათ და რაღაცას უკრავდნენ, არ ვიცი, რომელი კომპოზიტორის რომელ ნაწარმოებს უკრავდნენ, მაგრამ მე ვგრძნობდი შუასაუკუნეების სულს, რელიგიურობის უტყუარ კვალს, სწორედ იმ დროის კვალს, როცა ჩაისახა შემდეგი მოსაზრება: „ბუნება უსასრულო სფეროა, რომლის ცენტრი ყველგანაა, ხოლო წრეწირი არსად“ (პასკალი), როცა პასკალის ეს ხელნაწერი აღადგინეს ტექსტოლოგებმა — ხელნაწერის აღდგენისას აღმოჩნდა, რომ პასკალს ეწერა: „შემაშინებელი სფერო“ და არა უბრალოდ სფერო, დიახ „შემაშინებელი სფერო, რომლის ცენტრი ყველგანაა, ხოლო წრეწირი არსად“. ეს შემაშფოთებელი აზრი ამას წინათ ამოვიკითხე სადღაც და ტვინში ჩამეჭიდა, ტვინში კი არა, მთელ ჩემს

ცნობიერებას მოედო, სულს დაეპატრონა და კიდევ ერთხელ გამახსენა, რომ ღმერთი ყოველთვის და ყველგანაა, ხოლო მისი დასასრული უბრალოდ არ არსებობს, რადგან მომავალი და წარსული უსასრულოა და რადგან თანაბარი მანძილით ვართ დაშორებული ამ ორ უსასრულობას, სინამდვილეში კი მთლიანაობას, სწორედ აწმყოა ის დრო, როცა სიზმარ-ცხადი იბადება და ქრება ჩვენს თვალწინ ან იქნებ ჩვენთან ერთად. დღევანდელი ქორწილიც რაღაცით წააგავდა გართობას, საკუთარი უსუსურობის თუ უსასოობის შენიღბვას, თამაშს, რომლის გარეშე დრო აუტანელ ტვირთად იქცევა და შეიძლება კაცი მწერივით გასრისოს ან ისე შორს გასტყორცნოს ირეალურში, საიდანაც დაბრუნება, ჩვეულებრივ ცხოვრებაში შეუძლებელია.

ისინი ისევ უკრავდნენ, მე და პაუზა ვისხედით მაგიდასთან გარინდულნი და ჩვენს თვალეში ენთო რაღაც იმის მსგავსი ნარპერწკალი, მუსიკის წყალობით რომ ბრწყინავდა და სუნთქვაშეკრულნი ვემბდით ამ ნაპერწკლის გამომწვევ მიზეზს, შეხმატკბილებულ ბგერებში რომ განფენილიყო და რომლის მოხელთებაც არავის შეეძლო.

მე ყოველთვის განვიცდიდი ცოდნის ნაკლებობას, რაც უფრო ღრმად ვიხედებოდი მოვლენებში თუ საგნებში, მით უფრო მწირი მეჩვენებოდა საკუთარი ცოდნა და მით უფრო ვეყრდნობოდი ალლოს, იდუმალ მოკარნახეს — ათასგვარი გარეგნული ნიშნებით, შეგრძნებებით და სიმბოლოებით რომ ამხელდა თავს, ამხელდა მუდამ სანახევროდ, ბოლომდე ჩაუწვდომლად, რაღაც მანძილზე რომ მიგიშვებს და მერე ბელში გტოვებს, როგორც სანთელს, თავის თავს რომ ანათებს მხოლოდ და ზოგიერთი საგნის ზედაპირს გამოკვეთს ნახევარტონებში — დანარჩენი უსასრულობა ბინდში რჩება სამუდამოდ, სადაც ხელისცეცებით უნდა იარო მუდამ და კიდევ ერთხელ დარწმუნდე, რომ თვალი ვერაფერს ხედავს გარდა ზედაპირისა, რომ არსებობს სხვა თვალი, თანდათან რომ ამეხილება, მხოლოდ იმიტომ, რომ ოდნავ შორს გადავიხედო.

აღმოჩენამ, თავში რომ წამოტივტივდა, შემზარა, გამოაგნა: მე ვგრძნობდი, რომ თანდათან ისე ვაზროვნებდი, როგორც სიმონი, რომ სიმონმა შეძლო გამოემზებურებინა ის, რასაც ვმალავდი, ვნიღბავდი გულდასმით — ახლა კი, თითქოს, ჩემს სულში იჯდა და ჩემში განაგრძობდა არსებობას. ეს დაუჯერებელი ამბავი იყო და სიმთვრალეს დავაბრალე, მაგრამ შევშინდი: მეორე დღესაც მსგავსი აზროვნება რომ გამეგრძელებინა — რა დასკვნა უნდა გამომეტანა?! — მე ვიყავი სიმონი და არა გიორგი თუ გიორგი იყო სიმონი თუ...მსგავსი მეტამორფოზა ჩემს სულში რომ ვითარდებოდა, საშველს აღარ მაძლევდა. თავს იმით ვინუგეშებდი, რომ ვიოლინოზე დაკვრა სიმონივით არ შეემძლო, არც X-ი და არც პაუზა ჩემი შეყვარებულები არ ყოფილან, მაგრამ სწორედ ამ დაფიქრებისას ხდებოდა უცნაური რამ, — უნებლიეთ ვრწმუნდებოდი, რომ X-ი იყო ჩემი შეყვარებული და თავის დღიურებით სიმონი ჩემს ამბავს მომითხრობდა, რომელიც როგორღაც მისი თავგადასავალიც იყო, მაგრამ მე ვერ გამერკვია, როგორ შეიტყო სიმონმა ასე დეტალურად ჩემი და X-ის ამბავი, ის დღიურებიც ჩემი რვეულებიდან როგორ ამოიწერა და როგორ დამარწმუნა, რომ X-ი მისი შეყვარებული იყო.

ვგრძნობდი, რომ სიგიჟის ზღვარზე დავეხეტებოდი. წამოვდექი და მასპინძელს გამოვემშვიდობე; არ მიშვებდნენ — განსაკუთრებით პაუზა აქტიურობდა. სად მიდიხარ ამ შუალადით, ეს ხომ შენი სახლია, სიმონ?! მარტო ხომ არ უნდა დამტოვო ქორწილის ღამეს?! ტრომბონი რაღაცას ჩამჩხაოდა ყურში, ფლეიტაც: სიმონ, სიმონ ხომ არ გაგიჟდით — დაქოქილივით მიმეორებდა.

\*\*\*

გულაღმა იწვა ვიღაცის საწოლში, რომელიც ოდესღაც მისი იყო, მერე იქ, მის ნაცვლად, ვიღაცა იძინებდა. ის სხვაგან, სხვა სახლში ცხოვრობდა, თუმცა არც კი ახსოვს, ცხოვრობდა საერთოდ თუ არა. ის ვიღაც ასრულებდა მის მაგივრად, ყოველდღიურ მოვალეობებს; დილაობით პური მოჰქონდა, მერე ნავთქურას ანთებდა, ჩაის ადუღებდა, სამსახურში დადიოდა, ნაცნობებს ხვდებოდა, ესალმებოდა, მოიკითხავდა, ზოგჯერ ქალებთანაც ერთობოდა და ამ გართობას ფიზკულტურას უწოდებდა. იმ ვიღაცის სულში მე ვიყავი მიმალული, მე — მევიოლინე სიმონი, ყველაზე ნამდვილი და რეალური პიროვნება.

ახლა, როცა ჩემი ოპუსი მთავრდება, მე, როგორც შემთხვევითი, ვალდებული ვარ ვაღიარო: მე უფრო ვარ გამოგონილი და არარეალური ვიდრე, ჩემი პერსონაჟი სიმონი, რომელიც აქვე განაგრძობს თანაცხოვრებას და დროებით ჩემშია ჩამალული. მაგიდაზე დევს ჩვენი პატარა წიგნი, ჰერბარიუმი ისევ გამოსაჩენ ადგილზეა გამოფენილი, იმ ჩარჩოში კი ის დროცაა მომწყვდეული, არასოდეს რომ განმეორდება.

ჩვენი საერთო საკუთრებაა აგრეთვე დაბეტონებული ეზო, სადაც X-ის ყვავილები აღარ ამოდინან, მაგრამ იმ ეზომ ჩვენს მეხსიერებაში გადმოინაცვლა და დროდადრო ისეჰყვავის, როგორც ოდესღაც, ასე რომ ხრეშსა და ცემენტში, აგრეთვე მუშებისთვის ფული ტყუილად გადავყარეთ.

ამის მერე აღარც კი ვიცი, როგორ გავაგრძელოთ ცხოვრება, სად ვიპოვოთ საყრდენი, თავშესაფარი, რათა ყოველგვარი ფაციფუცის გარეშე გავაგრძელოთ წერა ანუ იმის აღმოჩენა, რაც სინამდვილეში გვინდა ვიყოთ.

ჩვენი თანაავტორობით დაწერილი რამდენიმე ლექსი შემომრჩა, რომლებსაც აქვე ვაქვეყნებ: — მე ახლა უფრო სიმონი ვარ, ვიდრე ის, ვინც ოდესღაც ვიყავი, ეს ლექსებიც, მე, — მე მევიოლინე სიმონს მეკუთვნის და არა მეორე მეს, ჩემს შემთხვევებს.

## წრებრუნვა

1.

სივრცე, რომელიც ლამპის შუქმა მშვიდად აშენა,  
აღარსად მიდის და საკუთარ თავში არსებობს, —  
ის არ გამოდის შეუღწეველ ბინდის გარსიდან  
და საკუთარ შუქს ეთამაშება.

შენც აქვე ზიხარ — შემოსაზღვრულ ბინდში ჩაფლული  
და როგორც სისხლი, როგორც ექო ჩავლილ ზაფხულის,  
თითქოს თხოულობს მარღვებიდან სადმე გაშვებას,  
სულ სხვა სივრცეში ენატრება მასაც შეღწევა,  
თუმცაღა იცის, იქ, სიამით დაილეწება —  
ტრადიციული სულსწრაფობით მაინც მიიწევს,  
იცის, რომ მორიგ აღმაფრენას იქ დაიმიწებს  
და ბოლოს მაინც ღვთისგან მისჯილ წრეში დარჩება,  
იმის დასტურად, რომ ამაოდ რაც იხარჯება —  
ამ ლამპის ბჟუტვას ვერასოდეს აღემატება

და სიბნელეში ჩაგუბდება მისი ნათება.

2.

რისი აღდგენაც შეიძლება აღადგენს ჟამი,  
იგივე ჟამი ხელაღებით რომელმაც მოსპო,  
ის გააღვიძებს შენში მთვლემარ განცდათა ფოსფორს  
და გაგრძელდება სიბნელეში მფეთქავი ჩქამი.

სიტყვა ყოველი, რაც ქვეყანამ აქცია თალხად  
და იმ თალხიდან უბოროტეს აჩრდილებს ზელდა,  
იმავ ქვეყანას დაუბრუნდა უეცარ ელდად  
და მოულოდნელ ცრემლებად გალღვა.

და იმ ცრემლებში ალაგ-ალაგ მზინავი ძაფი,  
ისევ აგროვებს მივიწყებულ სინათლის ეკლებს,  
რომელიც ჩვენი დამარცხების დასასრულს შეკრებს,  
რომელსაც ჩუმად ჩაისრუტავს ცხოვრების ძაბრი.

მაგრამ ლამპისგან გაღვიძებულ მოსარკულ აბრებს —  
გაახსენდებათ განათება ფერებს რომ შეცვლის,  
როგორ შეერწყმის ლაჟვარდისფერს მზრწყინავი ვერცხლი,  
როდესაც გული უნებლიე ბგერებში დაფრენს.

შენთან ერთადაც, უშენოდაც არ არის სრული  
ცხოვრება ჩემი, არც არასდროს აღარ იქნება,  
მე ისევ ვნატრობ სასწაული წუთის მიგნებას,  
რათა კვამლივით შევუერთო სამყაროს სული.

მე ვიწვი, ჩემი თითებიდან მოწვეთავს ალი  
და ჩემს თვალებში მოგიზგიზე ანთია შუქი  
და ჩემი მზერა თითქოს გულქვა სარკესაც უკვირს,  
რომელსაც ჩემკენ უნებლიეთ მოურბის თვალი.

და ბჟუტავს, ბჟუტავს უსასრულო დამეში ლამპა,  
საკუთარ წრეში ისევ მკეტავს სიბნელის გარსი  
და მხოლოდ მარღვებს  
ისევ ახსოვთ სიცოცხლის არსი  
და მხოლოდ სისხლი სიჩუმეში სიცოცხლეს ლამბავს.

23. XII. 97 წ.

\*\*\*

მე ის გზა მიყვარს,

გზა, რომელიც წამიყვანს სხვაგან —  
სიმშვიდის ძეხვით, სვენებ-სვენებით:  
ამას რომ ამბობ  
ისე მშვიდი და ჩუმი ხმა გაქვს —  
თითქოს ხმის ტემბრით დამუნჯებულ ცას ეშველები.

მე ის ცა მიყვარს,  
ცა, რომელიც უნახავს არვის  
და სამომავლო თვალეზშია გადანახული,  
ვით უეცარი და მომწვანო სიმაღლე ალვის,  
რომელსაც მუდამ უცდის ზაფხული.

მაგრამ რაც მიყვარს —  
ის თავისთავს ყოველთვის მალავს  
და თუ კი ამხელს, მხოლოდ წუთით, რომ გამაკვირვოს,  
სიტყვების ბროლში სხივად აქცევს მზეების ძალას,  
რათა თვალეზში უხმაურო ცეცხლად აკივლოს.

და მე ვინც მიყვარს არ არსებობს,  
არსებობს თანაც —  
რალაც მანძილზე, მაგრამ მერე ქრება უმაღვე,  
როგორც კი იგი ჩვეულებრივ იქცევა ტანად, —  
ანუ სხეულედ — ვნებები რომ ვერ დავუმალე.

და მაინც მიყვარს — გულუბრყვილო სიტყვების ფიჭა,  
რალაც მომწარო - მოტკბილოს რომ ჩუმად აგროვებს,  
დაბადებულ მარადიულ ფიქრად და იჭვად —  
ორჭოფულ მზეერას კვლავ მზეები მოაოქროვებს.

არის სათქმელი, როგორც ზამთრის დუმილში კვირტი,  
როგორც ყვავილი ანდა ბგერა რომ არ ისმოდა,  
იგია ჩემთვის ძვირფასი და საამო ტვირთი,  
წონასწორობას ვკარგავ მუდამ ურომლისოდაც.

10. I. 98 წ.

\*\*\*

საგნებიც ჩუმად ცხოვრობენ აქვე,  
ჩვენთან ერთადაც და ჩვენს გარეშე  
და დრო — პედანტი მოანგარიშე,  
გაკვირვებისგან თავს ჩუმად აქნევს —

ცოცხლები რომ ვართ ნამდვილად უკვირს,

თუმცაღა მისთვის ხომ სულერთია,  
ვისი ძარღვები ვისას ერთვიან  
და ვის ევსება თვალები შუქით?!

ისევ იმსხვერპლა ოცნებამ კაცი  
ან იქნებ ისეთ სივრცეს მიაგნო,  
იქ, სადაც ჩვენზე უნდა იანგლოს  
ან იყოს უფრო მშვიდი და მკაცრი.

კედლები ჩუმად ცხოვრობენ გვერდით  
და ერთმანეთის მზერა ბეზრდებათ,  
როდესაცჰაერს ბგერა ეზრდება,  
როგორც პატარა გოგონას მკერდი.

გოგონა ისევ რადიოს უზის...  
იმ საწყალს ალბათ უკვე მარხავენ,  
ჭირისუფლები თავს ითალხავენ  
და მიწას ერთიც ეზრდება კუზი.

უქმური ზამთრის დღეების ნაცარს  
ვინ მოერევა არყის გარეშე  
და დრო — პედანტი მოანგარიშე  
ისევ აგრძელებს ქალაქში წანწალს.

10. I. 98 წ.

\*\*\*

ეს დროც ხომ უნდა გასულიყო?!  
ისიც გავიდა,  
ისე ჩუმად და სწრაფად გავიდა,  
რომ ამ თემაზე არც მიფიქრია.  
ის, რაც გავიდა რომ ნაგავია —  
თავის არსით და თავის ბუნებით,  
თავის სიწრფელით, თავის სიცრუით,  
სიხალვათეთი და სივიწროვით.

მიდი-მოდიან თავისქალები —  
თავის კაცები — თავის ქალებით,  
სიყვარულისთვის არის ალიბი  
და უწინდელი ნატერფალები —  
იმზირებიან როგორც თვალები.

ჩაუქრობელი ცეცხლის ალები,  
დაუცხრომელი ვნების ალაფი —  
დროიდან დროში ცდილობს გაღწევას,

რათა იმისი ნატერფალები  
გაივსოს წყლით და მთვარის თვალებით.

მე ვარ ის მზერა, მე შევადწიე  
იქ, სადაც შესვლა აკრძალულია  
თუ იმახსოვრებს რამეს გულია,  
გული, რომელიც ვნებით არწიეს...

გონს აღარ ახსოვს აღარაფერი,  
გონს დაბადებულს მუდამ უგონოდ,  
ჯობს სატრფოს თავი რომ მოვუქონო  
და ვუთხრა რამე მას შესაფერი...

მანამ გრძელდება ღამის აბსურდი,  
ვიდრე ხახუნი დასასრულამდი,  
როცა შეიგრძნობ, ღამის სულამდი  
ააღწიე და კიდევ აღსრულდი.

კიდევ ერთ ღამეს ათევს საბანი,  
საბანი ზამთრის ღამის მთევარი  
და ილიმება შენი მტევანი —  
მთვარის სხივებით ჩამონაბანი.

10.I. 98 წ.

\*\*\*

აქ უნდა მარად სიჩუმე იყოს  
და სიღრმე, სიღრმე სიჩუმის ხმაში,  
როგორც ღიმილში მძინარე ბავშვი —  
ისეთ სივრცეებს უნდა ხედავდე,  
რომ აღადგენდე უმთავრეს კავშირს  
და ისწრაფოდე სიყრმის ხედამდე —  
ბებერ სიტყვაში ჩამალულ გენტან.

შენ გაიხარებ თუ ვინმე გენდო  
და მოსასმენად მოგაპყრო ყური  
თუ შენთან ერთად გატეხეს პური,  
იხილეს შუქი თვალში რომ გენტო.

ვერ გაიხსენებ იმ ქალის სახელს,  
რადგან არავინ გეტყვის უბრალოდ,  
საკუთარ თავსაც გსურს დაუმალო —  
რასაც უსიტყვო ღიმილით ამხელ.

ის შენში ცხოვრობს და ესეც გყოფნის



და ბედნიერი გგონია თავი,  
თითქოს ველური ვარდია ღობის  
და შენს სხეულში თავისთვისჰყვავის.

ვერ მოუძებნი ამ განცდას სახელს,  
რომლითაც ჩუმად ივსები ახლაც,  
ის ყოველ სიტყვას თვალივით ახელს  
და ყოველ სიტყვას ღიმილად ახლავს.

მხოლოდ ამგვარი სიჩუმის გჯერა  
არ გააჩნია, რომელსაც გარსი,  
ისე ვრცელია და ისე ჭრელი  
და ისე ღრმაა დუმილის არსი.  
სადაც ლოცვაა და სუნთქვა უფლის  
და სიმშვიდეზე მშვიდია კრძალვა,  
რომელიც მხოლოდ გუმბათებს უვლის  
და უყვარს ჩუმად ხილულის მალვა —

ისე რომ შემდეგ სიტყვებში კრთება  
ანარეკლები პირვანდელ განცდის,  
რომ მერე ვინმემ შეიცნოს თემა,  
რომელსაც მხოლოდ დუმილით გასცდი.

11.I. 98 წ.

\*\*\*

სადღაც ბელურების ხმა,  
სადღაც ბალის გულში —  
გადარჩენილ სიცოცხლის მხიარული კუნძული,  
გაღიმებულ სარკეში ანარეკლის კუნწულა  
და თვალებში გამკრთალი გახსენება მრუში.

ჩავლილია რაც იყო და რაც იყო გამქრალა,  
როგორც ძველი ზღაპარი ანდა სიზმარ-ცხადი,  
მაგრამ მაინც მოფრინავს, როგორც ბოლოქანქარა  
და სიტყვიდან სიტყვაში ბოლოს ქნევით დადის.

მაინც უნდა უარვეყო, უნუგეშოდ გავრიყო,  
ისევ არ მომელანდოს მომღიმარი ხატი,  
ის, რაც იყო ოდესღაც არასოდეს არ იყო,  
მაგრამ იმ მოჩვენების მაინც შემრჩა ხათრი.

11.I. 98 წ.

\*\*\*

ყველაზე ძლიერ გეორგინის ბოლქვი ანათებს,  
რომელიც იცდის, იცდის, იცდის,  
ვიდრე მიწაში ჩაასვენებენ  
და ცივ სარდაფში ზის ჩემთან ერთად  
ნაადრევად რომ არ გალივდეს.

რა ლამაზია ჩვენი ლოდინი,  
გარეგნულად ჩვეულებრივი,  
მაგრამ სიღრმეში ჩამალული  
და გაკვირვების წყალობით მშვიდი,  
მშვიდი და ისე მოულოდნელი,  
როგორც თვითონ გაზაფხულის პირველი სუნთქვა.

ჯერ კიდევ ვიცდით,  
ვიცდით და ვფიქრობთ:  
რომ ღამეები ისევ გრძელა —  
თუმც მოკლდებიან თანდათანობით.

ჩვენ გვიყვარს ჩუმი, ასატანი ლოდინის სუნთქვა,  
როცა სუნთქვაში ღღვება ტკივილი  
და სიღრმეში ცრემლებს იბრუნებს...

ისე გადიან ღამეები —  
არცთუ ისე მზიარულები, —  
ჩვეულებრივი ღამეები ლამპის შუქით განათებული...

ღამის მღვიმეში არსებობა უფრო ძნელია,  
ვიდრე ბოლქვების სიღრმეში ყოფნა  
და სიყვარულის მოლოდინი,  
რომელიც ახლა უკვე გზაშია  
და ესეც კი საკმარისია არსებობისთვის,  
ღამის შუქთან საოცნებოდ  
და ჩამალული  
მოლოდინის გასადრმავებლად...

.....

ჩვენ ყვავილობის წუთებს ვაგროვებთ.

9.I. 98 წ.

დღე — სარკე

... და, აი, კიდევ ერთი ფურცელი,  
თითქმის იგივე, მაგრამ სხვაგვარი —  
დღე — შენს თვალებში ამობურცული  
ღვთაებრივ შუქით და სიანკარით.

და, აი, კიდევ ერთი გაფრენა —  
მორიგი სწრაფვა გაუბედავი,  
მზის ათინათი, როგორც ზაფრანა,  
ახლაც ამშვენებს სარკის ზედაპირს.

ასე გრძელდება წინსვლა მარადღე,  
სინამდვილეში ჩუმი უკუსვლა,  
თითქოს დაქანცულს და სისხლდანათხევს  
იქით არავის არ გაუქუსლავს;

თავისთვის ცხოვრობს, სადაც არავინ  
და გარდაცვლილთა სულთა შემკრები  
არის აღსავსე გაუზარავი  
ცის სარკეებით და მზის ეკლებით.

ჩემს თავს ვერ ვამჩნევ ჯერ იმ სარკეში,  
თუმცა ვგრძნობ სადმე უნდა დავეცე,  
ორეულს ჩემსას ვხედავ დაგეშილს  
და საკუთარ თავს სხვაგან დავეძებ.

14. I. 98 წ.

მატარებლები ღამით...

რას მაგონებს მატარებლის შორი ხმაური,  
საითკენ მიჰყავს უნებლიეთ ნათქვამი სიტყვა?!  
ნუთუ მხოლოდ იქ, სადაც ღამეს  
შუაზეკვდეთ მატარებლის შორი ხმაური  
თუ კიდევ სხვაგან და უფრო ღრმად —  
საკუთარ სულში —  
დასავიწყებლად განწირულ წუთებს  
რომ ამთლიანებს?!

მეზავრობა ხომ არ მოგენატრა  
ძმაო, ჩემში გამომწყვდეულო?!  
ხომ არ მოგწყინდა ფურცლების ქექვა  
და უნებლიეთ ხომ არ მოგწყურდა:  
შენც იჯდე ჩუმიად მატარებლის დახშულ კუპეში  
და იმ ფანჯრიდან იყურებოდე,  
საიდანაც ეს ქვეყანა უფრო მშვიდია  
და მონატრების წყურვილსაც აღძრავს?!

რას მაგონებს მატარებლის შორი ხმაური,  
რომ უჩემოდ მიდიან სადღაც და გული მწყდება,

იმ სადგურამდე ვერასდროს რომ ვერ მივაღწიე.

შორიდან ვუსმენ როგორ მიქრიან  
შუალამის მატარებლები,  
ჩემთან ერთად და უჩემოდ როგორ ქრებიან.  
ვერ გამიგია როგორა ვარ ერთდროულად  
იქაც და აქაც,  
თან მატარებლის ფანჯრებიდან ვიყურები,  
თანაც სახლში ვარ?!

რად მინდოდა, ამდენი თვალი  
ყველაფერს რომ ამჩნევს და ჩუმად  
რომ იმახსოვრებს?!

რად მინდოდა რომ გულს ჩემსას  
ყველა განცდა ეგროვებინა,  
რომელსაც ერთხელ გააღვიძებდა  
შუალამის მატარებელი  
და უძილობას შეატოვებდა  
ამ მზუტავ ლამპას,  
რომლის ჩაქრობა სახლში ყველას გადაავიწყდა.

### 7. III. 98 წ.

1.  
... და სიტყვა უკან ჩავიბრუნე...  
რა უნდა მეთქვა,  
როცა სიტყვაც უძლური იყო  
იმ მშვენიერ მწუხარებასთან.

მაგრამ თვალებით  
იმდენად შორს ვიხედებოდი,  
რომ დაბრუნება მიჭირდა უკან.  
საშიშია იქით გახედვა,  
სადაც უთქმელი სიტყვა თავისთავს  
ისე აღრმავებს,  
რომ შიშველი ფესვები უჩანს.

სათუოა იქიდან დაბრუნება,  
იქნებჰაერი არ მეყოს და ვერ ამოვყვინთო?!  
და თუ ამოვალ,  
თუკი მაინც ამოვალწიე,  
შენც იქ დამხვდები: მეოცნებე და მომლიმარი,  
შენ, რომელიც შემთხვევით ხარ ამ ქალაქში  
და საერთოდ დედამიწაზე.

2.

მოკვდა ოცნება, იტყვის ვილაც,  
ვინც დიდი ხნის მკვდარია თვითონ  
და უმწეობის ჭაობს შეჰხარის.

7.III. 98 წ.

\*\*\*

ეს შემოდგომა, ეს ზამთარი, ეს გაზაფხული  
და ვერც ზაფხული, რომ მიაღწევს ფერისცვალებას,  
ვერ შეედრება დროს, ჩემში რომ არის ჩაფლული  
და ყოველივეს და ყველაფერს რომ ემალება.

ვერც ეს ქალაქი, ვერც ეს დაბა და ვერც სოფელი  
ვერ შეამჩნევენ, მათ აბრმავენს ერთფეროვნება,  
ის კი არსებობს დრო კაცთაგან უარყოფილი,  
მარად ამ დროის გვერდის ავლით მიდის ცხოვრება.

შენ კი მზის სხივო, როცა ბაღში ნაყოფს შეთვალავ  
და ჩამჩურჩულე, რომ სიცოცხლე მხოლოდ მზით არი!  
ათასში ერთხელ ბედნიერი მხოლოდ შენთან ვარ —  
მევიოლინე არასმქონე, მაგრამ მდიდარი.

8. III. 98 წ.

\*\*\*

უწმიდეს სისხლით შეღებილ ლურსმნებს  
ხანდახან გრძნობენ ხელისგულები,  
როცა სიჩუმე თავისთავს უსმენს  
და სიჩუმიდან შენ იყურები.

ვერ გხედავ, მაგრამ გპოულობს სუნთქვა —  
სინანულით და რწმენით გამთბარი  
და სანთლის შუქი თვალეებში უდგას  
ბინდს და თანდათან გადის ზამთარი.

...და წმიდა მამებს, რაც გულში უთქვამთ  
ამ სიჩუმეში ლოცვად გროვდება,  
ვერ გხედავ, მაგრამ დაგეძებს სუნთქვა,  
დაგეძებს სუნთქვა და გელოდება.

მინდობილი ვარ სიჩუმის გუმანს,  
რომელიც არის ყოვლის მომცველი  
და სიჩუმეზე ათასგზის ჩუმიად  
გულით პოულობს სიტყვას მლოცველი.

მე გავიგონებ სამყაროს ქვითინს  
ჩემი ცოდვილი სულის საოხად,  
ვეხები მზერით ძვლებივით ქვითკირს  
და გელოდები როდის ჩამოხვალ.

ჩემში კი ისევ ღულუნებს მტრედი  
და მტრედის ფრთაა თეთრი ფურცელი,  
სადაც ყოველი აღმდგარა მკვდრეთით  
და არსად მიდის ჟამი უცვლელი.

14. III. 98 წ.

\*\*\*

მთელი სადამო შენზე ვფიქრობდი,  
შენზე, ვინც უკვე დიდი ხანია,  
წარსულში ხარ და თანაც აქა ხარ...  
თითქოს მრავალი წელი კი არა  
ერთი წუთიც კი არ გასულა:

წარსულში ხარ და თანაც აქა ხარ...

ვინ იყო ნეტავ,  
დრო რომ დაშალა წუთებად და საათებად,  
თვეებად და წელიწადებად  
და შენი სახე ვერ დაივიწყა?!

წარსულში ხარ და თანაც აქა ხარ...

და ისე წრფელად იყურები,  
რომ თბილ ნაკვალევს ტოვებ შინ გულში  
და ვარსკვლავებით ცას კი არა  
ჩემს თვალებს ავსებ.

წარსულში ხარ და თანაც აქა ხარ...

12.III. 98წ.

\*\*\*

დღე კი წავიდა...  
იმ ადგილას სადაც მზე ენთო  
გამოჩნდა ღრულის მოწითალო აეროსტატი  
და მე არ ვიყავ ულამაზეს წუთის გამშვები  
და პეიზაჟის ძველი ოსტატი  
მზეს დავეძებდი, როგორც ბავშვები  
თვალთ ეძებენ დაკარგულ ფრანებს;

თავზე კი ქორმა გადამიფრინა,  
მომესმა მისი ფრთების ტყლაშუნი  
და მე შევნიშნე, რომ გამოხედვა  
მოხუც მამასაცქონდა ბავშვური.

არც რა ხდებოდა გასაოცარი  
და ყოველდღიურ იგივეობას —  
მარად ახალი ხიბლით მიმზიდველს,  
ბინდმორეული სჭვრეტდა ხეობა  
და მე ზეციდან თითქოს მიმზერდნენ  
ჩემთვის უცნობი სულის თვალები,  
რომელსაც მუდამ სადღაც გავურბი  
და ვერასოდეს დავემალევი.

16. III. 98 წ.

\*\*\*

ღამე თავისთვის ცხოვრობს და თითქოს  
აღარსად წასვლას აღარ აპირებს,  
მეც გათენებას აღარ მოველი  
და ღამის თევა ისევ მაბერებს.

ვუსმენ რადიოს და უცაბედად  
გამეღიმება ნაცნობ აკორდზე,  
გამახსენდება, რომ ამ მუსიკის  
ჩუმი კარნახით როდის გაკოცე.

ღამე თავისთვის ცხოვრობს და ყოფას  
მეც მივეჩვიე ღამის გარეშე  
და სულ არ მინდა, რომ წარმოსახვით  
შენს ბაგეებზე ისევ დავეშვე.

ისედაც ბევრი ფიქრი დაგროვდა —  
მოსალოდნელი დარდის სათავე,  
თითქოს მე სხვა ვარ, ვინმე უცნობი  
და იდუმალი ხმები მმართავენ.

საათის ხმაა, სიჩუმეში რომ  
წიკწიკი ისმის მონოტონური,  
ვარ გარინდული და მდუმარე ფიქრს —  
სიჩუმეს ვაძლევ როგორც დონორი.  
გავცემ სიჩუმეს დაუნანებლად  
და სათქმელ სიტყვებს გულში ჩარჩენილს,  
არ შეუძლია იმის მორჩენა  
შენ რომ ორიოდ ხმოვნით არჩენდი.

მიყუჟულია ლანდი კედელზე  
და მარტო აღარ არის კედელი,  
რომლითაც მე ვარ შემოსაზღვრული  
და ფიზიკურად გამოკეტილი.

ჩემი ფიქრი კი დაუკითხავად  
აღებს ფანჯარას, კარს და დარბეზს,  
რომ გააღწიოს ღამის სივრცეში  
და მიაღწიოს ისევ არაფერს.

მაგრამ ეს ჟინი, ჟინი ძიების,  
მოჩვენებითი სიღრმის მოხილვის —  
ზოგჯერ ხევდება უიმედობით  
და თავში მხვდება ხმელი ჯოხივით,

რომ თვალებიდან წაყრილ ნაპერწკლებს  
მოულოდნელი შუქი მიებას,  
რომ არ დასრულდეს ამ ღამესავით  
ციმციმით სავსე სიტყვის ძიება.

18. III. 98 წ.

\*\*\*

აღარსად ყოფნა, არავისთან მიახლოება  
აღარ მსურს, აღარ მომენატრება,  
საკუთარ გულში ჯდომა ვარჩიე  
ამათ სარფიან გზებზე წათრევას.

ჩამოვიბერტყე მტვერი ამ ქვეყნის  
და მივატოვე ვინც ნაადრევად,  
გადამავიწყდა ან დამეკარგა,  
უწინდელივით არ მენატრება.

შუა ქალაქში ვცხოვრობ ბერივით  
და ვიხედები სულის სიღრმიდან,  
მე რა ვიცოდი ჩემი დუმილი  
ლოცვის სიტყვებს თუ ამოიყრიდა?!

მე რა ვიცოდი, რომ ბაგეები  
ჩემი უარით ამოქოლილი —  
დროგამომშვებით მიჩანს ბზარივით  
და არ დავებებ სარჩოს ქორივით.

ბედნიერი ვარ, როცა ხელები  
ჰაერში თითქოს სიტყვებს ეძებენ,



რასაც აქამდე ვერ მივაკვლიე  
გულით ვიპოვნე და ავეწებე.  
პურსა და ღვინოს ჩუმად ვაკოცე  
და მივეფერე ჩვილი ბავშვივით  
და გავმთლიანდი ათას ნაწილად  
ან კიდევ უფრო მეტად დაშლილი.

პირველი სიტყვა, როგორც გუმბათი  
გულის სიღრმიდან ამოიზარდა  
და მე პირჯვარი გადავისახე,  
იმდენად ახლოს ვიყავ მიზანთან.

თანდათან სხეულს ისე ავშორდი,  
რომ შევცქეროდი სხეულს გარედან,  
რომელიც იწვა ქვეყნის ჭაობში  
და ჭაობს მაინც არ იკარებდა.

20.III.98 წ.

\*\*\*

რამდენი შუქი იღვრება ღამით,  
მაგრამ არ ვიცი თავის სიღრმეს  
როგორ ანათებს  
და მაინც მუდამ ითხოვს შევსებას  
სულგანაბული იცდის მანამდე  
და მოსალოდნელ წუთის მოსვლას ეაღერსება.

ღამის ქალაქი გულში ჩაიკრავს  
უთვალავ წყვილს და  
მოსურნეებს ცეცხლში ჩათრევის,  
შენ, სიჩუმესთან დაწყვილებულო,  
ისევე სიჩუმეს მოენატრები;

რათა შეერწყაჰაერს ღამეულს —  
უნებლიეთ რომ ბადებს ნათებას,  
რომელიც შენში ჩაედინება,  
როცა წყვილადში გაიფანტება.

შეუკრებიათ ძველი ცეცხლი ახალ სხეულებს  
და შუქის კვალი შეუნახავს ყვითელ ბარათებს,  
რომლებიც სადღაც გამოკეტილან  
და თავ-თავიანთ სიბნელებს ყველა ანათებს.

...და შუაღამის წყვდიადს მთრთოლვარეს  
შეერთებიან ბნელი ხნულები,

ისინი მუდამ სხივებს ელიან  
და შენც, რატომღაც, იქ მეგულები.

ბადის ჩურჩული თითქოს აგრძელებს  
შრიალს, რომელიც სისხლში იწყება,  
აღმოცენდება ზოგი მარცვალი,  
მაგრამ მრავალი იქ ჩამიწდება.

ბნელო წიაღო, აღუვსებელო,  
სხეულმა იგრძნო შენი ბიძგები,  
შენთან მოვდივარ გაოცებული  
პირველყოფილი თავდავიწყებით.

### 21.III. 98ჟ წ.

წითელი ვაშლი

დღე კი წავიდა, მაგრამ თავის კვალი დატოვა,  
რომელსაც მალე მომავალი დღეები წაშლის...  
ვერ გამიგია, ამ ოთახში ახლა რატომ ვარ  
და რისთვის მიდევს მაგიდაზე წითელი ვაშლი?!

დღე კი წავიდა და ამ ვაშლით კვალი დატოვა,  
რომელიც ქარმა სიწითლისთვის მოწყვიტა წედან,  
ახლა ჩემსავით მოწყენილი ისიც მარტოა  
და შენც მარტო ხარ და საკუთარ დუმილში წევხარ.

და ჩვენ ცალ-ცალკე არსებობას ჩუმი ვაგრძელებთ,  
უერთმანეთო არსებობას: მე, შენ და ვაშლი,  
მიკვირს, უსიტყვოდ ერთ ოთახში როგორ გავძელით,  
მხოლოდ დუმილი გვაკავშირებს, სიტყვა კი დაგვშლის.

დღე კი წავიდა, შეუმჩნევლად რაღაც წამართვა,  
რომ წართმეულის მნიშვნელობა შემეცნო უკეთ,  
დადუმებული, ბნელ ოთახში ვზივარ ამათთან  
და ფანჯარაში ვუთვალთვალებ ღამეულ შუქებს.

დღე კი წავიდა, წაიყოლა ის, რაც არავის  
დაუბრუნდება, არც არასდროს განმეორდება,  
მხოლოდ დრო არის საკუთარი თავის მპარავი —  
ჩუმი რომ მოდის და ასევე ჩუმი გვშორდება.

მე კი აქ ვრჩები, მომავლისთვის ვრჩები რატომღაც  
და ყოველი დღით, გასული დღით ღრმავდება კვალი,  
რომელმაც დროში მარტოდმარტო რომ მიმატოვა —

ყოვლის მხილველი მაჩუქა თვალი.

ვერ გამიგია ამ ოთახში ახლა რატომ ვარ,  
ჩემს სიმარტოვეს სინანულის ღიმილი წაშლის,  
დღეს კი წავიდა, მაგრამ თავის კვალი დატოვა —  
მზეს მაგიდაზე დარჩენია წითელი ვაშლი.

22. III. 98 წ.

\*\*\*

წარსულს ჩაბარდა! უბრალოდ ითქმის,  
მაგრამ წარსულიც და მომავალიც  
თანაბრად სუნთქავს ამ წუთში თითქმის  
და ეს თვალეები სად იყურება,  
რომ შეეზარდა ხავსიან ქვითკირს  
და ხეებს ქცეულთ გრავიურებად.

არ იხურება წარსულის წიგნი,  
ის თვალწინაა მუდამ გაშლილი,  
დამალულია სიტყვათა შიგნით,  
რაც მომავალში მოვა ხელახლა  
ან სიყვარულით ან ფუჭი ლიქნით,  
სიტყვით, ბაგეს რომ ბევრჯერ შეახმა.

მაგრამ ვინც ერთხელ შეერწყა სივრცეს  
და უნაპირო დრო გადალახა,  
თითქოს აკვანში თავისთავს ირწევს,  
ვეღარ ამოდის დროის აკვნიდან  
და ჩვენთვის უცნობ სიტყვებით იწყებს  
თხრობას — დუმბილში რამ გააკვირვა.

ჩვენ კი ვერ ვიგებთ უცნაურ ამბავს,  
მხოლოდ გულით ვგრძნობთ, რომ სიმართლეა,  
რასაც მთხრობელი სიტყვებით ლამბავს  
თუმც დაეჭვებით ვუმზერთ რატომღაც,  
როგორც წყვდიადში დარჩენილ ლამპარს,  
ვიღაცამ ჩვენთვის რომ მიატოვა.  
ენას იდგამენ კედლებიც ამ დროს  
და ფანჯრებიდან შემოდწეული  
შორი ვარსკვლავი თითქოსდა ნატრობს,  
რომ კვლავ სიტყვებში დაიდოს ბინა,  
რომ დაუბრუნდეს ძველისძველ პატრონს  
და მის თვალეებში განაგრძოს ბრწყინვა.

25. III. 98 წ.

\*\*\*

ბნელი სიმშვიდით სავსე კვიპაროსს,  
ღამის ლანდივით ჩუმიად ცად ასულს,  
შენი თვალები სურს მოიპაროს  
და შეუერთოს ქვეყნის დასასრულს.

ისე ირწევა ბნელი კენწერო,  
რომ უცაბედი აკრობს ზარის ხმა,  
თითქოს მოწმენდილ ცაზე ეწეროს  
ღამით ვარსკვლავებს როგორც დაისხამს.

შენ მოგაგონდა, რომ იძინებდი,  
დიდი ბავშვები რასაც ნატრობენ —  
იებით სავსე ღობისძირები  
როგორ აფრქვევენ სურნელს მათრობელს.

შენ, ალბათ, სიტყვას ვეღარ მოძებნი  
იმ განცდისა და ხილვის შესაფერს,  
როცა სიზმრები ღვთით ნაბოძები  
შენი თვალების სივრცეს შესვამენ.

დღეს უკვე იცი რაა მართალი,  
რაც მუდამ ჩანს თუ მუდამ არა ჩანს,  
რომ კი არ ნახო, იგრძნო სხვა თვალთ,  
რაც მარტოოდენ სულში გადარჩა.

## 28. III. 98 წ.

მის სიმკაცრეში გამომწყვდელი მეტად მოწყენილი ვარ და ვცდილობ ვუკარნახო X-ის ტელეფონი, რომ მასთან დამაკავშიროს. სასტიკად მეწინააღმდეგება: ერთი იმის დედაც... მე კი სიმონი არ ვაძლევ ნებას ბოლომდე დაასრულოს წინადადება.

\*\*\*

სიმონმა ფანჯრიდან გაიხედა — ჰორიზონტზე მზე მოჩანდა. ვერ გაარკვია მზე ჩადიოდა თუ ამოდიოდა, რადგან არ იცოდა, რომელი სახლის რომელი ფანჯრიდან და რომელ მხარეს იყურებოდა. ეზოში არავინ ჩანდა, მხოლოდ მშვიერი ძაღლები დასუნსულებდნენ. ფანჯრის რაფაზე ბელურები აბუზულიყვნენ და ჩვეულებრივ ჟღურტულებდნენ. ცოტაც რომ დაეცადა და მზისთვის თვალი გაესწორებინა, ალბათ, მიხვდებოდა, თენდებოდა თუ ღამდებოდა, მაგრამ აღარც სურვილიჰქონდა ამის გასარკვევად, ფანჯარას მოშორდა და სარდაფის კიბეს ჩაუყვა. იქ, ღამის შუქზე, აღარ ექნებოდა დასადგენი რა დრო იყო გარეთ, რადგან სარდაფში იგივე დრო სუფევდა, საგნებიც ისევე დუმდნენ, როგორც ყოველთვის და გაშლილ რვეულში ჩაწერილი სიტყვებიც თანაბრად ეკუთვნოდა ერთ, უცვლელ დროს, რომლის

მთლიანობაში მას ეჭვი აღარ ეპარებოდა, არც ანიჭებდა რაიმე მნიშვნელობას მზე მართლა ამოდიოდა თუ ჩადიოდა. მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო, იმდენად სულ ერთი, რომ თვალი დახუჭა და ტახტზე გაიშობა. ტელეფონის ზარის წკრიალი ზემოდან რომ მოესმა, სხვას უხმობდა, იმ სხვას, ახლა რომ აღარ არსებობდა, მაგრამ იგი ცოტა ხნის შემდეგ მაინც წამოდგა, რადგან ზარი განუწყვეტლივ რეკდა და იმაგინაციის საშუალებას არ აძლევდა. — მიძიმედი აიარა კიბე, არ იცოდა, ვინ და რატომ რეკავდა ამ სახლში, სადაც წარსული და მომავალი ისე შერწყმოდა ერთმანეთს, რომ აწმყოსთვის თითქმის აღარ რჩებოდა ადგილი, თუ არ ჩავთვლით იმ დროს, როცა იგი საკუთარ სუნთქვას ძალაუვნებურად აყურადებდა ან მოულოდნელად წამოტივტივებულ აზრს მექანიკურად აღიქვამდა, იმის დასტურად, რომ აწმყოს ნამცეცები ჯერ კიდევ ახსენებდნენ თავს და ძალაუვნებურად იქითკენ ახედებდნენ, სადაც დაბრუნება აღარ უნდოდა. როგორც იქნა, მიაღწია ტელეფონამდე, ყურმილი აიღო — ხმა არ ამოუღია — შორიდან კი იმ ქალის ხმა შემოესმა, რომლის გაგონებასაც დიდხანს ოცნებობდა.

— როგორა ხარ?! — ეს შეკითხვა ისე ბანალურად ჟღერდა, რომ სიმონმა არც კი უპასუხა, მხოლოდ კითხვა დაუბრუნა უკან:

— შენ?!

ქალი დიდხანს ლაპარაკობდა ყოფით საკითხებზე, ყოველდღიურ ერთფეროვნებასა და სიდუხჭირეზე, შვილზე, რომელიც ძალიან უყვარს, და ქმარზე, რომელიც ცოტა უკეთესი გამოდგა ვიდრე წინათ ეგონა, იმ ოჯახურ სიმყუდროვეზე, მან რომ მოიპოვა და ათას წვრილმანზე, რითაც თავს იტყუებდა ან იქნებ არც იტყუებდა. სიმონი მდუმარედ უსმენდა და თავისთვის ფიქრობდა: ნეტავ ჩავიდა თუ ამოვიდა მზე?! ქალსაც იგივეჰკითხა. ქალი დაიბნა, მაგრამ ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ ჩაეძია:

— შენ რა, ნასვამი ხარ?! — ამ შეკითხვას მოჰყვა გულწრფელი დარიგება; დამტკბარი ხმის ტემბრი სიმონს მიანიშნებდა, რომ ქალი არც ახლა იყო გულგრილი მის მიმართ, მაგრამ თვითონ სიმონი უსაზღვრო სიცივეს გრძნობდა სხეულში და არც რაიმე მღელვარების მაგვარი განცდა დაუფლებია. ისე, ყასიდად, მოვალეობის მოხდის მიზნით ქალს შესთავაზა: სადმე შეხვდეთო, თუმცა არც ამ შეხვედრის სურვილიჰქონდა და ქალის თანხმობა რომ გაიგონა, მცირე პაუზის შემდეგ — ამაოების უსაზღვრო გრძნობა დაეუფლა. ამას ვნატრობდი ხუთი წელი?! ესლა გაიფიქრა და ქალს ისევ მექანიკურადჰკითხა: გახსოვს ის წლები?! ქალს ყველაფერი ახსოვდა, მზად იყო, დღესვე მოსულიყო სიმონის სახლში, ბავშვის დედას დაუტოვებდა, ქმარს ეტყოდა, რომ მეგობართან მიდიოდა დაბადების დღეზე და შეაგვიანდებოდა. სიმონს უფრო წაუხდა გუნება — თანხმობაც ძალით ამოღერღა: გელოდებიო — მიუგდო. იგი ერთ საათში უნდა მისულიყო სიმონთან. სიმონი ისევ სარდაფში ჩაძვრა, ვიოლინოს ყუთი გახსნა და გამების ვარჯიშს შეუდგა. უნდოდა ყველაფერი დავიწყებოდა. დრო წინ მიიწევდა; მღელვარების წვეთი გულში რომ გაფაჩუნდა, თანდათან მოედო მთელს სხეულს და თავი ვერაფრით დაიმშვიდა, ვიოლინო მაგიდაზე დადო, ბოლთის ცემას მოჰყვა. არ იცოდა, რა დრო იყო — ამოდიოდა თუ ჩადიოდა მზე. სარდაფის ხან ერთ, ხან მეორე კედელთან ჩერდებოდა, მიხვდა, რომ დროის გაყვანა ეჩქარებოდა, ლოდინით ივსებოდა მისი სხეული, ისევ აწმყოში ბრუნდებოდა, იმ სამოქმედო სივრცეში, საიდანაც გაქცევას ვეღარ შეძლებდა.

ნელი ნაბიჯით ამოვიდა სარდაფიდან, მუხლები ეცელებოდა მღელვარებისაგან, ოთახის მილაგება სცადა, მაგიდასა და პიანინოზე მტვერი გადაწმინდა, თან კარს აყურადებდა, კაკუნის ხმა რომ არ გამოპარვოდა. მერე ისევ

ფანჯარასთან მივიდა. მოლურჯო ბინდში გახვეულიყო სახლისწინა ბაღი, შორს კიპორიზონტთან, ღრუბლებში ისევ ჭიატობდა მკრთალი ნათელი ახლახან ჩასული მზისა და მან — მევიოლინე სიმონმა თითქმის ხელშესახებად იგრძნო საკუთარი სხეული, აჩქარებული გულისცემა, ოთახში შემოღწეული ბინდის სიცივე, იდუმალება და დრო, რომელიც რამდენიმე წუთში შეახვედრებდა ათას ღამეში გამოვლილ, უთვალავჯერ ნაოცნებარ, მრავალჯერ უარყოფილ, მაგრამ დაუვიწყარ წარსულთან, რომლის გამეორებისაც არ სჯეროდა, თუმცა ფანჯარასთან მდგომი მაინც აყურადებდა სიჩუმეს, ქალის ფრთხილ კაკუნს რომ უნდა დაერღვია. ბინდში ისევ ჩამუქდნენ კვიპაროსები, მთები ქალაქის გარეუბანს რომ აკრავს. იმ მთების სიახლოვეს ისევ აკიაფდა სინათლე, სიმონი რომ ვერასოდეს არჩევდა ვარსკვლავი იყო თუ რომელიღაც სახლიდან გამოწეული შუქი — და ეს გაურკვეველობა მუდამ შეუცნობელი სიხარულით ავსებდა, იმედს უსახავდა გულში, რომ სადღაც, ვიღაც ლამის ვარსკვლავის სიმაღლეზე ცხოვრობდა და თუ იქ არავინ ცხოვრობდა და მართლაც ვარსკვლავი ანათებდა ყოველ საღამოს ერთსა და იმავე ადგილას, ეს იმ ნათებას უფროჰგავდა, როცა სიბნელე ერთადჰკრებს თავის უღრმეს ქსოვილში გაფანტულ სინათლის ნამცეცებს ან ათასწლეულთა წიაღში ჩამქრალ, ჩამალულ გარდაცვლილთა თვალებს, რათა ჩვენამდე მოაღწიონ იმ სხივებმა, იმის გასახსენებლად, რომ ჩვენი მზერაც — ცისკენ მიპყრობილი უკვალოდ კი არ ქრება — იქ გროვდება წვეთ-წვეთად — იმ შორეულ ნათელში, საიდანაც, ოდესღაც უჩინრად ჩაიღვარა ჩვენს უმწეო, ახლად ჩასახულ სხეულებში.

კარზე ფრთხილად კაკუნი გაისმა და სიმონმა იგრძნო, რომ კარს უკან სული იდგა, რომელსაც პირობითი სხეული გააჩნდა ისევე, როგორც ადევნებულ მაპინძელს — კარისკენ რომ გაემართა, მიხვდა, მისი სხეულის მოძრაობა მხოლოდ სულის კარნახის შესრულება იყო, ყოველგვარი ვნებისგან დაცლილი, წარსულის ტანჯვისგან განთავისუფლებული, სულიერი ნატვრით აღსავსე.

კარი გააღო — პარმალზე X-ი იდგა — ფერმკრთალი, ოდნავ გამხდარი, მის მწვანე თვალებში სწორედ ის შუქი ჩანდა, სიმონი რომ ვერ არჩევდა, ვარსკვლავი იყო თუ სხვა რამ ნათება. იგი შევიდა ოთახში, კარი დაიხურა. პირისპირ დასხდნენ მაგიდასთან, სადაც გამოსაჩენ ადგილას ისკერბარიუმი იყო მიყუდებული ლარნაკზე, სიმონმა რომ გადასაგდებად ვერ გაიმეტა. იმკერბარიუმის ჩარჩოში ის წარსული იყო მომწყვდეული, რომლის შესაფერის სიტყვას ვერც ერთი პოულობდა და თვალებით საუბარი კართან რომ დაიწყო, აქაც, მაგიდასთანაც გაგრძელდა და სიმონმა გადაწყვიტა მუსიკის ენით მოეთხრო ყველაფერი, მაგრამ გადაიფიქრა და დუმილი პირველმა დაარღვია:

— წასვლას აპირებ თუ?!

ქალს ხმა არ ამოუღია, თავი დახარა დაჰკერბარიუმისკენ გააპარა თვალი: მე არსად წავსულვარ, ყოველთვის აქ ვიყავი. გარეთ უფრო ჩამობნელდა, სიმონმა ლამპა აანთო და ლამპის შუქზე მათი ჩრდილები უხმოდ შეეზარდნენ ერთმანეთს...

სიმონმა ახედა კედელს, სადაც მათი ჩრდილები ლამპის შუქმა გაამთლიანა, მერე აიღო ლამპა და ოთახის სიღრმეში, რომელიღაც თაროზე შემოდგა, ისე რომ ჩრდილები დაუბრუნდნენ სხეულებს და ისევე ჩუმად განცალკევდნენ, როგორც თვითონ ისხდნენ მაგიდასთან უერთმანეთოდ, გაუცხოებულნი და იმედგაცრუებულნი, დაბნეული და მდუმარენი. ქალმა რამდენჯერმე სცადა საუბრის წამოწყება, მაგრამ სიმონს მოეჩვენა რომ მისი სიტყვები ყალბად გაისმა სიჩუმეში, ბინდ-ბუნდში ლამპის შუქი რომ თანდათან აღრმავებდა. სიმონი ხმას არ იღებდა, გრძნობდა რომ ყოველი სიტყვა უკვალოდ გაქრებოდა არა დიდი სიჩუმის გამო,

მყისვე რომ ისრუტავდა ყოველ ბგერას, არამედ იმ უძღურების გამო, რომელსაც მათ შორის არსებული გადაულახავი, შეუკვრელი ბზარი ასაზრდოებდა.

— მე წავალ! თქვა ხ-მა და წამოდგა. სიმონი ისევ დუმდა. იგი იმ დიდი სიჩუმის ნაწილი იყო ყველაფერს რომ მოიცავდა და ყველაფერს რომ მართავდა უხმოდ, უპირველესად კი დროის იმ თვითდინებას, უღრმეს დუმილში რომ ბადებდა სათქმელს და არ ახმოვანებდა, რადგან დუმილში არსებული სიმძაფრე ვერ პოულობდა იმ ნამდვილ სიტყვას, ან იქნებ ნამდვილ ტონალობას, რომლის მეშვეობითაც შეძლებდა გარეთ გამოსულიყო ისე ბუნებრივად, სხივი რომ გამოკრთის წყვილიდან.

— მე წავალ! გაიმეორა ქალმა და წავიდა. ხ-ის ნათქვამი ორი სიტყვა ორი ფერადი კენჭი უფრო იყო, ვიდრე ორი სიტყვა, თუმცა იმ მოჩვენებითი ფერადოვნებიდანაც მხოლოდ სიცივე გამოკრთოდა სხვა არაფერი.

### ავტორისაგან

როცა X-ი წავიდა მივხვდი რომ სიმონიც გაქრა — იგი აღარც ჩემში არსებობდა და არც სადმე ჩემთან ერთად. პირველი რამაც გამაოცა ის უნებლიე სიხარული იყო სიმონისა და X-ის გაქრობამ რომ გამოიწვია. მივხვდი რომ დღეიდან, ამ წუთიდან, იმ უსაზღვრო თავისუფლებას ვეკუთვნოდი ამქვეყნიურ, მოჩვენებით ბედნიერებას რომ ირონიულად შეჰყურებს და არარად მიაჩნია. ლარნაკზე მიყუდებული ჰერბარიუმი ფანჯრიდან გადავუძახე, სიმონის ხელნაწერები კი ანუ წიგნის დედანი, ჩვენი თანაავტრობით რომ იქმნებოდა, საქაღალდეში ჩავალაგე, იმ იმედით რომ ხვალვე ვაჩუქებდი რომელიმე ჟურნალს, მერე კი რომელიმე გამომცემლობას, რათა თავიდან მომეშორებინა წარსული, რომლის ტყვეობაშიც ლამის სული ამომხდა.

მშვიდად ჩავიარე სარდაფში ჩამავალი კიბე,სანთელი ავანთე და მაგიდას მივუჯექი. კედლის კუთხეში, ჭერთან — ობობა ისევ ქსოვდა თავის აბლაბუდას. მეც დავიწყე სიტყვების ჩხიბვა. პირველი „წინადადება“ ჩემს დღიურში რომ ჩავიწერე ასე ჟღერდა  $X+XN^2$  ანუ პაუზა= ?,  $X-XN^2$  ანუ პაუზა =0. ამ უაზრო ფორმულებს რომ ვწერდი, გამახსენდა სკოლაში როგორ მძულდა ალგებრა, მაგრამ ის, რაც ჩავიწერე, აღარ წავშალე. ყველა და ყველაფერი უცნობი იყო ჩემთვის გარდა იმ დიდი კითხვის ნიშნისა და არაფრის აღმნიშვნელი ნულისა, რომლებიც ერთმანეთს არც გამორიცხავენ და არც უარყოფენ.

1997- 1998 წ. წ.